## რა აღიარა ნინო ბურჯანაძემ? 5



არნო ხიდირბეგიშვილი: 6

## ქართველ ხალხს არ უნდა ნატოში, მას რუსეთთან მეგობრობა სურს!

ჩვენ უნდა დავუბრუნოთ აფხაზებსა და ოსებს მათი მშობლიური საქართველო – მაშინ ისინი დაგვიბრუნებენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს



საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა 1 — 7 ივლისი, 2009 №19

# საქართველო & მსოფლიო

www.geworld.net

გამოდის ოთხშაბათობით ფასი 1 ლარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net

## 12 ბავშვს ორივე ფეხი გადაუმტვრიეს და ინვალიდის ეტლში ჩასვეს, რათა დედას მათხოვრობისას თანაგრძნობა გამოეწვია

ფსიქოპორტრეტი //

## ნოღაიდელის გადასვლა ოპოზიციაში შექმნილი 14 ქონების დაკარგვის შიშით არის გამოწვეული

SOS! //

## კასპში ოცამდე სოფელს სასმელი და სარწყავი 16 წყლის გარეშე ტოვებენ!



შესაძლოა, ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს კითხულობთ, ზენარში გახვეული მარტოსული ადამიანი ბოლთას სცემს ავლაბრის რეზიდენციის უკაცრიელ დერეფნებში და ტრაგიკული ხმით წარმოთქვამს

**შენც, ვანო?**

2

# რისთვის ჩაიყვანეს ვანო ვაშინგტონში და ვისი უნდა ეშინოდეს მიხეილ სააკაშვილს

## აშშ-ს მცდელობა, რომ საქართველო გადააქციოს რუსეთთან 17 დაპირისპირებულ და მეომარ ქვეყნად, სრული უგუნურებაა

## რა მეთოდებით 18 წვრთნიან პოლიციელებს



და რას ნიშნავს ლობო-ნევროზი

# ფრთხილად, 10-11 მამათმავლები მოვიდნენ!

მინდა, რომ ჩემთან იყო!

ბიჭები, კუნძული და სრული თავისუფლება



## ლიბერალური დემოკრატია ჩვენთვის იქ მთავრდება, სადაც პედერასტების უფლებები ჩემსას უთანაბრდება

ქვეყნის მოსახლეობა ყოველწლიურად მცირდება



## 13 ძალიან ლამაზი ცოლ-შვილი მყავდა და ჩემს ძმას ყოველთვის შურდა ჩემი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რისთვის ჩაიყვანეს ვანო ვაშინგტონში და ვისი უნდა ეშინოდეს მიხეილ სააკაშვილს

**მიხეილ სააკაშვილის ცხოვრებაში საშინელი ეჭვების დრო დგება. შესაძლოა, ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს კითხულობთ, ზეწარში გახვეული მარტოსული ადამიანი ბოლთას სცემს ავლაბრის რეზიდენციის უკაცრიელ დერეფნებში და ტრაგიკული ხმით წარმოთქვამს „შენც, ბრუტუს?“, ხოლო ამ უგემოვნო შენობის ბნელ კუთხეებში დაბუდებული ექო, მრავალგზის პასუხობს: „მეც,მეც...“ კვალდაკვალ მისდევს, გარს ეხვევა და დაუნდობლად დასცინის. იგი ჩამორბის მარმარილოს საფეხურებზე, ეცემა... თუმცა ყველაფერი, შესაძლოა, არც ისე დრამატულად ხდება, იქნებ უბრალოდ ზის თავის ერთადერთ მეგობართან — „რედ ბულის“ ქილასთან — ერთად და ტელევიზორის უზარმაზარ ეკრანს მისჩერებია, მაგრამ ნებისმიერი სიტყვის, თითოეული კადრის მიღმა ისევ ფარულ მუქარას ხედავს.**




ეჭვების საფუძველი ნამდვილად არსებობს. სამი გავლენიანი ფიგურა: ვანო მერაბიშვილი, გიგა ბოკერია და ირაკლი ალასანია ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთდროულად იმყოფებოდნენ. იქ, სადაც სააკაშვილს დღეს არავინ პატიჟებს და მასთან სერიოზული ოფიციალური შეხვედრების გამართვა ჯერჯერობით არავის სურს. მერაბიშვილს კი, ისევე როგორც ბოკერიას და ალასანიას, სავსებით რეალური ძალაუფლების მქონე ხალხი ხვდებოდა და ძალიან კონკრეტულ საკითხებზე ესაუბრებოდა.

**სად აქვს სააკაშვილს იმის გარანტია, რომ ამ საუბრების დროს მის წინააღმდეგ მიმართულ სცენარებს არ განიხილავდნენ? თანაც ერთობლივად? ასეთ დროს ძალიან იოლად შეიძლება იგრძნო თავი მოტყუებულად, მიტოვებულად, იგივე ამერიკელები რომ იტყვიან „ლუზერად“. რას იზამ, ასეთია საზღაური, რომლის გადახდა დღეს სააკაშვილს უწევს.**

შტატებში იმყოფებოდა სამი ადამიანი, რომლებიც სერიოზულ რესურსს ფლობენ — მერაბიშვილი შს მინისტრია, ბოკერიას იდეოლოგიური და პროპაგანდისტული მანქანის კოორდინირება შეუძლია, ალასანია კი ვაშინგტონის განსაკუთრებული პოლიტიკური მხარდაჭერით სარგებლობს. თითოეული მათგანი ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ ვაშინგტონის მიერ წამოყენებულ წინადადებებზე უარის თქმა, უბრალოდ, არ შეუძლიათ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სცენარი რომელიმე მათგანის პოლიტიკური კარიერის დასასრულს ან დროებითი გაყინვის აუცილებლობას შეიცავს, რასაკვირველია, უდარდელი მომავლის გარანტიებთან ერთად.

შესაძლოა, ეს მხოლოდ ვარაუდებია, მაგრამ ვინაიდან ყოველივე ზემოთქმული ასე თუ ისე ლოგიკურად ჟღერდა, ვერავინ გამორიცხავს, რომ მსგავსი ეჭვები სააკაშვილსაც არ გასჩენოდა. სცენარი შეიძლება, შეიცავდეს ალასანიასთვის რეალური გავლენის ბერკეტების გადაბარებას მისთვის ოპოზიციონერის იმიჯის შენარჩუნების პირობებში. არც ისაა გამორიცხული, რომ ადგილი უფრო სწრაფ პროცესებს, კერძოდ, ხავერდოვანი რევოლუციის მორიგ იმიტაციას ან კიდევ უფრო უხეშ ვარიანტებს ჰქონდეს. ჩამოთვლილ პირებს შორის ღია ალიანსს ადგილი ვერ ექნება, მაგრამ ეს აუცილებელი არცაა — მთავარია შედეგი: ხელისუფლება სახეცვლილი, მაგრამ კვლავინდებურად ვაშინგტონის კონტროლქვეშ მყოფი ჯგუფის ხელში დარჩება, ხოლო დისკრიდიტირებული სააკაშვილის პრობლემა მოიხსნება.

**თუ სააკაშვილი მერაბიშვილს აღარ ენდობა, მეტიც, ეჭვების საფუძველზე მის ჩანაცვლებას შეეცდება, შეიძლება, ისეთი პროცესები განვითარდეს, რომელიც რეჟიმს ბოლოს სულ რამდენიმე წუთში მოუღებს. ფაქტია, რომ სავარაუდო ფარულ ტრიუმვირატთან შედარებით სააკაშვილის შესაძლებლობები ნულს უტოლდება.**

**ამ დღეებში იგი, სავარაუდოდ, გაიხსენებს ყველა ფაქტს, რომელიც მის ეჭვებსა და შიშებს გაამძაფრებს. იმას, თუ როგორი მონადინებით ესწრაფოდა ალასანია კრიზისის დასაწყისში მერაბიშვილთან კონსულტაციების ჩატარებას, იმას, თუ რა ამბიციებს გამოთქვამდა ბოკერია ბოლო დროს არცთუ დახურულ ფორმატებში, იმასაც, თუ როგორ უწინასწარმეტყველებდნენ გარკვეული პირები მის თითქოს და ერთგულ და დამჯერ ვანოს შემცვლელის როლის შესრულებას — არც ერთ ამ ფაქტს, ცალკე აღებულს, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ერთობლიობაში ისინი შეიძლება, ღალატს და შეთქმულებას დაუკავშირო.**

ეს კი პირდაპირი გზაა პოლიტიკური ფობიის ჩამოყალიბებისკენ, რომელმაც სააკაშვილს შეიძლება, საბედისწერო ნაბიჯები გადაადგმევინოს.

შესაძლოა, სწორედ ახლა მიტოვებული მარტოსული ადამიანი ავლაბრის კოშმარული რეზიდენციის უკაცრიელ დერეფნებში დააბოტებს და ერთ გაჩენილ ეჭვს მყისვე მეორეს ამატებს. ვერაფრით დავეხმარებით, ეს მისი ტვირთი და მისი გადასახდელი საზღაურია.

**ლაშა გიორგაძე**

# ადამკუსის აღსარება, ანუ ეს ორდენი თქვენ არ გეკუთვნით, ბატონო ვალდას!

**ხარი ხართან არ უნდა დააბა, ვალდას ადამკუსი მიხეილ სააკაშვილთან არ უნდა გამოუშვა, რადგან უკვე ფრიად არეული განცხადებების გაკეთება დაიწყო. „ვალდას ადამკუსმა აღიარა, რომ ლიტვამ საქართველოს დემოკრატიზაცია ბოლომდე ვერ განახორციელა, — იტყობინება „დელფი“ და ადამკუსის ციტატა მოჰყავს: „ვაღიარებ ერთ ფაქტს, ჩვენ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ შესაძლებელი გახდეს იმის თქმა, რომ ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი სახელმწიფო, რომელიც იზიარებს დასავლეთის იდეალებსა და პოლიტიკას და ესმის მათი. ეს საკითხი მომავალში უნდა გადაწყდეს“.**




ჩავთვალოთ, რომ წარმოუდგენელი თავხედობა, რომელიც ჩაქსოვილია ფრაზაში **„ლიტვამ საქართველოს დემოკრატიზაცია ბოლომდე ვერ მოახერხა“,** მხოლოდ ჟურნალისტის მიერ ადამკუსის ფრაზის არასწორ გადმოცემას წარმოადგენს. ჩვენ ხომ ლიტველების მიმართ მეგობრულად ვართ განწყობილნი, მათ ქვეყანას **„გეოგრაფიულ გაუგებრობას“** არ ვუწოდებთ, გულწრფელი ინტერესით ვეძებთ მას გლობუსზე და ხანდახან ვპოულობთ კიდეც. ასეთივე ცხოველი მონადინებით ვეძებთ უახლეს ისტორიაში იმ ეპიზოდებს, როდესაც ლიტველებმა ხსენებული „დასავლური იდეალების“ ერთგულება გამოავლინეს. ჯერჯერობით, ვიპოვეთ მხოლოდ ებრაელების მასშტაბური ამოჟლეტა, რომელსაც ლიტველების ფართო მასები ხალისით შეუდგნენ, როგორც კი მათ ქვეყანაში ვერმახტი შელაგდა, მაგრამ ისინი, ალბათ, **„არასპრავედლივი ლიტველები“** იყვნენ, რომელთაც მთლად „ის იდეალები“ არ ჰქონდათ. ასე რომ, კვლევა-ძიება გაგრძელდება და პრინციპით „კბილი კბილის წილ“ ჩვენ არასოდეს ვიხელმძღვანელებთ (ან მხოლოდ ხანდახან).

— ადამკუსმა თქვა, — განაგრძობს „დელფი“, რომ **„როგორც არ უნდა იყოს საქმე ქვედა ან ზედა დონეზე, საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის ოპოზიციის პროტესტი მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს“.** მან, აგრეთვე, განაცხადა, რომ ესმოდა ბრალდებები, რომ მხარს მხოლოდ ქვეყნის მეთაურს, მიხეილ სააკაშვილს უჭერს და არა ოპოზიციურ ძალებს, თუმცა ადამკუსის თქმით, **„ეს პირადი საქმე კი არა, არამედ ქვეყნის მომავლის საკითხია“, „ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რომ ეს ქვეყანა დასავლური დემოკრატიების მხარეზე შევინარჩუნოთ“.**

ამ არალოგიკური და ერთმანეთთან რთულად დასაკავშირებელი განცხადებების მიღმა ძალიან მარტივი რამ დგას, რასაც უცხო ქვეყნის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა ეწოდება. თუმცა ის, რის დამალვას დასავლელი პოლიტიკოსები ფილიგრანული ფორმულების მიღმა ახერხებენ, ადამკუსმა საკმაოდ სახასიათო გაუთლელობით წარმოთქვა. ალბათ, გარემოს ბრალია, მენტალური პრობლემა, რომელიც იმ მძიმე წლების მემკვიდრეობას წარმოადგენს, რომელიც ლიტვურმა საზოგადოებამ ბატონყმური ურთიერთობების მარწუხებში გაატარა.

ახლა ორდენზე — სააკაშვილმა ადამკუსს ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი გადასცა (კანონის თანახმად: **„ჯილდოვდებიან საქართველოს სამხედრო მოსამსახურეები... ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, თავდადებისა და თავგანწირვისთვის“**). ეს, ალბათ, კანონდარღვევა და, ამასთანავე, ძალიან დიდი უტაქტობაც იყო. წესით, მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა გორგასლის III ხარისხის ორდენი ალექსი ქავთარაძეს (ლექსენს) უფეშქაშა (კანონის თანახმად: **„ჯილდოვდებიან საქართველოს სამხედრო მოსამსახურეები... სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მაღალი საბრძოლო მომზადებისათვის“),** არაფერი უნდა გაგვკვირვებოდა. უბრალოდ, კიდევ ერთხელ გვეტკინა გული. საზოგადოებას ეს ორდენები იმისთვის სჭირდება, რომ აღნიშნოს ჩვენგან წასული ღირსეული და მამაცი ადამიანების ღვაწლი და იმ სამხედროების დამსახურებაც, ვინც მათ მწყობრში ჩაენაცვლა. ყოველგვარი ხუმრობის გარეშე: **გორგასლის ორდენი სათამაშო არ არის!**

**ბატონო ვალდას, რომ იტყვიან, თქვენო აღმატებულებავ (თქვენი დამსახურების და ასაკის ულრმესი პატივისცემით), მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან ცუდ წრეში ტრიალი გიწევთ, დარწმუნებული ვარ, პატიოსანი და გულისხმიერი ადამიანი ბრძანდებით, სწორედ ამიტომ უნდა იცოდეთ: ეს ორდენი თქვენ არ გეკუთვნით!**

**გიორგი გიგიბერია**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# Back in the USSR?

**საქართველოში ბოლო დროს მავნე ტრადიცია ჩამოყალიბდა: რუსეთის და შეერთებული შტატების პირველი პირების შეხვედრებს წინასაინფარქტო გულისფანცქალით ველოდებით და ყველა ჩვენი პრობლემის გადაწყვეტას სწორედ მათ ვუკავშირებთ. რიგი ქართველი პოლიტოლოგების აღგზნებულ წარმოსახვაში ეს შეხვედრები, როგორც ორი ბოშას ვაჭრობა მოპარული ცხენის ფასზე , ისე გამოიყურება და ხშირად იმის წარმოდგენაც კი უჭირთ, რომ ამ შეხვედრების დღის წესრიგში გაცილებით მასშტაბური საკითხები შედის, ვიდრე მუქთახორების ერთი ჯგუფის ყოფნა-არყოფნა კონკრეტული ბანანის რესპუბლიკის სათავეში.**



წინადადებები, რომლითაც ბარაკ ობამა მოსკოვში მიემგზვრება გამომდინარეობს იმ სტრატეგიული ამოცანებიდან, რომელიც მსოფლიო (და შიდაამერიკული) ეკონომიკური კრიზისის პირობებში აშშ ელიტის წინაშე დგას. აღსანიშნავია, რომ დღევანდელი კრიზისი არ წარმოადგენს სტიქიური უბედურების მსგავს მოვლენას, რომელიც პლანეტას თავს უცაბედად დაატყდა. მისი დაწყება გამომდინარეობდა ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებებიდან, რომლის გამოსახვა კონკრეტულ ფორმულებსა და გრაფიკებში მის დაწყებამდე წლების (თუ არა ათწლეულების) წინ შეიძლებოდა. აშშ მმართველების განკარგულებაში პლანეტის საუკეთესო ეკონომისტები და ანალიტიკური ცენტრებია, აქედან გამომდინარე კრიზისის პირობებში მოქმედების სტრატეგია მის დაწყებამდე გაცილებით ადრე შემუშავდა. საქმე, ნებისმიერ შემთხვევაში, არა სპონტანურ ტაქტიკურ გადაწყვეტილებებთან, არამედ გაცილებით კარგად გააზრებულ სვლებთან გვექნება.

მთავარი ამოცანები, რომელიც აშშ ხელისუფალთა წინაშე დგას:

**ა) საფინანსო სისტემის გადატვირთვა, ვალების იმ წარმოუდგენლად დიდი წნეხის ლიკვიდაცია, რომელიც აშშ ეკონომიკის ყველა სუბიექტს (მომხმარებლებს, ბანკებს, კორპორაციებს, ფონდებს, მთავრობას) დაუგროვდა; ყოველ შემთხვევაში, მისი შემცირება იმ მაჩვენებლამდე, რომელიც სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას შესაძლებელს გახდის;**

**ბ) ეროვნული ეკონომიკის ბირთვის შენარჩუნება; მისი ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა;**

**გ) შტატების მიერ გლობალური ლიდერის პოზიციის შენარჩუნება და გამყარება.**

პირველი ორი პუნქტი სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისით, ჰიპერინფლაციის მექანიზმის ამოქმედებას მოითხოვს, მაგრამ მისი წინდაუხედავი ამუშავება მესამე ამოცანის გადაწყვეტას ხელს შეუშლის. თუ სხვა ეკონომიკური ცენტრები სტაბილურობას შეინარჩუნებენ, ქვეყანა საერთაშორისო ვაჭრობის და ინვესტიციების სისტემიდან ამოვარდება. შესაბამისად, ჰიპერინფლაცია ისეთ პირობებში უნდა დაიწყოს, რომ დოლარს და მის სამშობლოს, იზოლირების ნაცვლად, გავლენის გაზრდა მოუტანოს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობის შესრულების შემთხვევაში: თუ გარდამავალ პერიოდში შტატებში მდგომარეობა ცუდი იქნება, სხვაგან იგი გაცილებით უარესი უნდა იყოს.

აქედან გამომდინარეობს კონკურენტების (ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები, ჩინეთი, რუსეთი, ლათინური ამერიკის და აზიის ლიდერები) ეკონომიკების დესტაბილიზაციის აუცილებლობა, მეტიც, უშუალოდ ჰიპერინფლაციის დაწყების წინ ისეთი ვითარების შექმნა, როდესაც კაპიტალი ქაოსმოდებული მსოფლიოდან შეერთებულ შტატებში „გაიქცევა“. ამ ეფექტის მიღწევა შესაძლებელია ყველა სახის აქტივებზე ფასების დაწევის და დოლარის მოკლევადიანი ხელოვნური რევალვაციის შემთხვევაში, შიდაპოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების რესურსი კი შეერთებულ შტატებს ნამდვილად გააჩნია.

**კონკურენტი ეკონომიკების დესტაბილიზაცია რამდენიმე ხერხითაა შესაძლებელი, იდეალურ შემთხვევაში მათი კომბინაციით: ენერგომომარაგების კრიზისი, გადაზიდვების შეფერხება, შიდა არეულობა, ომი და ა.შ., თუმცა იმისთვის, რომ ჯინი ბოთლიდან ამოვიდეს, საჭიროა საცობის ახდა, კერძოდ, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ნაწილობრივი მოშლა, მისი დინამიურ მდგომარეობაში გადაყვანა.**

ამ პროცესის დასაწყისი ძალიან ზუსტად დააფიქსირა საერთაშორისო ურთიერთობების ევროპული საბჭოს წამყვანმა ექსპერტმა ნიკ უიტნიმ: **„ობამას ამბიციები მსოფლიო წესრიგის შეცვლაზე ვრცელდება. ჩვენს თვალწინ, მას აშშ ორმხრივი ურთიერთობების გლობალური ქსელის ცენტრში გადაჰყავს. ევროპელები მიეჩვივნენ იდეას, იმის შესახებ, რომ ტრანსატლანტიკური ურთიერთობები საერთაშორისო უსაფრთხოების ღერძია, ობამას სისტემაში კი ისინი მხოლოდ ერთ-ერთ ელიფსს წარმოადგენენ, რომლისათვის ამა თუ იმ დატვირთვის მინიჭება თავად ევროპელებზე იქნება დამოკიდებული“.** საუბარია ათწლეულების განმავლობაში ხელშეუხებელ ფუნდამენტზე, უსაფრთხოების გლობალური სისტემის ტრანსფორმაცია კი, ნებისმიერ შემთხვევაში, უკავშირდება რისკების მოჭარბებას, რომელთა ინსპირირების „აუცილებლობაზე“ ზემოთ ვისაუბრეთ.

დღესდღეობით, გავლენის სფეროს პირდაპირ კონტროლს შეერთებული შტატებისათვის სარგებელზე გაცილებით მეტი ზარალი მოაქვს. ანგლოსაქსური ექსპანსიის ფუძემდებლური პრინციპი კი (ჯერ კიდევ ბარბაროსული ტომების დროიდან) იმაში მდგომარეობს, რომ ოკუპაცია (ან მისი რომელიმე ცივილიზებული ნაირსახეობა), როგორც მინიმუმი, საკუთარ თავს უნდა ანაზღაურებდეს. გარდამავალ პერიოდში ზოგი ტერიტორია ზედმეტ, მკვდარ ტვირთად იქცევა, გაცილებით მომგებიანია მისი გამოყენება როგორც ქმედითი რესურსის მანამ, სანამ ამერიკა კვლავ ძლევამოსილი არ დაუბრუნდება. მართალია, ზოგიერთ მნიშვნელოვან მონაკვეთზე შენარჩუნდება უშუალო კონტროლი, მაგრამ არც საქართველო, არც უკრაინა მათ სავარაუდოდ არ მიეკუთვნება. მაქსიმუმი რისი ამოქაჩვაც შეიძლება მათი დღევანდელი მდგომარეობიდან, ეს რუსეთზე ზეგავლენის (ირიბი გზით, რომელზეც ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ) მოხდენა და ევროპული ეკონომიკების ფუნქციონირებაში პრობლემების (ენერგომატარებლების, ტვირთების გადაზიდვა) შექმნაა.

გარდამავალ პერიოდში, როდესაც შტატებს ბეწვის ხიდზე გავლა მოუწევს, რუსეთის უყურადღებოდ დატოვება მას, ბუნებრივია, არ შეუძლია. ობამას ადმინისტრაციის ამოცანაა, შესთავაზოს მას ისეთი დღის წესრიგი, რომელიც, ერთი მხრივ, აქტუალური იქნება რუსეთისათვის, მეორე მხრივ, მის მოქმედებას ერთგვარ დერეფანში მოაქცევს, რომლის მიღმა მისი ინტერესები არ გავა. გარდამავალი პერიოდის ბოლოს კი, ამ ჩანაფიქრის ფარგლებში, რუსეთმა კვლავ დასუსტებულმა უნდა ჩააღწიოს; მისი ოცნებების მაქსიმუმი „უმცროსი პარტნიორის სტატუსი“ უნდა გახდეს, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში გარკვეული პრივილეგიებით ისარგებლებს, დაახლოებით ისე, როგორც ეს ელცინის დროს იყო.

ამ მომენტს რუსეთი ვაშინგტონის გათვლით სამხედრო თვალსაზრისითაც დასუსტებული უნდა შეხვდეს. საგულისხმოა, რომ შეთანხმებები ბირთვული განიარაღების და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების თაობაზე, რომელსაც დღეს ვაშინგტონი სთავაზობს, დაასუსტებს რუსეთს არა დღეს და ხვალ, არამედ 10-15 წლის პერსპექტივაში, როდესაც რუსული ბირთვული შეიარაღების სისტემების თაობების ცვლის და აშშ მიერ ახალი თავდაცვითი პროგრამების (რომელთაც საფუძველი დღეს ეყრება) დაგვირგვინების დრო დადგება. ამით აშშ ცდილობს, მიუახლოვდეს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას — მოხსნას რუსეთის მიერ მისი გარანტირებული ბირთვული განადგურების საფრთხე.

**საერთოდ, მოსკოვი ვაშინგტონისთვის ძნელად მოსახელთებელი მოწინააღმდეგე გახდა. ცხადია, მას არ აქვს კრიტიკული დამოკიდებულება ენერგომატარებლების იმპორტზე, ამასთანავე, მან მოახერხა იმ მნიშვნელოვანი პრობლემების გადალახვა, რომელიც მის წინაშე ათიოდე წლით ადრე იდგა. კრემლმა შეძლო ხელისუფლების კონსოლიდაცია, ეკონომიკის ფეხზე დაყენება და შიდა საფრთხეების მეტ-ნაკლებად წარმატებული განეიტრალება.**

**მეტიც, რუსეთმა დააგროვა გავლენის სფეროს გაფართოებისათვის აუცილებელი პოტენციალი. საკითხი შემდეგნაირად დგას: დახარჯავს იგი მას არასტანდარტულ სვლებზე, რომელმაც შეიძლება ახალი ტიპის საფრთხეები შეუქმნას შეერთებულ შტატებს, თუ პოსტსაბჭოთა სივრცის ხელახალი ათვისების კალაპოტისკენ მიმართავს?**

მეორე ვარიანტს ამერიკული გადასახედიდან, ალბათ, მეტი პლიუსი აქვს, თუ მის სანაცვლოდ იგი მიიღებს რუსეთის მხარდაჭერას წამოწყებებში აღნიშნული სივრცის ფარგლებს გარეთ. ბოლო შეთანხმებები ავღანურ ტრანზიტზე და ნატო-რუსეთის ურთიერთობების სწრაფი დათბობა ამ მიმართულებით სვლაზე მიანიშნებს, თუმცა აშშ გააკეთებს ყველაფერს, რომ სსრკ სივრცის ათვისების პროცესი, რომელზეც იგი თითქოს და თვალს დახუჭავს, რუსეთისათვის მაქსიმალურად არაკომფორტული იყოს, მისი ძალების გამოფიტვა და იმიჯის განადგურება გამოიწვიოს.

ნამდვილად არ ღირს ყურადღების გამახვილება იმ ზოგად განცხადებებზე, რომლებითაც, სავარაუდოდ, შემოიფარგლებიან ორი ქვეყნის ლიდერები. რიტორიკის ფასი ამ შეხვედრაზე საკმაოდ მცირე იქნება. ერთი პასაჟი ბრუკინგსის ინსტიტუტის ვიცეპრეზიდენტის კარლოს ლუკასის (ყოფილი ელჩი უკრაინაში) განცხადებიდან: **„სავარაუდოდ, გაჩნდება შესაძლებლობა, განახლდეს დიალოგი ისეთ მგრძნობიარე თემებზე, როგორიცაა ადამიანთა უფლებები და დემოკრატია, როგორც რუსეთთან, ისე ამერიკასთან მიმართებაში, რომლის წინააღმდეგ გამოითქვა ბრალდებები ადამიანთა წამებაში“.** სინამდვილეში, ეს უპრეცედენტო განცხადებაა, ამერიკელი დიპლომატი იმ თემასთან მიმართებაში, რომელიც ოდითგანვე აშშ ექსკლუზიურ საკუთრებად ითვლებოდა, ორივე სახელმწიფოს ერთ სიბრტყეში განიხილავს, მეტიც სწორედ შტატების წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებს გამოყოფს. უახლეს ისტორიას მსგავსი რამ ნამდვილად არ ახსოვს, ეს, ალბათ, შემდეგს ნიშნავს: **„ობამამ რომც თქვას რამე უფლებებსა და თავისუფლებებზე, ამას დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ“.**

რუსეთისთვის ეს მოლაპარაკებები, უპირველეს ყოვლისა, ვიზავის და მისი გეგმების ხარისხის შეფასებას უკავშირდება. იგი გარღვევას არ მოელის, მეტიც არსად ჩქარობს. კრემლის რომელიმე მომდევნო ნაბიჯის (უახლოეს პერსპექტივაში) გამოყვანა უშუალოდ ამ მოლაპარაკებების შედეგებიდან შეცდომა იქნებოდა, რადგან ამ ეტაპის სტრატეგია შემუშავებული გაცილებით ადრე ჰქონდა. მეტიც, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ორი ზესახელმწიფოს თანამშრომლობის პრინციპები მომავალი ათწლეულის განმავლობაში გაცილებით ადრე შეთანხმდა, უბრალოდ, ახლა მათი მუდმივი კორექციის პროცესი იწყება. რეალური ბრძოლა მსოფლიო ლიდერობისთვის კი მოგვიანებით, მსოფლიო კრიზისის პიკზე გაჩაღდება.

**დიმიტრი მონიავა**

## მე შაირი არ მინდოდა...

ვეღარ ანათებს მთაწმინდას
შუქი თბილისის ანძისა,
ოპოზიცია მოელის
ფულს კახა თარგამაძისას.

კოტე რომ ქორწილს უხდიდა,
გოკა დღეს ლანძღავს კახასა,
„ის ურჩევნია მამულსა,
რომ შვილი სჯობდეს მამასა!“

განა რა ამბიცია გაქვს,
ტერმინატორს რომ ედრები?
მოთქვამს „გრეჩიხა“,
ბერლინში
რკინის კაცს შენახვედრები.

„ძიალოგზე“ რომ არ მიდის
და „გრეჩიხას“ რომ უჩოქებს,
ალბათ, სალომეს ოფისში
მიტომ უყრიან „ჟუჩოკებს!“

ყველა პარტიის ოფისში
ნახეს „შპიონსკი პრიბორი“,
ამას ვერ წარმოიდგენდა
თვით გიორგაძე იგორი.

მიშიკომ გზები დააგო,
გზა სიარულმა დალია,
სამშაბათს სოფელ ჭოპორტში
მგელმა დაგლიჯა ქალია.

იმავე მგელმა სხვა სოფლელს
ამოაჭამა თვალია...
ტყე შეუნახოს შვილებსა,
გოგა ხაჩიძის ვალია.

ჯერ სახე გადაიჭიმა,
მერე ბავშვებიც აწვალა —
გასულ პარასკევს შტატებში
ჯექსონი გარდაიცვალა.

დააკლდა კაცობრიობას
თავისი ცეკვა-სიმღერით
ბებერი პედოფილი და
გათეთრებული ნიგერი.

როგორც ამბობენ, ივლისში
იქნება დიდი თამაში,
თვით ჯოზეფ ბაიდენიც კი
მონაწილეობს ამაში.

ამ დიდ შეხვედრას
მასპინძლობს
„დინამოს“ სტადიონია,
თურმე, ბაიდენს მსაჯობის
საკმაო სტაჟი ჰქონია.

გუშინ ბავშვთა სახლს
ეწვივნენ
„ენჯეოშნიკი ნაშები“
და გადარჩენის მაგივრად
ტორტით დაწამლეს ბავშვები.

სულ ფირზე ჩაიწერება
ჩვენი ალია-ბალია,
ვანიჩკა მერაბიშვილი
ამ ქვეყნის ხერხემალია!

შენ, ჩემო დიდო იმედო,
გულიდან ვერვინ წაგშალოს,
ახლა ნახვამდის, წავედი —
„შტეფსელი“ უნდა დავშალო!

**გეგა ბაიტიანი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საქართველო, ყურებიანი შტეფსელი და მე — როგორც ძნელი...

პატარა მიხეილ მესხი კინოსურათის — „გასეირნება ყარაბაღში“ — გამო მოსკოვის კინოფესტივალზე გრანპრით დააჯილდოვეს. დიდი მიხეილი კი ამ დღეებში სომხეთში იყო, მედვედევი — ბაქოში. მიშამ საპატიო დოქტორის წოდება მიიღო, მედვედევმა — ალიევის თანხმობა. აზერბაიჯანელები ყარაბაღის დაბრუნების სურვილით ყველაფერზე თანხმდებიან მოსკოვს. გაზსაც ჩვენი გვერდის ავლით მიაწვდიან, ოღონდ კი რუსებმა სომხები დაიყოლიონ და ყარაბაღთან დაკავშირებით კომპრომისი გამონახონ. გამონახავენ. ბაქო ყარაბაღს დაიბრუნებს, აზერბაიჯანული გაზი ევროპაში რუსეთის გავლით ჩავა, ყარაბაღის გარეშე დარჩენილი სომხეთი კი, ალბათ, სამცხე-ჯავახეთს მიიღებს საჩუქრად საქართველოს ხელისუფლებისგან. **ერთი სიტყვით, ყველა რაღაცას მიიღებს ჩვენს ხარჯზე...** რა, გაუჭირდებათ თუ? **გუშინწინ აფხაზეთი, სამაჩაბლო, კოდორი და ახალგორი გავასხვისეთ, გუშინ — მამისონი და საზღვრის ოცკილომეტრიანი ზოლი. ავლაბრის რეზიდენციამდე ჯერ ბევრია კიდევ დარჩენილი. 2013 წლამდე მოასწრებენ!**

●

საკნების ქალაქიდან რეპორტაჟი უნდა გამეკეთებინა... რაღა ქალაქი... სადღაა... ნასაკნარს დაემსგავსა უკვე. მრავალი ცარიელი საკნიდან ერთ-ერთს მივადექი თუ არა, **კახამ** დამირეკა, **თარგამაძემ.** ჩემს ზარს ვერ უპასუხა და თავად დამირეკა. ინტერვიუ უნდა ჩამეწერა, მაგრამ... დამირეკა და გამეცინა. **ჩვენ სამნი ვიყავით იქ: მე, რკინის კაცი და მიშას ხერხემალი.** ვანო ხომ ყველგანაა! მისი აჩრდილიც დავლანდე. გაბადრული სახით იდგა და გვისმენდა...

**„ერთ-ორ დღეში ესენი დაარბევენ აქაურობას“,** — ცოტა ხანში ერთი პოლკოვნიკი მეუბნება, რომელსაც ღამის საათებშიც არ დაეზარა „რუსთაველის ქუჩაზე ხეტიალი“. გადამდგარი პოლკოვნიკი ვარო, მითხრა და... ვანოს თვალები ჰქონდა. გავარიც. **„უნდა გადავიკეთოო“,** — გამიმხილა და ოქროს კბილები გამომიჩინა. **„ეს უკვე გადაწყვეტილია. ახლა ფონს სინჯავენ და ერთ-ორ დღეში მართლა დაარბევენ!“** — აგრძელებს ვანოსთვალება.

●

**ისე, შუაღამისას ერთადერთი ძაღლი გაწოლილიყო შუა რუსთაველზე. ეძინა.** საკნები ცარიელი იყო. ნასაკნარიდან თითქმის ყველანი წასულან. სად? — „სახ-ლში“, — ასე გასცემდა ამ შეკითხვას პასუხს **შევარდნაძე... არადა, სახლში მიშას გაშვებას ითხოვს დღეს საქართველო.** დიადი მიშა კი ისევ იქ არის, სადაც ხუთი წლის წინათ დატოვეს **გაჩეჩილაძეებმა, ალასანიამ, ბურჯანაძემ, ხიდაშელმა, უსუფაშვილმა, ბერძენიშვილებმა, ოქრუაშვილმა, დავითაშვილმა, ნოღაიდელმა, ძიძიგურმა, კუკავამ...** ბევრნი არიან, ბევრნი!

●

ჰო, მართლა... წინა კვირაში **ყურებიანი შტეფსელები** იპოვეს **საკრებულოს თავმჯდომარეების — ლომე ზურაბიშვილისა** და **ზვიად ძიძიგურის** ოფისებში. იმხელა ყურები ჰქონდა იმ შტეფსელებს, ჩებურაშკასი მეჭეჭებად მოგეჩვენებოდათ. ხვალ ყურებიან პარკეტს იპოვიან... ზეგ ყურებიან და ვანოსთვალება კედლებს... **სხვათა შორის, შოთა კვირაია მოსმენებს და ყურებიან ყურმილებს გადააყოლეს...** სხვათა შორის, **ზუსტად 37 წლის წინათ, 1972 წლის 17 ივნისს,** ამერიკის მოქმედი პრეზიდენტის **რიჩარდ ნიქსონის** კონკურენტის **ჯორჯ მაკჰოვერნის** შტაბში, რომელიც ვაშინგტონში კომპლექს **„უოტერგეიტში“** მდებარეობდა, მოსასმენი მოწყობილობის დამონტაჟების მცდელობისას 5 პიროვნება დააკავეს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანების პირდაპირი კავშირი ნიქსონის ადმინისტრაციასთან გამოძიებამ ვერ დაადასტურა, **პრეზიდენტი ნიქსონი გადადგა!**

●

მიშა კი, ალბათ, ხვალ ბოდრუმში წავა. **ისევ.** აბა, ბერლინში კახაა და... ისე, დამავიწყდა, „რკინის კაცისთვის“ მეკითხა: **რატომ შეაჩერა ხელით სააკაშვილი ერთ-ერთი მთავრობის სხდომაზე, როცა თემურ მირიანაშვილმა „ოფიციალური გიჟი“ უწოდა „ნაცმოძრაობის“ მომავალ ლიდერს. გაგრძელება იქნებოდა მაგარი...**

●

ასეა, დღეს საქართველოში ყველაფერი ადამიანური შეზღუდულია! გმირობაც, თავგანწირვაც, ერთგულებაც! დღეს საქართველო გაყიდულია. ვიცი, ის, რაც დღეს ხდება, არავის მოსწონს. არც თქვენ. ვალდებულების მოხდის მიზნით ვცხოვრობთ და ვეგუებით სიბინძურეს. მეც თქვენსავით ვარ. **შეზღუდული პასუხისმგებლობის ქვეყნად, შპს-დ** იქცა საქართველო და ჩამორჩენილ მსოფლიოსაც გადაუსწრო უზნეობაში. უგულობაში.

აქ ფეხზე კიდიათ ყველაფერი ძნელი. ადვილი ურჩევნიათ. **საქართველოც კიდიათ ფეხზე. მსოფლიოც. სულიც! მე ძნელი მიყვარს. ქარიშხალივით ბობოქარი. ხანდახან მტკვარივით მღვრიე. მთაწმინდის პანთეონივით სევდიანი.** დღეს **საქართველოსთვის და მსოფლიოსთვის** ვწერ მეც! არადა, საქართველოში დღეს ყველაფერი, ყველაფერი ფეხზე კიდიათ! ვისაც არ კიდია — ზის. სადაც ზის, შეგიძლიათ ჩემი წინა კვირის სვეტში იხილოთ. **ვიმეორებ: საქართველოში ყველაფერი კიდიათ. მსოფლიოში საქართველო კიდიათ. ფეხზე!** საშველი? ხუმრობთ? **„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“... ტერენტი.** სხვა? ისევ ველით. სხვას. და სხვებს. და ვკვდებით. უაზროდ ლოდინში. ლოდინით. უსულოდ! წლებია უკვე. **და ვრჩებით... თქვენ — გმირები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საქართველო და მე — როგორც ძნელი....**

**გიორგი მამაცაშვილი**

**P.S.** „მე მინდა, ვიყო ჩიტი. **ბიჭობა კაია, მაგრამ ჩიტობა ჯობია. გავფრინდებოდი“.**

*(„ჩვენება“. ნაირა გელაშვილი)*




## პოლიტპატიმრის 8 რჩევა ოპოზიციას



**ორთვიანი საპროტესტო აქციები მინავლდა. ქუჩები გაიხსნა და დასუფთავდა. პარლამენტმა განაახლა სხდომები. „ხელში აღებული დედაქალაქი“ ჩაბარდა, ოპოზიციის მიერ მოპოვებული უპირატესობა აღარ ჩანს... მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი რჩება უმისამართო პრეზიდენტად და ჯერ კიდევ ვერ შედის რეზიდენციაში. ქვეყანა თითქოს უბრუნდება ჩვეულ ცხოვრებას, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი სიმშვიდეა.**

როცა რამდენიმე პოლიტიკური ლიდერია პასუხისმგებელი გადაწყვეტილების მიღებაზე, რეალური პასუხისმგებელი არ არსებობს. ხელისუფლება ის მანქანაა, რომელიც, თუ თანამედროვე პირობებსა და რეალობასთან ვერ პოულობს საერთო ენას, უნდა დაიმსხვრეს! დედაქალაქი რომ მოიცვა 9 აპრილს დაწყებულმა პროცესებმა, მაშინვე უნდა განვითარებულიყო და გადასულიყო სხვა რეგიონებში, ქალაქებში, რაიონებში... ამასთან, უნდა შეზღუდულიყო ხელისუფლების სამოქმედო არეალი და სასიცოცხლო სივრცე მმართველობის, თვითმმართველობის, კომუნიკაციების და ა.შ. მიმართულებით. სამწუხაროდ, პროცესები შემოიფარგლა მხოლოდ დედაქალაქით და რამდენიმე სახელმწიფო ობიექტის პიკეტირებით, რამაც გამოიწვია მომიტინგეთა დაღლაც, სკეპტიციზმიც, აქციების ერთფეროვნებაც და, საბოლოოდ, სტაგნაციაც.

დროა, ოპოზიციამ მოახდინოს საკუთარი გეგმების კორექტირება და შეცვალოს მოქმედების ვექტორი, აღარ უნდა დაელოდოს, როდის აუჩუყდებათ გული დასავლეთის ლიდერებს!

ვიდრე ოპოზიცია მიტინგების მომზადების თუ მსვლელობის დროს შეწუხებული იმზირება დასავლეთის საელჩოებისკენ და თითის ყოველ დაქნევაზე მზად არის, ყველაფერი მიატოვოს და კონსულტაციებისთვის მიირბინოს, მანამდე სრულფასოვან აღიარებას და რეალურ მხარდაჭერას ვერ მოიპოვებენ.

ჯობს, 7 აგვისტოს კი არა, 6 ივლისს გამოვიდეს ხალხი ქუჩაში, როდესაც ბარაკ ობამას ვიზიტი დაიწყება მოსკოვში და ერთ-ერთი სალაპარაკო თემა საქართველოც იქნება! გიფიქრიათ, 7 აგვისტომდე რამდენ ადამიანს და ოჯახს გაამწარებს ხელისუფლება იმ ჩანაწერების საფუძველზე, რასაც შსს გულმოდგინედ იღებდა აქციებზე? საზოგადოებაც და ოპოზიციაც უნდა მიმხვდარიყო, რაზე იყო წამსვლელი სააკაშვილი, რაც ბოლო დღეებში განხორციელებულმა ძალადობამ და შეურაცხყოფამაც აჩვენა!

**ვიმეორებ: ეს არის პირდაპირი სიგნალი ოპოზიციის ლიდერების მიმართ! ახლა მათზეა დამოკიდებული, მიიღებენ ამ გამოწვევას თუ, როგორც ყოველთვის, შემოიფარგლებიან მხოლოდ მაღალი განცხადებებით. სანამ ზოგიერთი მოქმედი ლიდერი ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს საკუთარ თავს ან შვებულებაში გაემგზავრება, ბევრი მათი მხარდამჭერი ციხეში აღმოჩნდება, ზოგიც — საავადმყოფოში ან სასაფლაოზე! ეს გარდაუვალი პროცესია! რომელი ლიდერი აიღებს ამაზე პასუხისმგებლობას?**

ოპოზიციის ლიდერებს სასწრაფოდ სჭირდებათ უნდობლობის ვირუსისგან განკურნება და გადატვირთვა, რისთვისაც საჭიროა, გაერთიანებულმა ოპოზიციამ გახსნას კარი და ერთად ბრძოლისთვის მოიწვიოს პასიურად დარჩენილი პოლიტიკური ძალები! ახლა არ არის ზვიადისტების, ედვარდისტების თუ სხვა ძალების ერთმანეთთან დაპირისპირების დრო! ქვეყანა გვენგრევა თავზე! ამ ნგრევის შესაჩერებლად აუცილებელია:

**პირველი:** როგორი დაღლილობაც და იმედგაცრუებაც უნდა სუფევდეს საზოგადოებაში, პერმანენტული საპროტესტო აქციები უნდა გაგრძელდეს! თუნდაც პოლიტიკური პარტიებისა და ლიდერების გარეშე...

**მეორე:** ლიდერების ერთმა ჯგუფმა უნდა ითავოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკება და აიძულოს დათმობებზე წასვლა მნიშვნელოვან საკითხებზე, რათა საზოგადოებას დაანახონ, რომ ორთვიან ბრძოლას უშედეგოდ არ ჩაუვლია!

**მესამე:** უნდა მოხდეს ერთიანი ოპოზიციის შტაბისა და გადაწყვეტილებების მიმღები საბჭოს დახვეწა. საბჭოს ქმედითუნარიანობა მიმზიდველი გახადონ სხვა პოლიტიკური ძალებისთვის, საზოგადოების ცნობილი პირებისთვის!

**მეოთხე:** დროებით უნდა აირჩეს ერთიანი ლიდერი, რომელსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა პოლიტიკური პროცესების წარმართვასა და საბოლოო შედეგებზე!

**მეხუთე:** მკაფიოდ უნდა გამოჩნდეს ოპოზიციის ხედვა სახელმწიფოს მოწყობისა და მართვის პრინციპებზე! უნდა შეიმუშაონ პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობის მატრიცა, რომელიც ამ ეტაპზე გააერთიანებს მათ ინტერესებსა და ქმედებებს.

**მეექვსე:** ახალი ეტაპის გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს ხალხის რეალური განწყობა და მოთხოვნები პროცესების წარმართვაზე. გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ყოველდღიურ მზარდ ქმედებას და ყოველდღიურ შედეგს.

**მეშვიდე:** თუ საზოგადოებამ და პოლიტიკურმა ძალებმა გაიზიარეს ახალი კულმინაციური თარიღის — 6 ივლისის მნიშვნელობა, ხომ კარგი, თუ არა და, მაშინ აუცილებელია, 7 აგვისტომდე მოხდეს ყველა მიმართულების დამუშავება და რეალური შედეგებით მისვლა!

**მერვე:** სახალხო მოძრაობამ უნდა აირჩიოს წარმომადგენლობითი სახალხო ორგანო, რომელმაც უნდა გაწეროს თავისი სამოქმედო გეგმა დროებითი ორგანოების მოქმედებისთვის, და ამ ყველაფერმა უკვე 8 აგვისტოს უნდა დაიწყოს ფუნქციონირება!

**ხალხმა მკაფიოდ უნდა იცოდეს, რისთვის გამოდის გარეთ! თუ მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიოს დაანახონ, როგორი ცუდია სააკაშვილი, არ გამოიყვანოთ ეს ხალხი, რათა აღარ მოხდეს ხალხისთვის ცრუ იმედების შექმნა.**

**მერაბ რატიშვილი,**
**რუსთავის მეექვსე საპყრობილე**

## ტურიზმი, იმპორტი და BP

**პოპულარულმა ფრანგულმა ტურისტულმა გამოცემამ „Petit Fute“-მ საქართველო ტურიზმისთვის საშიში 11 ქვეყნის სიაში შეიყვანა. „ავღანეთი, ერაყი, სომალი (ომი), მალაიზია, ფიჯი (ეპიდემია), ლიბია (ტერიტორიული დავა ალჟირთან), ბოლივია (შიდაპოლიტიკური კრიზისი), კოლუმბია (პარტიზანული ომი, გატაცებები, ტერაქტები), ჰონდურასი (დამნაშავეობა, თავდასხმები ტურისტებზე, გასულ კვირაში გადატრიალებაც მოხდა), ჩრდილოეთი კორეა (ტოტალიტარული რეჟიმი) და საქართველო (არასტაბილური მდგომარეობა, რთული ურთიერთობები რუსეთთან). აქ, ალბათ, უნდა აღვნიშნოთ, ჩვენი ხელისუფლების დამსახურება ესოდენ დიდი გამარჯვების მიღწევაში, ტურისტული სექტორის განვითარების ხელშეწყობასა და ყველა იმ დანარჩენ უბედურებაში (უკაცრავად, წარმატებაში), რომლის შესახებ ფრანგული გამოცემა თანდაყოლილი სიმორცხვის გამო უბრალოდ არ წერს.**

საგარეო სავაჭრო ბრუნვა 37,3%-ით შემცირდა და 2,009 მილიარდი დოლარი შეადგინა, მათგან — 408,3 მილიონი ექსპოტზე, ხოლო 1,6 მილიარდი — იმპორტზე მოდის. **ამ ამაზრზენი მონაცემების გადახედვისას მნიშვნელოვანია, ზუსტად დავადგინოთ, სად მთავრდება მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და სად იწყება კრიზისი, რომელიც ერთ, ცალკე აღებულ თავში, განვითარდა.**

ნობელის პრემიის ლაურეატის **რობერტ მანდელის** აზრით, ფინანსური სტაბილურობის მიღწევისათვის საქართველომ ჯერ სავალუტო პოლიტიკა უნდა შეიმუშავოს და ამის შემდეგ ჩაატაროს ფინანსური კრიზისიდან გამოსვლისათვის აუცილებელი სხვა ღონისძიებები. **საჭიროა საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება, — განაცხადა მანდელმა, — ვაჭრობის და მრეწველობის ამოქაჩვა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება და დაამატა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ გადასახადები საქართველოში შემცირდა, ისინი კვლავინდებურად მაღალია.**

საერთოდ, ყველა გურუს ეკონომიკის დარგში სიფრთხილით უნდა მივუდგეთ, რადგან ბევრ მათგანს სახელოში ხუთი ტუზი აქვს დამალული. აქ უფრო მნიშვნელოვანია ფაქტების ირიბი კონსტატაცია: **სავალუტო პოლიტიკა შემუშავებული არ არის, გადასახადები მაღალია და შექმნილ მდგომარეობას არ შეესაბამება. მაგრამ რამ ათქმევინა ამ გულჩვილ კაცს ეს სიტყვები: „საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება“ (?!). ეს დემონის გამოძახების ტოლფასია, რადგან ამ ფორმულიდან საქართველოს ხელისუფლებას, როგორც წესი, დემონსტრანტების ცემის და ქუჩებიდან განდევნის აუცილებლობა გამოჰყავს.** გვესმის, ბატონო რობერტ, რომ არ გინდოდათ, მაგრამ, უმორჩილესად გთხოვთ, მომავალში გაითვალისწინეთ, რომელი მაიმუნსაშენის ბინადრებს მიმართავთ.

**„BP“ ყაზახეთიდან მიდის და ადგილობრივ აქტივებს, მათ შორის, წილებს კასპიური მილსადენის კონსორციუმში „ლუკოილზე“ (და „ყაზმუნაიგაზზე“) ყიდის. სინამდვილეში ეს გეოპოლიტიკური დატვირთვის მქონე სიახლე გახლავთ. „ჩვენ ვგრძნობთ, რომ კომპანიამ კონცენტრირება რუსეთსა და აზერბაიჯანზე უნდა მოახდინოს“,** — განუცხადა **„ბლუმბერგს“** კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრმა დევიდ პიტიმ. ხომ ხედავთ, დევიდი თანამეინახეებთან ერთად გრძნობს, ჩვენ კი ვერაფერს ვგრძნობთ და რუკაზე მითიური მილსადენების ხაზვას განვაგრძობთ, რომლითაც ნავთობის და გაზის სტრატეგიული ნაკადები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ წარიმართება. ალბათ, დროა, რაიმე მაინც ვიგრძნოთ.

**ლაშა გიორგიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ნინო ბურჯანაძემ აღიარა...



ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე სასაუბროდ პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს ვეწვიეთ.

## მართლა ჰაერიდან შემოვაბრუნე ბათუმისკენ გაფრენილი ვერტმფრენები...

**— ქალბატონო ნინო, საუბარს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ დაბეჭდილი ერთი პუბლიკაციით დავიწყებ... თითქოს, თქვენ თქვენი დაცვის უფროსისთვის წყნეთში მცირე აგარაკი გიჩუქებიათ...**

— არავის არაფერს არ ვჩუქნი და, მით უმეტეს, — სახლებს! ვაფასებ ჩემს ყველა თანამშრომელს, დაცვის წევრებს, პარტიის წევრებს და ნამდვილად ვთვლი, რომ ამ ადამიანებს უნდა დაუფასდეთ ის გულწრფელობა და ერთგულება, რასაც იჩენენ და იჩენდნენ ჩემ მიმართ, მაგრამ გარწმუნებთ, სახლების, მანქანებისა და აგარაკების ჩუქებას არც ვაპირებ! ჭორები ჩემი მილიონების შესახებ გადაჭარბებულია და არ მიმაჩნია, რომ ასეთი ტიპის საჩუქრებით შეიძლება ადამიანებთან ურთიერთობა! ეს არის აბსოლუტური ტყუილი!

**— აბა, უცეცხლოდ გაჩნდა კვამლი?**

— გეტყვით: საუბარი არის კოტეჯის რაღაც ნაწილზე, რომელიც 1986 წლიდან ჩვენი საკუთრება იყო, სადაც გაიზარდნენ ჩემი შვილები და ბოლო ათი-თორმეტი წელია, იმ სახლში ჩვენი ახლობლები ცხოვრობდნენ ზაფხულობით... რამდენიმე წლის წინათ გადავწყვიტეთ ამ სახლის გაყიდვა და ეს აგარაკი შეიძინა ჩემი დაცვის უფროსის ოჯახმა.

**— იყიდა?**

— რა თქმა უნდა! უკაცრავად, რატომ უნდა მეჩუქებინა, ხომ ვერ მეტყვით? მიუხედავად იმისა, რომ მართლა ძალიან ვაფასებ ამ პიროვნების და მისი ოჯახის ერთგულებას ჩვენდამი! სხვათაშორის, 22 წლის მანძილზე ჩვენი და მამაჩემის იყო ეს სახლი და ოჯახების უფროსები შეთანხმდნენ კონკრეტულ თანხაზე და ოფიციალურად გაფორმდა ყველაფერი.

**— ქალბატონო ნინო...**

— ერთსაც გეტყვით: **თუ ჩვენ ყოველდღე ისე ვკარგეთ ტერიტორიები და 20-20 კილომეტრი, როგორც ეს მამისონზე მოხდა, სამ თვეში საქართველოს აღარ ექნება საზღვრები!** მერე მიშა იყოს რეზიდენციაში, ჩვენ დავსხდებით გარეთ საკნებში და ვიქნებით ბედნიერი ერი!

**— ისე, ერთიც არის... თქვენ თავის დროზე შევარდნაძესაც და ახლა სააკაშვილსაც რადიკალურ ოპოზიციად ექეცით. რა გააკეთა შევარდნაძემ იმ ბოლო თვეებში ისეთი, როცა თქვენ მას დაუპირისპირდით, რაც მანამდე არ ჰქონია გაკეთებული? და სააკაშვილის მაგალითზეც იმავე კითხვით მოგმართავთ...**

— გეტყვით: შევარდნაძეს უდიდეს პატივს ვცემდი და ახლაც, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, ნამდვილად ვაფასებ! არ შეიძლება იმის უთქმელობა, რომ მე უდიდესი იმედი მქონდა შევარდნაძისა, მისი კონტაქტებისა და გამოცდილებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, 1998-1999 წლებიდან ქვეყანამ ჭაობში დაიწყო ჩაფლობა იმ გარემოცვის გამო, რომელიც გვერდით ჰყავდა შევარდნაძეს! მე ამის შესახებ ყოველთვის წუხილითა და გულწრფელობით ვეუბნებოდი მას, რადგან ადამიანურადაც მინდოდა მისი წარმატება და პოლიტიკურადაც... ჩემი სიტყვები ჰაერში რჩებოდა... იმ შემადგენლობით, რომელსაც შევარდნაძე სთავაზობდა ქვეყანას 2003 წლის არჩევნებში, არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდა ქვეყნის განვითარებას!

შემიძლია, სააკაშვილზეც გითხრათ... მიხეილ სააკაშვილი იყო ის ადამიანი, რომელსაც, ბევრი ნეგატიური თვისების მიუხედავად, რაც მასთან ურთიერთობაში მიშლიდა ხელს, ნამდვილად ჰქონდა ის პოტენცია, მართლა დაეყენებინა ეს ქვეყანა ფეხზე! მით უფრო — რევოლუციის შემდეგ! მას შეეძლო, აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემაც მოეგვარებინა, მაგრამ იგი ყოველდღიურად მძიმდებოდა არა მხოლოდ გარემოცვის, არამედ პირადი თვისებების გამოც!

**— ფაქტია, ადამიანურად, შევარდნაძესთან უფრო კომფორტულად გრძნობდით თავს...**

— თუნდაც იმიტომ, რომ შევარდნაძეს მოსმენის კულტურა მაინც ჰქონდა... მოსმენაც შეეძლო და ბევრად მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა, ვიდრე სააკაშვილს! კარგი იყო თუ ცუდი, მისი პრეზიდენტობის პერიოდში პროგნოზირებადი მაინც იყო პოლიტიკური ვითარება...

სააკაშვილის დროს ჰაერში ვიჭერდი გადაწყვეტილებებს... იყო გადაწყვეტილებები, რომელიც თვითმფრინავში გამიგია... მართლა ჰაერიდან შემოვაბრუნე ბათუმისკენ გაფრენილი ვერტმფრენები...

**— სხვათა შორის, 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით ისიც ითქვა, თითქოს აშშ ელჩის, ბატონი ტეფტის კატეგორიული მოთხოვნით დათანხმებულხართ შედეგების სააკაშვილის სასარგებლოდ დამტკიცებასა თუ „გაპრავებას“...**

— ჯერ ერთი, არჩევნების მიმართ სერიოზული პრეტენზიები რამდენიმე ხნის შემდეგ გაჟღერდა. ნამდვილად არ ვიტყვი, რომ ტეფტი კატეგორიულად მთხოვდა რაიმეს ან ასეთი ტონით მესაუბრებოდა, მაგრამ... საერთაშორისო თანამეგობრობაც ასე ხედავდა და მეც, რომ ჩვენ მაშინ არჩევანი გვქონდა სტაბილურობასა და არასტაბილურობას შორის. იმ ეტაპზე ყველა თვლიდა, რომ მიშამ 7 ნოემბრის შემდეგ ჭკუა ისწავლა და დემოკრატიულ ცვლილებებს განახორციელებდა... შეჩვეული ჭირი არჩიეს შეუჩვეველს... დაახლოებით მეც ასე ვამჯობინე და... კარგი ჩიტიც დავიჭირეთ!

შარშან მეც და საერთაშორისო თანამეგობრობამაც დავუშვით უდიდესი შეცდომა!

**— შეცდომად თვლით, რომ მაშინ „გააპრავეთ“ არჩევნების შედეგები?**

— არაფერი „გამიპრავებია“! უკაცრავად... მე ეს არ მითქვამს და ნუ გააკეთებთ ჩემი სიტყვების პერიფრაზირებას! მე არ „გამიპრავებია“!

**— არც ტეფტის მოთხოვნით? თქვით ბოლომდე, ქალბატონო ნინო...**

— არა! და რასაც საჭიროდ ჩავთვლი, თავად ვიტყვი! ეს იყო ზოგადად, ფრაზებსა და განწყობებს შორის, რეალობიდან გამომდინარე საუბარი ბატონ ტეფტთან! ვიმეორებ: ძალიან ბევრი რამ გამოჩნდა არჩევნებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ! მე მაშინ ასეთი ინფორმაცია მქონდა, რომ სააკაშვილს, როგორც მინიმუმ, 50%-თან მიახლოებული შედეგები ჰქონდა... **მეტსაც გეტყვით: ოპოზიციას თავის ხმები რომ დაეცვა, მეორე ტური ნამდვილად იქნებოდა!** თუმცა ოპოზიციიდან ზოგი მოისყიდეს, ზოგი შეაშინეს, როგორც შემდეგ აღმოჩნდა... ზოგი ოქმი გადაკეთდა...

დღეს სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საბოლოოდ დავრწმუნდი იმაში, რასაც ქვეშეცნეულად შარშანაც ვფიქრობდი: არ შეიძლება დემოკრატიის ხარჯზე გააკეთო არჩევანი სტაბილურობის სასარგებლოდ! მე ამას ღიად იმიტომ ვამბობ, რომ ამ მიზეზს დღესაც ვხედავ ბევრი დასავლეთელი მეგობრის თავშეკავებულობაში...

**ვიმეორებ: ძალიან მწარედ ვნანობ, ჩემი და ჩვენი მაშინდელი ნაბიჯებით მომავალში რომ ვერ ავიცილეთ 8 აგვისტო!** ყველაზე დიდი საფრთხე დღეს ამ ქვეყნისთვის არის არაპროგნოზირებადი და უპასუხისმგებლო პრეზიდენტი! მე არ ვაპირებ არც უკან დახევასა და გაჩერებას და არც ჩემი და არც სხვისი პრეზიდენტობისთვის ბრძოლას!

**— ისე, ორიოდე თვის წინათ ედუარდ შევარდნაძემ ბოდიშიც მოგიხადათ... შეიძლება ეს კითხვა ფანტასტიკის სფეროს უფრო მიეკუთვნება, მაგრამ სააკაშვილისგან თუ ელით მომავალში მსგავს ნაბიჯს?**

— შევარდნაძეზე ერთსაც გეტყვით: არ ვამბობ, რომ არ მწყინდა, როცა მწარედ მაკრიტიკებდა, მაგრამ... იგი ყოველთვის ვაჟკაცური პიროვნება იყო! მას პირადი მამაცობა ჰქონდა, განსხვავებით სააკაშვილისგან... ალბათ, ამ თვისებების შედეგიც იყო ის ბოდიშიც... მე ნამდვილად მივიღე ეს ბოდიში და ძალიან დავაფასე მისი მხრიდან ეს ნაბიჯი. სააკაშვილის რადიკალურად შეცვლისა კი მართლა არ მჯერა! იგი, სამწუხაროდ, არაადეკვატურია! ის რომ ადეკვატურად ხედავდეს მოვლენებს, ბურჯანაძეზე კი არ უნდა იყოს გაბრაზებული, არამედ გვერდიდან უნდა იფერთხავდეს იმ ხალხს, ვინც ახლა მასთანაა! დიახ — იფერთხავდეს!

**— ვის?**

— ყველას! ვინც მას გვერდით ჰყავს! ამ ხალხმა დაღუპა ის და ამ ხალხმა დაადღუპვინა ქვეყანა! **ხალხი, რომელიც სამ დღეში ჰპირდებოდა დაჟანგული ტანკებით რუსეთთან ომის მოგებას! ხალხი, რომელიც ჰპირდებოდა, რომ ოთხ დღეში ფსოუზე თუ არა, სოხუმში მაინც აღვმართავდით დროშას!**

— ვის გულისხმობთ?

— **ვანო მერაბიშვილი, კახა ლომაია, გივი თარგამაძე, ნიკა რურუა! დავით ბაქრაძე, რომელიც მუდმივად გაჩუმებული იყო და არაფერს ამბობდა, ჩუმად ისმენდა ყველაფერს და ჩუმად ყლაპავდა! უგულავაზე საერთოდ არაფერს ვიტყვი... სისულელეების გარდა მისგან არასდროს არაფერი მომისმენია და... პრეზიდენტი რომ დღეში ცხრაჯერ ეტყვის — „სისულელეების ბოდავი“ და ის მაინც მშვიდი სახით აგრძელებს საუბარს...** ეს ის ხალხია, რომელიც მიშასგან უფრო მძიმე შეურაცხყოფებს ისმენს!

სხვათაშორის, ძალიან **მოვიკითხავდი რუსეთთან კონტაქტებს მისი უახლოესი გარემოცვიდან!** სამიოთხი კაცი მყავს მხედველობაში, ვინც მუდმივად მის გვერდით დგას... **იმ ხალხს ვგულისხმობ, ვინც ჩამოგითვალეთ! მერაბიშვილი, მათ შორის! ადეიშვილი! დიახ! ლომაია, ბოკერია, თარგამაძე!..**

**— რა იყო თქვენი გეგმა 26 მაისს?**

— არ მინდა დეტალებზე საუბარი, რადგან შეიძლება, ამ გეგმის განხორციელება მცირედი მოდიფიკაციებით კვლავ დაგვჭირდეს. მართალია, ახლა ძალიან ბევრი რამ იცის ჩვენმა უძვირფასესმა ვანომ, მაგრამ მთლად ყველაფერიც — არა!

**— ანუ, აქაც არის ვანო?**

— რა თქმა უნდა... **ვანო გახდა თითოეული ოჯახის განუყოფელი ნაწილი და, მგონი, მოვიწყენთ კიდეც მის გარეშე**. აქ რომ ცხვირს დავაცემინებთ, ლამისაა, იქიდან გადმოგვძახონ...

**— სიცოცხლეო?**

— არა, არა... ჯანდაბაო! *(იცინის)* და ამიტომ გთხოვთ, დღეს გეგმის დეტალებზე ნუ ვისაუბრებთ... თუმცა ვიმეორებ: ვგულისხმობ უფრო აქტიურ, რადიკალურ, მკვეთრ ქმედებებს კონსტიტუციურ ჩარჩოებში!

**— პირდაპირ გკითხავთ: ძმები გაჩეჩილაძეების, გნებავთ, ალიანსისა და მემარჯვენეების პოზიციები თქვენთვის მიუღებელია?**

— არა, არავისზე გეტყვით, რომ ვინმეს პოზიცია ჩემთვის მიუღებელია. შემიძლია, გითხრათ, რომ იყო შემთხვევები, როცა თავად ძმების პოზიციებიც განსხვავდებოდა ერთმანეთისგან... სიმართლე გითხრათ, შეიძლება გარკვეული ოპოზიციური ძალების პოზიციებმა კორექტივები ჩემს ხედვაშიც შეიტანოს... ჩვენ ყველანი ჩამოვყალიბდებოდით საკუთარ ხედვებში და შესაბამისად ვიმოქმედებდით.

**— ქალბატონო ნინო, თითქმის ყოველდღე აცხადებდნენ, მიშა წასულიაო, მაგრამ საკნების აღებამ, ხალხის არაერთგზის დაშლამ გულგატეხილობა შვა საზოგადოებაში და დამეთანხმებით, დღეს უფრო ფრთებგაშლილია ხელისუფლება, ვიდრე — განვლილი ორი თვის განმავლობაში... ფაქტია, ოპოზიციამ ბოლომდე ვერ გაამართლა საზოგადოების მოლოდინი...**

— უბრალოდ, კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა, რამდენად უსირცხვილოა ეს ხელისუფლება!

**— ეგ ისედაც იცოდნენ ქუჩაში გამოსულმა ადამიანებმა...**

— მე მთლად ამდენიც ვერ წარმომედგინა, სიმართლე რომ გითხრათ... დამერწმუნეთ, ოპოზიციამ აბსოლუტურად ყველა ცივილიზებული და მშვიდობიანი მეთოდი გამოიყენა ამ ხნის განმავლობაში, თუმცა იმასაც გეტყვით, რომ ამ ვითარებაშიც კი შეიძლებოდა წარმატების მიღწევა, უფრო გამბედავი რომ ყოფილიყო ოპოზიცია. რა თქმა უნდა, სამოქალაქო დაპირისპირებას და სისხლისღვრას არ ვგულისხმობ გამბედაობაში!



**ყველაზე დიდი საფრთხე დღეს ამ ქვეყნისთვის არის არაპროგნოზირებადი და უპასუხისმგებლო პრეზიდენტი!**

ესაუბრა **გიორგი მამაცაშვილი**

# ოპოზიციიდან ზოგი მოისყიდეს, ზოგი შეაშინეს

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# ქართველ ხალხს არ უნდა ნატოში, მას რუსეთთან მეგობრობა სურს!

**„თბილისი პატარა ქალაქია!“ — ხშირად ამბობენ ნამდვილი თბილისელები, როცა სიხარულით აღმოაჩენენ საერთო მეგობრებსა და ნაცნობებს ან ვისამე ფარულ საქციელზე მსჯელობენ, რომლის შესახებაც ყველამ შეიტყო. გათვითცნობიერებულობის მიუხედავად (აი, პარადოქსი!) თბილისელები ხშირად ბავშვებივით მიამიტები არიან და მათი გაბრიყვება ისევე, როგორც მთელი საქართველოს მოსახლეობისა, არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს... ამიტომაც პრეზიდენტ სააკაშვილს ერთ რამეში სავსებით ვეთანხმები: საქართველოში არ არის ხელისუფლების კრიზისი! საქართველოში საზოგადოებრივი ცნობიერების კრიზისია, რაც გაცილებით უარესია...**



**ჩვენ უნდა დავუბრუნოთ აფხაზებსა და ოსებს მათი მშობლიური საქართველო — მაშინ ისინი დაგვიბრუნებენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, ჩვენი მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი კი რუსეთი უნდა იყოს!**

დიახაც, ლენგლის (ცე-რე-უს შტაბბინა, — ა.ხ.) „ბიჭებმა“ ძალიან იყოჩაღეს: **დეზინფორმაციისა და სიცრუის, „ჯაშუშური“ სკანდალების, გამყიდველი პოლიტიკოსების გასაოცარი „პირუეტებისა“ და სხვა ვნებათაღელვის ასეთ ნიაღვარს ვერავინ გაუძლებდა, პროფესიონალურად თავსმოხვეულმა ჩვენთვის უცხო იდეოლოგიამ, რომელმაც კულტურული კოდი — ქართველი ერის საბაზისო ზნეობრივი ფასეულობები გატეხა, საზოგადოების ცნობიერების სიღრმეებში შეაღწია და მისი კრიზისი გამოიწვია.**

შედეგად, ქართველი საზოგადოება დაიღალა, განიხიბლა, შეეგუა და დამორჩილდა — საბოლოოდ დაშინებული და დაბნეული ხალხი ველარ ასხვავებს სიკეთესა და ბოროტებას, **აღარ აზროვნებს დამოუკიდებლად, რეალურად აღარ აღიქვამს მომხდარს და არ გამოაქვს ადეკვატური დასკვნები — მის ნაცვლად ამას სხვები აკეთებენ... ამერიკის შეერთებულმა შტატებმა**, პოლიტიკოსი-ბიზნესმენისა და ავანტიურისტი **ჯორჯ სოროსის** წილობრივი მონაწილეობით, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ხელთ იგდო „უპატრონოდ“ დარჩენილი საქართველო და აქ საკუთარი **პოლიტისტებლიშმენტი — პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და ე. წ. ექსპერტები აღმოაცენა, სახელმწიფო ჩინოვნიკები ძალოვანი უწყებებიდან** სოროსის შედარებით მაღალ ხელფასებზე დასვა (როგორც ნემსებზე!); მრავალრიცხოვანი NJO-ების მეშვეობით, სოროსის ფონდის ქართული ფილიალის გრანტებით მოისყიდა **საშუალო კლასის ნაწილი**, ხოლო **დანარჩენი** უმრავლესობა იძულებული შეიქნა, მდგომარეობას შეგუებოდა და ვაივაგლახით ეცხოვრა, ზემონახსენები კატეგორიის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებინა სერვისისა და მომსახურების, ტურიზმისა და დასვენების, ბიზნესისა და ვაჭრობის, მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის სფეროებში, ანდა, სულს ითქვამს პენსიებითა და უცხოეთიდან, ძირითადად — რუსეთიდან ნათესავების მიერ გამოგზავნილი დახმარებით...

საქართველო, რომელსაც **ედუარდ შევარდნაძე** მუდამ **„დერეფანს“** ეძახდა, **დღეს მართლაც დაემსგავსა საროსკიპოს დერეფანს, სადაც ზოგიერთი ოთახის კარი, ცნობილი მიზეზების გამო, შიგნიდანაა დაკეტილი (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი), ხოლო დანარჩენი კარები ფართოდაა გაღებული და შიგნით შესვლას ლამობს** ყველა, ვინც ფული გადაიხადა, სანამ დერეფანში მქროლავ ჩრდილოეთის ქარს ისინიც არ მიუკეტავს...

**ამიტომ დღეს ხელისუფლების განსჯა და პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა ალოგიკურია ისევე, როგორც ალოგიკურია საკუთარი ცნობიერების განსჯა ან მისი გადადგომის მოთხოვნა:** არ შეიძლება მუშაობდე საროსკიპოში და უბიწობას ინარჩუნებდე —

**საქართველოს ხელისუფლება ამერიკული პროექტის განუყოფელი ნაწილია და მისი შეცვლა შეუძლებელია თავად პროექტის დახურვის გარეშე,**

რომლის მიმართაც ქართველი საზოგადოების გაბრიყვებული ნაწილი ჯერ კიდევ სიმპათიითაა გამსჭვალული, ისევე, როგორც აშშ-ისა და ნატოს გეოპოლიტიკურ ინტერესებთან ერთად სასწორის პინაზე დადებული დასავლური „ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობებისადმი“.

**ხელისუფლება,** თუკი ის, რა თქმა უნდა, თვითმკვლელი არ არის, **პროექტს ნებაყოფლობით არ დახურავს**, ხოლო **ცნობიერების კრიზისი ქართველ საზოგადოებას** იმის დანახვის საშუალებას არ აძლევს, რომ პროექტი და ხელისუფლება განუყოფელია და რომ **პერსონალიების ცვლა ხელისუფლებაში (პრეზიდენტის, პარლამენტის) პროექტის შენარჩუნების პირობებში ვერაფერს შეცვლის! სწორედ საზოგადოებრივი ცნობიერების ამ კრიზისს ეფუძნება საქართველოს ხელისუფლება და არა NLO-ს მაგვარ შენობას, რომელიც თბილისში ბუშის სახელობის ქუჩაზე მდებარეობს** (შსს, — ა. ხ.).

ამ კრიზისს, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო **რადიკალურმა ოპოზიციამ**, რომელმაც საზოგადოება ხელისუფლებაში მოსასვლელად გამოიყენა და, ამავე დროს, **ხელშეუხებელი დატოვა თავად პროექტი!** აქ ცნობიერების ნაკადს არცთუ შორეულ წარსულში გადავყავარ — 2008 წლის თებერვალში, როცა მაშინდელ პარლამენტის თავმჯდომარეს **ნინო ბურჯანაძეს** ვკითხე: ***„სახელმწიფო ნეიტრალიტეტი საერთაშორისო „კვარტეტის“ — გაეროს, ევროკავშირის, აშშ-ისა და რუსეთის გარანტიებით საქართველოსთვის მითია თუ აქვს აზრი, ისევე, როგორც ფინეთისთვის, შვედეთისა და შვეიცარიისთვის?***

ნატოში გაწევრებით ხომ არ გადავიქცევით ისლამისტური ფუნდამენტალიზმის სამიზნედ?“ პასუხი ასეთი მივიღე: *„არა, ჩვენ არ გადავიქცევით ვისამე სამიზნედ, რადგან ისლამური ქვეყანა თურქეთი ნატოს წევრია და ძალიან ბევრ ისლამისტურ ქვეყანასთან ნატოს ნორმალური ურთიერთობები აქვს, ხოლო ფუნდამენტალიზმი არა მხოლოდ ნატოს წევრი ქვეყნების, არამედ თავად მუსლიმანური სახელმწიფოების პრობლემაა, რომელთაგან ბევრს ეს მშვენივრად ესმის და ცდილობს, ამას შეებრძოლოს...* ***საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს ორგანიზაცია უზრუნველყოფს არა მხოლოდ უსაფრთხოებას, არამედ წევრი-ქვეყნების დემოკრატიულ განვითარებასაც:***

ჩრდილოატლანტიკურ გაერთიანებაში შედიან ქვეყნები, რომლებიც პატივს სცემენ განვითარების დემოკრატიულ პრინციპებს! რაც შეეხება **ნეიტრალიტეტს,** ეს გამოსავალი არ არის. თვალი გადაავლეთ იმ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, ისტორიასა და რეალობას, რომლებიც მაგალითისთვის თავად ჩამოთვალეთ და მიხვდებით, რომ **საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი არარეალურია, რადგან ის მის წინაშე წამოჭრილ ვერც ერთ პრობლემას ვერ გადაჭრის...**

ყოველთვის, როცა საუბარი ეხება საქართველოს ნატოში გაწევრებას, რუსეთში ოპონენტები ცდილობენ, ნატოსგან საფრთხობელა შექმნან და ავიწყდებათ, რომ რუსეთის უახლოესი მეზობლები — ბალტიისპირეთი, პოლონეთი და სხვა სახელმწიფოები ნატოს წევრები არიან, მაგრამ რუსეთს არაფრით ემუქრებიან“

(13.02.2008. ინტერვიუ РИА НОВОСТИ-სთვის, www.rian.ru).

ახლა კი გთავაზობთ ფრაგმენტს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის **ს. ვ. ლავროვის** გამოსვლიდან უსაფრთხოების სფეროში პრობლემების განხილვის თაობაზე, ეუთოს ყოველწლიური კონფერენციის გახსნაზე **ვენაში 2009 წლის 23 ივნისს:** *„სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა დაადასტურონ, მაგრამ უკვე იურიდიულად სავალდებულო ფორმით, ვალდებულებები, რომლებიც უწინ ეუთოსა და რუსეთ-ნატოს საბჭოს წინაშე აიღეს, კერძოდ კი:*

*— არ უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება სხვების უსაფრთხოების ხარჯზე;*

*— არ დაუშვას სამხედრო კავშირებისა და კოალიციების ჩარჩოებში მოქმედებები, რომლებიც დაასუსტებს უსაფრთხოების საერთო სივრცის ერთიანობას, მათ შორის, არ დაუშვას თავისი ტერიტორიის გამოყენება სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოების დაზარალების ხარჯზე, ევრო-ატლანტიკაში მშვიდობისა და სტაბილურობის საზიანოდ;*

*— არ დაუშვას, სამხედრო გაერთიანებების განვითარება ხორციელდებოდეს ხელშეკრულების სხვა წევრების საზიანოდ;*

***— პატივი სცეს ნებისმიერი სახელმწიფოს უფლებას ნეიტრალიტეტზე.***

ეს მესიჯები უთუოდ აშშ-ისა და საქართველოს მისამართითაა გამოგზავნილი! არადა, ჯერ კიდევ **2001 წელს თქვენმა მონა-მორჩილმა საქართველოს სახელმწიფო ნეიტრალიტეტის** თემის დამუშავება დაიწყო პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ **ალექსანდრე ჭაჭიასთან** ერთად და ამ საკითხს მრავალი პუბლიკაცია მიუძღვნა როგორც ბეჭდვით და ელექტრონულ პრესაში (www.rian.ru; www.day.az; www.asavali.ge; www.geworld.net), ისე განსხვავებული ფორმატის რამდენიმე ტელეგამოსვლაში. დღეს კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს — **ნეიტრალიტეტი ჩვენ გვჭირდებოდა როგორც საშუალება საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის აღსადგენად!** მაგრამ ჩვენი ხელისუფლება და ქართველი პროქტოპოლიტოლოგები პასუხად იკურთხებოდნენ და... **08.08.08 მატარებელმა „საქართველო-ნეიტრალიტეტი“ ჩაიქროლა.**

**2008 წლის 14 აგვისტოს, საომარი მოქმედებების დასრულებამდე და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებამდე,** ბეჭდვითი მედიის საშუალებით ვცდილობდი, დამეყოლიებინა ხელისუფლება: *„დღეს უნდა ვიფიქროთ უკვე არა ნეიტრალურ სტატუსზე, არამედ* ***საქართველოს ფედერაციულ მოწყობაზე,*** **სადაც ფედერაციის უფლებით (კონფედერაცია) შევლენ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი!**

თუ ისევ ლანძღვას მოვყვებით ან კეთილშობილ ქალწულთა პანსიონის მობინადრე ქალწულებივით გავიბუტებით, ამ შესაძლებლობასაც ხელიდან გავუშვებთ, რადგან ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ: დრო მიდის და ვითარება ისევ შეიძლება გაუარესდეს იმდენად, რომ დაკარგულ ტერიტორიებზე ფიქრის თავიც არ გვექნება“. უფრო მეტიც: **ალექსანდრე ჭაჭია ევედრებოდა ხელისუფლებას, გონს მოსულიყო და პრეზიდენტ სააკაშვილს თავის კანდიდატურას სთავაზობდა მედიატორის რანგში, მისი აზრით, ჯერ კიდევ შესაძლებელ მოლაპარაკებებში, რომლის ორგანიზებასაც თავად კისრულობდა!** მაგრამ ამაოდ... „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ არავინ შეისმინა და **26.08.08 რუსეთის ფედერაციამ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.**

**დღეს კი ერთადერთი, რასაც საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა დაბრუნება, საქართველო-აფხაზეთი-სამხრეთ ოსეთის ერთიან სივრცეში მოქალაქეთა თავისუფალი მიგრაციის უზრუნველყოფა, ჩვენი ეკონომიკის აღდგენა და ინტეგრირება, ხოლო შემდეგ აფხაზებისა და ოსების ერთიანი სახელმწიფოს წიაღში დაბრუნება შეუძლია, რუსეთისა და საქართველოს კავშირის შესახებ ხელშეკრულებაა! ჩვენ უნდა დავუბრუნოთ აფხაზებსა და ოსებს მათი მშობლიური საქართველო — მაშინ ისინი ჩვენს მშობლიურ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაგვიბრუნებენ, ხოლო ჩვენი მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი რუსეთი უნდა იყოს!**

**დღეს სასწრაფოდ უნდა ვიფიქროთ ამ ხელშეკრულების პროექტზე, რათა მესამედაც არ დავკარგოთ შანსი, რომელიც შესაძლოა, საქართველოსთვის უკანასკნელი აღმოჩნდეს...**

ცნობიერების ნაკადს ისევ წარსულისკენ მივყავარ: „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დღევანდელ რადიკალებს — მაშინდელ უმაღლეს სახელმწიფო პირებს: **პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, პრემიერ-მინისტრ ნოღაიდელს, თავდაცვისა და შს მინისტრ-გენპროკურორ ოქრუაშვილს** ჩვენთვის, ნამდვილი პატრიოტებისთვის (და არა ლენგლის „ბიჭებისა“ და სამეფო კარის პროქტოპოლიტოლოგებისთვის) ყური რომ დაეგდოთ, მაშინ:

განა საქართველო დაკარგავდა თავისი ტერიტორიების 20 პროცენტსა და 175 ჯარისკაცს? და კიდევ რამდენი დაიღუპება იმ 500 კაციდან, ამ დღეებში ავღანეთში, აშშ ცენტრალური სარდლობის უფროსის, გენერალ **დევიდ პეტრეუსის** თქმით, ბოევიკებისთვის საიმედო თავშესაფრად ქცეულ ყველაზე საშიშ რაიონებში საომრად რომ მიემართებიან?!

რატომ ეომება ქართველი ავღანელს?! ამ დანაშაულებრივი გადაწყვეტილებისთვის მხარდაჭერამდე საქართველოს პარლამენტიდან ვინმე ესტუმრა პარლამენტის ბიბლიოთეკას და წაიკითხა, უძველესი დროიდან **როგორი პატივისცემით ეპყრობოდნენ მამაც „გურჯებს“ ავღანელი მმართველები და მეომრები?!** საქართველო რომ **კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების ორგანიზაციის (ОДКБ)** წევრი ყოფილიყო, მოისურვებდა კი ნატოსთან პარტნიორობას და თავის ჭაბუკებს „ცხელ წერტილებში“ — ერაყსა და ავღანეთში გაგზავნი-

და? **ავღანეთში, რომელმაც, სხვათა შორის, 2008 წელს დსთ-სა და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში (ШОС) გაწევრების სურვილი გამოთქვა?!**

რატომ დავკარგეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ღვინისა და მინერალური წყლებისთვის ულტერნატივო **რუსული ბაზარი**, რის შედეგადაც უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი მივიღეთ?! რატომ არ დავისახეთ მიზნად ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობის **(ЕврАзЭС)**, თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციისა **(ШОС)** და ერთიანი ეკონომიკური სივრცის **(ЕЭП)** წევრობა, რათა **მთელი მსოფლიოსთვის მომხიბვლელ ამ ეკონომიკურ სივრცეში სრულფასოვანი მოთამაშეები გავმხდარიყავით?!**

**განა დსთ-ის დატოვებითა და რუსული ენის დავიწყებით** (საერთაშორისო ურთიერთობის ენა ხმელეთის ერთ მეექვსედზე!) **ჩვენ არ გავუუცხოვდებით ჩვენთვის ისტორიულად და კულტურულად ახლობელ თანამეგობრობის ქვეყნების ხალხებს?!** განა ასეთი რა ცნობიერების კრიზისი გვჭირს, რომ უგულებელვყოფთ დიდ სამამულო ომში გამარჯვებას, სადაც მხარდამხარ ვიბრძოდით; ყამირს, რომელიც ერთად გავტეხეთ; და ჩერნობილს, რომლის ლიკვიდირებაც ერთად მოვახდინეთ?! **რა ენაზე ელაპარაკა პრეზიდენტი სააკაშვილი სომხეთის პრეზიდენტს ამასწინანდელი ვიზიტისას, ასევე, დსთ-ის სხვა ქვეყნების პრეზიდენტებს, რომლებსაც საქართველოში უმასპინძლა, ანდა იქით ეწვია — შემთხვევით, რუსულად ხომ არა?! განა დსთ-ის ქვეყნების ელჩები, მიუხედავად საქართველოში ბოლო წლებში ხშირად მომხდარი „აყალმაყალისა“, თავს უფლებას აძლევენ, ასეთი უპატივცემულო გამოთქმებით დაარიგონ ჭკუა ქართველ ხალხს და ჩაერიონ საქართველოს საშინაო საქმეებში, როგორც ეს ამასწინანდელი საპროტესტო აქციებისას მოიმოქმედეს დასავლეთის ქვეყნების ელჩებმა, რომელთაგან ზოგიერთი საქართველოში თავისი ჰომოსექსუალური ორიენტაციითაა ცნობილი?!**

განა ცნობიერების კრიზისზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ **განგაშის ატეხვის მაგივრად, ბევრს გაუხარდა, როცა რუსეთი „უცებ“ დაყაბულდა საქართველოდან თავისი სამხედრო ბაზების გაყვანას დადგენილი 25 წლის ნაცვლად ჯერ 15, ხოლო შემდეგ — 10, მერე — 2 და, ბოლოს, 1 წელიწადში — 2007 წლის ნოემბრამდე?!** რატომ არ დააეჭვა ამ „თვინიერებამ“ ექსპრეზიდენტი **შევარდნაძე** და მოქმედი პრეზიდენტი **სააკაშვილი,** რომლებიც მხოლოდ იმას დაობდნენ, ვის ეკუთვნოდა „პირველობის დაფნის გვირგვინი“ „ისტორიულ მისიაში — საქართველოს გათავისუფლებაში რუსი ჯარისკაცის საძულველი ჩექმისგან, რომელიც მას ბოლო 200 წლის განმავლობაში თელავდა?!“

განა ცნობიერების კრიზისის ბრალი არაა, რომ შარშანდელ ტრაგედიას, როცა რუსებსა და ქართველებს შორის სისხლი დაიღვარა (დაღვარეს!), ბევრი ომს უწოდებს?! წარმოგვიდგენია კი, რას ნიშნავს ნამდვილი ომი რუსეთთან?! განა მსოფლიოში უძლიერეს არმიასთან ნამდვილი ომის შედეგად მხოლოდ **175 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპებოდა ან უგზოუკვლოდ დაიკარგებოდა?!** განა შეიძლებოდა, **200 რუსულ თვითმფრინავს დაებომბა საქართველო,** რომლის ტერიტორია, რამდენიმე ათეული სახლის გამოკლებით, ხელუხლებელი დარჩა?! რომც **არ დავუჯეროთ** ჩვენს ხელისუფლებას, რომელიც ირწმუნება, რომ საქართველოს **უახლესი რუსული საბრძოლო ავიაცია უტევდა** და ვივარაუდოთ, რომ გასული წლის აგვისტოში **ძველისძველი საფრონტო ბომბდამშენები „СУ-24“-ები გვიტევდნენ,** რომელთაგან **თითოეულს** შეუძლია 6 რაკეტა „ВОЗДУХ-ПОВЕРХНОСТЬ“-ის, 7 ბომბის, 6 უმართავი რაკეტის, 2 რაკეტა „ВОЗДУХ-ВОЗДУХ“-ის გადატანა; 3 საქვემეხო კონტეინერისა და 500-საბრძოლომასალიანი 23 მმ ქვემეხის ჩაუთვლელად, **და გადავამრავლოთ ბომბებისა და რაკეტების ეს რაოდენობა 200 თვითმფრინავზე,** რომლებმაც თითქოსდა დაბომბეს საქართველო: **გამოვა, რომ 2008 წლის 8-დან 12 აგვისტომდე თავზე დაგვეყარა 4.200 რაკეტა და ბომბი (!), და ეს იმ შემთხვევაში, თუ ჩავთვლით, რომ თითოეულმა თვითმფრინავმა მხოლოდ ერთი საბრძოლო გაფრენა განახორციელა!..** დარწმუნებული ხართ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ბრძანდებით?!

რატომ არაფერს ამბობს ამაზე **„რადიკალური ოპოზიცია“?! ტრიბუნიდან „ქურდული ბაზარი“ (ათასობით თანამოქალაქის წინაშე!) არ რცხვენიათ და ხალხისთვის სიმართლის თქმა „ტეხავს“?!** იციან კი, რომ ნატოს წვრთნებისას 6 მაისიდან 1 ივნისამდე თბილისის შორიახლო (ვაზიანის სამხედრო ბაზაზე) **კლიმატურ იარაღს ცდიდნენ** (რომლის ფუნქციური დანიშნულება **ამინდზე ზემოქმედებაა** — სხვადასხვა რეაგენტის მეშვეობით ხელოვნური ატმოსფერული ცვლილებების გამოწვევა: ქარიშხლის, თოვლის, ნისლის, ტაიფუნებისა და **ჭექა-ქუხილის)?** იქნებ ახლა მაინც მიხვდნენ, **რატომ არ წყდებოდა ბოლო კვირებში თბილისში არნახული ჭექა-ქუხილი, რომლებმაც მათი საპროტესტო აქციები „ჩარეცხა?!“** საიდან უნდა იცოდნენ, როცა მათ უმრავლესობას არმიაში არ უმსახურია, ისინი ჯარიდან „გამოისყიდეს“...

კიდევ ერთ **„საზარელ საიდუმლოს“** გავამხელ:

**საქართველოში ცნობიერების კრიზისი თანდათან სრულდება და ქართველ ხალხს აღარ უნდა ნატოში, მას რუსეთთან მეგობრობა სურს!**

გაითვალისწინონ ეს, ნაცვლად იმისა, რომ ერთმანეთზე წააქეზონ ხალხი და პოლიცია და პრაქტიკულად **ქართველთა ეთნიკური წმენდა ქართველებისვე ხელით მოაწყონ...**

# „საქართველო და მსოფლიოს“ ინფორმაცია დადასტურდა: სტადიონის შესავსებად ხელმოწერები მედიკოსებში უკვე შეაგროვეს

**„საქართველო და მსოფლიოსთვის“ არაოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის, ბატონი მამუკა ქაცარავას უშუალო დავალებითა და ხელმძღვანელობით თბილისის ყველა პოლიკლინიკის დირექციამ სტადიონზე პრეზიდენტის მხარდასაჭერ გრანდიოზულ აქციაში მონაწილეობის მიღების მსურველთა სიები შეადგინა და 23 ივნისს ბატონ მამუკას ჩააბარა. სიებში გვარ-სახელთან ერთად პირადი ნომერიც იყო მითითებული და პიროვნებები ხელმოწერით ადასტურებდნენ ნებისმიერ დროს სააკაშვილთან შეხვედრის მზადყოფნას.**


ვის დასახვედრად იგეგმება სტადიონის შევსება და რისთვის დაურიგეს სიღნაღელებს 200-200 ლარი

წინა ნომერში სანდო წყაროზე დაყრდნობით უკვე ვწერდით, რომ ხელისუფლება უახლოეს მომავალში საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული მნიშვნელოვანი სტუმრის სათანადოდ დახვედრის მოტივით ეროვნულ სტადიონზე მხარდამჭერების მობილიზებას გეგმავს. მისი მიზანია, ოპონენტებს საკუთარი ძალა კიდევ ერთხელ დაანახოს და მსოფლიოს თვალში შელახული პრესტიჟიც აღიდგინოს. იმის გათვალისწინებით, რომ მმართველ გუნდს არ შესწევს ძალა, ოპოზიციის მსგავსად, ერთ დაძახილზე გაავსოს სტადიონი, რამდენიმე თვით ადრე დაიწყო სამზადისი. ყველა გუბერნატორს, გამგებელს, „ნაცმოძრაობის“ რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელს მიეთითა, თუ რამდენი კაცი უნდა ჩამოიყვანონ თბილისში. განსაზღვრული რაოდენობით ხალხის მოგროვება დაევალათ სამინისტროებსა და მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებსაც ზედმეტი აჟიოტაჟისა და ხმაურის გარეშე.

„საქართველო და მსოფლიო“ იმთავითვე დაინტერესდა, მეტი შეეტყო ხელისუფლების გეგმებსა და მათ პარტიულ დავალებებთან დაკავშირებით, რის გამოც „ნაცმოძრაობის“ რეგიონულ ორგანიზაციებს დავუკავშირდით. სამწუხაროდ, სახელისუფლებო პარტიის არც ერთ ოფისში არ დაგვიდასტურეს აღნიშნული ინფორმაცია. როგორც ჩანს, პარტმუშაკები კონფიდენციალურად და ფრთხილად მოქმედებენ, მერიის დაქვემდებარებაში მყოფი პოლიკლინიკების ხელმძღვანელთაგან განსხვავებით, და როგორც კი რამდენიმე სამედიცინო ობიექტს ვეწვიეთ, ბევრი რამ მაშინვე ნათელი გახდა.

**გლდანის პოლიკლინიკაში ისე ჩაეწერა მედპერსონალი სიაში, რომ გარკვევით არც კი იცოდა, რაზე იყო საუბარი. ხელმძღვანელობისგან მხოლოდ ის შეიტყვეს, რომ მამუკა ქაცარავას დავალება იყო და, სულ მცირე, ათი კაცის სია უნდა გაეგზავნათ ჯანდაცვის საქალაქო სამსახურში.**

ისანი-სამგორის რაიონის №5 სამკურნალო ცენტრის ხელმძღვანელმა, ბატონმა თემურ სინჯიაშვილმა კი ღიად გაანდო ხელქვეითებს ხელისუფლების უახლოესი გეგმები. ამდენად, პოლიკლინიკის ყველა თანამშრომელი ინფორმირებული აღმოჩნდა, რომ სტადიონზე პრეზიდენტთან შეხვედრა იგეგმება. **„როცა შევიტყვე, რომ მიხეილ სააკაშვილთან სტადიონზე შეხვედრა იგეგმება, სურვილი გამიჩნდა, მეც მიმეღო მონაწილეობა. პირადობის მოწმობით ავედი უფროს მედდასთან და სიები წაღებული დამხვდა“,** — გვითხრა ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

**„იმ სიების შედგენა ხომ საშინელი და გულისამრევი პროცესი იყო, მაგრამ არც ის მომწონს, რომ ამით ინტერესდებით და გვაწუხებთ. გთხოვთ, დატოვოთ კაბინეტი. თუ რამის გარკვევა გინდათ, უფროს ექთანთან მიბრძანდით. უშუალოდ ის კურირებდა ხელმოწერების შეგროვებას და ყველაფერში უკეთ გაგარკვევთ“,** — გაბრაზებული ტონით ჩაერია საუბარში მეორე თეთრხალათიანი, როდესაც დიქტოფონი ამოვიღე და ვთხოვე, პოზიცია დაეფიქსირებინა.

მედპერსონალთან საუბრის შემდეგ სამკურნალო ცენტრის დირექტორს თემურ სინჯიაშვილს მივაკითხე. მან გაიკვირვა და განაცხადა, რომ მსგავსი ინფორმაცია ყურმოკვრითაც კი არ ჰქონდა მოსმენილი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი პოლიკლინიკა ამის თაობაზე ლაპარაკობდა და უფროსი მედდის ოთახი (ის უშუალოდ აგროვებდა ხელმოწერებს!) მისი კაბინეტის გვერდით მდებარეობს.

**„არც ოცდასამში, არც ოცდაოთხში მამუკა ქაცარავასთან არანაირი სიები არ გადამიგზავნია. არც მათი მხრიდან ყოფილა მოთხოვნა“,** — აღნიშნა მან.

**— ბატონო თემურ, თქვენი თანამშრომლები აცხადებენ, რომ თქვენს დაწესებულებაში შეგროვდა პრეზიდენტის მხარდასაჭერ აქციაში მონაწილეობის მსურველთა სიები და თქვენ არაფერი იცით?**

— რიცხვს ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ დაახლოებით ერთი თვის წინ პრეზიდენტი ჩვენს დაწესებულებაში ბრძანდებოდა. ნორმალურად დავხვდით და ვფიქრობ, თავადაც კმაყოფილი დარჩა.

**— ეს კონკრეტულად თქვენს პოლიკლინიკაში ვიზიტი იყო და ამჯერად საქართველოს მოსახლეობასთან შეხვედრაზეა საუბარი...**

— ჩემთან ამ საკითხის განხილვა არ ყოფილა და არც საქმის კურსში ვარ.

დირექტორის კაბინეტიდან გამოსული უფროს მედდასთან შევედი. მან დაგვიდასტურა, რომ სექტემბერში სტადიონზე პრეზიდენტთან შეხვედრა უნდა გაიმართოს და მამუკა ქაცარავას თხოვნით აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობის მსურველთა სიებს თავად ადგენდა. ზეწოლას არ ჰქონდა ადგილი და ჩაწერა კონკრეტული პიროვნებების სურვილის მიხედვით ხდებოდა. **„ხელმოწერები მე შევაგროვე. შევდიოდი კაბინეტებში, ვუხსნიდი სიტუაციას და ვინც თანახმა იყო, სიაში ვწერდი“,** — გვითხრა მან. მედდასთან საუბარი დირექტორმა შეგვაწყვეტინა. ის, ცოტა არ იყოს, შეცბა, როცა დამინახა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და კვლავ ძველი ჩვენება გაიმეორა: **„ არაფერი ვიცი. რა სიები მოაგროვეთ, ქალბატონო ნათელა?“**

**„ვის სურს პრეზიდენტთან შეხვედრა, ბატონო თემურ“,** — მიუგო დირექტორზე კიდევ უფრო მეტად დაბნეულმა და გაწითლებულმა ექთანმა.

**— როგორ, თქვენი მედდა მთელ პოლიკლინიკაში ხელმოწერებს აგროვებდა და არაფერი გაგიგიათ?** — ჩავეძიე დირექტორს.

— როგორ გეკადრებათ, როდესაც მედპერსონალი არასამსახურებრივი საქმიანობითაა დაკავებული, მე არ მეხება, თანაც ეს ქალბატონი ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის აქტივისტია.

**— სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს პარტიული საქმეებით დაკავება ნორმალურია?**

— ეს არ ხდებოდა დაწესებულების სახელით და, აქედან გამომდინარე, რა უფლება მაქვს, დავინტერესდე.

დირექტორის პოზიციის მოსმენის შემდეგ მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსს, ბატონ მამუკა ქაცარავას ვთხოვეთ კომენტარი.

**„სიები ნამდვილად მოვითხოვეთ, მაგრამ ამას სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა. პოლიკლინიკებთან დაკავშირებით ვაპირებთ ქონებრივი საკითხის გადაწყვეტას, კერძოდ, გარკვეული წესით კოლექტივებისთვის ამ დაწესებულებების გადაცემას, გვჭირდება მონაცემთა ზუსტი ბაზა, რათა შემდეგ არ მოხდეს საკადრო გაყალბებები და, აქედან გამომდინარე, გამოვითხოვეთ თანამშრომელთა ნუსხა“,** — გვითხრა ბატონმა მამუკამ.

**— ჩვენ ვიყავით რამდენიმე პოლიკლინიკაში და რასაც ახლა ამბობთ, ამაზე საერთოდ არ ყოფილა ლაპარაკი. დაგიკონკრეტებთ, რომ საუბარია პრეზიდენტის მხარდასაჭერ აქციაში მონაწილეობის მსურველთა სიებზე...**

— კონკრეტულად ამ საკითხზე მოთხოვნა არ გაგვიკეთებია. პოლიკლინიკებიდან ერთიანი სიები სულ სხვა მიზნისთვის გამოვითხოვეთ. რაც შეეხება თქვენს ნათქვამს, შეიძლება გარკვეული დავალება იყო, რადგან, როგორც ვიცი, პარტიის ყრილობა იგეგმება, არ გამოვრიცხავ, რომ სოციალური გამოკითხვის პრინციპით ეკითხებოდნენ ადამიანებს, აქვთ თუ არა ყრილობაზე დასწრების სურვილი. ჩვენს სამსახურს ცალ-ცალკე სიები არ მოუთხოვია.

**— თუ სიები შედგა პოლიკლინიკებისთვის ქონების გადაცემასთან დაკავშირებით, მაშინ რატომ დამალა №5 სამკურნალო ცენტრის დირექტორმა ეს ფაქტი?**

— ვერ გეტყვით, ვინ რა დამალა. შესაძლოა, თემურ სინჯიაშვილს მართლაც არ გადმოუცია სიები, რადგან ჩვენ იმ პოლიკლინიკებისგან მოვითხოვეთ ნუსხა, ვისაც მონაცემთა ბაზა არ ჰქონდა წესრიგში. არ უარვყოფ იმას, რომ იგეგმება პარტიის ყრილობა, მაგრამ ვერანაირ პრობლემასაც ვერ ვხედავ იმაში, რომ ვინმეს პოლიკლინიკაში ჩაეტარებინა გამოკითხვა, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში, ვის სურს ამ ყრილობაში მონაწილეობის მიღება.

**— თუ პრობლემას არ წარმოადგენს პრეზიდენტთან შეხვედრაში მონაწილეობის მსურველთა სიების შედგენა, რატომ დამალა ეს დირექტორმა, მით უმეტეს, რომ უფროსმა მედდამ დაგვიდასტურა?**

— როდესაც პოლიკლინიკის საკადრო საკითხებზეა საუბარი, მე ნამდვილად ექთანს და ექიმს არაფერს ვავალებ, მითითებას პირდაპირ დირექტორს ვაძლევ.

**— როგორ ფიქრობთ, დირექტორი დაიწყებდა კაბინეტებში სიარულს? ლოგიკურია, მან ეს მისია უფროს მედდას დააკისრა...**

— ვერაფერს გეტყვით. ჩვენ პოლიკლინიკებისგან მოვითხოვეთ იქ დასაქმებული ადამიანების საერთო ნუსხა.

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

**P.S. როგორც ხედავთ, კომენტარი ზედმეტია, მაგრამ ერთს კი ვიტყვით, თუკი ჩვენს ძვირფას პრეზიდენტს გულწრფელად სჯერა, რომ საკუთარი მოქალაქეების მიერ ლეგიტიმურად არჩეული პირველი პირია, მაშინ მათთან შესახვედრად არ უნდა სჭირდებოდეს არც წინასწარი სიების შედგენა და არც თანამდებობის პირებისთვის თითის დაქნევა. თუკი მისი ჩინოვნიკები ვერ მოახერხებენ სიების შესაბამისი რაოდენობის ხალხის მიყვანას სტადიონზე, თანამდებობებს დაემშვიდობებიან.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

### ვალტერ შურღაია:

# ომის ვეტერანებთან „მხედრიონელთა" გაიგივება და მათთვის პენსიების დანიშვნა დანაშაულია!

**„საქართველო და მსოფლიოს" რედაქციამ აღშფოთებულ მოქალაქეთა წერილები მიიღო. მოგვმართავენ უსახსრობით სიცოცხლემობეზრებული ომის ვეტერანები, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულ მეომართა გაღატაკებული ოჯახების წევრები. ისინი ხელისუფლებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა შეღავათის გაუქმებაში ადანაშაულებენ. თავიანთ რისხვას ვერ მალავენ იმის გამოც, რომ „მხედრიონელები" ომის ვეტერანებთან გააიგივეს და სამეგრელოს ექვსგზის ამწიოკებლებს, მძარცველებს, ყაჩაღებსა და სადისტ-მკვლელებს პენსიები დაუნიშნეს... ისტორია მეორდება — ილია ჭავჭავაძის მკვლელი, გიგლა ბერბიჭაშვილიც ხომ სიცოცხლის ბოლომდე პენსიას იღებდა!..**


ნუნუ უთურგაული


ნაზი ფახურიძე


კობა აბრამიშვილი


ნინა კვესაძე

**კობა აბრამიშვილი, ომის ვეტერანი (იბრძოდა აფხაზეთში), მეორე ჯგუფის ინვალიდი:**

— *70 წლის კაცი ვარ, უბინაო, სოციალურად დაუცველი. ჩაის სამხედრო მათარაში ვიდუღებ, მაქვს 1 ჩანგალი, 1 კოვზი, 4 ჭიქა და ძველი ტახტი, რომელზეც მძინავს. სულ ეს არის ჩემი ქონება.* სოციალური სამსახურის წარმომადგენლებმა რატომღაც 39 ქულა ჩამიწერეს, არადა სინამდვილეში 0 ქულა მეკუთვნის. ვერც გიგი უგულავამდე მივაღწიე და ვერც მამუკა ქაცარავამდე (სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი). ომში დაღუპულთა მემორიალთან ნინო ბურჯანაძეს შევხვდი. მინდოდა, მეთქვა, რომ მარტო გვირგვინის გასწორება და თავის ჩაქინდვრა არ არის საქმე. იმ დაფაზე შეიძლებოდა, ჩემი გვარიც ყოფილიყო ამოტვიფრული... 7 საათის განმავლობაში დამარხული ვიყავი, მეთაურმა აგუძერაში მიპოვა და ძლივს მომასულიერა. ბურჯანაძესთან სიტყვის სათქმელადაც არ მიმიშვეს. 7 წელია, ვიყინები, სარდაფს ვითხოვ, ტანზე წყლის გადავლება მენატრება... სანამ ამ მთავრობას არ მოვიცილებთ, ჩემისთანა ხალხს არაფერი ეშველება!

**გოგი სოიტაშვილი, ომის ვეტერანი (იბრძოდა სამაჩაბლოში):**

— ყველანაირი შეღავათი გაგვიუქმეს, პენსია მინიმუმიც კი არ გვაქვს. მიტინგებზე დავდიოდით, რათა ხმა აგვემაღლებინა უკანონობისა და უსამართლობის წინააღმდეგ. ცხოვრების საუკეთესო წლები სამხედრო ფორმით ბრძოლაში გავატარეთ, სამშობლოს წინაშე ვალი მოვიხადეთ, ნუთუ არანაირი შეღავათი არ გვეკუთვნის?!. ეტყობა, ქვეყანა გაკოტრდა, ფინანსები ამოიწურა! ამათ აქციები არ უშველის... ისეთი ხალხი გაატარეს რეგისტრაციაში, აფხაზეთი და სამაჩაბლო თვალითაც რომ არ უნახავთ! „მხედრიონელებს" ომის ვეტერანთა მოწმობები მისცეს და პენსიები დაუნიშნეს. ეს არის სამართალი?

**ნინა კვესაძე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული რამაზ მღებრიშვილის დედა:**

— მამაჩემი, მიხეილ კვესაძე დიდი სამამულო ომის ვეტერანი იყო. ერთადერთი მარჩენალი, ჩემი შვილიც, სამშობლოს შეეწირა. ვმუშაობდი ეკონომიკის სამინისტროში და როცა შტატების შემცირება დაიწყეს, შუამდგომლობისათვის საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს მივმართე, რათა მესარგებლა კანონით გათვალისწინებული შეღავათით (მარჩენალდაკარგულები შტატების შემცირებისას სამუშაოზე დატოვების უფლებით სარგებლობენ). ვეტერანთა დეპარტამენტმა ხელზე მომცა წერილი, რომლითაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს, ბატონ ალექსი ალექსიშვილს სთხოვს, დახმარება გამიწიოს კანონის შესაბამისად, სამინისტროში კი სხვა საბუთი გამოგზავნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ შეცდომით მომანიჭეს მარჩენალდაკარგულის კატეგორია. მოკლედ, ნუკრი ცაგარეიშვილისა (ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის უფროსი) და გია ბარამიძის (მისი მოადგილე) წყალობით უმუშევარი დავრჩი.

იმის ნაცვლად, რომ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს დაღუპულ მეომართა ხსოვნის პატივსაცემად ჩვენი უფლებები დაეცვა, მცირედი ყურადღების ღირსიც არ გაგვხადა. როგორ ვაკადროთ შვილმკვდარმა დედებმა ჩვენს შავ თავსაფრებს, თორემ ეგენი გასამართლების კი არა, ჩვენი ხელით დახვრეტის ღირსნი არიან!

**ნაზი ფახურიძე, შვილმკვდარი, მარჩენალდაკარგული დედა:**

— ერთადერთი შვილი მსხვერპლად შევწირე სამშობლოს. მისი სიკვდილის მერე კიდევ უფრო შემერყა ჯანმრთელობა. პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ, ონკოლოგიური ავადმყოფი. იმის გამო, რომ 2004 წელს ხელისუფლებამ ყველა შეღავათი გააუქმა, ტელეფონი სანახევროდ გამორთული მაქვს, გადასახადს ვერ ვიხდი. მითხრეს, უსინათლო უნდა იყო, შეღავათით რომ ისარგებლოო. მივიტანე ცნობა, რომ მხედველობა დაქვეითებული მაქვს, არც ამან გაჭრა... პირველ ლედის, სანდრა რულოვსს ვთხოვე დახმარება, რომელიც შემპირდა, ეტაპობრივად დაგიბრუნდებათ შეღავათებიო, მაგრამ მას შემდეგ უკვე ერთი წელი გავიდა. ოპერაციის მერე უფასოდ მაძლევდნენ „ტამოქსიფენს" (წამალი), ახლა ისიც წამართვეს...

**ნუნუ უთურგაული, შვილმკვდარი, მარჩენალდაკარგული დედა:**

— 2004 წლიდან, შეღავათების მონეტიზაციის შემდეგ, მარჩენალდაკარგულები თვეში 44 ლარს ვიღებთ. სიკვდილის შემდეგ „გორგასლის ორდენით" დაჯილდოებული მებრძოლების ოჯახებს თბილისის საკრებულო თვეში 200 ლარს აძლევდა, მაგრამ 2004 წელს ესეც გააუქმეს. რაც შეეხება სამედიცინო მომსახურებას, — ერთი ვეტერანთა ჰოსპიტალია. ექიმები ნამდვილად უანგაროდ გვემსახურებიან, მაგრამ წამლები, ბოდიშით!.. არ გვაქვს პოლისები, არ ვიცით, რა უნდა ვქნათ, თუ ოპერაცია ან სხვა სახის სამედიცინო დახმარება დაგვჭირდა. ზოგიერთი დაღუპული მებრძოლის ოჯახს „გაუმართლა" — სიღარიბის პროგრამაში მოხვდა. ჩვენ არ შეგვიყვანეს, რადგანაც სახლში ტელევიზორი, მაცივარი და სხვა საჭირო ნივთები აღმოგვაჩნდა. ისეთი ოჯახებიც არიან, მარჩენალი სამშობლოს რომ შესწირეს და თვითონ უპატრონოდ ლოგინს არიან მიჯაჭვულნი. 2007 წლიდან ვითხოვთ, გადმოგვცენ ჩვენ მიერ შერჩეული არასაცხოვრებელი ფართი, რათა უმუშევრები დავსაქმდეთ და შემოსავლის წყარო გავიჩინოთ. კოლექტიური წერილი გავუგზავნეთ პრეზიდენტს. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. აღნიშნული ფართი სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ჩვენთვის გადმოეცათ პირდაპირი მიყიდვის წესით, მაგრამ ეკონომიკის სამინისტრომ უარი გვითხრა, არც იჯარაზე დაგვთანხმდნენ, რადგანაც უკვე შეიტანეს აუქციონზე გასატან საპრივატიზაციო სიაში... აი, ასე „ზრუნავს" სახელმწიფო მარჩენალდაკარგულებზე.

**— რატომ გაუქმდა 1996 წელს მიღებული კანონი და შეღავათები? იბრძოლეთ თუ არა ომის ვეტერანთა და მარჩენალდაკარგულთა ინტერესების დასაცავად?**

**ამ კითხვებზე საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის უფროსმა ნუკრი ცაგარეიშვილმა გვიპასუხა:**

— ვეტერანთა დეპარტამენტი იმთავითვე წინააღმდეგი იყო კანონისა და შეღავათების გაუქმებისა, მაგრამ ჩვენ არავინ მოგვისმინა.

**— ვის მიმართეთ?**

— წერილები გავუგზავნეთ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, პარლამენტის მაშინდელ თავმჯდომარეს, მაგრამ ამაოდ.

**— რატომ არ იბრძოლეთ ვეტერანთა ინტერესებისთვის?**

**(საუბარში ჩაერთო ბატონი ჯანრი უზირია, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე).**

— საქვეუწყებო ორგანიზაცია ვართ, ჯანდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებული, მათ თავზე ვერ გადავახტებით, ვერც საკანონმდებლო ინიციატივებით გამოვალთ და ვერც შესაბამის კომიტეტში დავიცავთ თავს.

**— რატომ არ მიმართეთ ჯანდაცვის სამინისტროს?**

— ვინ გითხრათ, რომ არ მივმართეთ? ეს საკითხი არაერთხელ დავაყენეთ ჯანდაცვის სამინისტროს წინაშე, შეხვედრებიც გვქონდა სხვადასხვა კომიტეტებში. 2005 წლის 23 დეკემბრის კანონში შეტანილი ცვლილებით, მართლაც, ძალიან ბევრი შეღავათი გაუქმდა. შესაბამისი რეაგირება მოვახდინეთ, ყველას მივმართეთ, ვისაც ეს საკითხი ეხებოდა, მაგრამ არც მოგვისმინეს.

**— ახლა რას აკეთებთ, შეეგუეთ დამარცხებას?**

— ბრძოლას ვაგრძელებთ. ჯანდაცვის სამინისტროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრი მეც ვარ. უკვე მოვამზადეთ კანონპროექტი, რომელიც განხილვას ექვემდებარება.

**— ბატონო ნუკრი, ვეტერანები ჩივიან, ისეთი ხალხი გაატარეს რეგისტრაციაში, აფხაზეთი და სამაჩაბლო თვალით არ უნახავთო... რით იმართლებთ თავს?**

— არ აქვს მნიშვნელობა, რა პერიოდში დაიღუპა ან დაიჭრა ადამიანი. თუ იგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ბრძოლას ემსახურებოდა ან ამ მიზეზით დაზარალდა, ომის ვეტერანის სტატუსი უნდა მიენიჭოს, ეს ჩვენი დეპარტამენტის წინადადებაა.

**— ხალხი განრისხებულია იმის გამო, რომ „მხედრიონელებს" ომის ვეტერანის მოწმობები მიეცით და პენსიები დაუნიშნეთ.**

— „მხედრიონელებმა" გარკვეული მსხვერპლი გაიღეს, ამიტომაც გადავწყვიტეთ, კომისია შეგვექმნა და ყველასათვის მიგვენიჭებინა ომში ნაომარი კაცის სტატუსი.

**ვალტერ შურღაია:**

— ექვსგზის დალაშქრეს მხედრიონელებმა სამეგრელო, ბიჭებს ქუჩებში კლავდნენ, სასქესო ორგანოებს აჭრიდნენ, ტყვედ მიჰყავდათ და მათ გამოსასყიდად ოქროს ნივთებს ითხოვდნენ... ერთი შემთხვევა გამახსენდა... მეზობლებმა და ნათესავებმა შეაგროვეს რაც რამ ებადათ და „მხედრიონელებს" მიუტანეს, მათ კი მამას მკვდარი შვილი გაატანეს. ერთ ოჯახს ფული მოსთხოვეს, კაცმა უთხრა, არა მაქვსო. მაშინ ქალიშვილს გაგიპატიურებთო. მამამ გოგონას ღირსების დაცვა სცადა და მოკლეს. რომელი ერთი ჩამოვთვალო, მოსახლეობას უმოწყალოდ ძარცვავდნენ...

**— „მხედრიონელების" ომის ვეტერანებთან გაიგივებაზე რა აზრის ხართ?**

— მათი გაიგივება ვეტერანებთან დანაშაულია. სამეგრელოს დალაშქვრაში მთელი „მხედრიონი" მონაწილეობდა, ათასობით კაცზეა საუბარი, მთელი არმია იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, არც კი აღიარებენ თავიანთ დანაშაულს... აფხაზეთის ტერიტორიაზე გამართულ ზოგიერთ ბრძოლაში თავი დადებითადაც წარმოაჩინეს, მაგრამ იმ სირცხვილს, რაც სამეგრელოში ჭამეს, როგორ ჩამოირეცხავენ?

**— მეგრელებს დღემდე ახსოვთ... ან რა დაავიწყებთ, როგორ აძრობდნენ ცოცხალ ადამიანებს ტყავს და ოქროს კბილებს, სადისტურად აწამებდნენ და აუთოებდნენ. ომის დროს მოპარული ჭაღები და მანქანები მოჰქონდათ...**

— ნორმალური ფსიქიკის მქონე ადამიანი ვერ დაიჯერებს, რასაც ისინი აკეთებდნენ... ჯემალ შამათავა „მხედრიონელებმა" სამტრედიაში დაიჭირეს და აწამეს, მაგრამ მისგან საიდუმლოს „ამოქაჩვას" კი არ ცდილობდნენ, გინდა თუ არა ზვიად გამსახურდიას შეაგინეო, უკიჟინებდნენ. ნაწამები ჯემალი იხვეწებოდა, წყალი მაინც დამალევინეთო... იცით, რა უთხრეს?.. მოშარდე და დალიე, მეტის ღირსი არა ხარო...

„მხედრიონმა" სასტიკად დასაჯა თენგიზ (კიროკი) ბულიაც იმის გამო, რომ ზვიადს არ შეაგინა, საბრალოს ჯერ ერთი ხელი მოსჭრეს, მერე — მეორე, ხელებს ფეხები მიაყოლეს და ასე წამებით, ნელ-ნელა ამოჰხადეს სული. მხატვარი ვახტანგ ნოდია იმის გამო, რომ გამსახურდია დახატა, ასო-ასო აქნილი გამოგვიგზავნეს ზუგდიდში, გვამი ექიმებმაც კი ვერ ააწყეს.

ნუთუ ამის მერე სირცხვილი არ არის, გმირების რანგში აიყვანო ყაჩაღები და ომის ვეტერანთა გვერდით დააყენო? მე „მხედრიონის" შემქმნელის ნამდვილი სახე ჯერ კიდევ 1989 წელს დავინახე...

**— სად და რა ვითარებაში?**

— ვოვა ვეკუა, ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ღირსეული წარმომადგენელი, მეორე მერაბ კოსტავა, 1989 წლის 15 თუ 16 ივლისს (კარგად არ მახსოვს) აფხაზებმა ცემით მოკლეს — დალურსმული ფიცარი ურტყეს. ბატონ ვოვას დასაფლავებაზე, სოხუმში, ჯაბამ ჩვენი ნახვა მოისურვა. მე და ზაურ ქობალიას ქალაქგარეთ, მეჩხერ ტყეში დაგვინიშნა შეხვედრა.

**— რაზე ისაუბრეთ?**

— „მხედრიონს" ვქმნიო, გვითხრა. ეს ორგანიზაცია ეროვნული მოძრაობის უმთავრესი ძალა იქნება და თქვენც გაწევრიანდითო... როგორ აპირებ ხალხის შეგროვებას-მეთქი, ვკითხე.

**— რა გიპასუხათ?**

— გაზეთში „კომუნისტში" განცხადებას გამოვაქვეყნებ და მსურველებს „მხედრიონში" გავაწევრიანებო, მითხრა. კი მაგრამ, არასასურველი ხალხიც ხომ მოგაწყდებათ, შემოგზავნილებსაც რას უზამთ-მეთქი. ნუ გეშინია, მე მოვუვლიო. **„მხედრიონში" გაწევრიანებაზე უარი რომ ვუთხარით, გვთხოვა, აქ მაინც დამეხმარეთ, სოხუმში რამე ავაფეთქოთ, მაგალითად, მწერალთა კავშირის შენობაო... აი, „მხედრიონის" ლიდერის ნამდვილი სახე და მისი ორგანიზაციის სამოქმედო პრინციპები!** კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სამეგრელოს ექვსგზის ამწიოკებლების, მძარცველების, ყაჩაღებისა და სადისტი მკვლელების გათანაბრება ომის ვეტერანებთან და მათთვის პენსიის დანიშვნა, დანაშაულის ტოლფასია.

**ნინო გოძიაშვილი, ნანა მაღლაკელიძე**

**„მხედრიონმა" კიროკი ბულიას სასტიკად დასაჯა, ზვიადს რომ არ შეაგინა, საბრალოს ჯერ ერთი ხელი მოსჭრეს, მერე — მეორე, ხელებს ფეხები მიაყოლეს და ასე წამებით, ნელ-ნელა ამოჰხადეს სული. მხატვარი ვახტანგ ნოდია იმის გამო, რომ გამსახურდია დახატა, ასო-ასო აქნილი გამოგვიგზავნეს ზუგდიდში, გვამი ექიმებმაც კი ვერ ააწყეს.**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ილია მეორე:

# რწმენის წართმევა — ეს არის ადამიანის დაღუპვა

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის შოთა ნადირაშვილის საუბარმა, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ ეთერით გადაიცა, ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მსმენლის გულისყური მიიპყრო ორი ბრძენი ადამიანის განსჯამ ისეთ საკაცობრიო თემებზე, როგორიცაა მამებისა და შვილების ურთიერთობა — უფროსი თაობის მიმართ დამოკიდებულება და წარსულის პატივისცემა; ბრძოლა ავტორიტეტებთან, დაუფიქრებელი „ნულოვანი ტოლერანტობა“ და „ყველანი ციხეში“, რაც ქართულ გენოფონდს კატასტროფით ემუქრება; ეროვნულ ფასეულობებში გაურკვეველი ახალგაზრდების უცხო ქვეყნის ფსევდოკულტურით მოხიბვლა და გადაგვარება; და, რაც მთავარია, რწმენის წართმევა, რასაც მიზანმიმართულად ცდილობენ ადამიანის, როგორც ღირებულების, დაღუპვის მიზნით. ასეთ დროს უპირველესად უნდა ვიცოდეთ, „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“ (ილია), რათა არ ავცდეთ ჭეშმარიტების გზას.**

**როგორც გადაცემის — „საუბრები პატრიარქთან“ — პროდიუსერმა ქეთევან დუმბაძემ „საქართველო და მსოფლიოს“ განუცხადა, ეს იყო პირველი ცდა, რომელმაც გაამართლა და საზოგადოებრიობის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება საფუძველს აძლევთ, სექტემბრიდან განაახლონ „საუბრები“. პროექტის მიხედვით, პატრიარქთან შეხვედრის შესაძლებლობა მიეცემათ ახალგაზრდებს და ინტელიგენციის წარმომადგენლებს. გადაცემის რეჟისორია ნიკოლოზ არიშვილი. ქალბატონი ქეთევან დუმბაძე თავაზიანად დაგვთანხმდა, რომ პირველი გადაცემის საგაზეთო ვარიანტი ექსკლუზიურად „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულიყო.**



## შოთა ნადირაშვილი:

# ჩვენი სახელმწიფოს მოწოდება, რომ დავსაჯოთ, ბოროტებად მიმაჩნია

**ილია მეორე:** სიკეთე იწყება ღვთისგან. წმიდა იოანე ღვთისმეტყველი ამბობს, რომ ღმერთი არის სიყვარული. თუ ღმერთი სიყვარულია, ყოველი არსება, რომელიც დაუახლოვდება ღმერთს, ეზიარება ამ სიყვარულს. თუ სიყვარულია, მას ახლავს სიკეთე. არ შეიძლება, რომ სიყვარული არსებობდეს ადამიანში და სიკეთე არ აკეთოს.

**შოთა ნადირაშვილი:** ჩვენ, მეცნიერები, კიდევ სხვა გზით და სხვა გამოცდილებით მივედით სწორედ იმ შეხედულებამდე, რომ სხვისთვის სასარგებლო საქმის კეთება არის თვითონ ადამიანის შინაგანი სამყაროს მაღალ დონეზე ასვლა. ერთმანეთს აძლიერებენ მოსიყვარულე ადამიანები, მაგრამ, ამავე დროს, ალბათ, ადამიანი ვალდებულია, ვისაც არ უყვარს, შეაცვლევინოს შეხედულება თავისი სიყვარულით. ასე რომ, ჩვენს სფეროშიც, რაც უნდა ბევრი ემუშავათ, მივდივართ იმ დიდ ჭეშმარიტებებთან, რომელიც ღმერთის მიერაა ნაბოძები და ნათქვამი.

**ილია მეორე:** სიყვარული ძალიან ხშირად სხვადასხვანაირად ესმით ადამიანებს. ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ დღეს სიყვარულის შესახებ, განსაკუთრებით, ახალგაზრდობაში. დღეს, სამწუხაროდ, ბავშვები ხშირად არამარტო შეურაცხყოფას აყენებენ ერთმანეთს, არამედ ფიზიკურად უსწორდებიან. რა არის ეს, სიყვარულის უქონლობა თუ ბოროტია დაუფლებული ადამიანით?! არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი იმყოფება სხვადასხვა ძალების გავლენების ქვეშ; უპირველეს ყოვლისა, ღვთის გავლენის ქვეშ, რა თქმა უნდა. და ბოროტი ძალების ქვეშ შეიძლება მოხვდეს ადამიანი. ბევრი რამ არის დამოკიდებული ოჯახზე და გენებზე. მე გავიზარდე ისეთ ოჯახში, რომ არ გამიგონია ჩემი დედ-მამის ხმამაღლა ნათქვამი სიტყვები. ასეთი მორიდება ჰქონდათ ერთმანეთისა და ბავშვებს ასე ზრდიდნენ.

მე წაკითხული მაქვს ერთი საოცარი შემთხვევის შესახებ. ეს მოხდა რუსეთის რევოლუციამდე. იყო ძალიან კარგი ოჯახი — ცოლი და ქმარი. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ეს სიყვარული გამოვლინდებოდა ყველაფერში. ძალიან ცდილობდნენ, რომ სიხარული მოეტანათ ერთმანეთისთვის, მაგრამ ამ სიყვარულში ჩაერია რაღაც ბოროტი ძალა და მეზობელს შეუყვარდა ეს ქალი. ძალიან ეცადა, მაგრამ ვერაფრით დაითახმა ეს ქალბატონი ცოდვის გასაკეთებლად და ბოლოს მოკლა მისსავე სახლში იმ დროს, როცა ქმარი შინ არ იყო. სისხლში იწვა ეს ქალი და ამ დროს შემოვიდა ქმარი. პირველი, რაც მან გაიფიქრა იყო ის, რომ შური ეძია. ამ დროს მკვლელი იჩოქებს მის წინ და ეუბნება, ძალიან მიყვარდა თქვენი მეუღლე, მაგრამ ვერაფრით ვერ დავითანხმე და ამიტომ მოვკალიო. ისე იმოქმედა ამის აღიარებამ თუ აღსარებამ, რომ ეუბნება მკვლელს, — წადი სახლშიო. დაკეტა თავისი სახლი ქმარმა, წავიდა პოლიციაში და უთხრა, ცოლი მოვკალიო. როგორი ბუნებაა ამ ადამიანში? ესე იგი სხვის ცოდვას იღებს თავის თავზე. ამის გამო დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს, სადაც წლების მანძილზე იმყოფებოდა და იქაც იყო შემთხვევა, რომ მკვლელობა მოხდა და თავის თავზე აიღო. ეკითხება მოძღვარი, რატომ გააკეთე ეს, რატომ აიღე შენს თავზეო. მან უპასუხა, მე მინდოდა სხვისი სიმძიმე მეტვირთაო. ესე იგი, იმდენად დიდი იყო მისი სიყვარული ადამიანისადმი, რომ ასეთი ნაბიჯი გადადგა.

თანამედროვე ადამიანისთვის ეს სრულიად მიუღებელი და გაუგებარია. არიან ასეთი ადამიანები. რა თქმა უნდა, ეს იშვიათად შეიძლება მოხდეს. პავლე მოციქულს აქვს შესანიშნავი სიტყვები — „ერთმანეთის სიმძიმე იტვირთეთ და ასე აღასრულეთ რჯული იგი ქრისტესი“. ადამიანსაც ბევრი არ შეუძლია, თავისი სიმძიმეც გააჩნია და მაინც უნდა იტვირთოს სხვისი სიმძიმე.

საოცარი ის არის, როგორ განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისგან. არის ადამიანი, რომლის გულშიც შეიძლება მთელი მსოფლიო ჩაეტიოს და არის ადამიანი, რომლის გულში ოჯახის წევრები ვერ ეტევიან. სოხუმში იყო ასეთი შემთხვევა: გათხოვდა ქალიშვილი, წავიდა და სხვაგან ცხოვრობდა. მერე გაუჭირდა, ბინა არ ჰქონდა და დაბრუნდა დედასთან თავისი ქმარ-შვილით. მე ვიცნობდი ამ ადამიანს. ცოტა ხნის შემდეგ ეუბნება ქალიშვილი თავის დედას, წადი სახლიდანო. სად წავიდეო და, სადაც გინდა, იქ წადიო. იყო შემთხვევა, როცა რკინიგზის სადგურში გაატარა ღამეები. მერე დაბრუნდა. თუ არ წახვალ, ფანჯრიდან გადაგაგდებთო, — შვილი ეუბნება თავის დედას. საქმე მივიდა სასამართლომდე. სასამართლომ დედას დაუტოვა ბინა. აი, ასეთი ბოროტება შეიძლება გამოვლინდეს.

ყველაზე დიდი ძალა, რომელიც არეგულირებს ადამიანის მოქმედებას და ცხოვრებას, ღვთის რწმენაა. რწმენის წართმევა, ეს არის ადამიანის დაღუპვა. დღეს ძალიან ხშირად ლაპარაკობენ, რომ ჩვენ უნდა დავიცვათ ბავშვების უფლებები. რა თქმა უნდა, უნდა დავიცვათ, წესიერად აღვზარდოთ და ვასწავლოთ. კანადაში ვიყავი და იქ გვიამბობდნენ: ბავშვი ურეკავს პოლიციას, რომ ჩემი დედა მიჯავრდება ან მცემსო. რა ურთიერთობა უნდა იყოს შვილებსა და მშობლებს შორის ამის შემდეგ? საერთოდ, მარადიული პრობლემაა მშობლებსა და შვილებს შორის, თაობათა შორის ურთიერთობა. უნდა გვახსოვდეს ერთი მცნება, რომელიც მოგვცა უფალმა, „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა“. ეს არის ღვთის კანონი. თუ ადამიანს უნდა, რომ ბედნიერი იყოს ამ ქვეყანაზე, მან უნდა სცეს პატივი მამასა თვისსა და დედასა თვისსა. წმინდა მამები ამბობენ, რომ აქ იგულისხმება არა მარტო მშობელი, — უფროსი თაობა იგულისხმება. აი, ეს უნდა იცოდნენ ჩვენმა ახალგაზრდებმა. ზოგიერთს ჰგონია, რომ სანამ ცოცხალია, პატივი უნდა სცეს და მერე უნდა დაივიწყოს დედ-მამა. ესეც არ არის სწორი. გარდაცვალების შემდეგ აუცილებლად უნდა იყოს სულთა კავშირი მშობლებსა და შვილებს შორის. ლოცვა უნდა შესრულდეს მშობლებისთვის, საკურთხი უნდა იყოს მათთვის გაკეთებული. მათ სახელზე შეიძლება გაჭირვებულ ადამიანებს დაეხმარონ და ასე შემდეგ.

მე, მაგალითად, სტუდენტობისას სულ ვფიქრობდი, მათთან ჩასვლისას რით გამეხარებინა ჩემი მშობლები. რაღაცას აუცილებლად ვუყიდიდი და ბავშვებივით უხაროდათ, როცა ამ საჩუქრებს ჩავუტანდი. ახლა, რა თქმა უნდა, გარდაცვლილია ჩემი დედ-მამა და დღეს მე მაქვს მათი სურათი კედელზე. ორივე ერთად არის გადაღებული და ხანდახან დავუდებ შოკოლადებს ან ხილს, ან რაღაცას და ვეუბნები მიირთვით-მეთქი. როგორც ცოცხლებს, ისე მივმართავ. მერე ვაძლევ დედებს, რომ მიირთვან.

**შოთა ნადირაშვილი:** თქვენ მშობლებთან ურთიერთობაზე რომ თქვით, ჩემი მეცნიერება ასე ამბობს: 6-7 წლამდე ბავშვებისთვის მშობლებია ყველაზე დიდად მისაბაძი. და ისეთები ხდებიან, როგორც მშობლები არიან. მშობლები უნერგავენ მათ გარკვეულ დამოკიდებულებებს და განწყობებს. 6-დან 12 წლამდე მასწავლებლის გავლენა უფრო მეტია და ზემოქმედების უფრო მეტი ძალა აქვს ავტორიტეტის თვალსაზრისით, ვიდრე მშობელს. მშობელთან სიყვარული სულ სხვანაირ ურთიერთობებს ბადებს და საზოგადოებრივ ურთიერთობებში მასწავლებლის დამოკიდებულებები მეტ ძალას იძენს. მერე უკვე ორივე კარგავს წამყვან როლს. 12-დან 16 წლამდე ბავშვებს უნდათ, რომ თვითონ გახდნენ პიროვნებები, თავისი „მე“ ჩამოიყალიბონ და ამიტომ არა მშობლისგან ან მასწავლებლისგან, არამედ განსაკუთრებით თანატოლებისგან ეძებენ აღიარებას. ისინი აღარავის არ უჯერებენ, მათთვის არავინ არაა მისაბაძი, თვითონ უნდათ, რომ მისაბაძნი გახდნენ. ამ დროს მათ შველა უნდათ, რომ მიეცეთ საშუალება, თავისი კარგი მხარე გამოავლინონ. თუ არადა, ცუდად გამოავლენენ. მათი ციხეში ჩასმა ეს არის უდიდესი ბოროტება. ბოროტებას ბოროტებით რომ უპასუხებ, ის უფრო მტერი ხდება მთელი ჩვენი სახელმწიფოსი, დამსჯელი ორგანოების. ციხეში ჩასმით მისი განვითარების გზა ყოვნდება და 12 წლის თუ დაიჭირეს და 22 წლის გამოვა, პიროვნულად და სულიერად ისევ 12 წლისა იქნება. ამიტომ ჩვენი სახელმწიფოს მოწოდება, რომ დავსაჯოთ, ბოროტებად მიმაჩნია. მერე ბავშვები უკვე ხდებიან მიმბაძველები საზოგადოებაში ცნობილი ხალხისა.

ჩემმა მეცნიერებამ ეს დაკვირვება გააკეთა, მაგრამ გამორჩა, რომ მთელ ამ პროცესში ღვთის რწმენა თვითონ იმ ავტორიტეტებს აძლიერებს. სიკეთის ქმნა მშობლისა, მასწავლებლისა, შემდგომში — ცნობილი ადამიანებისა, სიკეთის ზემოქმედება კიდევ უფრო ძლიერი ხდება, თუ ჩვენ ეკლესიას, მორწმუნეობას ვაქცევთ კიდევ ერთ დიდ ძალად, რომელიც სულ გაჰყვება დაბადებიდან ოც წლამდე, სანამ პიროვნებად ჩამოყალიბდება.

**ილია მეორე:** ახლა, თქვენი საუბრის დროს წარმოიშვა ჩემს გონებაში, რამდენად საჭიროა ავტორიტეტი ახალგაზრდებისთვის? ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ პერიოდში, როცა ძალიან ხშირად ავტორიტეტებს ებრძვიან. ავტორიტეტი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის იდეალურია ყველაფერში. უნდა ვიფიქროთ, ვინ ვართ ჩვენ და საით მივდივართ. ჩვენ ძალიან ხშირად ვაიდეალებთ ჩვენს წარსულს, ჩვენს წინაპრებს. შეიძლება ისეთი თავისუფალი — არა, როგორც დღეს არის ხალხი, მაგრამ ისინი დიდი ადამიანები იყვნენ. მათ მიტევებაც იცოდნენ და სიყვარულიც... ცოდვას როცა ჩაიდენდა ადამიანი, მას მიაჩნდა, რომ ის არის ცოდვა. ეს სინანულის გრძნობა მუდამ იყო მასში. დედამიწაზე არ არსებობს უცოდველი ადამიანი, არც ყოფილა და არც იქნება. მაგრამ, როგორც წმიდა ბასილი დიდი ამბობს, მთავარი ის კი არ არის, რომ ადამიანი დაეცა, მთავარია, რომ ის ადგა იმ ცოდვიდან. ადამიანი არ უნდა შეურიგდეს ცოდვას. ცოდვა ცოდვად უნდა მიაჩნდეს და ადრე თუ გვიან უნდა განთავისუფლდეს იმ ცოდვისგან და იმ ვნებებისგან.

ძალიან ხშირად ახალგაზრდებს აგზავნიან მშობლები უცხოეთში, იმ დროს, როცა განმტკიცებული არ არიან თავის ეროვნულ ფასეულობაში, არ იციან, რა არის ეროვნული ფასეულობა, რამ გადაარჩინა საქართველო. რომის იმპერია დაეცა, ბიზანტია დაეცა, მრავალი სხვა დაეცა, საქართველო არსებობს. რატომ? რა, ჩვენ სხვებზე მეტად ძლიერები ვიყავით? როცა ადამიანი მტკიცედ არ დგას თავის ფუძეზე, თავის წინაპრების ფასეულობაზე და ის ხვდება უცხო ქვეყანაში, უცხო კულტურაში და უცხო წეს-ჩვეულებაში, ხდება მისი გადაგვარება — ღებულობს იმ კულტურას, რომელიც იქ არის. ჩვენ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ არსებობს კულტურა და არსებობს ფსევდოკულტურა, ძალიან ხშირად ადამიანი ვერ განასხვავებს, სად არის კულტურა და სად არის ფსევდოკულტურა, სად არის მუსიკა და სად არის ფსევდომუსიკა.

მთავარი ის არის, რომ ჩვენმა ხალხმა გაიგოს, სად არის ჭეშმარიტება. მაცხოვარი ამბობს, „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება“.

გზა, სად არის ჩვენი გზა, ეს უნდა ვიცოდეთ.

**(იბეჭდება მცირედი შემოკლებით)**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ფრთხილად, პედერასტები მოვიდნენ!

**წინა კვირას ქართულ საინფორმაციო სივრცეში მთავარი ახალი ამბავი ბერლინში „გრეჩიხასა“ და გამყრელიძის კახა თარგამაძესთან შეხვედრა და პედოფილიაში არაერთგზის ეჭვმიტანილი პოპვარსკვლავის მაიკლ ჯექსონის გარდაცვალება იყო. ქვეყნის სუვერენიტეტი და სახელმწიფოებრიობა გვიკვდება თვალსა და ხელს შუა და ჯექსონის სიკვდილს როგორმე გადავიტანთ. თარგამაძისა და „გრეჩიხა“-გამყრელიძის „ბერლინალეც“ დიდი ვერაფერი ახალი ამბავია. მერე რა, რო შეხვდნენ? დიდი დიდი, ერთი „ლიმონი“ მიეცა კახას „გრეჩიხასათვის“, მაგრამ ან გამყრელიძე-გაჩეჩილაძის დუეტი რისი მაქნისია, რისი მაქნისია ან კახას „ლიმონი“? ერთი კი არადა, ბარემ შვიდი „ლიმონიც“ მისცა ოპოზიციას პატარკაციშვილმა, მაგრამ რა ხეირი, ვის რა ხახვი დააჭრეს ყურებზე? ვერ ვისწავლეთ ჭკუა ქართველებმა, კვლავ ლოქოსავით წამოვეგებით ხოლმე ხელისუფლების სააგიტაციო ანკესზე. ოპოზიციის ბერლინურ ვოიაჟსა და მოპედოფილო პოპვარსკვლავის გარდაცვალებაზე გაცილებით მნიშვნელოვანი ის ამბავია, რაზეც ქვემოთ უნდა მოგითხროთ. თხრობის სტილს საქართველოს პრეზიდენტს დავესესხები და, როგორც მას სჩვევია ხოლმე, გახარებთ — ვაშა, „პირველად საქართველოში“ ქართველ ჰომოსექსუალებს საკუთარი საიტი აქვთ!**



დიახ, ინტერნეტსივრცეში გაჩნდა საიტი, რომელიც მთლიანად ქართველი ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების თემაზე მუშაობს.

ეს ინფორმაცია რომ გავიგე, მეც იგივე გავიფიქრე, რაც თქვენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მე კახეთში ვიზრდებოდი და ჩემი ფიქრებიც, შესაბამისად, კახურად ყალიბდება ხოლმე.

ამიტომაც ახლა ყველა ჩემს ნაფიქრალს ვერ დავწერ, უბრალოდ, შევეცდები, ავხსნა და განვმარტო, თუ რატომ არ შეიძლება ამ საიტის არსებობა და დაგიმტკიცოთ, რომ ეს ჩემი ფიქრები აზიატობის ბრალი არაა!

ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამ საინფორმაციო საშუალების (ინტერნეტსაიტის) ძირითადი მომხმარებლები საქართველოში **არასრულწლოვანები** არიან!

რამდენად საშიშია ზემოხსენებული საიტი, ამის გასარკვევად დავძლიე თავმოყვარეობა, შევედი საიტზე და დავრეგისტრირდი, რომ ყველა გვერდზე შესვლის უფლება მომეპოვებინა. პირველ გვერდზე სიახლეებია: სად დაარბიეს გეიაღლუმი, რომელ ქვეყანაში მიიღეს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის ამკრძალავი კანონი და ა.შ.

პირველი თემა, რა თქმა უნდა, მაიკლ ჯექსონის გარდაცვალებაა.

მომდევნო სტატიების სათაურებია: „ინდოეთი გეი-პარადისთვის ემზადება“, „ისრაელი და გეი-კულტურა“, „ევროვიზიის გამარჯვებულმა გეი-პარადის დარბევა დაგმო“ და კიდევ ათასი სტატია.

მარჯვენა მხარეს დევს რუბრიკა „თემა“ (გადაბრუნდა საფლავში ვლად ლისტევი!), რომელშიც ასეთ სათაურებს ნახავთ: „საზაფხულო საკვები ბიჭებისთვის“, „ზაფხული და კანის მოვლის აუცილებელი წესები“ და მისთ.

ახლა გადავიდეთ ყველაზე საინტერესოზე: საიტზე მოქმედებს გაცნობის კლუბი! შეხვალ, დადებ შენს სურათს და, თუ მოეწონები ვინმეს, გამოგეხმაურება და წავიდა გრიალი და ერთი ადგილის ტრიალიიიიი!

ნებისმიერი თანამედროვე საიტი წარმოუდგენელია ფორუმის გარეშე, მით უმეტეს, ისეთ ჭორიკანა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა და, მით უმეტეს, ისეთ ჭორიკანა მამაკაცებში, როგორიც ჰომოსექსუალები არიან! შესაბამისად, ამ საიტსაც აქვს ფორუმი.

აი, მაგალითად, ერთ-ერთი წევრის, toka-ს თემა ფორუმზე განყოფილებაში „ზოგადი დისკუსიები“: „ვის უნდა ლოვე ვის უნდა მთელი ცხოვრება კაცთან ერთად იცხოვროს და უყვარდეს მოდი აქ დავწეროთ ჩვენი პატარა დახასიათება და დახასიათების ბოლოში სკიპე ან ემაილი რითაც შეიძლება მოგვმართონ დაინტერესებულმა პირებმა“.

ამ თემას პირველი თვითონ toka ეხმიანება და ახლა რასაც წაიკითხავთ, გული არ გაგისკდეთ:

**„მე ვარ 16 წლის ბიჭი ვეძებ 16, 17, 18, 19 წლის ბიჭს როგორც ლოვე ვისაც შევიყვარებ და ვისაც ვეყვარები ესე ვერ დავკონკრეტდები ჩემს თავზე მოდი სკიპეში დამამატე და იქ დამისვი ნებისმიერი კითხვა რაც გაინტერესებს ჩემზე ვეძებ ლოვე ბიჭს...“**

16 წლის ბიჭი!

ესაა ჩვენი მომავალი?

ესაა ჩვენი „გენოფონდი“ და ამისთვის ვჩალიჩობთ, რომ რამეს მივაღწიოთ? ვაი ჩვენს პატრონს!

მეტს აღარ გავაგრძელებ, დანარჩენი არც მაქვს ნანახი — თავმოყვარეობას დავძლევდი როგორღაც, მაგრამ გულისრევის შეგრძნებას ვერაფერი მოვუხერხე.

**ცნობისათვის: 2009 წლის 16 ივნისს ლიტვის პარლამენტმა, სეიმმა საბოლოო მოსმენაზე ხმათა უმრავლესობით (სამოცდაშვიდი სამის წინააღმდეგ) მიიღო კანონი, რომლის თანახმად, ინფორმაცია „ჰომოსექსუალიზმისა და ბისექსუალიზმის“ შესახებ დამღუპველად მოქმედებს არასრულწლოვან მოზარდებზე და ასეთი სახის ინფორმაციის გავრცელება უნდა აიკრძალოს ახალგაზრდობისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში. ეს მოხდა ლიტვაში, სახელმწიფოში, რომელიც როგორც ნატოს, ასევე ევროკავშირის წევრია, ქვეყანაში, რომელიც ჩვენი მეგობარია და რომელსაც ყველაფერში ვბაძავთ...**

**სანამ ოპოზიციის შიშით ორღობე-ორღობემავალი ჩვენი პარლამენტი ასეთ კანონს მიიღებს, ბევრი წყალი ჩაივლის, მაგრამ უნებურად გახსენდება ერთი შედარება: ვეჟო, ამ მამათმავლებმა და ლესბოსელებმა მაინცდამაინც „ძირს სააკაშვილი“ უნდა დაიძახონ, რომ მათი პარპაშით ყოვლისმომსმენი მერაბიშვილი დაინტერესდეს? აგვისტოს მოვლენებისას მერაბიშვილის უწყებამ ისე იყოჩაღა, რომ ერთ საათში რუსულ ინტერნეტსაიტებზე შესვლა შეუძლებელი გახდა. არ მგონია, მერაბიშვილის უწყება თვლიდეს, რომ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა ქვეყანას რაიმე ხეირს მოუტანს და სწორედ ამ საიტის ხშირი მომხმარებლები დაგვაბრუნებენ სოხუმსა და ცხინვალში. საინტერესოა, ამათი (საიტის, რომელიც აშკარად ეწევა მამათმავლობისა და ლესბოსელობის პროპაგანდას და რომელზე შესვლაც ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე შეიძლება) დაბლოკვა რა გახდა?!**

შეიძლება, მითხრას კიდევაც ვინმემ, რას ერჩი, უკანალი თავისია და ვისაც უნდა, იმას მისცემს! რატომ აგინებო? მაგრამ რას გეტყვით, იცით? მე მაგათი უკანალი არანაირად არ მაინტერესებს, უბრალოდ, არ მინდა, ჩემი შვილი ინტერნეტში ძრომიალისას ამ საიტს გადააწყდეს...

საიტის ქვემოთა მხარეს მითითებულია: საიტი შექმნილია ფონდი ინკლუზივისა და COC Netherlands-ის მხარდაჭერით.

ჰოდა, ახლა მივმართავ საიტის შემქმნელებსა და ამ მხარ თუ სხვა რამის დამჭერებს: თქვე ჩემის... ამ საიტს რომ აკეთებთ, მიუთითეთ, რომ არასრულწლოვანების შესვლა არ შეიძლება, ან შეზღუდულია მაინც!

თუ თქვენი მიზანი სწორედ ისაა, რომ ბევრი მხარდამჭერი და თქვენნაირი მეერთადგილე გვყავდეთ საქართველოში?

არ გამოგივათ!

იმიტომ, რომ როცა თქვენსავე საიტზე ჩატში შევედი, რამდენიმე აშკარად საღად მოაზროვნე და ნორმალური მომხმარებელი შევნიშნე, საიტის მესვეურებს დედას რომ აგინებდა ონლაინში! ეს სტატიაც მაგ ხალხის შემართებამ დამაწერინა.

დანარჩენ საზოგადოებას კი მივმართავ: ცოტა მეტად გააკონტროლეთ თქვენი შვილების მიერ მონახულებული საიტები! ფრთხილად იყავით, ერთ საღამოს თქვენმა სასახელო ვაჟიშვილმა ინტერნეტით გაცნობილი თავისი ოცნების მამაკაცი არ მოგაყენოთ კარზე და წყალში არ ჩაგიყაროთ შვილიშვილებზე ნაოცნებარი წუთები.

**გიორგი გიორგიძე**

# გიორგი გოგსაძე: ქართველი ერის დაბერება უკვე სახეზეა

**საქართველოში უკანასკნელ ათწლეულში განვითარებულმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა და საერთო არასტაბილურმა ვითარებამ, სამოქალაქო ომმა, დევნილთა ნაკადმა, გაზრდილმა უმუშევრობამ, ცხოვრების პირობების მნიშვნელოვნად გაუარესებამ და მიგრაციის ინტენსიურობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა დემოგრაფიულ განვითარებაზე. შობადობა კრიზისულ ზღვრამდე შემცირდა და გაიზარდა სიკვდილიანობა. ოთხმოციან წლებში საქართველოში ყოველწლიურად საშუალოდ 94 ათასი ბავშვი იბადებოდა, ახლა კი ეს რიცხვი თითქმის განახევრდა. მოსახლეობა დემოგრაფიულად ბერდება. მცირდება ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის რაოდენობა და იზრდება 60 წელს გადაცილებულთა რიცხვი.**

საქართველოს ხელისუფლება „ვარდების რევოლუციას“ სახელმწიფოს განვითარების ახალი ეტაპის ათვლის წერტილად მიიჩნევს, თუმცა დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფულია. 2008 წლის პირველი იანვრის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა ოფიციალურად 4.382.1 ათას კაცს შეადგენდა, 2009 წლისთვის კი ეს რიცხვიც შემცირდა, რაც იმას მიანიშნებს, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ყოველწლიურად მცირდება და, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ხდება ეთნიკური ქართველების ხარჯზე. გენოფონდის შემცირებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის, ინტენსიური გარე მიგრაცია და, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, დაპატიმრებულთა კატასტროფული ზრდა. როგორც დემოგრაფიული კვლევებიდან ჩანს, ვითარება იმდენად რთულია, რომ ეკონომიკური პირობების არსებითი გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი ახლო მომავალში მდგომარეობის გამოსწორებას არ უნდა ველოდოთ. შექმნილი ვითარების შესახებ **საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორს გიორგი გოგსაძეს** ვესაუბრეთ:

— 2003-2008 წლებში შეინიშნება დემოგრაფიული მაჩვენებლის უმნიშვნელო მატება, რომელიც ახლოსაა ნულოვან მატებასთან, ეს ნიშნავს, რომ შობადობა და სიკვდილიანობა თანაბარია. დღეს საქართველოში შობადობა ორჯერ დაბალია, ვიდრე 80-90 წლებში, სიკვდილიანობის მაჩვენებელი კი, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, — მაღალი, რაც შემაშფოთებელია. 90-იანი წლებიდან დაწყებული, საქართველოში შობადობა ძალიან დაბალ დონემდე დაეცა, რისი მიზეზიც იყო მასობრივი მიგრაცია საზღვარგარეთ. სიკვდილიანობის მაჩვენებელი ამაღლდა. ახალგაზრდები აღარ არიან საკმაო რაოდენობის. სამწუხაროდ, ერის დაბერება უკვე სახეზეა, და ეს იწყება მაშინ, როცა შობადობა და სიკვდილიანობის ნიშნული უახლოვდება ერთმანეთს.

შობადობის მატების ალბათობა მინიმუმამდე რომ არის შემცირებული, ამას ადასტურებს დაავადებათა კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სტატისტიკური მონაცემები აბორტების შესახებ, რაც დემოგრაფიულ პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს. 2003-2007 წლებში აბორტების რაოდენობა არ აღემატება თოთხმეტ ათასს, 2008 წელს კი ეს მონაცემები თითქმის გაორმაგებულია და 22 ათასს აჭარბებს. ეს მართლა შემაშფოთებელი რიცხვია, თუმცა, როგორც **საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ზაზა ბოხუამ** „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ აბორტების რაოდენობა რეალურად არ გაზრდილა, უბრალოდ, გამკაცრდა აღრიცხვა:

— აბორტების რაოდენობა რეალურად არ გაზრდილა, სტატისტიკურ მონაცემებში ასეთი სხვაობა რეგისტრაციის პროცესის დახვეწამ გამოიწვია. სამწუხაროდ, ხშირად არ ხდებოდა აბორტების აღრიცხვა, ვერ ვიტყვი, რომ ეს საბოლოოდ მოწესრიგდა, მაგრამ პროგრესი ამ მიმართულებით დიდია. ფაქტობრივად, არ იყო მენეჯმენტი და ხდებოდა შემოსავლის დაფარვა, გაკეთებული აბორტი არ აღირიცხებოდა და ფულს ჯიბეში იდებდნენ.

**— კანონით როგორ არის განსაზღვრული აბორტის გაკეთება?**

— კანონის მიხედვით, ფეხმძიმობის თორმეტ კვირამდე ქალს საკუთარი სურვილით ან სამედიცინო დასკვნით შეუძლია აბორტის გაკეთება მხოლოდ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში. თორმეტი კვირის შემდეგ კი ორ შემთხვევაში შეიძლება ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა — სოციალური და სამედიცინო ჩვენებით. ასეთ შემთხვევას სპეციალური კომისია განიხილავს და აძლევს უფლებას. კონტრაცეფცია შობადობას არ არეგულირებს და არ ამცირებს. უბრალოდ, მცირდება აბორტების რაოდენობა. ახლა მუშაობა მიდის იმ მიმართულებით, რომ აბორტი მავნეა და მაქსიმალურად უნდა მოხდეს მისგან თავის არიდება. კარგია ისიც, რომ საქართველოში ბევრმა მეან-გინეკოლოგმა რელიგიური თვალსაზრისით უარი თქვა აბორტის გაკეთებაზე. ამ მხრივ უარყოფითად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ფაქტობრივად, საძებნი გვყავს აბორტის გამკეთებელი გინეკოლოგი.

**ნანა ლაღაძიშვილი**

**P.S. აბორტის თავიდან ასაცილებლად მედიკოსები ქალებს კონტრაცეფციის გამოყენებას ურჩევენ. ამ მიმართულებით აქტიური პროპაგანდა მიმდინარეობს. საქართველოში კონტრაცეპტივების ყველაზე დიდი მიმწოდებელი სახელმწიფო სამედიცინო სექტორი იყო (48%). ეს კონტრაცეპტივები მთლიანად შემოტანილია გაეროს ფონდის მიერ. დღემდე ბევრს კამათობენ როგორც კონტრაცეფციის უსაფრთხოებაზე, ასევე, იმაზეც, აბორტების შემცირებას უწყობს იგი ხელს თუ დემოგრაფიულ განვითარებას აფერხებს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, რელიგიური თვალსაზრისით, კონტრაცეპტივების გამოყენებაც აკრძალულია. დემოგრაფიაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ეთნიკურ საკითხს. ხელისუფლების ინიციატივით, ეროვნულობა სამოქალაქო განვითარებისთვის განმსაზღვრელი აღარ არის. აქედან გამომდინარე, რთულდება ეთნიკური ქართველების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა. თუ შობადობის მაჩვენებლებს გადავხედავთ რეგიონების მიხედვით, ნათლად ჩანს, მაჩვენებლები გაცილებით მაღალია არაქართველი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში. სტატისტიკის გარეშეც ფაქტია, რომ არაქართველი მოსახლეობა მრავალშვილიანობით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მტკიცდება მოსაზრება, რომ ქართველი ერი გადაშენების საფრთხის წინაშეა.**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ლიბერალური დემოკრატია ჩემთვის იქ მთავრდება, სადაც პედერასტების უფლებები ჩემსას უთანაბრდება

**არცთუ შორეულ წარსულში, როდესაც ათასობით ქართველს ურჯულოები საკუთარ სახლში ახრჩობდნენ, მიერეკებოდნენ სპარსეთში თუ ოსმალეთში, ყოველ მათგანს მხარზე უჩინარი ჩიტი აჯდა, რომელიც გამუდმებით ჩასძახოდა: ნუ გათათრდები, ნუ გათათრდები!**
**აკი შეისმინა უმეტესობამ და საუკუნეების შემდეგაც კი ქართველობენ შორეულ ფერეიდანსა და თურქეთში, რადგანაც ქართველობის კლასიკური ფორმულიდან — „ენა, მამული, სარწმუნოება“, რომელიც მოგვიანებით შექმნა დიდმა ილიამ და მისი დაცვა ანდერძად დაგვიგდო, ერთ-ერთი — ენა შეინარჩუნეს.**
**ჩემი ღრმა რწმენით, დღეს გადაგვარების, გადაჯიშების გაცილებით მეტი საფრთხე გვემუქრება, ვიდრე იმ ბნელ საუკუნეებში, რადგან შინაურმა მანქურთებმა ქართველ კაცს ის ჩიტი დაუფრთხეს, მხარზე რომ ეჯდა, და შავის თეთრისაგან გარჩევას უადვილებდა...**







### ნუ გაიელოველდები, ნუ გაპედერასტდები, ანუ ნუ გადაგვარდები!

**გახსოვთ, ალბათ, ორიოდე წლის წინათ თბილისში ხმა გავარდა, ე.წ. სექსუალური უმცირესობები: მამათმავლები, ლესბოსელები, ბი, ტრანს თუ სხვა სექსუალები, მოკლედ, ქართულ ცნობიერებაში დამკვიდრებული მათი კრებითი სახელით თუ ვიტყვით, პედერასტები, აღლუმის ჩატარებას აპირებენ რუსთაველზეო. მაშინ ჩვენი ეკლესიის და პირადად უწმინდესის არაორაზროვანი განცხადებით შეშინებულმა უწმინდურებმა ვერ გაბედეს განაზრახის ასრულება და სხვებთან ერთად მეც მეგონა, მსგავს თავხედობას ვეღარ გაბედავდნენ, მაგრამ...**

აღლუმს და პარადს ვინ ჩივის, ამ სოდომელებმა უკვე ქართულ ინტერნეტსივრცეში ქართველი პედერასტებისა და ლესბოსელებისთვის ქართულენოვანი რესურსი გახსნეს, სადაც „გაუნათლებელი“, „ჩამორჩენილი“ ქართველი საზოგადოებისგან შერისხულ დაჩაგრულ ქართველ სექსუალურ უმცირესობებს მშობლიურ ენაზე შეუძლია სოდომიის ანაბანას შესწავლა. ასევე, შესაძლებელია ერთმანეთისთვის სასიყვარულო „SMS“-ების გაგზავნა, უცნობი გეებისთვის პაემნის დანიშვნა. ნახავთ ინფორმაციებს სხვა „მოძმე“ ქვეყნებიდან, სადაც, საქართველოსგან განსხვავებით, საზოგადოება გულში იხუტებს პედერასტებს.

**რა არის ეს, თუ არა პედერასტების „პარადი“ 24-საათიან რეჟიმში, თანაც, რუსთაველს ვინღა ჩივის, მთელი საქართველოს მასშტაბით? ამას არ ჯობდა, ორი წლის წინათ გაებედათ და რუსთაველზე ცხვირპირი დაგველეწა ამ უწმინდურებისთვის, როგორც უფრო ადრე მოსკოვში, წითელ მოედანზე დაალეწეს რუსებმა იქაურ პედერასტებს? ახლა მიდი და სდიე ვირტუალურ სივრცეში ინტერნეტპარადებს.**

ისე, საინტერესოა, არსებობს რაიმე სახის რეგულაციის, კონტროლის მეტ-ნაკლებად კანონიერი საშუალება, რომ ვისაც რა მოეპრიანება, იმ სახის საიტი არ გახსნას, მითუმეტეს, საქართველოში, სადაც ელექტრომედიის პრაქტიკულად ყველა საშუალებას აკონტროლებენ „ნაცები“ ათასი ჯურის ე.წ. მარეგულირებელი კომისიების მეშვეობით?

მაგრამ საქმე ისაა, რომ უკვე დასმული და, სავარაუდოდ, დასასმელი კითხვები უსაგნო რიტორიკას ვერ გასცდება, რადგან პოლიტიკური ნება „ნაცების“ ხელისუფლებისა, ზოგადად, ქართული და, კონკრეტულად, ამ წერილში გაცხადებული ტკივილების საწინააღმდეგოა. ქართველი კაცის მენტალიტეტის შეცვლას, რაც ვერავინ შეძლო ათასწლეულების მანძილზე, არცთუ წარუმატებლად ცდილობენ ისეთი ნაციდეოლოგები, როგორიცაა გიგი თევზაძე — ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

### ყოველგვარ ქართულს, ტრადიციულს დასცინის და ამასხარავებს

**განათლების რეფორმას, რომლის დირექტორიც ეს ვაჟბატონი (გიგი თევზაძე) გახლავთ, არც მეტი, არც ნაკლები, „ილია ჭავჭავაძე“ ჰქვია. ამაზე მეტი ცინიზმი გაგონილა, რომ ყოველგვარი ქართულის ამომგდებ ე.წ. რეფორმას, საქართველოს უგვირგვინო მეფის, წმიდა ილია მართლის სახელი უწოდო?**

სწორედ ეს არის „ამათი“ ფარისევლობის დასტური — ხელისუფლების მთელ ვერტიკალზე ყველა უწიგნურს ილიას სურათები უკიდია მდიდრულ კაბინეტებში, ილიას სურათის ფონზე ანგრევს ქვეყანას. გიგი თევზაძეც სულიერად რყვნის ახალგაზრდებს ილიას სახელობის უნივერსიტეტში. ილიას სახელობის განათლების რეფორმით მოსპეს ქართული განათლების სისტემა ყველა დონეზე.

**„განათლების ის სისტემა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით 2003 წლამდე, აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი“**, — ყოველგვარი ეჭვის გარეშე აცხადებს ფილოსოფოსი თევზაძე. ის ტრადიციულ ქართველებს ცინიკურად „გრუზინებსა და გურჯებს“ გვეძახის, მიწასთან გვასწორებს „ვარდების რევოლუციის იდეოლოგიას“ ვერნაზიარებ „ჩამორჩენილ ქართველობას“.

### „მეფე გიორგი (მიშა), დიახაც, ისმენს თათბირთა ჩემთა“

გიგი თევზაძე არ მალავს, უფრო მეტიც, ამაყობს, რომ სააკაშვილი მის თათბირებს ისმენს და, როგორც წესი, ყველაფერს უჯერებს, ანუ სააკაშვილი მიესალმება გიგის მიზანს — „მოძველებული“ გრუზინ-გურჯებისაგან ახალი ტიპის მოქალაქის — „ჰომონაციუსის“ გამოყვანას.

**ამ გზაზე მთავარი დაბრკოლება კი იაკობ გოგებაშვილის გენიალურ „აი ია“-ზე დაფუძნებული და სხვა ბუმბერაზ ქართველ მოაზროვნეთა ნაღვაწით გაჯერებული განათლების სისტემა იყო. ამიტომ ამოიღეს ეს ბალასტი: ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორიის სწავლება სკოლებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან, სადაც ახლა აკაკის „გამზრდელისა“ და ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“ ადგილი, ზოგადმა უნარ-ჩვევებმა, სექსოლოგიამ და მსგავსმა „პროგრესულმა“ დისციპლინებმა დაიკავა.**

### ფართო საზოგადოებისთვის, ალბათ, უცნობია ის, რომ მამათმავლის ლექციამდე ცოტა ხნით ადრე გიგი თევზაძის უნივერსიტეტში ჩატარდა ლექციები, რომლებსაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სოროებიდან გამომძვრალი და გაჯეჯილებული სხვადასხვა სექტის მიმდევრები კითხულობდნენ. ამის შემდეგ პედერასტის მიერ პროპაგანდისტული ლექციის ჩატარება თევზაძის „კანტორაში“ კანონზომიერი უფრო იყო, ვიდრე მოულოდნელი.

მართლმადიდებლური სარწმუნოება, რომელიც უმძიმეს ცოდვად (და არა ავადმყოფობად) მიიჩნევს მამათმავლობას, თევზაძის უნივერსიტეტში არ აინტერესებთ, იგი „ნაციდეოლოგებს“ საქართველოს თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოდ ქცევისა და ახალი ტიპის ქართველის შექმნის გზაზე ფეხებში ებლანდებათ. ამიტომაც ეწევიან სექტანტობისა და პედერასტობის პროპაგანდას, რადგან, მართალია, ერთი მეორეს ავტომატურად არ გულისხმობს, მაგრამ არც სექტანტობა კრძალავს პედერასტობას და არც — პირიქით. ამიტომ სჭირდებათ მათ თანამედროვე ხლისტებისა და მამათმავლების მიმართ შემწყნარებლობის ქადაგება.

### „ყველა ადამის შვილი ვართ, თათარიც ჩემი ძმა არი“

**ეს სტრიქონები ჯერ კიდევ როდის უთქვამს ქართველ კაცს. ასე რომ, თევზაძეთაგან არ გვესწავლება ტოლერანტობა და რელიგიური შემწყნარებლობა. „კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა, იქ ილოცე“, — ესეც ქართველის ნათქვამია, მაგრამ ამ ლოცვასა და კაცობაში სექტანტობა კი არა, ის ტრადიციული რელიგიები იგულისხმება, რომლებიც ძველ თუ ახალ აღთქმაზეა აღმოცენებული.**

იქნებ, რუსეთში მართლაც არიან ისეთები, ვისაც საქართველო რესტორანი ჰგონია, მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს სხვა რუსეთიც — ერთმორწმუნე, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ბულგაკოვის, პასტერნაკის, ესენინის რუსეთი...

გიგი თევზაძეების უნივერსიტეტებში, მიშას პატრიოტთა ბანაკებში ბოლო 5-6 წლის განმავლობაში, სამწუხაროდ, წარმატებით მოახერხეს, სულ ცოტა, ერთი თაობის გახრწნა, მაგრამ ეგ არაფერი. ადრე თუ გვიან ეს ხელისუფლებაც დალევს ჩაილურის წყალს და შევძლებთ რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას, რის გარეშეც ტერიტორიულ მთლიანობაზე ოცნებაც კი არ შეიძლება.

**ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და უფლის ნებით საქართველო გამთლიანდება და გაბრწყინდება.**

**„ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ, თუნდაც, შემდეგ თაობაში ეს დარჩეს ანეკდოტად, რომ საქართველო რესტორანია“**, — ბაქიბუქობს გიგი თევზაძე.

ანეკდოტისა არ ვიცი, მაგრამ იმედია, მომავალ თაობას კოშმარულ სიზმრად მოეჩვენება ის, რასაც დღეს სჩადიან ხელისუფლება და მისი იდეოლოგები. მანამდე კი მინდა, წერილი დავამთავრო ფრაზით გენიალური რუსული კომედიიდან „იღბლიანი ჯენტლმენები“:

სექტანტებო, ხლისტებო და პედერასტებო! **„А вам не кажется, что ваше место возле параши?!“**

**დავით მხეიძე**
**გრუზინი, გურჯი, ქართველი**

**P.S. „რესტორნის“ ალტერნატივად რას გვთავაზობენ „გრუზინ-გურჯებს“ — ნავთობსადენს და მის გასწვრივ ჩარიგებულ ბორდელებს, პედერასტების აღლუმებს?**
**რა ვქნა, ისეთი „ბნელი“ ვარ, რომ ე.წ. ლიბერალური დემოკრატიის ხიბლი ჩემთვის იქ მთავრდება, სადაც პედერასტების უფლებები ჩემსას უთანაბრდება.**

**„ნუ გათათრდები — ეგვიპტის მტრედი, მომცრო ფრინველი, მსგავსი გვრიტისა; მისირსა (ეგვიპტე) და შირაზში (ირანი) ცხოვრობს. ესენი ოდეს მგზავრს კაცს ნახავენ, იწყებენ ძახილს ქართულის ენით: ნუ გათათრდები! და ამ მიზეზით თათარნი უწოდებენ გიაურყუში, ვითომც უსჯულო ფრინველი“.**
**სულხან-საბას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**

## ერაყში მამათმავლებს უსასტიკესად სჯიან

**ერაყელმა ბოევიკებმა ჰომოსექსუალების სასტიკი წამებით დასჯის მეთოდი დაამკვიდრეს. ისინი მათ ანალურ ხვრელში ე. წ. ირანულ კუპრს ასხამენ... ინა მოჰამადი ამბობს, რომ წებოს მეორენაირად „ამერიკულ სიმყრალესაც“ ეძახიან და ირანში ამზადებენ.**

თუ კი მას ადამიანს კანზე წაუსვამთ, ის იმდენად მყარად ეკრობა, რომ მოცილება მხოლოდ ქირურგიული ჩარევითაა შესაძლებელი. ანალური ხვრელის დახშობის შემდეგ, მსხვერპლს ასმევენ წამალს, რომელიც ძლიერ დიარეას იწვევს. როგორც ხვდებით, დიარეა მსხვერპლს საშინელი წამებით კლავს.

ამ წამების ვიდეოჩანაწერები, რომლებიც მობილური ტელეფონებითაა გადაღებული, მთელს ერაყში ვრცელდება. სამართალდამცველთა ინფორმაციით, სამი კვირის განმავლობაში ჰომოსექსუალებზე თავდასხმები რელიგიური დოქტრინის საფუძველზე ხორციელდება, რომელთა მიხედვითაც, პედერასტები სიკვდილით დასჯას იმსახურებენ. ათობით ადამიანი უკვე ემსხვერპლა ამ უმკაცრეს სასჯელს.

## რუსეთში პედერასტებს არ ახარებენ

17 მაისს სანკტ-პეტერბურგში ასამდე ჰომოსექსუალმა არასანქცირებული აღლუმი მოაწყო. სექსუალურ უმცირესობას, ძირითადად, ქალები წარმოადგენდნენ და ტოლერანტული დამოკიდებულებას მოითხოვდნენ. აქციამ გართულებების გარეშე ჩაიარა, მილიცია საქმეში არ ჩარეულა, სამაგიეროდ მოსკოვში წინა დღეს ჰომოსექსუალებს ნამდვილი განკითხვის დღე მოუწყვეს. აქ ხელისუფლების მიერ გეი-აღლუმების მოწყობა აკრძალულია, მიუხედავად ამისა, 20-მდე „მოხალისემ“ მაინც მოინდომა თეთრი მიხაკებით ხელდამშვენებულებს ჩაევლოთ ქალაქის მთავარ პროსპექტებზე და ექადაგათ, რომ ჰომოფობია ქვეყნის სირცხვილია. არ გამოუვიდათ. გეი-საზოგადოების შეკრებიდან ზუსტად 5 წუთში ადგილზე ომონელები გამოჩნდნენ და უკლებლივ ყველა „მოხალისე“ სადღაც გააქრეს. სექსუალურ უმცირესობებს რუსეთში არაერთხელ განუმარტეს, რომ დედაქალაქში მათ აქციებსა და დემონსტრაციებს ხელისუფლება არ დაუშვებდა. თავად ჰომოსექსუალები კი გაჰკიოდნენ, ნებით ან უნებართვოდ აქციას მაინც ჩავატარებთო. 80-მდე ასეთი თავგანწირული ჰომოსექსუალი იმ დღეს საპატიმროში აღმოჩნდა, ზოგიერთს სხვა ბრალდებებიც დაუმატეს და საერთოდ, როგორც ჩანს, მოსკოველ სექსუმცირესობებს აწი მხოლოდ საპატიმროებში თუ ექნებათ აქციების გამართვისა და პედერასტებისადმი ტოლერანტობის მოთხოვნის საშუალება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ხათუნა ჭითანავა:

# ბავშვს ორივე ფეხი გადაუმტვრიეს და ინვალიდის ეტლში ჩასვეს, რათა დედას მათხოვრობისას თანაგრძნობა გამოეწვია

**ხელისუფლების უნიათობით გამოწვეულმა მასობრივმა მიგრაციამ საქართველოსათვის პრობლემად აქცია ისეთი დანაშაული როგორიც ტრეფიკინგია. უკანასკნელი წლების მანძილზე უამრავი ჩვენი თანამემამულე გახდა ადამიანებით ვაჭრობის, მონური ექპლუატაციისა და არადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. მსხვერპლთა ექსპლუატაცია მანამ გრძელდება, სანამ მათ ტრეფიკერებისთვის მოგება მოაქვთ. დაავადების შემთხვევაში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მათ ქუჩაში ყრიან ან სხვა ქალაქში გადაჰყავთ და იქ ტოვებენ. არის შემთხვევები, როდესაც დაუძლურებულნი საზღვარზე გადაჰყავთ და იქ უპატრონოდ უშვებენ, უკიდურეს შემთხვევაში კლავენ.**
**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოჯახური ძალადობისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ პროექტის კოორდინატორი ხათუნა ჭითანავა ამ რამდენიმე წლის განმავლობაში არაერთი შემზარავი ფაქტის მოწმე გახდარა. ის დიდი გულისტკივილით გვიყვება ტრეფიკინგის მსხვერპლთა შესახებ იმათ გასაფრთხილებლად, ვინც საჭირო სიფრთხილეს არ იჩენს უცხოეთში გამგზავრებისას.**



**— ქალბატონო ხათუნა, რას ურჩევთ საზღვარგარეთ წამსვლელებს, როგორ აარიდონ თავი ტრეფიკინგს?**

— უპირველესად, უნდა იყვნენ ინფორმირებულნი იმ ფირმის შესახებ, რომელსაც ისინი საზღვარგარეთ მიჰყავს. აუცილებლად უნდა შემოწმდეს, ფირმა რეგისტრირებულია თუ არა. თუ გამგზავრებას კერძო პირი სთავაზობს, მოითხოვონ კონტრაქტი და მასზე ხელის მოწერამდე რჩევისთვის იურისტს მიმართონ, მოიპოვონ ინფორმაცია საქართველოს წარმომადგენლობის შესახებ იმ ქვეყანაში, სადაც მიემგზავრებიან. ჩასვლისთანავე მიაკითხონ ჩვენს საელჩოებსა და საკონსულოებს და იქ დატოვონ თავიანთი პირადი დოკუმენტების ასლები. სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებს რეგულარულად მიაწოდონ თავიანთი ადგილსამყოფელის შესახებ ცნობები. მთავარია, ბრმად არავის ენდონ. არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, ქართველებმა ვიცით სიტყვაზე ნდობა, რის გამოც ხშირად სავალალო შედეგებს ვიმკით.

**— ხშირად მომხდარის ზემოქმედება უფრო ძლიერია, ვიდრე მკაცრი გაფრთხილებები... რას გვეტყვით თქვენი სამსახურებრივი გამოცდილებიდან?**

— ამ ისტორიას ხშირად ვყვები, რადგან ჩემზე ძალიან იმოქმედა.

დიდი მატერიალური გაჭირვების გამო ახალგაზრდა ქალი ორი არასრულწლოვანი ბავშვით იძულებული გახდა, ქვეყნიდან წასასვლელი გზები ეძებნა. გულშემატკივარიც გამოუჩნდა — ბიძაშვილის კარის მეზობელი. ქალი შვილებითურთ საზღვარზე გადაიყვანეს, რათა უცხოეთში მომვლელად ემუშავა. პატარების დამტოვებელი არ ჰყავდა, მათთან ერთად თავს უფრო მშვიდად და დაზღვეულად გრძნობდა.

ჩასვლისთანავე ქალს დოკუმენტები ჩამოართვეს, გადაადგილების საშუალება მოუსპეს და ორ ბავშვთან ერთად ერთ პატარა ოთახში ჩაკეტეს. დღეების განმავლობაში მხოლოდ წყალსა და რამდენიმე პურის ნაჭერს აძლევდნენ. ოთახში ავეჯი არ იყო, იატაკზე ისხდნენ მთელ სამყაროს მოწყვეტილნი და ელემენტარულ ჰიგიენურ პირობებს მოკლებულნი. წყალში, ალბათ, რაღაცას ურევდნენ, რადგან ოთახის კუთხეში მიყუჟულნი სულ თვლემდნენ.

მალე მათ ქალის დამუშავება დაიწყეს, აიძულებდნენ, ერთ-ერთი ბავშვის თანხლებით ქუჩაში სამათხოვროდ გასულიყო. ქალმა შემოთავაზება რომ უარყო, სცემეს და დაემუქრნენ. მოსაფიქრებელი დრო მისცეს, თანაც, საკვები შეუმცირეს და წყალსაც შეზღუდვით აძლევდნენ. ყოველდღიურად ცდილობდნენ განზრახვაზე მის დაყოლიებას.

მისი სიჯიუტე რომ ვერ გატეხეს, გალიზიანებულებმა უმოწყალოდ სცემეს, სახეში ფურთხებითა და თმის გლეჯით იქამდე აწამეს, სანამ გონი არ დაკარგა. მაღალი სიცხეების გამო კარგა ხანს უგონოდ ეგდო. რამდენიმე დღის შემდეგ გონსმოსულმა ბავშვები მოიკითხა და სახტად დარჩა, როდესაც მისი კუდრაჭა გოგონა ინვალიდის ეტლით შემოუყვანეს. ტრეფიკერებს ბავშვისთვის ორივე ფეხი სახსარში გადაემტვრიათ, ინვალიდის ეტლში ჩაესვათ, რათა ქალს მათხოვრულ ბიზნესში ამ მშვენიერი ხეიბარი შვილის წყალობით კარგად ეხეირა.

დედა ეტლზე დამხობილი ყმუოდა. იმ დღეს წყევლიდა, როცა იძულებული გახდა, სამშობლო ლუკმაპურისთვის მიეტოვებინა. ის ლუკმაც ხომ შვილებისთვის უნდოდა.

**იმ ღამეს ახალგაზრდა ქალი ერთიანად გაჭაღარავდა, ერთ ღამეში გატყდა... შემდეგში აცხადებდა: „თუ არა შვილები, თავს ნამდვილად არ ვიცოცხლებდიო..." ასე დაიწყო მისი მათხოვრული სვლები ევროპის ერთ დიდ, საოცრად ლამაზ, სიცოცხლით სავსე მეგაპოლისში.**

გათენებიდან დაღამებამდე გაწეწილი, დაჭმუჭნული ტანსაცმლით, მტვრიანი, დახეთქილქუსლებიანი, ჭუჭყიანი, დასიებული ფეხებით, ეტლის თრევით ოფლში გაღვრილი რასაც მათხოვრობით შოულობდა, ტრეფიკერს აბარებდა, რომელიც ურცხვად ამოწმებდა, ხომ არაფერს იტოვებდა თავისთვის. მძევლად დატოვებული პატარა ბიჭი კარს უკან მოუთმენლად ელოდა დედის დაბრუნებას. ღამით სამივე იატაკზე იძინებდა ხმელი პურისა და წყლის ამარა. „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო", — ნათქვამია. ქალმა სიმწრით ნაშოვნი თანხიდან ფულის მოპარვა ისწავლა, რითაც ბავშვებისთვის ფუნთუშებს ყიდულობდა, ცელოფანში ჩალაგებულ პროდუქტს კაბის ქვეშ, მუცელთან მალავდა, ღამით კი, თავისი სხეულით გამთბარი ფუნთუშებით ბავშვებს ანაყრებდა. ბოსს თუ მოტანილი თანხა ეცოტავებოდა, დედასა და შვილებს მუშტითა და წიხლით უმასპინძლდებოდა. ყველა დარტყმა შვილებს გადაფარებულ დედას ხვდებოდა და მისი ნაიარევი სხეული დღითი დღე სუსტდებოდა. ქალმა ქუჩებში წანწალით იქაურ ენასაც ალღო აუღო, რაც გაქცევაში დაეხმარა.

**— როგორ გამოაღწია ქალმა ამ მიწიერი ჯოჯოხეთიდან, რამ მისცა ასეთი ძალა და გამბედაობა?**

— დედობამ, დედა ყოველთვის გულადია!

**მან გულში ამოიჭრა შვილების გადარჩენა. დარდმა, წვიმასა და თოვლში განუწყვეტელმა წანწალმა, მძიმე პირობებში ცხოვრებამ დააავადმყოფა. ბევრს ახველებდა, ხშირად სისხლსაც აყოლებდა. ყოველდღიურად ქალაქის ერთ დიდ მოედანზე გადიოდა, სადაც ყოველთვის იდგა პოლიციელი.**

ერთ-ერთი პოლიციელი მათხოვარ ქალს ინვალიდი ბავშვის ეტლის გადაადგილებაში რამდენჯერმე ბრაზიანად, მაგრამ მაინც მიეხმარა. ქალი ამ პოლიციელის მორიგეობისას მოედანზე დიდხანს ჩერდებოდა, უცქერდა, სურდა, მისთვის დახმარება ეთხოვა, მაგრამ ეშინოდა. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ პოლიციელს გაენდო.

პოლიციელმა ქალი ოფისში წაიყვანა. წინასწარ დაგეგმილი ოპერაციის მიხედვით, პოლიციამ შეძლო ქალთან ერთად ტრეფიკინგის კერაში შევარდნა, მძევალი ბიჭის გამოყვანა და დამნაშავეების აყვანა.

იმარჯვა ქალმა და ტრეფიკერებს სამაგიერო მიუზღო. ამ კერის აღმოჩენით მთელი კლანი ჩავარდა.

სამწუხაროდ, ამით არც ქალის გატეხილ ჯანმრთელობას ეშველა, არც — ინვალიდი გოგონას ფეხებს და არც — მოზარდი ბიჭის შერყეულ ფსიქიკას. ყველანი რეაბილიტაციის ცენტრში გადაიყვანეს, მშვიდი პირობები შეუქმნეს, მაგრამ მათ ხანგრძლივი (იქნებ, მუდმივიც) მკურნალობა ესაჭიროებათ.

**— მართლაც სულისშემძვრელი ამბავია. ჩვენთანაც მომრავლდნენ მათხოვარი ბავშვები. ნუთუ საქართველოშიც არსებობს ტრეფიკინგის საშინელება მათხოვრული ბიზნესის სახით?**

— დიახ, არის ასეთი შემთხვევები. ვის არ შენიშნავს ქალაქის ქუჩებში მათხოვარი ბავშვი, ფულს რომ ითხოვს. ახლომახლო კი ვიღაც უფროსი მათ აკონტროლებს. თავად მათგან გვაქვს ინფორმაცია, რომ საღამოს ბავშვები თანხას ვიღაცას აბარებენ, სავარაუდოდ, ამ საქმიანობის ორგანიზატორს, ანუ ზედამხედველს.

ვცდილობთ, ამგვარი ფაქტები აღვკვეთოთ, მაგრამ ბევრ ბარიერს ვაწყდებით. ამ საკითხის მოგვარებას ერთიანი პოლიტიკის გატარება სჭირდება. ტრეფიკერს თუ დავაკავებთ, ბავშვები აუცილებლად უნდა გადავიყვანოთ ბავშვთა სახლებში, სადაც ისინი უნდა მოშინაურდნენ, უნდა ვიზრუნოთ მათში ახალი ჩვევების დანერგვა-დამკვიდრებაზე, მათ სწავლა-განათლებაზე, კვებაზე, ოჯახებში გაშვილებაზე. ეს დღეს ძნელად მოსაგვარებელი საქმეა. ბავშვები ყოველივე ამას შეუჩვეველნი არიან, ცდილობენ, ხელიდან დაგვისხლტნენ, ბავშვთა სახლებიდანაც კი ისევ ქუჩებში გარბიან. მხოლოდ ერთიანი ძალისხმევა თუ უშველის ამ პრობლემას.

**შიდა ტრეფიკინგის შემთხვევებიც გვაქვს. ერთი შემზარავი ისტორია ასეთია: ახალგაზრდა ვაჟმა არასრულწლოვანი გოგონა ცოლად შეირთო. გოგო რაიონიდან იყო ჩამოსული. სოფელში მამა და და ჰყავდა. ბიჭი არასრულწლოვან ცოლს აიძულებდა, მეძავად ემუშავა და საღამოს შინ ფული მიეტანა. ამ ბიჭს მშობლები ჰყავდა, რომელთა განცხადებით, გოგონას რძლად მიიჩნევდნენ და, თუ ამგვარი რამ ხდებოდა, წარმოდგენაც არ ჰქონდათ. რამდენად გულწრფელია მათი განცხადება, ვერ გეტყვით. საქმე გაიხსნა და მას ტრეფიკინგის კვალიფიკაცია მიეცა, თუმცა, ერთი შეხედვით, ფაქტი სუტენიორობას ჰგავდა. ბიჭს 23 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს იმის გამო, რომ ამჯერად მსხვერპლი არასრულწლოვანი იყო.**

საშინელებაა, როცა ტრეფიკინგის ფაქტებს თვით ჩვენი ქვეყნის შიგნით ვხვდებით. ჩვენ ხომ უძველესი კულტურის, მტკიცე ზნეობისა და ტრადიციების მქონე ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ყველა მონასტრის ზარებს არისხებდნენ, როცა ადამიანების პატივისა და ღირსების შელახვა ხდებოდა. დღეს კი მსხვერპლთა უმრავლესობამ ისიც კი არ იცის, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობასა და უსაფრთხოებას, რომ პიროვნების დაცვის მექანიზმი გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

საზოგადოებას ამ მხრივ ნამდვილად აკლია ინფორმაციულობა. ხშირად მსხვერპლი აქტიურად ერიდება გახმაურებას თავმოყვარეობისა და ათასი სხვა მიზეზით, ეშინია შურისძიებისა და შანტაჟის ტრეფიკერთა მხრიდან.

მათ ხშირად ისიც კი არ იციან, რომ მკაცრადაა გასაიდუმლოებული მსხვერპლის ვინაობა, მისამართი და სხვა პერსონალური ინფორმაცია. ჩვენ მხოლოდ ერთადერთი მიზანი გვამოძრავებს — აღმოვფხვრათ დანაშაული და დავეხმაროთ დაზარალებულს.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

---

ჩვენი ფოსტა

# ღმერთო, შენ დაგვიფარე ამათგან!

**ქალბატონო ჩიტო-ჩიორა თაქთაქიშვილო (აფსუს, რა კარგ გვარს ატარებთ) და ბატონო დავით სოროსიშვილ-დარჩიაშვილო!**

როგორ ბრძანდებით თქვენი „ნაცებით"? ხომ კარგად? იმედია, ჭამის მადა კარგი გაქვთ... შემოსავალთან ერთად. ადამიანი რომ შემოგხედავთ, ისეთი ფრთიანი ანგელოზების შთაბეჭდილებას ტოვებთ (ეკრანიდან), რომ თქვენი მსჯელობიდან გამომდინარე, საქართველო ყვავის, საქართველოში ხალხი ბედნიერად ცხოვრობს (ისე იცხოვრეთ თქვენ და თქვენისთანეებმა, როგორც ჩემი და ბევრი ჩემისთანას ოჯახი ცხოვრობს!).

თქვენი თქმით, ომი არ წაგვიგია, ტერიტორიები არ დაგვიკარგავს, ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა აყვავებულია. ისე აყვავდით თქვენ! მარჩენალდაკარგულ ოჯახებს მთლიანად გაუუქმეთ შეღავათები იმიტომ, რომ არ იქნა თქვენი სტომაქების ამოყორვა!

ასფალტი დავაგეთო!.. სადაც დააგეთ, უკვე აყრილია. ფასადები სადაც გადაღებეთ, უკვე აიქერცლა! დავით ბაქრაძე დაღუპული მებრძოლების დედებს ბრტყელ-ბრტყელ დაპირებებს რომ აძლევდა, სად არის დანაპირები... თუ აგვისტოს ომმა ჩაყლაპა?

ქალბატონებო და ბატონებო, ჩემი შრომის სტაჟი ნახევარ საუკუნეზე მეტს შეადგენს. ამიტომ მინდა, მოგცეთ ერთი რჩევა, რომელმაც შეიძლება, საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობა შეცვალოს დადებითისკენ. დათქვით რომელიმე დღე და ადგილი, სადაც შეიკრიბებიან საკუთარი ნებით მოსული თქვენი მომხრეები და არა ავტობუსებით ძალით მოყვანილი თბილისელები! სასურველია, ადგილი იყოს ღია და არა დახურული, იმიტომ, რომ სხვებმაც დაინახონ, რამდენი მომხრე გყავთ! აი, მერე კი გამოჩნდება თეთრი და შავი სიმართლე!

„ნაცებო"! დავიღალეთ თქვენი — ყველას ერთად ერთ შაბლონზე მეტყველების გამო. მსჯელობისას ყოველი თქვენგანი თითქმის ერთსა და იმავე სიტყვებს იყენებთ. სად ვარჯიშობთ ან ვინ გყავთ მასწავლებელი?

ხომ იცით ბრძნული გამოთქმა: „დრონი მეფობენ და არა მეფენი". ხელისუფლებაში სულ ხომ არ იქნებით? მერე როგორ აპირებთ ცხოვრებას? ხალხს თვალებში ხომ უნდა შეხედოთ? ისე ნუ იზამთ, რომ ბოლოს გვიანი იყოს!

გაუბედურებული მამა
**ანზორ დანელია**

**P.S. საინტერესოა, რუსეთი რომ არ არსებულიყო, თქვენს უსუსურობას და ქვეყნისადმი უდიერ დამოკიდებულებას ვის დააბრალებდით?!**

**რაჭაში ხიდი ვინ ააფეთქა?!**

**თქვენ ისე გაინტერესებთ საქართველო, როგორც მე — ტრინიდადი და ტობაგო.**

**თქვენ და თქვენისთანეებს საქართველო მხოლოდ სახრავად გინდათ!**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ალბერტ გოგინაშვილი: ძალიან ლამაზი ცოლ-შვილი მყავდა და ჩემს ძმას ყოველთვის შურდა ჩემი

**...სახლში დაბრუნებულს დაჩეხილი ცოლ-შვილი დამხვდა, მე ისინი თბილი წყლით დავბანე და საწოლში დავაწვინე. ძალიან ციოდა და ამიტომ ტანსაცმლით ცეცხლი დავანთე. მეორე დღეს ტელეფონი ვიყიდე და მკვლელობის შესახებ პოლიციას შევატყობინე...**



**ოჯახის თავკაცს ცოლ-შვილის სასტიკ მკვლელობაში ადანაშაულებენ, ეჭვმიტანილი დანაშაულს უარყოფს და აცხადებს, რომ ცოლ-შვილი ძმამ დაუხოცა.**

**გამოძიების მასალების მიხედვით, ეჭვმიტანილმა საკუთარი მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი დანით დაჩეხა, ერთი კვირით სახლიდან წავიდა, შინ დაბრუნებულმა კი ცხედრები გარეცხა, მათი ტანსაცმელი დაწვა და პოლიცია გამოიძახა**.

მკვლელობა წლეულს, 15 ნოემბერს, თბილისის სამრეწველო დასახლებაში მოხდა. რუზანა ესიავა და მისი 10 წლის შვილი მარიანა გოგინაშვილი საკუთარ სახლში სამზარეულოს დანით მოკლეს. მკვლელობის შესახებ ოჯახის უფროსმა ალბერტ გოგინაშვილმა პოლიციაში ერთი კვირის შემდეგ განაცხადა. მან სამართალდამცავებს უთხრა, რომ ცოლ-შვილი ძმამ დაუხოცა.

ალბერტ გოგინაშვილი დაკითხვის შემდეგ პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილის სტატუსით დააკავა. იგი დღემდე აცხადებს, რომ უდანაშაულოა და მკვლელობაში საკუთარ ძმას ადანაშაულებს: **„მე ძალიან ლამაზი ცოლ-შვილი მყავდა და ჩემს ძმას ყოველთვის შურდა ჩემი“.**

აღძრულია სს საქმე 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, რაც 16-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

საქმის მასალების მიხედვით, ალბერტ გოგინაშვილმა ცოლ-შვილი ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე მოკლა.

**„გოგინაშვილს ნოემბრის დასაწყისიდან მეუღლესთან რუზანა ესიავასთან კონფლიქტი ჰქონდა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს რუსეთის ფედერაციაში ნათესავებთან სურდა გამგზავრება, ხოლო ალბერტ გოგინაშვილი გამგზავრების კატეგორიული წინააღმდეგი იყო.**

**ამა წლის 15 ნოემბერს ამ მიზეზით განაწყენებულმა ალბერტ გოგინაშვილმა მეუღლისა და 10 წლის შვილის მკვლელობა განიზრახა. ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანის მიზნით საკუთარი სახლის სამზარეულოში სამზარეულო დანით მეუღლეს გულმკერდისა და მუცლის არეში მრავლობითი დაზიანება მიაყენა; ასევე მოექცა თავის 10 წლის გოგონას, რის შედეგადაც ისინი ადგილზევე გარდაიცვალნენ, თვითონ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.**

**21 ნოემბერს, საღამოს საათებში, ალბერტ გოგინაშვილი სახლში დაბრუნდა, ძმისშვილ გიორგი გოგინაშვილს დაუძახა და უთხრა, რომ ცოლ-შვილი დახოცა, სამზარეულოს იატაკზე დაყრილი გვამებიც აჩვენა და დახმარება სთხოვა, მაგრამ ძმისშვილმა დახმარებაზე უარი განუცხადა.**

**ამის შემდეგ ალბერტ გოგინაშვილმა გვამებს ტანსაცმელი გახადა და ლოგინში მოათავსა, შემდეგ კვალის დაფარვის მიზნით მათი ტანსაცმელი დაწვა. ასევე, დაწვა ის ტანსაცმელიც, რომელიც 15 ნოემბერს თავად ეცვა, დაასუფთავა ოთახი და ძმისშვილსა და მის ოჯახზე განაწყენებულმა ისანი-სამგორის პოლიციაში განაცხადა, რომ მკვლელობა მისმა ძმამ გოგა გოგინაშვილმა ჩაიდინა, რომელიც 4-5 თვეა, სომხეთის რესპუბლიკაში იმყოფება“,** — აცხადებს თავის დადგენილებაში გამომძიებელი გიორგი გიორგაძე.

საქმის პროკურორი ნინო ჟღენტი ამბობს, რომ ალბერტ გოგინაშვილის ფსიქიკური მდგომარეობა შესამოწმებელია, თუმცა დასძენს, რომ იგი მკვლელობის შემდეგ სრულიად ადეკვატურად მოქმედებდა.

**„გოგა გოგინაშვილი ჯერ არ დაგვიკითხავს, ის სომხეთში იმყოფება. ეჭვმიტანილი ამბობს, ჩემმა ძმამ თვითონ მითხრა, რომ შენი ცოლ-შვილი მე მოვკალიო, მაგრამ ეს ნაკლებად სარწმუნოა. ალბერტ გოგინაშვილმა მკვლელობის ჩადენის შემდეგ სახლის კარები დაკეტა და, როგორც თვითონ ამბობს, ერევანში გაემგზავრა, მაგრამ ეს გადასამოწმებელია“,** — ამბობს პროკურორი ჟღენტი.

ალბერტ გოგინაშვილის ძმისშვილმა თქვა, რომ პოლიციას მომხდარის შესახებ იმ დღესვე მხოლოდ იმ მიზეზით არ შეატყობინა, რომ შეეშინდა, თვითონაც მსხვერპლი არ გამხდარიყო:

**„პოლიციას რომ ბიძაჩემის დაჭერა ვერ მოეხერხებინა, მას შეეძლო, მეც მოვეკალი, ამიტომ ვერ გავბედე პოლიციაში მისვლა“.**

ცოლ-ქმარს შორის რომ კონფლიქტი არსებობდა, ამ ფაქტს მეზობლებიც ადასტურებენ. მათი თქმით, ალბერტ გოგინაშვილი ხშირად ჩხუბობდა, ხოლო 15 ნოემბრიდან 21 ნოემბრამდე მათ სახლს ბოქლომი ედო.

თბილისის საქალაქო სასამართლოში თავად ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ ცნო. მან სასამართლოშიც განაცხადა, რომ ცოლ-შვილი ძმამ დაუხოცა:

**„სახლში დაბრუნებულს დაჩეხილი ცოლ-შვილი დამხვდა. მე ისინი თბილი წყლით დავბანე და საწოლში დავაწვინე. ძალიან ციოდა და ამიტომ ტანსაცმლით ცეცხლი დავანთე. მეორე დღეს ტელეფონი ვიყიდე და პოლიციას შევატყობინე მკვლელობის შესახებ“.**

პროცესზე აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს დაკავებულის ადვოკატი ციალა რატიანი გოგინაშვილის დაპატიმრების წინააღმდეგი იყო, მაგრამ სს კოლეგიის მოსამართლემ ნატო ხუჯაძემ მას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. საქმის არსებითი განხილვა კი სასამართლოს ჯერ არ განუახლებია. ცოლ-შვილის მკვლელობაში ბრალდებული გოგინაშვილი განაჩენს დღემდე ელოდება.

**მაკა ქობალია**

# მერაბიშვილს პოლიციელის დახმარებამ ვერ უშველა

**2006 წელს თბილისში სასტიკი მკვლელობა მოხდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ საშინელების ჩამდენები პოლიციელები აღმოჩნდნენ: ერთი — მერაბიშვილის უწყების თანამშრომელი, მეორე კი — შევარდნაძისდროინდელი პოლიციელი. ახალგაზრდა ქალის მკვლელობისთვის და შემდგომ მისი გვამის დანაწევრებისთვის ორივე მამაკაცი გაასამართლეს. ერთ-ერთი მათგანი ციხეში მალევე გარდაიცვალა, მეორე კი დღემდე სასჯელს იხდის. აღსანიშნავია, რომ მოკლულის გვამის ნაწილები დღემდე ნაპოვნი არ არის. აღმოჩენილია მხოლოდ თავის ქალა და ხელის მარჯვენა კიდური. ასე რომ, მოკლულის ოჯახს მკვლელებმა შვილის ქრისტიანულად დაკრძლავის საშუალებაც მოუსპეს.**

აღსანიშნავია, რომ დამნაშავე პოლიციელები სიყრმის მეგობრები იყვნენ, თუმცა მათმა მეგობრობამ ჩაილურის წყალი მას შემდეგ დალია, რაც დიმიტრი მერაბიშვილმა თავისი მეგობარი გიორგი უნგიაძე მკვლელობაში „ჩაუშვა“. სიმართლე კი სულ მარტივად გაირკვა: ნარკოტიკებისთვის დაკავებული მერაბიშვილი ციხეში მოათავსეს, საქმეც ციხიდან სატელეფონო საუბრისას „გასკდა“.

**დაკავებამდე გიორგი უნგიაძე სამსახურებრივ მოვალეობას ჩვეულებრივ ასრულებდა. თათბირებზეც, როგორც დინჯ პოლიციელს შეშვენის, ისე იჯდა და უფროსის მითითებებსაც კარგად ასრულებდა. მოკლულის ფულით ნაყიდი ავტომანქანითაც მშვენივრად გადაადგილდებოდა. ნათქვამია, ყველაფერს თავისი ბოლო აქვსო და უნგიაძის ნავარდიც დასრულდა, ოღონდ არა — „ჰეფი ენდით“.**

სანამ უშუალოდ მკვლელობის თემას შევეხებით, ორი სიტყვით ამ პიროვნებათა შესახებ გიამბობთ.

**დიმიტრი მერაბიშვილი და გიორგი უნგიაძე წლების მანძილზე გლდანის ერთ-ერთ მიკრორაიონში, ერთ კორპუსში ცხოვრობდნენ და მეგობრობდნენ. მოგვიანებით მერაბიშვილმა ბინა გაყიდა და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა; პოლიციელობაზე უარის თქმის შემდეგ სამარშრუტო მიკროავტობუსზე მუშაობდა; დადიოდა თურქეთში, სადაც გამოძიებისთვის გაურკვეველ საქმიანობას ეწეოდა; აღსანიშნავია ისიც, რომ ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვისთვისაც ყოფილა ნასამართლევი.**

რაც შეეხება გიორგი უნგიაძეს, დაპატიმრებამდე იგი შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს განყოფილებაში ინსპექტორ-გამომძიებლად მუშაობდა.

მოკლული ნათია ჯიჯავაძე ბათუმელი იყო. იგი მეუღლესთან განქორწინებული გახლდათ და 14 წლის შვილი ჰყავდა. როგორც გამოძიებიდან და მერაბიშვილის ნაამბობიდან გაირკვა, მას მოკლულთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა აკავშირებდა. ერთ-ერთი ვერსიით, მერაბიშვილი ახალგაზრდა ქალს ცოლად მოყვანას ჰპირდებოდა (არადა მერაბიშვილს ცოლ-შვილი ჰყავდა). სწორედ ეს მაცდური წინადადება აღმოჩნდა მოკლულისთვის საბედისწერო. სხვათაშორის, ეს მკვლელობა იმდენად ბურუსით მოცულია, რომ სამართალდამცავებმა ვერ გაარკვიეს, თუ როდის მოხდა იგი. მათი ვარაუდით, ჯიჯავაძე იანვარ-თებერვალში მოკლეს.

ნათია ჯიჯავაძემ ბათუმში ბინა გაყიდა, აღებული თანხით კი (28 ათასი დოლარი), რომლის არსებობის შესახებ მხოლოდ მერაბიშვილმა იცოდა, თბილისში ჩამოვიდა. თბილისში ჩამოსვლა რა გასაკვირია, მაგრამ აქ სხვა რამ იმალებოდა. ძალიან მალე ცხადი გახდა, რომ მერაბიშვილს ქალი კი არა, მისი დოლარები იზიდავდა. საქმე იმან გაართულა, რომ ქალმა მას ცოლად შერთვა მოსთხოვა და ამ მიზნით მერაბიშვილის ოჯახის გაცნობაც მოინდომა. ჰოდა, კვამლის და შემდეგ ცეცხლის გაჩენამდე ყოფილმა პოლიციელმა საქმის მისებურად მოგვარება გადაწყვიტა. ამაში კი მეგობარი დაიხმარა.

**განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მეგობრებმა გეგმაც შეიმუშავეს. ამისთვის მათ უნგიაძის ნათესავის ბინა გამოიყენეს. სწორედ ამ ბინაში მიიყვანა მერაბიშვილმა ჯიჯავაძე. მკვლელობა კი დაახლოებით საღამოს 8 საათზე მოხდა.**

**მერაბიშვილმა ჯიჯავაძე აბაზანაში შეიყვანა. უნგიაძემ კი მას დახრჩობა დაუწყო. მერაბიშვილმა ქალს ხელ-ფეხი გაუკავა, რომ მას წინააღმდეგობა არ გაეწია. ჯიჯავაძის დახრჩობის შემდეგ მერაბიშვილი მაღაზიაში ჩავიდა და პოლიეთილენის პარკები შეიძინა, რომელშიც ჯიჯავაძის დანაწევრებული გვამი მოათავსეს და უნგიაძის მანქანით წაიღეს.**

ამ მკვლელობას ისეთი პირი უჩანდა, რომ შესაძლოა, არც გახსნილიყო, თუმცა სიმართლე მაინც გამომჟღავნდა. დამნაშავეებისთვის განგაშის ზარმა მაშინ ჩამოკრა, როდესაც მოკლულის მარჯვენა ხელის კიდური რესტორან „წისქვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ქოხის მახლობლად მოთამაშე ბავშვებმა იპოვეს. ეს თებერვალში მოხდა. მაისში კი ნათია ჯიჯავაძის თავი უნგიაძის საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში იპოვეს დამარხული. იგი უკვე გახრწნილი იყო, მაგრამ ჯიჯავაძის ვინაობა დნმ-ის საფუძველზე დადგინდა. როგორც ირკვევა, დამნაშავეებმა დანაწევრებული გვამი ქალაქის სხვადასხვა უბანში დამარხეს, ამიტომ გაჭირდა მისი გვამის პოვნა.

მოკლულს მცირეწლოვანი შვილი დარჩა. ამჟამად ბიჭი ბებიასთან იზრდება. აი, რას გვიამბობს მოკლულის დედა:

**„24 იანავარს ნათია თბილისში წავიდა, 26 იანვარს დამირეკა და მითხრა, უკვე საბერძნეთში ვარო. სინამდვილეში კი თბილისში ყოფილა. უფულოდ როგორ წახვედი-მეთქი, — ვკითხე. ბინა გავყიდეო, —მიპასუხა.**

**მერაბიშვილზე წარმოდგენაც არ მქონდა, ვინ იყო. მის შესახებ ბათუმში იმ სასტუმროში შევიტყვე, სადაც ცხოვრობდა. თბილისში ჩამოვედი, მერაბიშვილის ბაბუა და ძმა მოვნახე, მაგრამ მათ, არაფერი ვიცითო, მიპასუხეს“.**

ჯიჯავაძესთან თავისი ურთიერთობის შესახებ დაწვრილებით მერაბიშვილმა, მისივე თხოვნით, დახურულ სასამართლო პროცესზე ისაუბრა. მისი ნაამბობის შინაარსი მოკლულის დედამ გადმოგვცა:

**„მერაბიშვილი ამბობს, რომ ბინის გაყიდვა ნათიამ შემომთავაზაო. ნათია ცოცხალი აღარ არის და პირზე ვინ დაადგება?! ნათია ასე უპასუხისმგებლოდ არ მოიქცეოდა. მერაბიშვილმა თქვა, საზღვარგარეთ ვაპირებდით წასვლას, მაგრამ უნგიაძემ გადამაფიქრებინაო. იგი ყველაფერს უნგიაძეს აბრალებს; ისიც არ დაუმალავს, ბინის ფულიდან ვის რამდენი აჩუქა, მანქანა რომ იყიდა და ამ მანქანით შემდეგ უნგიაძე რომ დადიოდა. ასევე თქვა, უნგიაძეს 4500 დოლარი მივეციო. რამდენად მართალია, არ ვიცი“.**

მეგობრისგან განსხვავებით, უნგიაძე დანაშაულს არ აღიარებს. მეტიც, როდესაც მერაბიშვილი ალაპარაკდა და უნგიაძეც ახსენა, ამან ამ უკანასკნელის გაღიზიანება გამოიწვია და მეგობარს არაკორექტულად მიმართა.

**საბოლოოდ, ქალის მკვლელობისთვის სასამართლომ ყოფილ პოლიციელებს ასეთი განაჩენი გამოუტანა: მერაბიშვილს, რომელმაც, სხვათაშორის, პროკურატურასთან ითანამშრომლა, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე 15 წელი მიუსაჯეს, ხოლო უნგიაძეს — 19 წელი.**

უნგიაძის ადვოკატებმა განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. ამასობაში მერაბიშვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს, სადაც იგი წერდა, რომ უნგიაძეს ქალი არ მოუკლავს და რომ დანაშაული მარტომ ჩაიდინა. პროკურატურამ კარგად იმუშავა იმისთვის, რომ ბურუსით მოცული საქმე მიეფუჩეჩებინა და ისეთი განაჩენით დაკმაყოფილებულიყო, როგორიც მისთვის იყო ხელსაყრელი.

სააპელაციო პროცესების განხილვისას მერაბიშვილი ციხეში გარდაიცვალა. იგი მძიმე ავადმყოფი გახლდათ. რაც შეეხება უნგიაძეს, სააპელაციოს განაჩენი მისმა ადვოკატმა უზენაესში გაასაჩივრა. მართალია, პასუხი ჯერ არ მიუღიათ, მაგრამ დიდი ალბათობაა, რომ უზენაესმაც ძალაში დატოვოს ძველი განაჩენი.

**სალომე გოგოხია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ზურაბ გაგნიძე:

# ნოღაიდელის გადასვლა ოპოზიციაში შეძენილი ქონების დაკარგვის შიშით არის გამოწვეული

**საქართველოს ამბიციური პოლიტიკოსები არ აკლია, მაგრამ განიცდის ღირსეული და აღიარებული ლიდერების დეფიციტს. ყოფილი პრემიერ-მინისტრის (დღეს ლიდერი მოძრაობისა „სამართლიანი საქართველოსთვის“) ზურაბ ნოღაიდელის ფსიქოპორტრეტის შესახებ გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, პოლიტიკოსისთვის საჭიროა ძლიერი გონებრივი უნარები, სულიერი სიჯანსაღე, რამდენად პასუხობს ამ მოთხოვნებს ზურაბ ნოღაიდელი?**

— ზურაბ ნოღაიდელის სრულიად უწყინარი და მშვიდი იერსახის უკან იმალება ქოლერიკის დაჭიმული ნერვები, აულებელი სიჯიუტე და საფუძველს მოკლებული ყოყლოჩინობა. ზურაბ ნოღაიდელმა სულიერებაში ჩალექილ უკმაყოფილებაზე ხმა მაშინ ამოიღო, როდესაც სააკაშვილმა რუსეთთან ომი წააგო და, შესაბამისად, რეიტინგიც დაკარგა. დამარცხებულ თანაგუნდელს ურტყამს — აი, მისი ზნეობრივი კრედო. ერთ-ერთ ინტერვიუში იგი ამბობს: „როგორც ითამაშეს აგვისტოში პატარა ბიჭებმა ომობანა, ასევე აგრძელებენ სახელმწიფოს მართვას“. ასეთი რეაქცია ადრე უნდა ჰქონოდა, როდესაც ქვეყნის მესამე პირი ბრძანდებოდა. ეს მოწმობს, რომ მისი გონებრივი უნარები მოკლებულია ობიექტურ ანალიზს — თვითკრიტიკას. ეს კი პიროვნული უმწიფრობის აშკარა გამოხატულებაა.

ნოღაიდელი ამასაც იხსენებს: „რევოლუციაში მონაწილეობა არ მიმიღია. 23 ნოემბრის დილას ჩამოვედი თბილისში ბანგლადეშიდან, სადაც კონტრაქტი და მშვენიერი ანაზღაურება მქონდა. დამიძახეს... მითხრეს, შენ უნდა იყო ფინანსთა მინისტრიო. მხოლოდ 45 დღით დავთანხმდი. მერე ჟვანიას თხოვნით დავრჩი. აპრილში უკვე აღარ ჰქონდა პრობლემები საქართველოს ბიუჯეტს“... ამ ნათქვამიდან ჩანს, რომ ქვეცნობიერში არ უნდოდა, მაგრამ დარჩა... თავს იმართლებს. აქ უკვე მჟღავნდება სუბიექტის ყოყლოჩინობა, თავმომწონეობა, ბრიყვული კმაყოფილება საკუთარი პერსონით, რომ ნოემბრიდან აპრილამდე საბიუჯეტო სფეროში მისი დამსახურებით აღმოიფხვრა პრობლემები.

**— ნოღაიდელი ჟვანიას მეგობრად და გუნდის წევრად მოიაზრებოდა... მაგრამ ჟვანიას ბურუსით მოცულ გარდაცვალებასთან დაკავშირებით დუმილი არჩია...**

— მისი ფსიქიკის ერთ-ერთი ძირითადი შტრიხი სიფრთხილეა, რაც ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ უსახო, უმიზეზო შიშად ექცა და შემაწუხებელი სიფხიზლე დასჩემდა ყველასა და ყველაფრის მიმართ. ეს გამუდმებული შიში მას აგრესიულსა და ნევროზულს ხდის: „რისი უნდა მეშინოდეს... რაზე უნდა დამიჭირონ... ყველა ჩემი ხელმოწერილი დოკუმენტი არქივშია, თუ რაიმე დანაშაულის ნიშანი იყო, რეაქცია უკვე იქნებოდა... — და კვლავ ყოყლოჩინობა, — როცა თანამდებობიდან წამოვედი, წმინდა გიორგის ორდენით დამაჯილდოვა. ჩემს საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები არ ყოფილა და ვერც იქნებოდა, ვერ გამიბედავდა“. მისი ეს ნათქვამი სუსტ გონებრივ ალოგიკურობაზე მეტყველებს და შიშის მოსაგერიებლადაა განცხადებული. „რატომ ვერ გაგიბედავდათ? — ეკითხება ჟურნალისტი, — იმიტომ, რომ აუცილებლად წააგებდა აჭარაში 5 იანვრის არჩევნებს“. პასუხში მისი სულიერებიდან წამოსული პატარ-პატარა ცუღლუტობანი ჩანს, რითაც ხაზგასმულია უმწიფარი პიროვნების ინფანტილურობა — „იმიტომ, რომ“. ცხადია, მისი მსჯელობა აგებული არაა ლოგიკური აზროვნების პრინციპზე.

**— მაინც, რის უნდა ეშინოდეს, რამ განაპირობა მისი „ფეხაკრეფით“ სიარული პოლიტიკაში?**

— ნოღაიდელმა თავისი მოღვაწეობის მანძილზე დიდძალი ქონების შეძენა მოახერხა, რამაც პატივმოყვარეობა კი დაუცხრო, მაგრამ შიში გაუმძაფრა. ზვიად ძიძიგურის განცხადებით: „მის ანგარიშზეა ასიათასობით ლარი, მანქანები და ბინები. მან საზოგადოებას უნდა გასცეს პასუხი, საიდან აქვს ქონება, რომელიც ჯერ კიდევ შარშან არ ჰქონდა“.

ნოღაიდელი ქვეყნის უმდიდრეს ადამიანთა სიაში სახელდება. ნოღაიდელის გადასვლა ოპოზიციაში შეძენილი ქონების დაკარგვის შიშით არის გამოწვეული. როცა სააკაშვილის სამხედრო ავანტიურა მარცხით დამთავრდა, მაშინ ზურაბს პეტრე მამრაძისთვის უთქვამს: „ხომ გესმის, აწი რა ელის საქართველოს...“ ამის ქვეშ იკითხება შიში, რომ მომავალი არც მას აძლევს კეთილდღეობის გარანტიას. ამიტომ გაემიჯნა ზურაბ ნოღაიდელი არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ 9 აპრილს დაწყებულ საპროტესტო აქციებს, გამბედაობა არ ეყო. მაგრამ სულიერებაში განივთებული ყოყლოჩინობა და სიჯიუტე მის ყველა სხვა ნაკლზე ძლიერია: „საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, ვინ ვარ, როგორ ვცხოვრობ, რა შესაძლებლობები მაქვს. არაფერი მაქვს დასამალი და არც თავი მაქვს გასამართლებელი“. ეს არის წინააღმდეგობებით აღსავსე, ფარული აგრესიის მქონე ინდივიდის ჯიბრიანი პასუხი.

**— ბატონო ზურაბ, სტერეოტიპი ნოღაიდელის ხისტი ხასიათის შესახებ პოლიტიკაში ჩახედულისთვის ცნობილია, ფსიქოლოგიურად რით აიხსნება ეს სიხისტე?**

— ამ ადამიანს უჭირს ურთიერთობების დამყარება და გარკვევა, ნაკლებ კონტაქტურია, ძნელად ეგუება ადამიანთა სიჭრელეს. ფარული ნევროზები აქვს, ღლის თავყრილობები, ზედმეტი შეკითხვები, ხმაური, ქაოსური მდგომარეობა. რთულ, გამწვავებულ სიტუაციაში სწორი არჩევანის გაკეთება უჭირს.

**— დღეს ის ცდილობს, სერიოზულ პოლიტიკურ ძალად იქცეს და სწორედ შემოდგომიდან აპირებს გააქტიურებას. რამდენად მომზადებულია მისი სულიერი უნარები წარმატებებისთვის?**

— ნოღაიდელის აზრით, ქვეყანაში შემოდგომაზე ეკონომიკური მდგომარეობა უფრო დამძიმდება. მისი საპროგრამო სიტყვებია: „ჩვენ შევიკრიბეთ... რომ სახელმწიფოს მართვის მანკიერი სტილი სწორი მართვით შევცვალოთ... გადავარჩინოთ ჩვენი სახელმწიფოებრიობა“. ამას ამბობს კაცი, რომელიც მაღალ თანამდებობებზე იყო როგორც შევარდნაძის, ასევე სააკაშვილის მთავრობაში. რატომ გაურბის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, დაავიწყდა ჰიმნი „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“? რატომ ცრუობს?..

ნოღაიდელი სულიერი უნარებით ორთოდოქსია, მაგრამ კეთილდღეობის შენარჩუნების სურვილმა, წლობით სიყალბეზე თვალის დახუჭვამ მასში ჩაკლა სოლიდარობისა და ერთგულების გრძნობა.

დღეს ზურაბ ნოღაიდელი თავისი მოძრაობით ხმამაღლა აცხადებს: „ჩვენ გვაქვს ამბიცია, ვუპატრონოთ ჩვენს ქვეყანას“!

დიახ, ბატონო ზურაბ, თქვენ მართლაც გაქვთ ამბიცია, ამასთან, კონსტიტუციური უფლება, პოლიტიკაში ხელახალი დამკვიდრებისთვის იბრძოლოთ, მაგრამ არ გაქვთ ზნეობრივი უფლება და საზოგადოების მხრიდან ნდობის მანდატი, რადგან თავისთავად ჩნდება კითხვა — განა წინა მთავრობებში ამის გასაკეთებლად არ იყავით?!

ქართველ ხალხს კი სრული მორალური უფლება აქვს, გითხრას: „სეკვესტრების მინისტრო“, გეკითხებით: „ბიჭო, ზურაბ, სანამდის?“

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

# ექიმი — ტაქსის მძღოლად, მასწავლებელი — დარაჯად,

## უმუშევრობა ეროვნული თვისება კი არა, სოციალური უბედურებაა

**თაობას, რომელსაც მოსწავლეობის წლები მაინც გაუტარებია კომუნისტურ ეპოქაში, ალბათ, ახსოვს ფრაზები: „თუ იზარმაცებ, პროფტექნიკუმში გაგამწესებენ“, „თუ არ ისწავლი, მუშა გამოხვალ“, „თუ არ იმუშავებ, დანაშაულად ჩაგითვლიან და პასუხს მოგთხოვენ“, „უცოდინარ, უდიპლომო კაცს ცხოვრება გაუჭირდება“ და ა.შ. ამ სიტყვებს თითქმის საბავშვო ბაღიდან ჩააგონებდნენ აღმზრდელები, მშობლები, მასწავლებლები... დღევანდელი გადასახედიდან კი ეს ყველაფერი ღიმილისმომგვრელია. უკვე კარგა ხანია, ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობას დანაშაულად აღარ თვლიან და არც დიპლომი უზრუნველყოფს მშვიდ და კარგ ცხოვრებას. ამ შეგონებებმა კვალი მხოლოდ ქვეცნობიერში დატოვა და ერთგვარი კომპლექსი ჩამოაყალიბა.**

**ნახევარი ქართველობა საზღვარგარეთ არცთუ პრესტიჟული საქმიანობით არის დაკავებული. ეს უკვე მოძველებული ამბავია, თუმცა, ქართული ხასიათიდან გამომდინარე, მსგავს სამსახურზე, თუნდაც იმავე ანაზღაურებით, მათი უმრავლესობა საქართველოში უარს განაცხადებდა. ამის მაგალითად შეიძლება ისიც მოვიყვანოთ, რომ საბერძნეთში წასული ქართველები თავს არ ზოგავენ, რომ როგორმე მეეზოვედ დაიწყონ მუშაობა. ანაზღაურება მართლაც მაღალია, მაგრამ, თუნდაც, ასეთი ანაზღაურების საფასურად, ძნელად მოიძებნება ქართველი, ვინც აქ ამ სამსახურზე ხალისით დათანხმდება. ამაყი ხალხი ვართ ქართველები, თუმცა ფსიქოლოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს მენტალიტეტი კი არა, სოციალური თვისებაა.**

— პროფესიული შრომა ადამიანის მიერ ხანგრძლივად აღებული ქცევის ფორმაა და ეს ეფუძნება გარკვეულ არჩევანს, გადაწყვეტილების მიღებას. ადამიანები არ იბადებიან პროფესიონალებად, ისინი იღებენ გარკვეულ ინფორმაციას მომავალი შრომითი საქმიანობის შესახებ. გააჩნია, რას აქვს დიდი მნიშვნელობა პიროვნებისთვის — მატერიალურ უზრუნველყოფას, ესთეტიკურ ღირებულებებს თუ კარიერულ წინსვლას, — აღნიშნა **თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პროფესორმა გივი ქირიამ**, — იყო პერიოდი, როცა საქართველოში მასწავლებლების დეფიციტი იგრძნობოდა, მაგრამ საზოგადოებრივმა მოთხოვნილებებმა გაზარდა ამ პროფესიის მნიშვნელობა. ასევეა სხვა პროფესიების მიმართ. იყო დრო, როცა კომპიუტერული ტექნიკის სპეციალისტები არ გვყავდა, მაგრამ გაჩნდა მათზე მოთხოვნილება და ახლა პრესტიჟულ პროფესიადაც ითვლება. ამით იმის თქმა მინდა, რომ საზოგადოებაში ყალიბდება მოთხოვნილებები და მათ საფუძველზე — პროფესიის ღირებულებები.

**— სოციალური გარემო შეიცვალა, მაგრამ უცვლელი დარჩა სტერეოტიპები და, აქედან გამომდინარე, შრომის გარკვეული სახეობა ჯერ კიდევ სათაკილოდ ითვლება ჩვენთან. არსებობს სათაკილო პროფესია?**

— როდესაც პიროვნება უარს ამბობს ამა თუ იმ სამუშაოზე იმ მოტივით, რომ სათაკილოდ მიაჩნია, ეს არის არატიპური ცალკეული შემთხვევა. ადამიანი ნებისმიერ სამსახურზე იქნება თანახმა, თუ ის ძირითად მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.

**— ანუ, მიგაჩნიათ, რომ, თუკი მეეზოვეს ექნება საკმაოდ მაღალი ანაზღაურება, ქართველებისთვის ის მისაღები პროფესია იქნება?**

— ზოგადად, პროფესიამ უნდა მოახდინოს ინდივიდის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ადამიანი ყველა პროფესიაზე თანახმაა, რომელიც მას ამ მოთხოვნილებებს დაუკმაყოფილებს. საქართველოში არსებობს სოციალური გარემო, სადაც ტრადიციული გახდა ასეთი დამოკიდებულება მეეზოვისადმი, დამლაგებლისადმი. მსგავსი სამსახური არ ითვლებოდა პრესტიჟულად და ინერციით მოხვდა არაპრესტიჟულთა სიაში. საზღვარგარეთ პროფესიის პრესტიჟულობა საზოგადოებაში არ არის ასე გამიჯნული და ამიტომ იქ უფრო თავისუფლად თანხმდებიან ასეთ სამსახურზე, ვიდრე საქართველოში, მაგრამ ეს არ არის ეროვნული მოვლენა ან მენტალობით განპირობებული; ეს არის სუფთა სოციალური მოვლენა. ექიმი ტაქსის მძღოლად მუშაობს, მასწავლებელი — დარაჯად და ეს სოციალურმა გარემომ განაპირობა. ახალგაზრდა ქალბატონები საზღვარგარეთ შესაძლებელია, ამორალურ საქმიანობას ეწეოდნენ, რასაც საქართველოში არ გააკეთებენ. იმიტომ კი არა, რომ ეს იქ პრესტიჟულია და აქ არა, აქ სოციალური ნორმები არის შემორჩენილი.

**— ეს კარგია თუ ცუდი?**

— კარგიც არის და ცუდიც. ჩვენთან საზოგადოება, როგორც ეკონომიკური სტრუქტურა, არ არის ჩამოყალიბებული, ჩვენთან არ არსებობს პროფესიათა განვითარების გეგმა. არავინ იცის, ხუთი, ათი წლის შემდეგ რა პროფესიები იქნება საქართველოში საჭირო. ელიავას ბაზრობასთან რომ გაიაროთ, ყველა ყველაფრის სპეციალისტია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში თითქმის ყოველგვარი პროფესიული საქმიანობა მისაღები ხდება, თუ ის აკმაყოფილებს საშუალო და მაღალ პიროვნულ ღირებულებებს. რა თქმა უნდა, არსებობენ ამპარტავანი ადამიანებიც, მაგრამ მათი რიცხვი სტატისტიკურად იმდენად უმნიშვნელოა, რომ ეს არ არის მაფორმირებელი და განმსაზღვრელი. არ იქნება მართებული თქმა, რომ ქართველები აქ თაკილობენ შრომას და მიდიან საზღვარგარეთ მოხუცებისა და ბავშვების მოსავლელად. მიეცით მათ იგივე ხელფასი აქ და ისინი დაიწყებენ მუშაობას. ნუ ფიქრობთ, რომ ამპარტავნობა და პრესტიჟულობა

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ხელი გავიქნიე ფეხი ქართულ სამართალწარმოებაში

**უკანასკნელი წლების საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის მასალებს თუ ჩავუღრმავდებით, ხშირად შევხვდებით კანონიერების მეტად უხეშ დარღვევებს. სანიმუშოდ მკითხველს შევთავაზებ ორ განაჩენს, რომლებიც სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელთ. როცა ამ განაჩენებს გავეცანი, ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. დაბეჯითებით შემიძლია, განვაცხადო, რომ ჩემს მრავალწლიან პრაქტიკაში ასეთი დარღვევები არა თუ არ მინახავს, არამედ თეორიულადაც კი არ შემეძლო, წარმომედგინა. მკითხველს, ალბათ, გაუკვირდება და ძალაუნებურად იკითხავს, მაინც, რა უნდა იყოს კანონიერების ისეთი დარღვევა, რომელიც პრაქტიკულად წარმოუდგენელია!**



მოკლედ რომ ვთქვათ, ორივე განაჩენში გვხვდება ქმედების ასეთი კვალიფიკაცია: სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობის მცდელობა. ეს იმდენად უხეში შეცდომაა, რომ ის სტუდენტსაც კი არ ეპატიება. გაუფრთხილებლობის ყველა შემთხვევა შეცდომის ნაირსახეობაა. მცდელობა კი ყოველთვის განზრახია. ამიტომ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის მცდელობა წინააღმდეგობრივი ცნებაა. **ეს ხომ იმას ნიშნავს, ადამიანი შეეცადოს, რომ შეცდეს. ასეთი რამ სრული უაზრობაა. როგორ შეიძლება, ეცადოს კაცი, რომ გაუვარდეს თოფი? „გაუვარდეს" ხომ ადამიანის წარმოდგენის გარეშეა? მოსამართლეებმა, ვინც ამ განაჩენს ხელი მოაწერა, შეიძლება გვითხრან, რომ ეს მათი დაბნეულობის შედეგია და არა უცოდინარობის. მაგრამ ეს კიდევ უარესია, რადგან მოსამართლემ არ იცის, რას აწერს ხელს! ასეთი რამ კი შეუთავსებელია სამოსამართლო საქმიანობასთან.**

ახლა უფრო კონკრეტულად შევეხოთ საკითხს. გ. თედიაშვილს საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 ივლისის განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახი მკვლელობა) და თავისუფლება შვიდი წლით აღეკვეთა. მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე ეს საქმე განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენით გ. თედიაშვილის ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლიდან მე-9-116-ე მუხლის პირველ ნაწილზე გადააკვალიფიცირა. **„გ. თედიაშვილმა საკუთარ სახლში, გვამის არხში გადაგდებამდე მიიჩნია,** — ვკითხულობთ განაჩენში, — **რომ ჟ. გრატიაშვილი გარდაცვლილი იყო, თუმცა რეალურად ამ დროისთვის ჟ. გრატიაშვილი იყო ცოცხალი, რის გამოც გ. თედიაშვილის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის მცდელობა".**

როცა წავიკითხე სიტყვები **„სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის მცდელობა"**, თქვენ წარმოიდგინეთ, თვალებს არ ვუჯერებდი! ერთხანს ვიფიქრე, ალბათ ასე არ იქნება, მომეჩვენამეთქი და ამიტომ ტექსტი კიდევ ერთხელ დაკვირვებით გადავიკითხე. როცა დავრწმუნდი, რომ არაფერი მომჩვენებია და განაჩენში ზუსტად ისე ეწერა, როგორც თავდაპირველად ამოვიკითხე, გადავწყვიტე, გამეგრძელებინა კითხვა. დავინტერესდი, შემთხვევით წამოსცდა ეს სიტყვა მოსამართლეს თუ დაიწყებდა ის ამ დებულების **(„სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის მცდელობა")** დასაბუთებას.

აი, როგორ არის განაჩენში ეს დებულება დასაბუთებული: **„ჟ. გრატიაშვილის სხეულის არხში გადაგდებისას გ. თედიაშვილი დარწმუნებული იყო, რომ ჟ. გრატიაშვილი იყო მკვდარი და მისი განზრახვა იყო მანამდე ჩადენილი დანაშაულის დაფარვა. მას არ ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რა მართლსაწინააღმდეგო შედეგი მოჰყვებოდა მის ქმედებას, ანუ ვერ წარმოიდგენდა, რომ ჟ. გრატიაშვილი წყალში ჩაგდებით გარდაიცვლებოდა, ვინაიდან ის უკვე გარდაცვლილი ეგონა და, ამდენად, მის მიერ ჟ. გრატიაშვილის სხეულის არხში ჩაგდება, რომელსაც ამ უკანასკნელის სიკვდილი მოჰყვა, ვერ ჩაითვლება რაიმე სახის მკვლელობად. მისი განზრახვა, როგორც აღვნიშნეთ, მოიცავდა მხოლოდ დანაშაულის დაფარვას, თუმცა გ. თედიაშვილი ვერც დანაშაულის დაფარვისთვის დაისჯება, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვისთვის".**

როგორც მკითხველი ხედავს, ამ აბდაუბდა მსჯელობიდან არ ჩანს, საიდან დაასკვნა პალატამ, რომ გ. თედიაშვილმა ჩაიდინა **„სიცოცხლის გაუფრთხილებლობითი მოსპობის მცდელობა"**. ეს, რასაკვირველია, არ ჩანს და არც შეიძლება ჩანდეს, რადგან **„გაუფრთხილებლობა"** და **„მცდელობა"** ერთმანეთისგან ისეთივე დაშორებული და ურთიერთდაპირისპირებული ცნებებია, როგორც ცა და დედამიწა.

ახლა გადავხედოთ მეორე განაჩენს. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2006 წლის 28 ივლისის განაჩენით დაადგინა, რომ **„სერგო სეირანის ძე მატინიანი ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19-119-ე მუხლით გათვალისწინებული, მისთვის ინკრიმინირებულ მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებაში და სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლის ვადით".** ეს იმას ნიშნავს, რომ ს. მატინიანი სასამართლომ დასაჯა სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობისათვის. მე-19 მუხლით, როგორც ვიცით, განსაზღვრულია დანაშაულის მცდელობის ცნება. 119-ე მუხლით კი გათვალისწინებული იყო (2006 წ. 28 აპრილის კანონით ეს მუხლი კოდექსიდან ამოღებულია) პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის, **„რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა".** სასამართლო განაჩენში ერთი სიტყვითაც კი არ ასაბუთებს იმ დებულებას, როგორ შეიძლება მოხდეს **„გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის"** მცდელობა.

არადა, სისხლის სამართლის კოდექსში „გაუფრთხილებლობის" ცნებაც გვაქვს განსაზღვრული და „მცდელობის" ცნებაც. კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, გაუფრთხილებლობის ორი სახე შეიძლება შეგვხვდეს ცხოვრებაში. ესენია: **„თვითიმედოვნება"** და **„დაუდევრობა".** თვითიმედოვნება ნიშნავს ისეთ შემთხვევას, როცა ადამიანს **„გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა".**

როგორც ვხედავთ, კაცი **„უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა"**, მაგრამ მოტყუვდა. იმედი გაუცრუვდა, შედეგი მისი ნებისგან დამოუკიდებლად მაინც დადგა. როგორ შეიძლება ადამიანი ეცადოს, რომ მოტყუვდეს, იმედი გაუცრუვდეს და შედეგი დადგეს?

კიდევ უფრო მეტ გაუგებრობას იწვევს გაუფრთხილებლობის მეორე სახის მცდელობა. სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით აღწერილია გაუფრთხილებლობის მეორე სახე — დაუდევრობა. აქ ნათქვამია: **„ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას"...** და ა.შ.

### განა შეიძლება იმ შედეგის მცდელობა, რომლის „დადგომის შესაძლებლობას" ადამიანი არ ითვალისწინებდა? ერთი სიტყვით, ეს ისეთი უმეცრებაა, რომლის მიხვედრას იურისტის დიპლომი არ სჭირდება.

*სამწუხაროა, რომ ერთ-ერთ აქ დასახელებულ განაჩენზე ხელმომწერი მოსამართლე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია (მ. ივანიძე). მკითხველმა თვითონ განსაჯოს, რა უნდა ასწავლოს სტუდენტს ისეთმა პროფესორმა, რომელიც განზრახვას გაუფრთხილებლობისგან ვერ არჩევს.*

ამ ფაქტთან დაკავშირებით მახსენდება ბოლო წლებში მოსამართლეთა წინააღმდეგ დაწყებული სრულიად უსამართლო დევნა. მაშინ ნაწილი მოსამართლეებისა დისციპლინური წესით გაასამართლეს და ისე დაატოვებინეს მოსამართლის თანამდებობები კონსტიტუციური ვადის ამოწურვამდე. წარმოიდგინეთ ერთი წუთით, ამ მოსამართლეებს რომ კანონის ისეთი უხეში დარღვევები აღმოსჩენოდათ, როგორიც აქ დავასახელეთ, დღეს ისინი ნამდვილად „გაციმბირებული" იქნებოდნენ, თუმცა მაშინაც იყო შემთხვევები, როცა რამდენიმე მოსამართლე სრულიად უსამართლოდ დასაჯეს სისხლის სამართლის წესით.

**ასე გაწმინდა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მაშინ სასამართლო სისტემა მისთვის არასასურველი, კანონმორჩილი მოსამართლეებისგან და მათ ადგილას ხელისუფლების მორჩილი მოსამართლეები მოიყვანა.**

*ამას დაემატა ისიც, რომ 2007 წლის 4 ივლისის კანონით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღეს 336-ე მუხლი, რომელიც განზრახ უკანონო განაჩენისთვის მოსამართლის პასუხისმგებლობას აწესებდა. ამით, ეტყობა, ხელისუფლებამ თავის ერთგულ მოსამართლეებს დაუსჯელობის სრული გარანტიაც მისცა. როგორც ჩანს, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ასე შეხმატკბილებულად აპირებენ ერთობლივი მუშაობის გაგრძელებას.*

როდემდე გაგრძელდება ასე?

**ოთარ გამყრელიძე**
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

# პროფესორი — წიგნის გამყიდველად

უბიძგებს ქართველს, სამუშაო საზღვარგარეთ ეძებოს. პროფესიულ „მეს" არსებულ სამსახურთან კონფლიქტი იქაც აქვს.

**თეონა ლომთაძე, ფსიქოლოგი:**

— ბოლო წლებში განვითარებულმა სოციალურმა, პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა ცვლილებებმა არა მარტო საქართველოს, ბევრი სხვა ქვეყნის განვითარება შეცვალა. დაინგრა ერთი დიდი წყობა, რომელსაც თავისებური ხედვა და სისტემა ჰქონდა როგორც ადამიანის აღზრდის, ასევე მისი დასაქმების და დასვენების თვალსაზრისითაც კი. ფაქტობრივად, გადმოვინაცვლეთ სულ სხვა სამყაროში, სადაც თავის დამკვიდრება ადამიანებს საკუთარი ძალებით უწევთ. დიდ ნაწილს ჩვენთან საკუთარი პროფესიის არაადეკვატური სამუშაოს შესრულება უხდება, ამაში არ იგულისხმება ნეგატიური დატვირთვა, რადგან ამ სფეროს უარყოფითი მხარე არ გააჩნია. ადამიანი იმიტომ არის ინტელექტუალური არსება, რომ იყოს ლავირებადი და ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში გადარჩენისა და დამკვიდრების გზები მოძებნოს, ეს პროფესიათა ცვლასაც ეხება. ალბათ არც ღირს პარალელის გავლება, რა უფრო დასაფასებელია — ის, რომ პიროვნებას აქვს 2 დიპლომი, წამოწოლილია ტახტზე და წუწუნებს, რომ მისი შესაფერისი სამსახური ვერ ნახა, თუ ის, რომ პიროვნებამ, რომელსაც ასევე 2 დიპლომი აქვს, ვერ მუშაობს ადეკვატურ სამსახურში, მაგრამ მოძებნა ისეთი პროფესია, რომლითაც ირჩენს თავსაც და არჩენს ოჯახსაც.

**— გამოვკითხე რამდენიმე პიროვნება და აღმოჩნდა, რომ მათგან უმრავლესობას საკუთარი საქმიანობის გამო საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრების კომპლექსი აქვს.**

— ფაქტობრივად, თქვენ რეზიუმე გააკეთეთ. დამოკიდებულების ცვლილება საკმაოდ მტკივნეული და რთული პროცესია. ჩვენ ამ პროცესში ვიმყოფებით. აღარ ვცხოვრობთ იმ სისტემაში, რომელიც ზრუნავდა ადამიანების თითქმის მთელი ცხოვრების დაგეგმვაზე, არამედ ჩვენ ვაგებთ სისტემას, სადაც თავად უნდა ვიზრუნოთ საკუთარ აღზრდა-განათლებასა და შემდგომ დასაქმებაზე. ჯერჯერობით ჩვენი დამოკიდებულებით ბოლომდე ვერ შევცვალეთ ხედვა, რომ, რაც ადამიანს ესაჭიროება, ყველა აქტივობა, ყველა პროფესია მნიშვნელოვანი, პატივსაცემი და დასაფასებელია. ყველა ვერ იქნება პროფესორი, ექიმი, ადვოკატი. ვიღაცამ ხომ უნდა დაამზადოს პროდუქტი, ხომ უნდა დაალაგოს ქუჩა... ეს კანონზომიერებაა..

**ისინი, ვინც მეეზოვედ და დამლაგებლად მუშაობს, ფსიქოლოგიურ ასპექტებზე ნაკლებად ფიქრობენ, თუმცა ყველა მათგანი აღიარებს, რომ გარკვეული კომპლექსები სამსახურთან დაკავშირებით აქვს. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ მთხოვეს, ამ წერილში მათი გვარი არ დამეფიქსირებინა:**

**თამარი (53 წლის):** უმაღლესი განათლება არ მაქვს, მაგრამ სამსახური მქონდა, „წყალკანალში" ვმუშაობდი გადასახადების ამკრეფად, ასაკის გამო სამსახურიდან 3 წლის წინათ გამომიშვეს. მარტოხელა ვარ და შემოსავლის გარეშე დარჩენილმა დამლაგებლად დავიწყე მუშაობა. რამდენიმე ოჯახში დავდივარ და სახლს ვალაგებ. წელიწად-ნახევარია, ასე ვირჩენ თავს, თუმცა დღემდე ვერ შევეგუე ჩემს სოციალურ მდგომარეობას. შრომა სათაკილო ნამდვილად არ არის, არც ამპარტავანი ვარ, მაგრამ მეც მაქვს ჩემი თავმოყვარეობა. ზოგჯერ, როდესაც ახლობლებთან სტუმრად მიწევს წასვლა, ვფიქრობ, რომ მათთან ჩემი ადგილი არ არის. მათი დამოკიდებულება ჩემ მიმართ არ შეცვლილა, მაგრამ მაინც მაქვს ასეთი შეგრძნება.

**ბადრი (43 წლის):** მეეზოვედ უკვე ერთი წელია, ვმუშაობ. ჩემზე მეტად ეს ჩემი ოჯახის წევრებს არ მოსწონთ და ამის გამო უფრო ვლიზიანდები. ჩემს შვილებს თითქოს რცხვენიათ. ვიცი, თანაკლასელებთან მალავენ, სად მუშაობს მათი მამა, მაგრამ ამ ეტაპზე სხვას ვერაფერს გავაკეთებ, არც ჩემთვისაა ადვილი. ახლა თითქოს შევეგუე, მაგრამ პირველად მართლა საშინლად განვიცდიდი, როცა ნაცნობი მხვდებოდა ნაგვის მანქანის დატვირთვისას.



ჩვენც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ, ჩვეულებრივი ადამიანური მოთხოვნილებებით. არჩევანის უფლება რომ მქონოდა, ნამდვილად სხვა არჩევანს გავაკეთებდი.

**ლენა (33 წლის):** დიდი ხანია, სამსახურს ვეძებ. პროფესიით ეკონომისტი ვარ. თითქოს მოთხოვნადი პროფესიაა, მაგრამ მაინც გამიჭირდა სამსახურის შოვნა. შეიძლება ამბიციური ვარ, მაგრამ გამყიდვლად ნამდვილად ვერ ვიმუშავებ, ვერც — ოფიციანტად ბარში ან რესტორანში, ჩემთვის მარტო ხელფასი ნამდვილად არ არის განმსაზღვრელი; საზოგადოების დამოკიდებულებაა ჩვენთან სხვანაირი და ამიტომ, თორემ საზღვარგარეთ თუ მოვახერხე წასვლა, იქ ნამდვილად არ მექნება ასეთი კომპლექსი.

**ნანა ლაღაძიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

**სოფელი ახალქალაქი (წარსულში „მეფის ქალაქი“) 1634 წელს მდინარე თეძამის სანაპიროზე დაარსდა. „მეფის ქალაქი იყო სტრატეგიული სავაჭრო, სამხედრო და პოლიტიკური ცენტრი, სადაც თავს იყრიდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამთავროებიდან, ასევე, მეზობელი სახელმწიფოებიდან სხვადასხვა აღმსარებლობისა და კონფესიის სოციალური ჯგუფები“, — ვკითხულობთ ისტორიულ ჩანაწერებში... მდინარე თეძამი დღემდე წარმოადგენს ახალქალაქისა და მიმდებარე სოფლების (გარიყულას, თეძმისხევის, ჩოჩეთის, მეტეხის, ბარნაბიანთკარის, ბორტას, ნიაბის, ქვემო გომის, სასირეთის) სავარგულების ძირითად სარწყავ არტერიას.**

# კასპის რაიონის ოცამდე სოფელს სასმელი და სარწყავი წყლის გარეშე ტოვებენ!









თუმცა დღეს ვითარება საგანგაშოა!

რამდენიმე თვის წინ თეძმის ხეობის მოსახლეობა უსიამოვნო და აღმაშფოთებელი ფაქტის წინაშე დადგა: მდინარის სანაპიროზე, იმ ადგილას, რომლის ქვემოთაც მდებარეობს თეძმისხევი, ახალქალაქი და სხვა სოფლები, ამოქმედდა რამდენიმე ერთეული სამშენებლო ტექნიკა — დაიწყო მოსაზღვრე კლდის უზარმაზარი მასივის ნგრევა და გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგეგმება მდ. თეძმის 15-კილომეტრიანი კალაპოტის შეცვლა და ახლად მშენებარე 30-კილომეტრიანი არხის საშუალებით დასავლეთით, მოსაზღვრე რეგიონში, მდინარის გადაშვება. ეს რეგიონი დღემდე მდ. მტკვრიდან ამოტუმბული წყლით მარაგდება. ადგილობრივმა ხელისუფლებამ სატუმბი საშუალებები რატომღაც უსარგებლოდ მიიჩნია და ამ რეგიონის მომარაგება მდინარე თეძმის წყლით განიზრახა!

●

ჯერ კიდევ შარშან, 2008 წლის ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში, ადგილობრივი ხელისუფლება ოცდაათი ვერცხლის მაძიებელი „უერთგულესი“ ხელქვეითების შემწეობით ულირსი მეთოდებით მრავალჯერ შეეცადა ხალხში არსებული საპროტესტო მღელვარების განეიტრალებას, რათა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ობიექტური ინფორმაცია არ გავრცელებულიყო.

**ჯერ კიდევ 2008 წლის 4 აგვისტოს ახალქალაქისა და მიმდებარე სოფლების მცხოვრებთა ინიციატივით დაიგეგმა ერთობლივი ფართომასშტაბიანი აქცია. რამდენიმე დღით ადრე ადგილობრივი ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის „სწორუპოვარმა“ ლიდერებმა „რჩევა-დარიგებისა“ და „შეხედულებების გაზიარების“ მიზნით სოფლებიდან მუნიციპალურ ცენტრში „მიიწვიეს“ აქციის ინიციატორები...**

„წვეულებიდან“ დაბრუნებულმა და „რჩევა-დარიგებით“ დახუნძლულმა ინიციატორებმა მყისიერად შეიცვალეს პოზიციები და საპროტესტო აქციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს, ხოლო მათი მობილური ტელეფონები დღემდე „დროებით გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდან“(?!)

**აქციის დანარჩენ ორგანიზატორებს და მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც სასწაულებრივად გადაურჩნენ მუნიციპალურ ცენტრში „წვეულებაზე“ სტუმრობას, მმართველი პარტიის წარმომადგენლები მრავალ „სასარგებლო“ და „სასიამოვნო“ სიახლეს დაჰპირდნენ... კერძოდ: საჯარო სამსახურებიდან განუსაზღვრელი დროით შვებულებაში გაშვებას! ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებაში „მხილებას“! კერძო საკუთრების ხელყოფას“... დიახ, მუქარის შემცველი გზავნილები დღემდე უხვად ეგზავნება ადგილობრივ მოსახლეობას...**

ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა საპროტესტოდ არაერთგზის შეკრებილი მოქალაქეები, ალბათ, გონებრივად ჩამორჩენილ უპოვარ უბადრუკებად მიიჩნიეს და კიდევ ერთხელ წარმოადგინეს ის პროექტი, რომელიც რამდენიმე თვით ადრე დაინტერესებულ მოქალაქეებს გააცნეს „ლეგენდარული“ არხის მშენებლობაზე დასაქმებულმა მშენებლებმა. წარმოდგენილ პროექტში მოსახლეობამ კიდევ ერთხელ ამოიკითხა რამდენიმე „სიურპრიზი“**... თურმე, დაგეგმილი ყოფილა ძვირადღირებული წყალსაცავის მშენებლობა და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდებოდა დაგროვილი წყლის რესურსის გადაქაჩვა მშენებარე არხში, ხოლო წყალსაცავის ქვემოთ (მდინარის 15-კილომეტრიან კალაპოტში მდ. მტკვრის შესართავამდე) იგეგმება მხოლოდ ე.წ. სანიტარული წყლის მიზერული ნაკადის დინება. ამავე დროს, პროექტში ნახსენები არ იყო მდინარის სანაპიროდან მოსაზღვრე სოფლებში გამავალი ათეულობით სარწყავი და სასმელი წყლის არხი — თითქოს ისინი არც კი არსებობდა...**

ადგილობრივი ხელისუფლება მიზანშეწონილად მიიჩნევს წარმოდგენილი პროექტის რეალიზაციას, რადგან იგი პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკურ გუნდთან ერთად იქნა შემუშავებული და შედგენილი! ეს რომ არც პირველია და არც ქართველების მოგონილი, ფაქტია: **თურმე რამდენიმე წლის წინათ აშშ ერთ-ერთ შტატში მდინარეს კალაპოტი შეუცვალეს, ხოლო ამერიკის ხელისუფლებამ ადგილობრივი მოსახლეობა სხვა შტატში გადაასახლა და ამით აშშ სახელმწიფო არ დანგრეულა!!! სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! მას შემდეგ, რაც ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებულმა სახელისუფლებო პარტიის რაინდებმა „კონსტრუქციული დიალოგით“ ამოწურეს ყველა რესურსი, ვითარების გასანეიტრალებლად ცინიკური პათოსით განიზრახეს მოქალაქეების დამშვიდება...**

●

შარშან, აგვისტოში მიმდინარე საომარი მოქმედებების დასრულებამდე, მდინარის სანაპიროებზე სამშენებლო სამუშაოები დროებით შეჩერდა, თუმცა ომის დამთავრებისთანავე „გამარჯვებულმა“ ხელისუფლებამ მოსახლეობის გულის „გასახარად“ დაჩქარებული რეჟიმით დაიწყო დასახული „დიადი გეგმის“ განხორციელება...

**სხვათა შორის, სახელისუფლებო ინსტანციებიდან სრულყოფილი საჯარო ინფორმაციის მიღების ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, ხოლო „ლეგენდარული“ არხის მშენებლობა შესაშური ტემპით მიმდინარეობს.**

მოსახლეობა კატეგორიულად მოითხოვს მშენებლობის შეჩერებასა და მარგინალი პოლიტიკური სუბიექტების ნაცვლად საზოგადოების წარმომადგენლების, აკადემიური საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ზედამხედველობით მეცნიერული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე რეგიონში კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ტექნიკურ-საექსპლუატაციო პარამეტრებით შედგენილი პროექტის განხორციელება, მოსახლეობის ვარაუდით, გამოიწვევს მდინარის დებეტის სრულად გადაქაჩვას სხვა მიმართულებით, რაც მდინარის ქვედა წელის დაკარგვის ტოლფასია!

ახალქალაქი, გარიყულა, ჩოჩეთი, მეტეხი, ქვ. გომი, ნიაბი, ბორტა, ბარნაბიანთკარი, სასირეთი და სხვა სოფლები სასმელ წყალს, ძირითადად, მარტივი ჭებიდან იღებენ. თეძმის წყლის ქვედა წელის არსებობის შეწყვეტამ შესაძლოა, ჭების დაშრობა, მიკროკლიმატის შეცვლა და სხვა ანომალიური პროცესების განვითარება გამოიწვიოს. დარღვეული ეკოლოგიური ბალანსის შედეგად ხეობა დადგება გარდაუვალი ტოტალური მიგრაციის აუცილებლობისა და ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე.

●

სხვათა შორის, ვიდრე თეძმისხეობაში ჩატარებულ ვანდალურ ქმედებებზე გავაგრძელებდეთ საუბარს, „ნაცების“ რამდენიმე „საქმეს ლაპარაკის ნაცვლად“ წარმოგიდგენთ:

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი მმართველობის ბოლო წლებში კასპის რაიონის მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული სოფლების გაზიფიცირება განიზრახა. სოფლებში დამონტაჟდა საუკეთესო ხარისხის ძვირადღირებული ფართოდიამეტრიანი და სქელკედლიანი მილები. გაზის ცენტრალურ მაგისტრალამდე ქსელის მისაერთებლად უმნიშვნელო სამუშაოები იყო დარჩენილი, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ არსებობა შეწყვიტა, თითქმის დასრულებული მაგისტრალის ექსპლუატაციაში გაშვება განუსაზღვრელი დროით გადაიდო...

**2004 წელს, ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ მოსვლის შემდეგ, ამ უკანასკნელმა რეგიონზე „მზრუნველობა“ იმით გამოხატა, რომ ძვირადღირებული მილები რეგიონისთვის უსარგებლოდ მიიჩნია და მათი დემონტაჟი განიზრახა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლებას ამ მილების გადატანა და პომპეზურად დამონტაჟება ცხინვალის კონფლიქტურ რეგიონში ჰქონდა განზრახული.**

ადგილობრივი მოსახლეობისა და სოფელ ახალქალაქის საკრებულოს ინიციატივით დაიგეგმა რამდენიმე აქცია ხელისუფლების „სიკეთისმომტანი“ ინიციატივის შესაჩერებლად. აქციის ორგანიზატორებმა თხოვნით მიმართეს ცენტრალურ და რაიონის ხელისუფლებას, რათა შეეცვალათ გადაწყვეტილება. ხელისუფლებამ მოსახლეობის „თავხედური“ თხოვნა არ გაითვალისწინა, მაშინ სამართლიანობის აღსადგენად სოფელ ახალქალაქის საკრებულომ სასამართლოს მიმართა... **ხანგრძლივი და**

**საგულისხმოა, რომ სწორედ სააკაშვილის ერთ-ერთი უერთგულესი ჩინოვნიკის ბენდუქიძის გვარს ახსენებენ აღნიშნული ვანდალური პროექტის მესვეურთა შორის!**



**ახალქალაქი, გარიყულა, ჩოჩეთი, მეტეხი, ქვ. გომი, ნიაბი, ბორტა, ბარნაბიანთკარი, სასირეთი და სხვა სოფლები სასმელ წყალს, ძირითადად, მარტივი ჭებიდან იღებენ. თეძმის წყლის ქვედა წელის არსებობის შეწყვეტამ შესაძლოა, ჭების დაშრობა, მიკროკლიმატის შეცვლა და სხვა ანომალიური პროცესების განვითარება გამოიწვიოს.**

**ჯოჯოხეთური დავების შემდეგ სასამართლო ხელისუფლებამ სოფელ ახალქალაქის საკრებულოს მოთხოვნა სამართლიანად მიიჩნია და მილების დემონტაჟის პროცესი შეჩერდა! „დამარცხებულმა“ ხელისუფლებამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ დაიწყო და, სამწუხაროდ, დღემდე აგრძელებს აქციის აქტიური და „თავხედი“ ინიციატორების უღირსი მეთოდებით დევნა-შევიწროებას.**

1996 წელს სოფ. ახალქალაქის ერთ-ერთ დიდ უბანში დაზიანდა ტრანსფორმატორი. მოსახლეობამ ( მეტი გზა რომ არ ჰქონდა) საკუთარი სახსრებით შეიძინა და დაამონტაჟა დიდი სიმძლავრის ძვირადღირებული ტრანსფორმატორი. 2007 წლის 25 დეკემბერს ხელისუფლებამ რეგიონის („წარმატებული“ გაზმომარაგების შემდეგ) „ხარისხიან“ ელექტრომომარაგებაზეც იზრუნა და მოსახლეობას კიდევ ერთი წინასაარჩევნო სიურპრიზი მოუმზადა: ადგილობრივი ენერგოკომპანიის თანამშრომლებმა ტექნიკური რეაბილიტაციის საბაბით მოხსნეს დიდი სიმძლავრის ძვირადღირებული ტრანსფორმატორი და დღემდე გაურკვეველი მიმართულებით წაიღეს, ხოლო მის ნაცვლად მცირე სიმძლავრისა და ღირებულების ტრანსფორმატორი დაამონტაჟეს, რის გამოც ტრანსფორმატორიდან ქსელს დენი ძაბვის მუდმივი ცვლილებით მიეწოდება, რაც გამუდმებით აზიანებს საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკას.

რამდენიმე თვის წინათ ხელისუფლებამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოაცხადა ტენდერი იმ საუკეთესო სამშენებლო კომპანიების გამოსავლენად, რომლებსაც უნდა მოეხდინათ გზების რეაბილიტაცია. სოფელ ახალქალაქიდან თბილისის მიმართულებით ორი საავტომობილო გზა არსებობს: ახალქალაქი-იგოეთი-თბილისი და ახალქალაქი-კავთისხევი-თბილისი. პირველი გზის მონაკვეთი ოთხმოცი კილომეტრია, ხოლო მეორე გზისა — ორმოციოდე კილომეტრი.

**წინასაარჩევნოდ ხელისუფლების მესვეურებმა გზებზე არსებული ორმოები სამშენებლო „ხრეშით“ ამოავსეს და მოსახლეობას (მხარდაჭერის სანაცვლოდ) ნეტარი სახეებით დაჰპირდნენ გორი-ახალქალაქი-კავთისხევი-თბილისის გზის მონაკვეთის სრულყოფილ რეაბილიტაციას.** რამდენიმე წლის წინათ გორი-ახალქალაქისა და კავთისხევი-თბილისის გზის მონაკვეთზე ღრმა ორმოების ამოსავსებად დაყრილი „ხრეში“ ნიაღვრებმა ისევ მდინარე მტკვარში ჩაიტანა, ორმოები კი კვლავ სერიოზულ საფრთხეს უქმნის როგორც ტრანსპორტის გადაადგილებას, ასევე ფეხით მოსიარულეებს. გასათვალისწინებელია, რომ 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების დროს, როდესაც გორი-იგოეთი-თბილისის გზა ბლოკირებული იყო, შიდა ქართლის კონფლიქტური რეგიონიდან დევნილმა საქართველოს შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა მშვიდობიან მოსახლეობასთან ერთად გადაადგილების ერთადერთ საშუალებად გორი-ახალქალაქი-კავთისხევი-თბილისის გზა გამოიყენა. მრავალმა მათგანმა სოფ. ახალქალაქის გავლით თეძმის ხეობაში არსებულ ტყის მასივებს შეაფარა თავი... მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მიერ აღნიშნული გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციოდ შედგენილი პროექტის წარმოდგენის მოთხოვნას ადგილობრივი ხელისუფლებისგან პროექტის ნაცვლად სამი თითის კომბინაციის ჩვენება მოჰყვა! **ამასთან, მომჩივანთ „გულწრფელად“ განუცხადეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება პრიორიტეტულად არ მიიჩნევს აღნიშნული გზის მონაკვეთის აღდგენას, რადგან გზის აღდგენის შემთხვევაში სოფლები მჭიდროდ ინტეგრირებული იქნება დედაქალაქთან, ხოლო ქ. კასპთან კომუნიკაცია შესუსტდება, რაც აბსოლუტურად მიუღებელიაო!!!**

ცნობისთვის: გამოცხადებული ტენდერი გორი-ახალქალაქი-კავთისხევი-თბილისის გზის მონაკვეთის აღსადგენად განუსაზღვრელი დროით გადაიდო! სხვათა შორის, ხელისუფლების წარმომადგენლებმა საკუთარ აქტივისტებს ასეთი რამ განუცხადეს: **შეხვდით ადგილობრივ მოსახლეობას და გაავრცელეთ ისეთი ინფორმაცია, თითქოს პრეზიდენტ სააკაშვილის დავალებით გორი-ახალქალაქი-კავთისხევი-თბილისის გზის მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დაიწყო და უახლოეს მომავალში აუცილებლად დასრულდებაო...**

●

დღეს გამოსავალი ერთადერთია:

ჟურნალისტებისა და უფლებადაცვითი ორგანიზაციებისაგან ჩამოყალიბდეს საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც ძირეულად შეისწავლის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილისა და მისი ხელქვეითების მრავალპროფილიან „შემოქმედებას“! საგულისხმოა, რომ სწორედ სააკაშვილის ერთ-ერთი უერთგულესი ჩინოვნიკის ბენდუქიძის გვარს ახსენებენ აღნიშნული ვანდალური პროექტის მესვეურთა შორის! საინტერესოა, ზემოაღნიშნული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისას რა სამართლებრივი ეკონომიკური თუ ზნეობრივი არგუმენტებით იხელმძღვანელეს ხელისუფლების მესვეურებმა?! „შემთხვევით“ ხომ არ გადაამეტეს თანამდებობრივ უფლებამოსილებას? მოქალაქეებთან შეხვედრების დროს, ასევე, „სრულიად შემთხვევით“ ხომ არ შელახეს ადამიანის უფლებები?

**P.S. მდინარე თეძმისათვის კალაპოტის შეცვლა დღეს ოცამდე სოფელს სასმელი და სარწყავი წყლის გარეშე დატოვებს!**

**გულუბრყვილოდ ვიტოვებთ იმედს, რომ მიხეილ სააკაშვილმა ეს არ იცის! ხოლო თუ იცის და მაინც აძლევს საკუთარ ხელქვეითებს ამის უფლებას... რა გიკვირთ, საქართველოს პრეზიდენტისთვის ხომ „ისტორია“ 2003 წლის 23 ნოემბრიდან იწყება...**

**კოტე წერეთელი**

## დენიზა სუმბაძე:

# აშშ-ს მცდელობა, რომ საქართველო გადააქციოს რუსეთთან დაპირისპირებულ და მეომარ ქვეყნად, სრული უგუნურებაა

**„თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეამ“ და მასთან არსებულმა „ეროვნული პრობლემების ანალიტიკურმა დარბაზმა“ არაერთი წერილით მიმართა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და იმ ქვეყნების ხელისუფლებებს, რომელთა ძალისხმევასაც შეუძლია საქართველოს უმძიმესი მდგომარეობიდან გამოყვანა. ახლახან კი მათ პლანეტარულ მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით აშშ სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონს გაუგზავნეს ღია წერილი, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქართველოში ეთნოკონფლიქტების მოგვარებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთ-ერთი გზა არის ისტორიულად ერთმორწმუნე რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების ეკლესიური გზა და აშშ საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის ინიციატივა საერთაშორისო კომისიის შექმნის შესახებ. „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში სასაუბროდ მოვიწვიეთ ანალიტიკური დარბაზის ხელმძღვანელი, პროფესორი, თეოლოგი დენიზა სუმბაძე.**



**— ქალბატონო დენიზა, თქვენმა ასამბლეამ არაერთი წერილით მიმართა სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიურ მისიებს. ახლახან კი სპეციალური წერილი მისწერეთ აშშ სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონსაც. გულახდილად მითხარით, გჯერათ, რომ მათ მართლა შესტკივათ გული ჩვენს სამშობლოზე და საჩვენოდ გაირჯებიან?**

— მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მსოფლიოპოლიტიკური სივრცე არ მესახება დიდი ზნეობრივი მადლითა და სათნოებით დაჯილდოებულად, მაინც მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მხარე არის მსოფლიოს მაღალ პოლიტიკურ იერარქებთან ურთიერთობის დაბალი დონე.

**— მაგრამ ამ ურთიერთობის დონეს, უპირველესად, ხელისუფლების წარმომადგენლები განსაზღვრავენ. ისინი ხომ ხალხისა და ქვეყნის სახელით საუბრის უფლებით არიან აღჭურვილნი...**

— რა თქმა უნდა, ეს ასეა, ამიტომაც ვერ დავიწყეთ დღემდე მსოფლიოსთან დიალოგი, რაც ყველაზე მეტად გვჭირდება ჩვენი ეროვნული მეობის დასამკვიდრებლად თანამედროვე მსოფლიოს ცნობიერებაში. უფრო ზუსტად კი,

### რაკი უფლებამოსილებით აღჭურვილი ადამიანებისგან კარგს არაფერს მოელოდა, თვითონ ქართველმა ხალხმა ეს დიალოგი სტიქიურად დაიწყო 2007 წლის ნოემბერში.

შესაძლოა, ხალხი ბოლომდე ვერც აცნობიერებს, როდესაც ქუჩაში გამოდის თავისი გრანდიოზული მანიფესტაციით, რომ ის პირდაპირ დგას მთელ თანამედროვე პოლიტიკურ მსოფლიოსთან და პროტესტს უცხადებს იმ პოლიტიკურ კურსს და იმ ყალბ პრინციპებს, რომლებითაც შენიღბულია თანამედროვე მსოფლიოს იმპერიული და დამპყრობლური იმპულსები.

— ჩვენ უკვე გვაქვს მათთან პარტნიორობის თითქმის ოცწლიანი გამოცდილება...

— ჩემი აზრით, საქართველოს ამერიკასთან პარტნიორობის არანაირი გამოცდილება არ აქვს.

**— აბა, ის რა არის, ჩვენი ხელისუფლებები რომ აცხადებენ — ამერიკის სტრატეგიული პარტნიორები ვართო. თუნდაც ძალიან მაღალი რანგის ამერიკელი ჩინოვნიკების ვიზიტები გავიხსენოთ...**

— ამას წინათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ძალიან მოკლე სიტყვით მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს და განუცხადა, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო განუყოფელია საქართველოსგან. ამ სიტყვების მოსმენისას ისეთი განცდა მქონდა, რომ საქართველო თავისი ნამდვილი სახელით ელაპარაკებოდა ბატონ პან გი მუნს. სანამ ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო თავიანთი ნამდვილი სახელებით არ დაელაპარაკებიან ერთმანეთს, მანამ ამ ორ ქვეყანას შორის არანაირი პარტნიორობა არ შედგება, თუკი ჩვენ პარტნიორობაში ორი ქვეყნისა და ორი ხალხის ნამდვილ მოკავშირეობას ვგულისხმობთ.

**— მაგრამ საკითხს უფრო პრაგმატულად თუ მივუდგებით, ისეთ მცირერიცხოვან და სუსტ სახელმწიფოს, როგორიც საქართველოა, ამერიკა თავის პარტნიორად და თანასწორად როგორ აღიქვამს?**

— არ მჯერა, რომ ამერიკა საქართველოს უყურებს როგორც თავის პარტნიორ ქვეყანას. არა იმიტომ, რომ მას არ შეუძლია მაღალი მორალური დამოკიდებულება სხვა სახელმწიფოსადმი და, მით უმეტეს, მცირერიცხოვანი სუსტი სახელმწიფოსადმი, არ მჯერა იმიტომ, რომ ამ ორმა ქვეყანამ არ იცის ერთმანეთი, ისინი მხოლოდ ზედაპირული პოლიტიკური პრაგმატიზმის ჭრილში ეხებიან ერთმანეთს. ეს არის პოლიტიკური ურთიერთობის ბუტაფორია.

**— ქალბატონო დენიზა, დღეს ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტი დასავლური ღირებულებების დამკვიდრებაა და ამ გზაზე ბევრი საფრთხეც მოგველის. უცხოელი დიპლომატებიც კი, რომელთაც მოქმედების კონკრეტული ინსტრუქციები აქვთ, თავს უფლებას აძლევენ, დიპლომატიური ეტიკეტის დარღვევით პოლიტიკური შენიშვნები გამოთქვან...**

— თავისთავად, ორიენტაცია დასავლურ ღირებულებებზე ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან სრულიად დაცლილია შინაარსისგან. გაურკვეველია, რა არის ჩვენი სახელმწიფოსთვის დასავლური ღირებულებები. მაგალითად,

### აშშ ყოფილი პრეზიდენტობის კანდიდატის პატრიკ ბიუკენენისთვის დასავლეთი, როგორც მორალური ღირებულებების ავანგარდი, კვდება. რა გვინდა ჩვენ დასავლეთისგან, ვიცით?

რასაკვირველია, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, რომლებიც თვითმხილველნი არიან ხელისუფლების წინააღმდეგ გამართული გრანდიოზული საპროტესტო მანიფესტაციებისა, პირადად ჩემს ხედვაში არიან ყველაზე ყალბი და ყველაზე უპასუხისმგებლო პოლიტიკური მსოფლიოს წარმომადგენლები. ქართველი ხალხის მიმართ ინდიფერენტულნი, ელჩების კომფორტულ სავარძლებში მოკალათებულნი ისინი ვერ ასრულებენ თავიანთი ხალხების სამოციქულო მისიებს. ფაქტობრივად, საქართველოში მოხდა სამოქალაქო ომის გარკვეული ფაქტები, ოღონდ — ხელისუფლებასა და ხალხს შორის, და ამ შემაშფოთებელ სცენებს ელჩები უმალავენ მსოფლიოს და არ ტეხენ განგაშს ქართველი ხალხის სრულიად სამართლიანი მოთხოვნების, მათი უფლებისა და ღირსების დასაცავად. 7 ნოემბერიც და 6 მაისიც, ფაქტობრივად, ეს იყო სამოქალაქო ომი ხელისუფლებასა და ხალხს შორის.

**— ასეთ ვითარებაში ძალიან მიჭირს დაჯერება, რომ იმ ქვეყნების ხელისუფალნი, რომლებსაც ეს ელჩები წარმოადგენენ, დიდად განიცდიდნენ საქართველოს უბედურებას. აბა, რატომღა მიმართავთ აშშ სახელმწიფო მდივანს, თუკი მას უკვე ჩამოყალიბებული აქვს თავისი თუნდაც მცდარი პოზიცია?**

— სახელმწიფო მდივნისთვის მიწერილ ჩვენს წერილში ვასაბუთებთ, რომ საქართველოში აშშ ხისტი სამხედრო ინტერესების საფუძველზე ჩიხში შედის აშშ-ს პოლიტიკა, რომლის განხორციელებასაც იგი მთელი მსოფლიო მასშტაბით ცდილობს. იმ პრაგმატული დამოკიდებულებით, რომელიც აშშ-ს აქვს საქართველოს ტერიტორიის მიმართ, ჩვენ ვდგებით არა მხოლოდ რუსეთის აგრესიის საშიშროების წინაშე, არამედ საქართველოს ტერიტორიის ახალი მსოფლიო ომის პოლიგონად გადაქცევის საფრთხის წინაშეც, რაც მსოფლიოს არც ერთი ქვეყნისთვის, მათ შორის, აშშ-სთვის არ შეიძლება იყოს სასარგებლო. აშშ-ს მცდელობა, რომ საქართველო, როგორც თავისი მეგობარი და პარტნიორი ქვეყანა, გადააქციოს რუსეთთან დაპირისპირებულ და მეომარ ქვეყნად, სრული უგუნურებაა, რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდება მთელი მსოფლიო.

ამიტომ წამოვაყენეთ ახალი პოლიტიკური პლატფორმა, რომელიც გულისხმობს საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების, ანუ სვეტიცხოვლის კონკორდატის ამოქმედებას დღევანდელი გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოს პოლიტიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოგვარებას ეკლესიისთვის საგანგებო უფლებამოსილების მინიჭების გზით. ამ შემთხვევაში კი აუცილებელია საერთაშორისო მხარდაჭერა და ქალბატონი ჰილარი კლინტონის ინიციატივით აშშ-ში შექმნილი საერთაშორისო კომისიის აქტიური ჩართვა ჩვენი ქვეყნისთვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროცესებში.

**ესაუბრა ბონდო მძინარაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რა თვისებათა მიხედვით არჩევენ კადრებს შინაგან საქმეთა სამინისტროში, რა მეთოდებით წვრთნიან მათ და რას ნიშნავს ლოგონევროზი



**ფსიქიატრ თამილა მაკარიძეს იმ დეფექტებზე სასაუბროდ ვეწვიე, რასაც მედიცინაში ნერვული ტიკები ჰქვია. ალბათ, შეგინიშნავთ ადამიანებზე უნებლიე თვალის თამაში, წამწამების ხამხამი, წარბების შეჭმუხვნა და მრავალი სხვადასხვა სახის ამიმია, რომლებიც სტერეოტიპულად მეორდება. ამ დეფექტებისადმი საზოგადოების ინტერესი იმანაც გამოიწვია, რომ ჩვენს სინამდვილეში ტიკები ბევრ ცნობილ და წამყვან პოლიტიკოსს ახასიათებს. ქალბატონი თამილა აღშფოთებული დამხვდა, ამიტომ, სანამ არჩეულ თემაზე გავესაუბრებოდი, ამ უჩვეულო განწყობის მიზეზი ვკითხე.**



**7 ნოემბრის აქციის დამრბევთ ხელისუფლებისაგან ფულადი ჯილდოები ერგოთ. ერთ-ერთი მათგანის ცოლმა გათქვა: „კიდევ ერთი დარბევა და ახალ სარეცხ მანქანასაც ვიყიდიო". გაიგონა რა ეს შვილმა, ისიც მიტინგის დარბევას ელოდება, იქნებ ახალი ველოსიპედი მეც მიყიდონო... ასე ხდება ოჯახების ტოტალური გარყვნა.**

— ჩემი მუშაობის მანძილზე უამრავი ავადმყოფი მინახავს საავადმყოფოებში მრავლობითი დაზიანებებით, მაგრამ თავზარი დამცა 15 ივნისს პოლიციის წინ მომხდარი დარბევის შედეგად დაზარალებული ბექაურის ნაამბობმა, რომელიც ღუდუშაურის საავადმყოფოში მოათავსეს. როგორც ჩანს, მერაბიშვილმა პროვოკაცია დაგეგმა, სამმართველოს ეზოში შესასვლელი ერთი კარი სპეციალურად გახსნა, შემდეგ მომიტინგეებს პოლიციელები და „ნაცმოძრაობის" აქტივისტები სამი მხრიდან შემოერტყნენ და მიწოლით წინ მყოფი ადამიანები, მათ შორის, დაზარალებული ბექაურიც, პოლიციის ეზოში აღმოჩნდნენ. პოლიციელებმა ბიჭი წიხლქვეშ გაიგდეს, ისე სცემეს, ფეხზე ველარ დგებოდა. იგი ძლივს გახოხდა ეზოში მდგარი მანქანისკენ და თავის გადასარჩენად მის ქვეშ შეძვრა. ერთმა „სამართლისა და ჩვენმა" დამცველმა, ბიჭი იქიდან ფეხით გამოათრია, ჯაჭვით სცემა, მერე ფეხზე მოაბა და შენობაში შეათრია. იქ მყოფმა პოლიციელებმა, საბრალოს რაც გარეთ დააკლდა, დაუმატეს. ერთმანეთს ეხვეწებოდნენ, თურმე, — „მეც მიმიშვითო!" ამაზე დიდი დანაშაული არსებობს? იმიტომ ვუხდით პოლიციელებს ფულს, რომ ჯაჭვგამობმული ქართველი ბიჭი, მომავალი მამა, ვიღაცის შვილი, ძმა და შეყვარებული, კაცი, რომელსაც ღირსება აქვს, აწამონ და სიკვდილის პირას მიიყვანონ? ჩემი პროფესიული ხედვით, ეს სადიზმია.

**— ქალბატონო თამილა, სადიზმი ადამიანში კოდირებულია თუ გარემო პირობებით ყალიბდება?**

— ზნეობრივი კანონია: დაცემულს არ უნდა დაარტყა, დაცემული უნდა წამოაყენო. ადამიანში ბუნების მიერ ბოძებული პატარა სისასტიკისა და წინააღმდეგობის მომენტი ყველაშია, რაც შეიძლება გარემოებათა ხელშეწყობით სადიზმად განვითარდეს. შინაგან საქმეთა სამინისტრო, ანუ მერაბიშვილის სადისტების კორპორაცია საგანგებოდ არჩევს პოლიციელებს, სიავის მიხედვით ტესტირებაჩატარებულთ — უღირსებს, გაუნათლებლებს, რომელთაც არც ოჯახური აღზრდა აქვთ და არც ღვთისმოშიშები არიან. მათში დიდი დოზითაა სისასტიკე. კორპორაციამ პოლიციელები „ძაღლებივით" გაწვრთნა, ძაღლებს ჯაჭვით აბამენ, პოლიციელებს — ფულით და დაწინაურებებით, რასაც ემატება დაუსჯელობის სინდრომი. 7 ნოემბრის აქციის დამრბევთ ხელისუფლებისაგან ფულადი ჯილდოები ერგოთ. ერთ-ერთი მათგანის ცოლმა გათქვა: „კიდევ ერთი დარბევა და ახალ სარეცხ მანქანასაც ვიყიდიო". გაიგონა რა ეს შვილმა, მიტინგის დარბევას ელოდება, იქნებ, ახალი ველოსიპედი მეც მიყიდონო. ასე ხდება ოჯახების ტოტალური გარყვნა. მათ შერჩათ 7 ნოემბერი, გელაშვილის სასიკვდილო ცემა, გირგვლიანის, რობაქიძისა და ვაზაგაშვილის მკვლელობები და ამიტომაც გაიმეტეს ბექაური და აბაშიძე. დაუსჯელობა კვებავს პოლიციელთა სადიზმს. ამგვარი დარბევის შემდეგ ეკა ზღულაძის „ნაზი" ბოდიშის ნაცვლად, საშინელი განცდა უნდა ჰქონოდა მერაბიშვილსაც და ადეიშვილსაც. მათ კი მერაბიშვილის ხელმძღვანელობით 20 ივნისს ბათუმში, ძვირადღირებულ რესტორან „თავადურში" დიდი ღრეობა გამართეს „მიშა მაგარია!"-ს სიმღერით. საინტერესოა, რა სადღეგრძელოები ისმებოდა, ნუთუ ქართველობისა და ვაჟკაცობის?

სადიზმის კლასიკური მაგალითია პოლიციელ გიორგი გეგეჭკორის სიცილი. ჟურნალისტის შეკითხვაზე, — რა აცინებდა, — უპასუხა, — „მხიარული კაცი ვარო".

ასე რომ, ესენი სადისტები არიან, რომლებიც უდიდეს სიამოვნებას ადამიანთა ტანჯვა-წამებით იღებენ. სადისტების კორპორაცია კი მათი სამჭედლოა, ეს უკვე ჩამოყალიბებული სკოლაა. მისი „აღზრდილებისაგან" თაობებია ნაცემი, ღირსებაშელახული. დასანანია, რომ ამ კორპორაციას არაფერი საერთო არ აქვს იმ პოლიციასთან, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ასეთი ზარ-ზეიმით შექმნა სააკაშვილმა.

**— საზოგადოებას უამრავი კითხვა უჩნდება პოლიტიკოსთა ტიკებზე, კერძოდ, პრეზიდენტის უცნაურ მანერაზე (ცხვირზე ხელის გასმა)... რას გვეტყვით ადამიანთა მიმიკის ნევროპათიურობაზე?**

— საერთოდ, თითოეული ადამიანის დეფექტებზე საუბარი არაეთიკურად მიმაჩნია და უხერხულობას მიქმნის, მაგრამ საჯარო მოხელის ღირსებაცა და ნაკლიც საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხვდება.

**პრეზიდენტს, ჩემი აზრით, ჰქონდა ალერგიული რინიტი, რაც გულისხმობს ცხვირის ნესტოებიდან სისველის ქრონიკულ დენას. ვფიქრობ, მას გაკეთებული აქვს ოპერაცია და ამჟერად ალერგიული რინიტი აღარ აწუხებს, მაგრამ ეს მოძრაობა ჩვევად დარჩა.**

ტიკი, რომელიც, ძირითადად, ენცეფალიტის (ტვინის ანთების) შედეგად ვითარდება, არავითარ გავლენას არ ახდენს სუბიექტის გონებრივ შესაძლებლობებსა და ქცევებზე.

**სააკაშვილი, უბრალოდ, მშიშარაა, დიდი მანიფესტაციების დროს შავნაბადაზე იმალებოდა. როდესაც ხალხმრავალი მიტინგები ჩაცხრა და საკნები აივსო, ის თავის 800-მილიონიან სასახლეში დაბრუნდა. სასახლის არქიტექტურა და განსხვავებული სტილი ემსახურება ხალხში დისტანციისა და შიშის გრძნობის გაჩენას.**

პრეზიდენტი პროამერიკული პოზიციისაა, მაგრამ ავიწყდება ჩემი ადრინდელი წერილი, რომელშიც გავახსენე ჯონ და ჟაკლინ კენედების შემთხვევა, როდესაც მათ მიზნობრივი ხარჯებისთვის გათვალისწინებული ფული გამოელიათ, სტუმრად წასვლისას მომვლელის დაქირავების ნაცვლად, ბავშვებთან მეგობარი ჟურნალისტი დატოვეს. სააკაშვილის დაპირებული დემოკრატიული და მოკრძალებული ცხოვრებიდან კი არაფერი დარჩა.

**— რა სჭირს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის სამეტყველო აპარატს?**

— ბატონ გივი თარგამაძის სამეტყველო აპარატს დეფექტი აქვს — ნერვის დაზიანების გამო გამართულად ვერ მეტყველებს, თუმცა პირიდან, საშინელი ცილისწამების გარდა, არაფერი ამოსდის. ის დეპუტატი იყო, მაგრამ მისი კაბინეტის კარი ამომრჩევლებისთვის არ გაღებულა. იგი ძლივს, მაგრამ კადნიერად და მუქარით მიმართავს ყოველთვის საზოგადოებას: „ამ სისხლში ამოგახრჩობთ!", „სულს ამოგხდით!". გივი თარგამაძეში მეტყველების დეფექტი კი არაა საშიში, — სიავე. ხალხმა იცის მისი ადრინდელი ეკონომიური, მდგომარეობაც და შეძენილი ქონებაც. უკრაინაში ყოფნისასაც იგი თავის საქმეს აკეთებდა, ჩვენ კი მას, როგორც დეპუტატს, ვაფინანსებდით. ამაზე ამორალური საქციელი არსებობს? მე თუ მკითხავთ, ასეთი კაცი ეკრანზე ხშირ გამოჩენას უნდა მოერიდოს.

**— კახა ბენდუქიძის აგრესიულობა იმ ტიკის ბრალი ხომ არ არის, რომელიც მის სახეზე შეიმჩნევა?**

— მას ეს ტიკი რაღაც ინფექციური დაავადების შედეგად დარჩა და დღეს ნერვოლოგიური დარღვევა აქვს. ეს მის შესაძლებლობებს ბზარს არ უჩენს; არაჩვეულებრივად გონიერი, ეშმაკი, რაციონალური და უაღრესად პრაგმატისტია; კარგად ასრულებს იმ დავალებებს, რისთვისაც სააკაშვილმა აქ ჩამოიყვანა. რაც შეეხება მის აგრესიულობას, მისთვის თავდასხმა თავდაცვაა. ჟურნალისტებს კი პასუხისა და კომენტარის ღირსად არ თვლის. ის არაა ნევრასთენიკი. ნევრასთენიკს სუსტი, მსხვრევადი ფსიქიკა აქვს. კახა ბენდუქიძე კი ძლიერი, საკუთარ თავში ღრმად დარწმუნებული სუბიექტია.

**— პოლიციისა და უშიშროების შეფს რაღა სჭირს, მისი მოსმენა თითქმის შეუძლებელია...**

— მერაბიშვილის დაავადებას ლოგონევროზი ჰქვია. ეს დაავადება ბევრს სჭირს. დიდი ნაკლია პოლიტიკოსისთვის, რომელსაც ორატორობა მოეთხოვება და ის ამ დროს გამართულადაც ვერ მეტყველებს. უხერხულია, ამ დეფექტით ეკრანზე ხშირად გამოჩნდე და საზოგადოება დაღალო. ამ მხრივ, მერაბიშვილი ფრთხილობს.

მარტო დიქციის დახვეწას კი არა, პოლიტიკოსის ხმის ტემბრს, ტონალობასა და ჟღერადობასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ხაბაზის ხმის ტემბრი და ამ ყოფილი მეფუტკრის დამრიგებლური ჭკუისსწავლება, არა ერთგზის გამეორებული „ჩემი აზრით" სასაცილოა. ჩვენ კი მას ვაფინანსებთ იმიტომ, რომ კანონი შექმნას.

**— მიუხედავად იმისა, რომ გიგა ბოკერიას ნიჭიერ პოლიტიკოსად თვლიან, მე მისი მოსმენა მიჭირს, ყურადღებას მისი მიმიკა და ჟესტიკულაცია მიფანტავს...**

გიგა ნიჭიერია, კარგად ფლობს ინგლისურს, მაგრამ მასაც ფიზიკური დეფექტი აქვს. არადა, დღეს ჩვენი ერის წარგზავნილი კაცი და პოლიტიკური სახეა ევროკავშირში. ნიჭიერება თავისთავად არ ნიშნავს კეთილგონიერებას. ხალხის მისამართით წარმოთქმული მისი ცნობილი ფრაზა „ხელი არ წაგიცდეთ!" პოლიციისადმი რომ ყოფილიყო მიმართული, ის საზოგადოების უდიდეს პატივისცემას დაიმსახურებდა.

**— რამ შეყარა ჩვენს მთავრობაში ამდენი ტიკიანი პოლიტიკოსი, ნუთუ კადრების დეფიციტია?**

— ამგვარი დეფექტის მქონე რამდენიმე პოლიტიკოსის ეკრანზე ერთად გამოსვლა საზოგადოებისთვის ძნელი ასატანია. დეფექტს ხალხი როგორმე აიტანს, მაგრამ ისინი მოკლებულნი არიან პოლიტიკურ კულტურას და არც ინტელექტით ბრწყინავენ მაინცდამაინც. ეკრანს რომ მოსცილდნენ, საამისოდ არც გონიერება ჰყოფნით და არც თავშეკავება. ცოდვა გამხელილი ჯობს და, ხშირად მათ აზრსაც ხალხისთვის მნიშვნელობა არ აქვს. მათი აქტიურობა, ერთი მხრივ, განპირობებულია ამ ნაკლის კომპენსაციით, მეორე მხრივ, საკუთარ „მე"-სთან უკრიტიკო დამოკიდებულებით. დეფექტი მათი ბრალი არაა, მაგრამ თვითკრიტიკა ხომ უნდა შეეძლოთ?! რატომ უნდა ათქმევინონ ხალხს ხშირი სატელევიზიო გამოსვლებით „ამ საცოდავობას ნუ გვაყურებინებთო"?!



**ამგვარი დარბევის შემდეგ ეკა ზღულაძის „ნაზი" ბოდიშის ნაცვლად, საშინელი განცდა უნდა ჰქონოდა მერაბიშვილსაც და ადეიშვილსაც. მათ კი მერაბიშვილის ხელმძღვანელობით 20 ივნისს ბათუმში, ძვირადღირებულ რესტორან „თავადურში" დიდი ღრეობა გამართეს „მიშა მაგარია!"-ს სიმღერით. საინტერესოა, რა სადღეგრძელოები ისმებოდა, ნუთუ ქართველობისა და ვაჟკაცობის?**

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ანა თავხელიძე:

# როცა მგზავრის ამოსაყვანად საბარგული გახსნეს, ხელთ ცოცხალმკვდარი ქალი შერჩათ

**საქართველოს ხელისუფლება თავის მოქალაქეებს არსებობისთვის საჭირო ელემენტარულ პირობებს ვერ უქმნის, სამაგიეროდ, მოჩვენებითი მზრუნველობით, ზეიმომანიით, უსაფუძვლო დაპირებებით, ყალბი პათოსით კვებავს. მძიმე სოციალური ფონის გამო ქართველებიც თავქუდმოგლეჯილნი გარბიან უცხო ქვეყნებში. ამ გზაზე კი მზაკვარი, თვალთმაქცი და სიყალბეში დაოსტატებული ბევრია, რომელნიც საზღვარგარეთ წამსვლელებს ბარიერებს ახვედრებენ და სახელის შერცხვენის ალბათობასაც უქმნიან. ასეთი გზა განვლო ორი შვილის დედამ, თბილისელმა ქალბატონმა ელისო თავხელიძემ, რომლის შესახებ გვესაუბრება მისი სტუდენტი ქალიშვილი ანა.**



**— ანა, რამ აიძულა დედათქვენი, საზღვარგარეთ წასულიყო, ოჯახი მიეტოვებინა?**

— უკვე ექვსი წელია, დედა არ მინახავს. საზღვარგარეთ რომ გაემგზავრა, 13 წლის ვიყავი. ძალიან მძიმეა დედის გარეშე დარჩენა, მაგრამ სხვა გზას ვერ ვხედავთ. რაც თავი მახსოვს, სულ გვიჭირდა. სიცივესა და შიმშილში გავიზარდე და სითბო და უხვი სუფრა მეუცხოვება. მამა შოკოლადის ფაბრიკა „მზიურში" მუშაობდა ბუღალტრად. მერე უმუშევარი დარჩა და ოჯახს შემოსავალი აღარ ჰქონდა.

დედამ ვაჭრობა დაიწყო. დილაადრიან მიდიოდა ნავთლუღში. გლეხებისგან პროდუქტს ბითუმად ყიდულობდა, მერე ბაზარში გაჰქონდა და ყიდდა. საღამოს არაქათგამოცლილი ბრუნდებოდა და შინ გროშები მოჰქონდა.

ერთი ციდა გოგო ვცდილობდი, სახლი დამელაგებინა, სადილიც შეძლებისდაგვარად მომემზადებინა, სარეცხიც გამერეცხა, მამისთვის და ძმისთვის მომევლო.

დედას გული აწუხებდა. მძიმე შრომამ ავადმყოფური შეტევები გაუხშირა, მაგრამ მკურნალობისთვის არც დრო ჰქონდა და არც — ფული.

ჩვენი ერთ-ერთი მეზობელი ხშირად გვსტუმრობდა და დედას განუწყვეტლივ ეჩიჩინებოდა, უცხოეთში წავიდეთო. მალე ამ საქმის მომგვარებელიც გამოჩნდა — მისი სიძის ბიძა. დედამ წასასვლელად პროცენტიანი ვალი — 7000 ევრო აიღო. გეგმის თანახმად, მოსკოვში უნდა ჩასულიყვნენ და იქიდან საბერძნეთში გამგზავრებულიყვნენ.

მოსკოვში მათ დახვდა პიროვნება, რომელმაც საბუთებისთვის ფული გამოართვა. დაპირებისამებრ, გამზადებული დოკუმენტაცია სასტუმროში უნდა მიეტანა. რამდენიმე დღის შემდეგ მიხვდნენ, რომ ყველაფერი მათ გასაბრიყვებლად დაიგეგმა, რადგან ეს კაცი აღარ გამოჩენილა.

ნირწამხდარნი და გაწბილებულნი თბილისში დაბრუნდნენ. ამის შემდეგ დაიწყო გაუთავებელი ჩხუბი მომხდარის გამო. მამა თოფით ხელში მეზობელს ემუქრებოდა, მეზობელი — სიძეს, სიძე — ბიძას და იყო დაწიოკება და საქმის გარჩევა...

მორალურად განადგურებული დედა შიშით იმ მცირე ბიზნესსაც ჩამოსცილდა. ოჯახი კატასტროფულ მდგომარეობაში ჩავარდა. ყველა სიკეთესთან ერთად კარის მეზობელიც დავკარგეთ.

მოგვიანებით საბერძნეთში წასული შორეული ნათესავი დაგვიკავშირდა და დედას დაჰპირდა, რომ ცოტაოდენ ფულს ვალად გამოუგზავნიდა საბერძნეთში წასასვლელად, ოღონდ საზღვარი მალულად უნდა გადაელახა.

ასეც მოიქცა. სამშვიდობოს გასულებმა როცა მანქანის საბარგული გახსნეს მგზავრის ამოსაყვანად, ცოცხალმკვდარი ქალი შერჩათ ხელთ.

ათენში მყოფმა ქართველებმა დედაჩემის გამოსაჯანმრთელებლად დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს, მოგვიანებით ერთ მოხუცთან მომვლელის ადგილი უშოვეს, სადაც 500 ევროს გადაუხდიდნენ.

**— რამდენ ხანს იავადმყოფა დედამ, როგორ შეეგუა ახალ პირობებს?**

— დედამ 4 თვე ივადმყოფა.

პროცენტიანი ვალი დღითი დღე იზრდებოდა. ჩვენ თითქმის ვშიმშილობდით. გამსესხებელიც პროცენტის მოლოდინში ცეცხლს აფრქვევდა. ჯოხი ჩემზე ტყდებოდა, რადგან მასთან შეხვედრას მამაკაცებს ვარიდებდი.

ის დედაბერი, რომელსაც დედა უვლიდა, ყოველ 5-6 თვეში მომვლელს იცვლიდა მძიმე ხასიათის გამო. მას ავადმყოფური ზიზღი ჰქონდა მტვრისა და ოდნავი უწესრიგობის მიმართ. მომვლელს შავ დღეს აყრიდა, თუ არ მოეწონებოდა, იმ საქმეს ხელმეორედ აკეთებინებდა. დედას თვინიერებით ბოროტად სარგებლობდა. მიზეზს რომ ვერ უპოვნიდა, დალაგებულ ნივთებს სპეციალურად არევდა, თეფშებს იატაკზე ყრიდა, სადილს მაგიდაზე ღვრიდა...

ერთხელ დედამ მითხრა, რომ მოწმენდილი იატაკი გამიზნულად დაუნაგვიანა. იმ დღეს თავს შეუძლოდ გრძნობდა და ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვით მოხეხა იატაკის ფილები. უზომოდ შეშფოთებულმა ბოროტ დედაკაცს მთელი ძალით ესროლა იატაკის ჯოხი. კიდევ კარგი, გაიწია და ასცდა, თორემ მკვლელიც გახდებოდა... შეძრწუნებული დედა გარეთ გავარდა. გვიან ღამით კი იძულებული იყო, დაბრუნებულიყო. ქალი მშვიდად დახვდა, ტელევიზორს უყურებდა. მხოლოდ ეს უთხრა: „ქართველები ზომაზე მეტად ამაყები ხართ, ამიტომ მოსამსახურეებად არ ვარგიხართო". ამ ამბის შემდეგ მათ შორის ურთიერთობა ოდნავ დალაგდა.

დედა ფულს ჩვენც გვიგზავნიდა, პარალელურად ვალს იხდიდა. ძალიან უჭირდა გაზრდილი პროცენტის გადახდა.

სკოლა რომ დავამთავრე, მასთან წასვლა მოვინდომე. ატირდა, მე აქ შენი კეთილდღეობისთვის ვარო.

ამ ბოლო დროს ნათესავთან მივდივარ და ინტერნეტის საშუალებით ვუკავშირდები. გავოცდი, როცა პირველად მონიტორზე ხანშიშესული ქალი დავინახე. დედა ასეთი არ მახსოვდა. ჩაღრმავებულ ნაოჭებს მისთვის სახე დაესერა. ყველაზე მეტად მის სახეზე გადაფენილმა შიშის ლანდმა შემაძრწუნა. მივხვდი, რატომაც არ უნდოდა ჩემი იქ წაყვანა.

თავგამოდებით ვცდილობ, ვისწავლო, დედას იმედი არ გავუცრუო.

ჩემმა ძმამ საქმე ვერ ააწყო. გეგმები აქვს, მაგრამ იდეების განსახორციელებლად სახსრები არ ჰყოფნის. ამჟამად მეუღლის ბინაში ცხოვრობს.

დავრჩით მე და მამა.

მძახლებისგან პატივისცემის გარდა არაფერი მახსოვს, მაგრამ როცა ამ ორი ოჯახის მდგომარეობას ერთმანეთს ვადარებ, ვკომპლექსდები.

მამას გულს უკლავს დედის გადაკარგვა. ერთხანს გამოცოცხლდა, საპროტესტო აქციებზეც დადიოდა. დიდად ეიმედებოდა, თვალებში ცეცხლი ენთო. ახლა ჩაღამებული თვალებით იყურება და სიგარეტის ბოლში გახვეული დუმს.

მოხუცი ქალბატონი, რომელსაც დედაჩემი უვლიდა, მოულოდნელად სადილობისას გარდაიცვალა.

დედა კვლავ უმუშევარი დარჩა. თავს ცუდად გრძნობდა. იქ მედიკამენტები იმდენად ძვირია, აქედან ვუგზავნიდი. ამ ფაქტმა ჩვენს ოჯახზე გამანადგურებლად იმოქმედა. სწავლის ქირას ვერ ვიხდიდი, ამას ძველი ვალის პროცენტიც დაემატა. სულზე მოგვისწრო დედის ახალმა სამსახურმა — ამჯერად უფრო მაღალი ანაზღაურებით.

მამა მაინც დათრგუნულია, იმდენად, რომ ნათესავებშიც აღარ ჩნდება, მეუღლეზე არაფერი მკითხონო.

შემეცოდა მამა. ახლა ვხვდები, რამდენად განიცდის, ოჯახს რომ ვერ პატრონობს და მთელი სიმძიმე დედას აეკიდა. მარტოსულად, მეუღლის გარეშე ყოფნა საშინლად ამძიმებს.

ამ ბოლო დროს დედასთვის უთქვამს, ერთ წელიწადში თუ არ ჩამოხვალ, სხვას შევირთავ, ბავშვები გაიზარდნენ, საცაა შვილიშვილი გვეყოლება... ბიჭსა და რძალს ჩემი დარდი აღარ აქვთ... გოგოც უკვე გასაფრენადაა მზად... მომბეზრდა მგლური და მარტოხელა ყოფნა, ვალი ცოტაღა დაგრჩა, გადაიხადე და დაბრუნდიო. დედას კი გული სტკივა, აქეთ გამოხედვაც აღარ უნდა. ვუყვარვართ და ვენატრებით, მაგრამ როდესაც წარმოიდგენს, რომ გვშია და გვცივა, სიკვდილი უნდა და დაბრუნება აშინებს. მამაჩემისთვისაც უკვე რამდენი წელია, როგორც ქალი და ცხოვრების მეგობარი, აღარ არსებობს. ის მხოლოდ ოჯახის მარჩენალი ძალაა, ცხრა მთას იქით საშოვარზე გაშვებული. როცა დედა სიმწრისგან ხელებს იკვნეტდა, მაშინ ყველას თავი ყურთბალიშზე გვქონდა მიდებული და ჩვენსას ვდარდობდით. დედა მამას მაშინ დასცილდა, როცა სირცხვილისა და შიშის გრძნობა გადალახა და საშოვარზე წავიდა... ტელეფონით კავშირის დროსაც ვერ წყნარდება... სული უდუღს...

არ მტოვებს აკვიატებული ფიქრი ჩვენს ოჯახზე, მოუწესრიგებელ და დაულაგებელ ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს ხელისუფალთა პატივმოყვარეობაზე, პოლიტიკოსთა გაუთავებელ ძიძგილაობაზე, ღვთის ანაბარა მიტოვებულ ემიგრანტებზე, აქ დარჩენილ უმუშევრებზე...

როცა თქვენი გაზეთის საშუალებით ემიგრანტთა შესახებ ვიგებ, ნათლად ვხედავ ამ სტატიების ადრესატებს, რომელთაც ასეულობით პროტოტიპი ჰყავთ და ჩვენი მდგომარეობის ლაბირინთულ გზასაც ვჭვრეტ, მაგრამ გამოსავალს ვერ ვხედავ.

ესაუბრა
**ლალი ზაზიაშვილი**

# მოწევისთვის თავის დანებების უტყუარი მეთოდი

**ჯოტამ კო — პროფესორი, ნეირობიოლოგი, ქიმიკოსი, მსოფლიოს რამდენიმე ფარმაცევტული კომპანიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კონსულტანტი, 25 პატენტის ავტორი ნეირობიოლოგიასა და ონკოლოგიაში.**



პროფესორმა ჯოტამ კომ მსოფლიოში პირველმა შექმნა ინოვაციური პრეპარატი „ჩამპიკსი" აბების სახით სიგარეტის წევის დამოკიდებულების მოსახსნელად, რისთვისაც დაიმსახურა მსოფლიოს უდიდესი ჯილდო — გალენის პრემია (ნობელის პრემიის ანალოგი) მედიცინის კვლევის სფეროში.

ასი წლის შემდეგ მსოფლიოში მწეველები აღარ იქნებიან, — აცხადებს პროფესორი, რომლის თქმის უფლებას მას აძლევს ის კვლევები, საიდანაც ვიგებთ, რომ პლანეტის მწეველი მოსახლეობის 70 პროცენტს სურს ამ მავნე ჩვევისაგან განთავისუფლება. მხოლოდ 5 პროცენტი დარჩება განუკურნებელი, ხოლო ამ ორ უკიდურესობას შორის არის კიდევ მწეველთა 25 პროცენტი, რომლებიც შეგნებული ნაწილისკენ გადაიხრებიან.

ფაქტობრივად, მანამდე არსებული ყველა პრეპარატი ნიკოტინს შეიცავდა, რომელიც ნაკლებეფექტიანი იყო და მოქმედებდა პაციენტთა მხოლოდ 12 პროცენტის შემთხვევაში, თანაც — არა ყოველთვის. სწორედ ნიკოტინის შემცველობა იყო მისი მთავარი ნაკლი. თავად ჯოტამ კო, როგორც სპეციალისტი, თვლის, რომ ნიკოტინდამოკიდებულება ქრონიკული დაავადებაა, რომელიც მით უფრო ძნელად იკურნება, რაც მეტსტაჟიანია მწეველი. მკურნალობის პირველ ეტაპზე მწეველი სიგარეტის მოწევის წარმოუდგენელ სურვილს გრძნობს, ამ დროს თავის ტვინში გამომუშავდება რეცეპტორები, რომელნიც „სიამოვნების ჰორმონ" დოფამინს გამოყოფს.

10 წლის განმავლობაში კომ ეს პროცესი მოლეკულურ დონეზე შეისწავლა, განიხილა 30000-მდე ვარიანტი, შემდეგ კი შეირჩა ის ერთადერთი, რისგანაც შექმნეს ეს პრეპარატი. მან ასევე წარმატებით გაიარა წინა კლინიკური და კლინიკური ცდები.

მეცნიერი თვლის, რომ მკურნალობისთვის მთავარი მაინც ერთია — გადაწყვეტილების მიღება, პიროვნებამ შეცვალოს თავისი ცხოვრების წესი, რითაც, ფაქტობრივად, იცვლება თავად სამყარო. ნიუიორკში, მაგალითად, 1 კოლოფი სიგარეტი ღირს 10 დოლარი, და ეს ფაქტორი მუშაობს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ღარიბ ქვეყნებში ყველაზე მეტი მწეველი ცხოვრობს. ყოველივე ეს კი ადამიანის გონიერებისგან მომდინარეობს.

**ეთერ კასრელიშვილი**



### მარტივი არითმეტიკა მწეველთათვის

**1. მას შემდეგ, რაც ჩათვლით, რომ სიგარეტის წევას თავი დაანებეთ, ზუსტად რამდენიმე საათში ორგანიზმი იწყებს გაჯანსაღებას;**

**2. ამ პროცესიდან 48 საათის შემდეგ ნიკოტინი ორგანიზმიდან სრულიად გამოიდევნება და იწყება გემოს შეგრძნების გაუმჯობესება;**

**3. სიგარეტის გადაგდებიდან 1 წლის შემდეგ ორჯერ ნაკლებია გულის დაავადებების გაჩენის რისკი;**

**4. ბოლო სიგარეტიდან 10 წლის შემდეგ ორჯერ მცირდება ფილტვის კიბოს განვითარების რისკი;**

**5. 10-15 წლის შემდეგ კი ინსულტის გაჩენის შანსი ისეთივე თანაფარდობითაა, როგორც იმ ადამიანისა, ვისაც არასოდეს მოუწევია;**

**6. იმის მიუხედავად, რა ასაკში დაანებებთ თავს სიგარეტს, უდროოდ სიკვდილის რისკი მცირდება.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# უკრაინა — წინ! საქართველო — სდექ!



**საქართველოს განუხრელ სწრაფვას ნატოს წევრობისკენ, ჩანს, წერტილი დაესვა. „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს მეხსიერების დიდად დაძაბვა არ მოუწევთ იმ ხშირ-ხშირად გამეორებული ტექსტის აღსადგენად, რომელშიც საქართველოს და უკრაინას ყოველთვის ერთად მოიხსენიებდნენ როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მომავალ წევრებს; ბუქარესტის სამიტზე დასახული ამ ორი ქვეყნის ევროსტრუქტურებში გაერთიანების პერსპექტივა ბეჭედდასმულ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული.**

დღეს ამ პერსპექტივას წყალი აქვს შეყენებული: უკრაინა-საქართველოს ტანდემი დაიშალა! ნატოს ახლახან არჩეულმა გენერალურმა მდივანმა **ანდრეს ფოგ რასმუნსენმა** განაცხადა, რომ ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების თანახმად უკრაინას ალიანსში მიიღებენ. ეს ყურადსაღები განცხადება ფოგ რასმუნსენმა დანიის ეროვნული ტელეარხით — DRI-ით გამოსვლისას გააკეთა. გენერალურმა მდივანმა, რომელიც თავისი მოვალეობის აღსრულებას 1 აგვისტოს შეუდგება, ისიც დააზუსტა, რომ უკრაინა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება ნატოს წევრი, თუ შეძლებს შესაბამისი კრიტერიუმების მიღწევას.

„ საერთო ჯამში არ შეცვლილა უკრაინის მიმართ ბუქარესტის სამიტზე დადგენილი პრინციპული მიდგომები“, — ეს ნატოს პრესმდივნის ჯეიმს აპატურის სიტყვებია.

გამორჩეულად მხოლოდ უკრაინაზე აქტიურად საუბრობენ ნატოში ახლადმიღებული ქვეყნების — **პოლონეთის, უნგრეთისა** და **ლიტვის** სხვადასხვა დონის ლიდერები.

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა **დონალდ ტუსკმა** ახლახან განაცხადა, რომ ვარშავა მხარს უჭერს უკრაინის გაერთიანებას ნატოსა და ევროკავშირში, **საქართველოს კი ამ ევროსტრუქტურების პარტნიორად მიიჩნევს**. „ჩვენ ევროკავშირის გაფართოების მომხრენი ვართ. მხარს ვუჭერთ ევროკავშირში უკრაინის, ხორვატიისა და თურქეთის შესვლას. პოლონეთის მთავრობის ეს პოზიცია ურყევია“.

საქართველოს რაო? პოლონეთის პრეზიდენტი **ლეხ კაჩინსკი** ხომ ჩვენი **მიხეილ სააკაშვილის** განუყრელი მეგობარია? რატომ ხმას არ იღებს?! თუმცა ამ ქვეყანაში ისეთი არეულობაა, ისეთი დაპირისპირება, რომ ძაღლისგან პატრონის ვერცნობის რა მოგახსენოთ, მაგრამ ქვეყნის პირველი პირები, როგორც ამბობენ, ერთმანეთს არ ცნობენ, ზოგს კიდევ — ხალხი. რას ნიშნავს ეს უკანასკნელი, საქართველოში არავის ესწავლება.

უნგრეთი რომ აპირებს, მხარი დაუჭიროს უკრაინის ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებას, **ლაიოშ შოიომმა**, უნგრეთის პრეზიდენტმა, კოლეგა ვიქტორ იუშჩენკოსთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. უნგრეთი, თქვა მან, კარს ღიას ტოვებს უკრაინისთვის ევროსტრუქტურებში გასაერთიანებლად.

ამ ფონზე მაინცდამაინც დიდ იმედად არ ჩანს აშშ სახელმწიფო მდივნის **ჰილარი კლინტონისა** და ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის **ვიგაუდას უშაცკასის** განცხადება, რომ აშშ და ლიტვა მხარს უჭერენ უკრაინისა და საქართველოს მისწრაფებას, გახდნენ ალიანსის წევრები. ეს პოზიცია ადრინდელი ტონალობის ინერციის ნარჩენ მოვლენას უფრო ჰგავს, ვიდრე ახალი რეალობით დატვირთულ განცხადებას. ამისთვისაც დიდი მადლობა!

უკრაინა ალიანსის წევრობას „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ რეალურად მიუახლოვდა, მას შემდეგ, რაც 2004 წელს იუშჩენკო პრეზიდენტად აირჩიეს.

იუშჩენკოს იმდროინდელი თანაგუნდელი და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი **იულია ტიმოშენკო** ნატოს წევრობას უკრაინისთვის აუცილებელ პერსპექტივად არ მიიჩნევს. იგი უფრო მეტად ევროკავშირისკენ მიისწრაფვის. უკრაინაშიც არაა საქმე დალაგებულად. მაგრამ საქართველოსთვის პროცესები „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცივით“ ვითარდება — ნატოს და ევროკავშირის მიღმა ვართ დარჩენილი. „ანტრე, ბატონო!“ — არავინ გვაგლეჯს კალთებს.

# ბალტიისპირეთი სულს ღაფავს



**ლატვია კარგავს პოზიციებს. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Standard and Poor's იტყობინება, რომ წლის პირველ ნახევარში ლატვიის ეკონომიკაში ნეგატიური მაჩვენებლები მოსალოდნელზე მეტად განვითარდა, ამიტომ ერთიანი ეროვნული პროდუქტი მიმდინარე წელს, სავარაუდოდ, 16 პროცენტით შემცირდება, უმუშევრობა კი 20 პროცენტით გაიზრდება. SP იმასაც აღნიშნავს, რომ ამ ქვეყნის ეროვნული ვალუტის კორექტირების ალბათობა საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა ბალტიის ამ ქვეყნის მთავრობა კვლავ არ აპირებს თავისი ვალუტის დევალვირებას და მის განსამტკიცებლად უზარმაზარ თანხებს ხარჯავს.**

სანამ ლატვიის ხელისუფლება დაკავებულია მოლაპარაკებებით საერთაშორისო ფინანსური დახმარების მიღების თაობაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ევროკავშირისგან, მისი მეზობელი ქვეყნები შეშფოთებულები არიან შესაძლო ჯაჭვური რეაქციით, რომელმაც შეიძლება იგივე დღეში ჩააგდოს ლიტვა და ესტონეთი, — წერს **The Wall Street Journal**. შეშფოთებულია პოლონეთიც. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ამ რეგიონს ერთობლივად და სასწრაფოდ უნდა გაეწიოს საერთაშორისო დახმარება, რადგან მხოლოდ ასე გადაწყდება საერთო პრობლემა. ამასთან, ვალუტის დევალვაციის გადავადება კიდევ უფრო მტკივნეულს გახდის ამ პროცესს, რომელიც გარდაუვალია. თუ საერთაშორისო კრედიტორებმა ჯიბეს ხელი არ გაიკრეს, ლატვიას აგვისტოშივე არ ექნება ფული ხელფასების, პენსიების და სხვა სახელმწიფო გადასახადების დასაფარად, — განაცხადა ამ დღეებში ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ვალდის დომბროვსკისმა.

პრემიერმა ლატვიის მოქალაქეებს განცხადებით მიმართა, რომელშიც აღნიშნა, რომ **„მდგომარეობა ქვეყანაში ძალიან სერიოზულია, რასაც ვერ გადაწყვეტს საზოგადოების კონფრონტაცია“.**

ლატვიაში იხურება სასწავლო დაწესებულებები და საავადმყოფოები, იკვეცება პენსიები და ხელფასები. მთავრობა იძულებულია, მიმართოს ამ მეთოდს სახელმწიფოს დაშლის თავიდან ასაცილებლად.

**ესტონეთში** კი, სადაც, აგრეთვე, კრიზისია, მდგომარეობის გამოსასწორებლად მთავრობიდან გააძევეს სოციალ-დემოკრატები, — იტყობინება **Postimees**.

ქვეყნის პარლამენტმა ორჯერ შეკვეცა ბიუჯეტი. 18 ივნისის სხდომაზე კი დეპუტატებმა უმაღლეს ჩინოვნიკებს — პრეზიდენტისა და მინისტრების ჩათვლით — საშუალოდ 8 პროცენტით შეუმცირეს ხელფასები, უარი თქვეს უმუშევართა შემწეობის გაზრდაზე. სამაგიეროდ, გაზარდეს ფასები თამბაქოზე (5 პროცენტით) და საწვავზე (10-12 პროცენტით).

ამ ღონისძიებათა წინააღმდეგ გაილაშქრეს მთავრობის წევრმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათი პარტნიორები, რომლებიც მმართველ კოალიციაში შედიან, მოსახლეობის ყველაზე უფრო გაჭირვებული ფენების ხარჯზე ცდილობენ, შეებრძოლონ კრიზისს. შედეგად, სოციალ-დემოკრატებმა დატოვეს მთავრობა, ხოლო კოალიციამ დაკარგა უმრავლესობა პარლამენტში. ბიუჯეტის დეფიციტს უჩივის **უკრაინაც**. ამ ქვეყნის ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა ვიქტორ პინზენიკმა განაცხადა, რომ რეალური დეფიციტი 14 პროცენტი იქნება. ამას იტყობინება უკრაინის სააგენტო **УНИАН.**

წლის დასაწყისიდან უკრაინამ უკვე 24 მილიარდი გრივნი დაბეჭდა.

**„ბიუჯეტის დეფიციტი უზარმაზარია, — აღნიშნა ყოფილმა მინისტრმა, — ასეთი რამ ქვეყანას არ ახსოვს, მაგრამ მთავარი საშიშროება დაფინანსების წყაროს არარსებობაა. ანგარიშებზე ფული არ დევს, არ არის პრივატიზაცია. ერთადერთი, რაც რჩება — საბეჭდი დაზგაა“,** რომელიც, ექს-მინისტრის თქმით, უკვე ამუშავებულია.

სარეიტინგო სააგენტო **Fitch Ratings**-ის პროგნოზით, მოსალოდნელია აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნების ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომი გაუარესება.

**სააგენტოს თავმჯდომარემ ედვარდ პარკერმა ეკონომიკურად ყველაზე სუსტ და ჩამორჩენილ სახელმწიფოებად დაასახელა მოლდოვა, უკრაინა და საქართველო. ყველაზე მყარი პოზიციები კი ჩეხეთს აქვს.**

ამერიკელი ფინანსისტის **ჯორჯ სოროსის** აზრით, უკრაინა ძალიან ახლოსაა დეფოლტთან. უკრაინის პრემიერმა **იულია ტიმოშენკომ** კი 16 ივნისს განაცხადა, რომ არ დაუშვებს დეფოლტს, სანამ ამ თანამდებობაზეა. ერთი სიტყვით, დასავლეთის ფრონტზე სერიოზული ცვლილებებია და გაუმჯობესების პერსპექტივა ხვალინდელი ქათამივით ჩანს ჰორიზონტზე.




# ყინული, რომელიც იწვის: ახალი ნამარხი სათბობი

**როგორც „The New Scientist“ იტყობინება, გლობალური დათბობის პირობებში ბევრი ქვეყანა დაინტერესდა ნამარხი საწვავის ახალი სახეობით, რომელსაც დღეისთვის მხოლოდ ნორილსკში იყენებენ. „იგი ჭუჭყიან ყინულს ჰგავს, მაგრამ კონსისტენციით რბილია. ანთებულ ასანთს თუ მიუახლოებთ, ცეცხლი მოეკიდება“, — წერს ჟურნალისტი ფრედ პირსი.**



ლაპარაკია მეთანის კლატრატზე — მეთანის მოლეკულებზე, რომლებიც ყინულის კრისტალებშია მოთავსებული. მათი თვისებები რუსმა მეცნიერებმა შემთხვევით აღმოაჩინეს, რომლებიც გაოცებული იყვნენ იმის გამო, რომ მესოიახინის საბადოში, რომელიც დასავლეთ ციმბირის მუდმივი გამყინვარების ქვეშაა, პროგნოზების საწინააღმდეგოდ, გაზი არ ამოიწურა. ეს საბადო დღესაც ამარაგებს რუსეთის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ ნორილსკს სამეურნეო გაზით.

ნიშანდობლივია, რომ მეთანის კლატრატის მარაგი სხვაგან არსადაა ათვისებული.

მეთანის წვის პროცესში ორჯერ ნაკლები ნახშირორჟანგა გაზი გამოიყოფა, ვიდრე ქვანახშირის წვის დროს, რაც ფრიად მნიშვნელოვანია გლობალური დათბობის ეფექტის შესამცირებლად.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კლატრატის მარაგმა მუდმივი გამყინვარების ფენებში — ხმელეთსა თუ ოკეანის ფსკერზე — რამდენიმე საუკუნის განმავლობაში შეიძლება უზრუნველყოს მსოფლიოს ენერგეტიკული მომარაგება. ნავთობისა და გაზის მომპოვებელი კომპანიები კი მიიჩნევენ, რომ მეთანის კლატრატი არასაიმედო და არაეკონომიური საწვავია. ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულების მიუხედავად, კლატრატით დაინტერესებული არიან აშშ-ში, კანადაში, ჩინეთსა და ნორვეგიაში, ხოლო იაპონიასა და სამხრეთ კორეაში უკვე გაიცა ამ სათბობის კომერციული მოპოვების სანქცია. იაპონია, კერძოდ, 2016 წლისთვის აპირებს მეთანის სამრეწველო მოპოვების დაწყებას კუნძულ ჰონსიუს მახლობლად.

როგორც ვარაუდობენ, მეთანის კლატრატის მარაგი მსოფლიოში 3 ტრილიონ ტონამდეა: გაზის მოხმარების დღევანდელი დონის გათვალისწინებით, ეს მარაგი კაცობრიობას ერთ ათასწლეულს მაინც მოემსახურება.

კრიტიკოსების აზრით, მეთანის გამოყენება კი არ შეამცირებს, არამედ გაზრდის გლობალური დათბობის საშიშროებას, რადგან გაჟონავს ატმოსფეროში. მეთანის ნაერთი კი ჰაერს 20-ჯერ უფრო მეტად ათბობს, ვიდრე ნახშირორჟანგა გაზის ანალოგიური რაოდენობა.

გამორიცხული არ არის უშუალო ნეგატიური შედეგებიც: ტექტონიკური ძვრები, მეწყრები, ცუნამი. ზოგიერთი ინჟინერი დარწმუნებულია, რომ კლატრატებიდან მეთანის მოპოვების საშიშროება გაზვიადებულია. ჩინეთსა და ინდოეთში სხვა რამ აშფოთებთ: იმიტომ ხომ არ მოიგონეს ყველა ეს საშიშროება, რომ ხელი შეუშალონ სათბობის ამ სახეობის მოპოვებას (ანუ უკომპრომისო კონკურენციითაა ნაკარნახევი!)?

შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ კლატრატებიდან მეთანის მოპოვება გარდაუვალია, რადგან მსოფლიო ეკონომიკას სჭირდება ახალი საწვავი.

მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სტალინის იდეა თანამედროვე ევროპაში ამოქმედდა

**„კავკასიის“ ეთერში ერთ-ერთმა მთვარესავით მრგვალსახიანმა დეპუტატმა, რომლის გვარი არ ვიცი, რადგან არც მიცდია დახსომება, სტუდიაში შეკრებილ ოპოზიციურად განწყობილ ახალგაზრდებს, რომლებმაც აგვისტოს ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიების შესახებ დაუსვეს შეკითხვა, მტკიცედ განუცხადა, რომ მხოლოდ მიხეილ სააკაშვილს და მის გუნდს აღმოაჩნდა გამბედაობა, ომი გამოეცხადებინათ რუსეთისათვის. ეს ისეთი „დებულებაა“, რომელიც სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს. გაშიფვრა თქვენზე იყოს. ახლა ამაზე დროს ნუ დავკარგავთ...**



პოტსდამი, 1945 წელი



ბერლინი, 2007 წელი

## რას გვიქადის რუსეთ-გერმანიის მზარდი პარტნიორობა?

ამერიკელი ექსპერტი ბრედ მაკდონალდი შტატებში გამომავალ Trumprt-ში (2009 წლის 18 ივნისს) წერდა, რომ ყოველი ომის წინ არის გარკვეული მომენტი, როცა კონფლიქტი გარდაუვალი ხდება. ამ მომენტის გავლის შემდეგ ვერავითარი მოლაპარაკება ან კომპრომისი ველარ შეაჩერებს კარსმომდგარ სისხლისღვრას.

იგი ამტკიცებს, რომ ასეთი შეუქცევადი მომენტი გერმანია-საბჭოთა კავშირის საომარი დაპირისპირების წინ 1939 წლის 21 აგვისტოს, შუაღამისას, დადგა, როცა ბერლინის რადიომ შეწყვიტა მუსიკალური გადაცემა და გამოაცხადა: „რაიხის მთავრობა და საბჭოთა მთავრობა შეთანხმდნენ თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ“. ჰიტლერმა აღმოსავლეთის ფრონტი გააუვნებლა, სტალინმა მშვიდობის წელიწადი მოიგო.

მაგრამ ომი მაინც დაიწყო.

**ვინ იტყვის, როდის გავიარეთ რუსეთ-საქართველოს შორის ის შეუქცევადი წერტილი, მიხეილ სააკაშვილის ვლადიმერ პუტინთან რომელი შეხვედრიდან დაბრუნების შემდეგ, როცა რიტორიკულმა ბაქიობამ და წინდაუხედაობამ ან სხვათა წახალისებამ (?) გარდუვალი გახადა აგვისტოს ომი.**

მოლოტოვ-რობენტროპის რა პაქტი დაიდო მაშინ ან ვის შორის, ღმერთმანი, არ ვიცი. მაგრამ, როგორც ჩანს, დაიდო რაღაც მსგავსი და დამბრალებლის ცოდვას ჩემს თავზე ვიღებ.

ისეთი ხელშეკრულებები, როგორიც იყო 1922 წლის რაპალის ხელშეკრულება და 1939 წლის მოლოტოვ-რობენტროპის პაქტი ანგარიშით ქორწინებად არის მიჩნეული, რომლებსაც ორმხრივი სტრატეგიული აუცილებლობის გამო დებენ ხოლმე დიდი კონფლიქტის კვირაძალს, როცა განქორწინება ლოგიკურად აუცილებელი ხდება.

ზემოთ ნახსენები ბრედ მაკდონალდი სწორედ ამ ჭრილში განიხილავს რუსეთ-გერმანიის ურთიერთობას, რომელიც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით დათბა, და საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს.

მას მიაჩნია, რომ ამ ორი სახელმწიფოს მოჩვენებითი (!) მეგობრობა კონფლიქტის უტყუარი წინაპირობაა.

**ამასწინათ მოსკოვში ჩასულმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა განაცხადა, რომ „რუსეთი გერმანიისა და ევროკავშირის შეუცვლელი პარტნიორია, რომ გერმანია-რუსეთის თანამშრომლობა არის ურთიერთობის ის მოდელი, რომლის დროსაც ორივე მხარე იგებს.**

რა უნდა იყოს ამაში ცუდი?! მაგრამ სააგენტო Stratfor-ის ანალიტიკოსები სწორედ ამ განცხადებაში ხედავენ შეშფოთების მარცვლებს და ამის დასადასტურებლად სსრკ-მესამე რაიხის დაახლოების ისტორიულ მაგალითს იმოწმებენ.

**ასეა თუ ისე,**

### რუსეთ-გერმანიის ღერძის ფორმირება მსოფლიო სცენაზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და სათანადოდ შეუფასებელ ტენდენციად იკვეთება.

არც ეს უნდა იყოს ნეგატიური მოვლენა.

მაგრამ ანალიტიკოსები (თუნდაც იმავე Stratfor-ის სააგენტოსი) ხედავენ, რომ გერმანიისა და რუსეთის ურთიერთობის გაფართოება-განმტკიცების პარალელურად ირღვევა გერმანია-ამერიკის ურთიერთობა.

**ბოლო თვეების განმავლობაში ამერიკასა და გერმანიას შორის დაიძაბა ურთიერთობა არაერთი საკითხისა გამო — ავღანეთში ომიდან და მსოფლიო ფინანსური კრიზისიდან დაწყებული, გუანტანამოში დაპატიმრებულთა პრობლემითა და რუსეთთან ურთიერთობით დამთავრებული. ბარაკ ობამას ევროპული ვიზიტის დროს ბერლინში ჩაუსვლელობასაც ამ საკითხთა რიგს მიაწერენ.**

მიაქციეთ ყურადღება, რომ ლაპარაკია არა ზედაპირულ, ხანმოკლე უთანხმოებაზე, არამედ, ევროპული გეოპოლიტიკის ტექტონიკური ფილების დაძვრაზე, რაც 1989 წელს გერმანიის გაერთიანებით დაიწყო და მოცემული პიკური მომენტისთვის იმ შედეგს მიაღწია, რომელიც იმთავითვე იყო ჩადებული „პერესტროიკის“ საგარეო პოლიტიკაში.

**1989 წელს გერმანიის გაერთიანებას, ჩვეულებრივ, სსრ კავშირის მიერ განხორციელებული ახალი საგარეო კურსის შედეგად მიიჩნევენ.**

ამ შედეგს ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაახლოებასაც უმატებენ, როგორც წესი.

კი, ყველაფერი ასე იყო. მაგრამ თავს უფლებას მივცემ, ვთქვა, რომ ეს იყო დიდი და პრინციპულად ახალი მსოფლიო წესრიგისაკენ გადადგმული პირველი ღრმა და შორსგამიზნული ნაბიჯი.

„ცივი ომის“ დასრულებას რატომღაც ამერიკის მსოფლიო ჰეგემონობის დასაწყისად და მისთვის ხელისშემწყობ შეთანხმებად მიიჩნევენ.

ერთი შეხედვით, პროცესები, რომლებიც ამ პერიოდში განვითარდა, თითქოს ადასტურებს ამ შეხედულებას. საწყის ეტაპზე აშშ მართლაც ერთპოლუსიანი მსოფლიოს კანონმდებელი გახდა მის მიერ ინსპირირებული ლოკალური ომებისა და ბუშის „კოვბოური“ საგარეო პოლიტიკის წყალობით, „ფერადი რევოლუციების“ მეშვეობით დემოკრატიის ექსპორტით, პოსტსაბჭოთა სივრცის ფინანსური დაკაბალებით და ა.შ.

მაგრამ გერმანიის გაერთიანებაში ჩადებული შენელებული მოქმედების გეოპოლიტიკური ნაღმი უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში თავის საქმეს აკეთებდა. ეს ქვეყანა ევროპასა და მთელ მსოფლიოში განიმტკიცებდა კონტინენტის ეკონომიკური, სამხედრო, დემოგრაფიული და გეოპოლიტიკური ლიდერის პოზიციას.

**Stratfor-ის ანალიტიკოსების დაკვირვებით, ბერლინსა და ვაშინგტონს შორის აზრთა სხვადასხვაობა „ხანგრძლივი ტენდენციის შედეგია, რაც ევროპის მთავარ პოზიციაზე გერმანიის გამოსვლაში გამოიხატა“. ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება ანალიტიკური მასალიდან, რომელიც მათ 5 ივნისს გამოაქვეყნეს.**

მოკლედ: გერმანიის გაერთიანება იყო უმნიშვნელოვანესი ისტორიული აქტი, რომელმაც წერტილი დაუსვა მეორე მსოფლიო ომის ნარჩენ შედეგებს და სათავე დაუდო ახალ რეალობას — ევროპის დამოუკიდებლობას.

მოულოდნელი დასკვნაა, მაგრამ ფაქტებზე დაფუძნებული.

Stratfor წერს: **„დიპლომატიის თითქმის 65 წლის განმავლობაში, რაც მესამე რაიხის დამარცხებას მოჰყვა, აშშ მთავარი სტრატეგია ევროპაში მიმართული იყო იქით, რათა არ დაეშვა ერთპიროვნული, მძლავრი პოლიტიკური რაობის ჩამოყალიბება, რომელსაც შეეძლებოდა რეგიონში ამერიკის ინტერესების დაბლოკვა. 2009 წლის გერმანია ამერიკას ასეთი რაობის პირველ ნიშნებს აჩვენებს“.**

უმოკლესი ექსკურსი ისტორიაში: ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს, რატომ მოითხოვდა იოსებ სტალინი ომისშემდგომი გერმანიის მთლიანობის შენარჩუნებას მოკავშირეთა მიერ შემოთავაზებული ოკუპაციის ზონებად დანაწევრებული ქვეყნის ნაცვლად.

### სტალინს სჭირდებოდა ძლიერი გერმანია სტაბილურ და მშვიდობიან მსოფლიოში აშშ ექსპანსიისგან ევროპის დასაცავად.

შესაბამისად, საბჭოთა კავშირის პოზიციის განსამტკიცებლად, რა თქმა უნდა.

და, რაც მთავარია, მხოლოდ ასე შეიძლებოდა ძალთა ბალანსის შენარჩუნება XX საუკუნის მსოფლიოში, რომელმაც ორი სისხლისმღვრელი ომი გადაიტანა.

ეს საკითხი ცალკე განსახილველია, ახლა კი მხოლოდ იმის კონსტატირება შეგვიძლია, რომ სტალინის ეს იდეა 64 წლის შემდეგ ამოქმედდა!

გერმანიის ახლანდელი პოლიტიკა — იმოქმედოს რუსეთთან ერთად, რაგინდ აშფოთებდეს ეს ამერიკას, იმის ნიშანია, რომ ერთპიროვნული, მძლავრი პოლიტიკური რაობა ევროპაში გამოჩნდა!

ამერიკელი მიმომხილველი ბრედ მაკდონალდი წერს, რომ რუსეთი სრულად აღიქვამს ამ რეალობას და შესაბამისად მოქმედებს კიდეც... რუსები მჭიდრო ურთიერთობას ამყარებენ ბერლინთან და შესაბამის პირობებს ჰქმნიან პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ რეალობასთან, რომელიც ევროპის მომავლის განმსაზღვრელი იქნება. დღეს ვაშინგტონს იგივე კითხვა აწუხებს, რომელიც ერთხელ ჰენრი კისინჯერს გაუჩნდა: „ევროპაში დარეკვას თუ ვაპირებ, ვის უნდა დავურეკო?“ კრემლმა შესანიშნავად იცის პასუხი ამ კითხვაზე და სწორედ ამიტომ აქვს პირდაპირი კავშირი ბერლინთან.

**მოსკოვმა იცის, რა განხეთქილებებია გერმანია-აშშ ურთიერთობაში და ცდილობს, კიდევ უფრო დააშოროს ბერლინი ვაშინგტონს. ამის ერთ-ერთი მაგალითია, როგორც Trumpet წერს, „ოპელის“ საგა, იმ ავტოკომპანიისა, რომელიც ამერიკული General Motors-ის ევროპული ქვედანაყოფია. ბოლო მომენტამდე „ოპელი“, როგორც მისი დედობილი კომპანია General Motors, გაკოტრების პირას იყო. მისი კრახი სერიოზულად იმოქმედებდა გერმანიის ეკონომიკის ზოგიერთ რგოლზე (ათასობით გერმანელი „ოპელის“ ქარხნებში მუშაობს), ასევე, გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის პოლიტიკურ მომავალზე, რომელიც ამა წლის სექტემბერში მეორე ვადით იყრის კენჭს. ბერლინიდან არაერთი თხოვნის მიუხედავად, ვაშინგტონს თავი არ შეუწუხებია. მოსკოვი კი ბოლო მომენტში ჩავიდა და გარიგება შესთავაზა, რომელმაც გადაარჩინა „ოპელი“, ათასობით გერმანელის სამუშაო ადგილები და, შესაძლებელია, ანგელა მერკელის პოლიტიკური მომავალიც.**

პოლიტიკოსები სერიოზულად მიიჩნევენ, რომ ეს ყოველივე შეიძლება ევროპაში ახალი პოლიტიკური ალიანსის შექმნის პირველი ნიშანი იყოს.

ახლა კი, ყურადღება! Trumpet-ის პუბლიკაციის ეს პასაჟი საქართველოს ეხება:

**„რუსეთ-გერმანიის ალიანსის არსებობა მსოფლიომ პირველად შარშან, აგვისტოში, შენიშნა, როცა რუსეთმა გაანადგურა საქართველო, გერმანიას კი წარბიც არ შეუხრია“.**

ჰოდა, იოქროპიროს ტელეკამერების წინ იმ პირიმთვარისა დეპუტატმა, რომლის გვარი არ ვიცი, გაბედული სააკაშვილისა და გამბედავებით დაკომპლექტებული მისი გუნდის შესახებ, რომლებმაც ომი გამოუცხადეს რუსეთს.

პრიმიტივიზმის გამოკვეთილი მაგალითი ურთულეს განზომილებათა მთაგრეხილში.

მთავარი რედაქტორი ჯერალდ ფლერი ასკვნის: **„მიმაჩნია, რომ გერმანიის ხელმძღვანელობა შეიძლება კიდეც შეუთანხმდა რუსეთს რიბენტროპ-მოლოტოვის ახალი პაქტის დადებაზე, რომლის მიხედვით გერმანია და რუსეთი ერთმანეთში გაინაწილებენ ქვეყნებსა და აქტივებს“.**

**არმაზ სანებლიძე**

## უნდა ველოდოთ ახალ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს?

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ტროცკის ბრიტანელი მემკვიდრეები, ანუ როგორი იქნება მსოფლიო გლობალიზაციის შემდეგ

**გლობალიზაციის იდეოლოგებმა უკვე არაერთხელ აღნიშნეს, რომ მომავლის „ბედნიერ“ მსოფლიოში უფესვო, უეროვნო, ურელიგიო და უოჯახო ადამიანები იცხოვრებენ. დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში ოჯახი სულაც აღარაა ხელშეუხებელი და აუღებელი ციხესიმაგრე — მშობლებს შვილებს აბსურდული მიზეზების გამო ართმევენ და ყველაზე ხშირად ეს ბრიტანეთში ხდება. ეს ქვეყანა დაემსგავსა საცდელ პოლიგონს, სადაც ამ „აუღებელი ციხესიმაგრის“ განადგურების მეთოდებს ამუშავებენ.**

**ყოფილ მფლობელს (ქმარს) უნარჩუნდება უფლება, ურიგოდ ისარგებლოს თავისი ცოლით. იმ შემთხვევაში, თუ ქმარი ამ დეკრეტის ცხოვრებაში მოქმედებას რაიმენაირად შეუშლის ხელს, დაკარგავს ამ სტატიაში მოცემულ უფლებას... მამაკაც მოქალაქეებს უფლება აქვთ, გამოიყენონ ქალი კვირაში არაუმეტეს ოთხჯერ და არა უმეტეს 3 საათისა.**

ახლახან 24 წლის ბრიტანელ დედას საკუთარი შვილი იმის გამო წაართვეს, რომ დედა ავადმყოფი ბავშვის მოსავლელად **„ძალიან სულელად“** ჩათვალეს. სამ თვეში სამი წლის გოგონას გააშვილებენ და დედას მისი ნახვის საშუალება აღარ ექნება.

**ყველაფერი შარშან დაიწყო. გამოკვლევამ აჩვენა, რომ 24 წლის რეიჩელის IQ 71 ქულას შეადგენდა (საშუალო მაჩვენებელი 90-109 ქულაა). ამიტომ, როგორც ქმედუუნაროს, სასამართლოში მას სახელმწიფო ადვოკატი დაუნიშნეს. ადვოკატმა, ქალის სურვილის საწინააღმდეგოდ, უარი თქვა საქალაქო სასამართლოს დადგენილების გასაჩივრებაზე და ბავშვის გაშვილებას დაეთანხმა. საქმე ისაა, რომ რეიჩელის შვილს ნაადრევი მშობიარობის შედეგად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და ექიმების მეთვალყურეობას საჭიროებს. ამიტომ ნოტინგემის ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ დედა ვერ შეძლებს საკუთარ შვილზე ზრუნვას.**

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტების ერთი ნაწილი თვლის, რომ IQ-ს ტესტი სულაც არაა უნიკალური და უშეცდომო შემფასებელი; ფსიქიატრებმა კი დაასკვნეს, რომ რეიჩელი ნორმალური ადამიანია — მისი ინტელექტუალური განვითარება ნორმას შეესაბამება. ამ დასკვნიდან გამომდინარე სასამართლომ იძულების წესით აღიარა, რომ რეიჩელი ქმედუნარიანია და შეუძლია, თავად მიიღოს მონაწილეობა საკუთარი საქმის განხილვაში. გაშვილების პროცესის შეჩერებაზე სასამართლომ მაინც უარი თქვა.

**ეს სულაც არაა ერთადერთი შემთხვევა. ბრიტანული სასამართლოს გადაწყვეტილებით მარკ და ნიკი ვებსტერებს ხელისუფლებამ შეცდომით წაართვა შვილები. მოსამართლე ახლაც არ აძლევს ოთხ ბავშვს მშობლების ნახვის უფლებას, შინ დაბრუნებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.**

**ვებსტერებს ბავშვები 2004 წელს წაართვეს, როდესაც ექიმებმა მათ ერთ-ერთ შვილს რამდენიმე მიკრომოტეხილობა აღმოუჩინეს და დაასკვნეს, რომ ეს შეგნებულად მიყენებული ტრამვები იყო. შემდგომში ექიმებმა დასკვნა შეცვალეს, რომ ბავშვს ძვლებზე ბზარები ვიტამინების ნაკლებობის გამო გასჩენია, მაგრამ ამ დროისათვის ვებსტერების ოთხივე შვილი უკვე გაშვილებული იყო და სასამართლო მხოლოდ „ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობდა“ გამწარებულ მშობლებს, რადგან გაშვილების შესახებ გადაწყვეტილება თურმე საბოლოო იყო და მისი შეცვლა აღარ შეიძლებოდა.**

**2005 წლის იანვრის შემდეგ ვებსტერებს საკუთარი შვილები აღარ უნახავთ. არანაკლებ ამაზრზენი ფაქტი მოხდა შოტლანდიაში, როდესაც სასამართლომ 46 წლის ბებია და 59 წლის პაპა**





ტროცკის საფლავი

**ბავშვების აღსაზრდელად ძალიან დაბერებულად მიიჩნია და ორი ბავშვი პედერასტების ოჯახში გააშვილა.**

ევროპელთა ნაწილი ამ ასაკში პირველ შვილს აჩენს, ამ წყვილს კი ორწლიანი ბრძოლის შემდეგ შვილიშვილები მაინც წაართვეს და დაემუქრნენ კიდეც, თუ რაიმე უკმაყოფილებას გამოთქვამთ, ბავშვების ნახვის უფლებაც აღარ გექნებათო.

ამ ბავშვების შვილად აყვანა ნორმალურ წყვილებსაც სურდათ, სოციალური მუშაკები გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ უმცროსი ბავშვი, გოგონა, მამაკაცებისადმი შიშს განიცდიდა, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ორი მამაკაცისაგან შემდგარ „ოჯახს“ მიაშვილეს. **პედერასტებისა და ლესბოსელების მიერ ბავშვების შვილად აყვანა შოტლანდიაში 2006 წლიდანაა დაკანონებული. ამ დროიდანვე ხელისუფლება აქტიურად უჭერს მხარს ამ იდეას და ყველა უპირატესობა გარყვნილებს ენიჭებათ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ერთსქესიანი ოჯახებისათვის ბავშვის შვილად აყვანის კანონის წინააღმდეგ ქვეყნის მოსახლეობის 90% გამოდიოდა. მაშ, ვილას ინტერესებს იცავს ნაქებ-ნადიდები ბრიტანული დემოკრატია?**

**ოჯახთან მებრძოლ ბრიტანელებს მრავალი წინამორბედი ჰყავთ შუასაუკუნოვანი კატარებითა და ანაბაპტისტებით დაწყებული შედარებით ახლო წარსულის ბოლშევიკ-ტროცკისტებით დამთავრებული. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ერთი დოკუმენტი, რომელზეც „გათავისუფლებისათვის“ მებრძოლ ბრიტანელებს ჯერჯერობით მხოლოდ ოცნება შეუძლიათ.**

**მაშ ასე:**

სარატოვის გუბერნიის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი ქალების კერძო მფლობელობის გაუქმების შესახებ. კანონიერი ქორწინება, რომელიც ბოლო დრომდე არსებობდა, უდავოდ იმ სოციალური უთანასწორობის პროდუქტია, რომელიც ფესვიანად უნდა ამოიძირკვოს საბჭოთა რესპუბლიკაში. დღემდე კანონიერი ქორწინება წარმოადგენდა პროლეტარიატის საწინააღმდეგო სერიოზულ იარაღს ბურჟუაზიის ხელში, რომლის წყალობითაც მშვენიერი სქესის საუკეთესო წარმომადგენლები იმპერიალისტი ბურჟუების საკუთრება იყვნენ. ამიტომ, სარატოვის გუბერნიის სახალხო კომისართა საბჭომ გუბერნიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დეპუტატთა თანხმობით დაადგინა:

**§ 1. 1918 წლის 1 იანვრიდან იკრძალება 17-დან 30 წლამდე ქალების მუდმივი მფლობელობა. ქალის ასაკი განისაზღვრება დაბადების მოწმობითა და პასპორტის ჩანაწერებით, ამ საბუთების არარსებობის შემთხვევაში კი კვარტალური კომიტეტების ან უხუცესების მიერ გარეგნული შეხედულებით და მოწმეების ჩვენებით;**

**§ 2. ამ დეკრეტის მოქმედება არ ვრცელდება გათხოვილ ქალებზე, რომელთაც ჰყავთ ხუთი ან მეტი შვილი;**

**§ 3. ყოფილ მფლობელს (ქმარს) უნარჩუნდება უფლება, ურიგოდ ისარგებლოს თავისი ცოლით. იმ შემთხვევაში, თუ ქმარი ამ დეკრეტის ცხოვრებაში მოქმედებას რაიმენაირად შეუშლის ხელს, ის დაკარგავს ამ სტატიაში მოცემულ უფლებას;**

**§ 4. ყველა ქალი, რომელიც ამ დეკრეტს ექვემდებარება, გათავისუფლებულია კერძო, მუდმივი მფლობელობისაგან და მთელი მშრომელი ხალხის საკუთრებად ცხადდება;**

**§ 5.ამ ქალების ზედამხედველობის უფლება მიენიჭათ შესაბამისი გუბერნიების, მაზრების და სოფლების მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების დეპუტატებს;**

**§ 6. მამაკაც მოქალაქეებს უფლება აქვთ, გამოიყენონ ქალი კვირაში არაუმეტეს ოთხჯერ და არა უმეტეს 3 საათისა, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით;**

**§ 7. ყველა მშრომელი ვალდებულია, თავისი შემოსავლიდან 2% სახალხო თაობის ფონდისათვის გამოყოს;**

**§ 8. ყველა მამაკაცმა, რომელსაც სურს, ისარგებლოს სახალხო საკუთრების ეგზემპლარით, უნდა წარმოადგინოს მუშათა კომიტეტის ან პროფესიული კავშირის მიერ გაცემული მოწმობა, რომ ნამდვილად განეკუთვნება მშრომელთა კლასს;**

**§ 9. მამაკაცებს, რომლებიც არ განეკუთვნებიან მშრომელთა კლასს, შეუძლიათ, ისარგებლონ ქალებით მითითებულ ფონდში 1 000 რუბლის გადახდის პირობით;**

**§ 10. ამ დეკრეტის მიხედვით სახალხო საკუთრებად მიჩნეული ყველა ქალი სახალხო თაობის ფონდიდან მიიღებს დახმარებას თვეში 280 რუბლის ოდენობით;**

**§ 11. ორსული ქალები თავისუფლდებიან თავიანთი პირდაპირი და სახელმწიფოებრივი ვალდებულებისაგან 4 თვით (3 თვე მშობიარობამდე და 1 თვე მშობიარობის შემდეგ);**

**§ 12. დაბადებული ბავშვები ერთი თვის შემდეგ იცხოვრებენ თავშესაფარში, სადაც აღიზრდებიან და მიიღებენ განათლებას 17 წლის ასაკამდე;**

**§ 13. ტყუპების დაბადების შემთხვევაში დედა მიიღებს ჯილდოდ 200 რუბლს;**

**§ 14. ვენერიული დაავადების გავრცელებაში დამნაშავე რევოლუციური სასამართლოს მიერ კანონიერ პასუხისგებაში მიეცემა.**

საბედნიეროდ, ევროპელ მონდიალისტებს ჯერ-ჯერობით არ აქვთ ისეთივე განუსაზღვრელი ძალაუფლება როგორიც ქონდა ტროცკის 1918 წელს, მაგრამ ეს მხოლოდ ჯერ-ჯერობით და ვაი რომ შორს არ არის დღე როდესაც ტროცკის ევროპელი მიმდევრები რევოლუციური სიჯიუტით, ხელგაშლილობით და მასშტაბურობით დააკანონებენ „ბედნიერი საზოგადოების“ საკუთარ მოდელს.

www.politsvoboda.ru

# მოსკოვი აფრიკით დაინტერესდა

**„Der Standard“-ის მიხედვით, პრეზიდენტ მედვედევის აფრიკული ტურნე იმის მაუწყებელია, რომ რუსეთი მსოფლიო ზესახელმწიფოს როლს უბრუნდება. „რუსეთს აფრიკის კონტინენტზე გავლენის გაფართოება სურს — ამისთვის რუსეთის პრეზიდენტი აფრიკის ოთხ სახელმწიფოს — ეგვიპტეს, ნიგერიას, ნამიბიასა და ანგოლას ეწვევა“, — წერს გაზეთი.**




მედვედევის თანმხლებ უმსხვილესი კომპანიების წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ აფრიკულ სასარგებლო წიაღისეულზე მიუწვდებათ ხელი. ექსპერტების თქმით, რუსეთის აფრიკით დაინტერესება პრესტიჟის საკითხიცაა. ის ცდილობს, მსოფლიოს დაანახოს, რომ მხოლოდ მეზობელი ქვეყნები არ წარმოადგენენ მის ინტერესებს.

საამისოდ რუსეთს მოუწევს, დაეწიოს ჩინეთს, რომელიც აფრიკული ქვეყნებისთვის გავლენიან სავაჭრო პარტნიორად იქცა.

იმავე ექსპერტების მტკიცებით, ჩინეთს სულ სხვა მიზანი ამოძრავებს, პეკინი ორიენტირებულია ეკონომიკის ექსპანსიაზე და რესურსების მოწოდების გარანტიებზე ზრუნავს, რუსეთი კი ახალ ბაზარს ეძებს ენერგეტიკის სფეროს საკუთარი ტექნოლოგიებისთვის.

ეგვიპტეში არაბული სახელმწიფოების ლიგასთან შეხვედრისას დიმიტრი მედვედევმა აღნიშნა, რომ ახლოაღმოსავლური კონფლიქტის მოგვარება პალესტინის დამოუკიდებელი, სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს შექმნას უნდა ეფუძნებოდეს.

მისივე თქმით, რუსეთი მზადაა ნიგერიაში ეკონომიკაში მილიარდი დოლარის ინვესტირებისათვის. ამ ვიზიტისას ხელი მოეწერა მოლაპარაკებას, რომლის თანახმადაც, ნავთობისა და გაზის სფეროში შეიქმნება ერთობლივი რუსულ-ნიგერიული საწარმო.

# ვერონიკა კურჟოს საშინელი საიდუმლო

**ფრანგ ვერონიკა კურჟოს 1999, 2002 და 2003 წლებში საიდუმლოდ გაჩენილი საკუთარი შვილების მკვლელობა ედება ბრალად. 41 წლის ქალს, რომელსაც 12 და 14 წლის შვილები ჰყავს, სამუდამო პატიმრობა ელის. ერთ დროს მკვლელობებში თანამონაწილეობაში ეჭვმიტანილი მისი მეუღლე აცხადებს, რომ დღემდე უყვარს თავისი ცოლი.**

ყველაფერი 2006 წლის 23 ივლისს დაიწყო, როდესაც სეულში მომუშავე ჟან-ლუი კურჟომ თავისი ცოლის საშინელ საიდუმლოს ფარდა ახადა. მან საყინულეში ქაღალდის ხელსახოცებში გადახვეული და შემდეგ პაკეტებში ჩადებული ორი ახალშობილის გვამი აღმოაჩინა. ვერონიკა ბავშვებთან ერთად საფრანგეთში ისვენებდა, ჟან-ლუიმ კი პატიოსნად გამოიძახა პოლიცია, მისცა აბსოლუტურად გულახდილი ჩვენება და სააბაზანოდან ბიოლოგიური სინჯებიც აალებინა, რითაც საკუთარი ცოლის ბედი გადაწყვიტა.

დნმ-ის ანალიზმა აჩვენა, რომ ვერონიკა ორი გაყინული ბავშვის დედაა, ქალი ჯერ ყველაფერს უარყოფდა, შემდეგ კი აღიარა, რომ 2002 და 2003 წლებში ახლობლების ჩუმად გააჩინა ბავშვები და გაჩენისთანავე აბაზანაში გაგუდა. **„ვინაიდან ის ჩემი შვილი იყო, მასთან დაკავშირებით ყველა უფლება მეც მეკუთვნოდა, მათ შორის, მოკვლისაც“,** — განაცხადა ვერონიკამ და აღიარა, რომ 1999 წელს კიდევ ერთი საკუთარი შვილი მოკლა, ისიც საიდუმლოდ გაჩენილი, ოღონდ მაშინ ბავშვის სხეული დაწვა.



ამ აღიარების შემდეგ გამომძიებლებმა ადგილი ფსიქოლოგებსა და ფსიქიატრებს დაუთმეს. ვერონიკა ამბობდა, რომ ვერ გრძნობდა მუცელში მათ მოძრაობას, რის გამოც არასდროს ჩაუთვლია ეს არსებები ბავშვებად. მათი მკვლელობის მიზეზად კი თქვა, რომ არ სურდა, კიდევ ჰყოლოდა შვილი და მუდმივად მტირალა, ბუზღუნა ქალად ქცეულიყო.

სასამართლოს ურთულესი ამოცანა აქვს ამოსახსნელი — ვერავინ ხვდება, როგორ შეძლო ქალმა, რომელიც მზრუნველ დედად ითვლება, მრავალი წელი ეცხოვრა ჩადენილ მკვლელობებზე ფიქრით და ერთხელაც არ გაეცა საკუთარი თავი.

ფსიქიატრთა ორმა კოლეგიამ დაასკვნა, რომ ვერონიკა არ იყო რაიმე ისეთი პათოლოგიის მსხვერპლი, რომ მკვლელობების ჩადენის მომენტისათვის განსჯის უნარი დაკარგვოდა. ფსიქიატრებმა მის მიერ ჩადენილი მკვლელობები გააზრებულ ქმედებად შეაფასეს, ამიტომ მას სასამართლო ელის.

**„LE FIGARO“**

# რაკეტსაწინააღმდეგო ჯავშანლეიბები

**დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ ახალი ნამუშევარი წარმოადგინა — მსუბუქი „რაკეტსაწინააღმდეგო ლეიბი“, რომელიც საბრძოლო მანქანებს ჭურვის პირდაპირი დარტყმისაგან დაიცავს.**

პროექტზე მომუშავე დიზაინერები აღნიშნავენ, რომ ეს გაწელილი დრეკადი ტექსტილის ჯავშანია, რომელიც აფეთქების ტალღას იმდენადვე აკავებს, რამდენადაც ახლანდელი ფოლადისა და ალუმინის საფარები. ავღანეთის ოპერაციაში მონაწილე ნატოს შვიდი მძიმე ჯავშანტრანსპორტიორი უკვე აღჭურვილია ახალი თაობის დამცავი ლეიბებით. „ტარიანი“ — ასე დაარქვეს დამცავ ლეიბებს, რაც ვალიურ ენაზე „ფარს“ ნიშნავს. ახალი „მცველის“ მთავარი უპირატესობა ისაა, რომ ის ფოლადის დამცავ საფარზე 85%-ით მსუბუქია, ალუმინისაზე კი — 50%-ით.

„ტარიანის“ შემქმნელი კომპანია „AmSafe“-ის დირექტორი ნილ მაკივერი აღნიშნავს, რომ დღის წესრიგში ამერიკული ბაზრის ათვისებაა, თუმცა მოლაპარაკებები სახელმწიფო დონეზე მიმდინარეობს.

**„The Times“**



# ნახევარი საუკუნეა, ატომური ბომბი ზღვის ფსკერზე დევს

**როგორც გაზეთ „ La Repubblica“-ში არტურო ზამპალიონე წერს, 1958 წელს კაცობრიობა კატასტროფის წინაშე იდგა. ჯორჯიის სანაპიროებთან, კუნძულ ტაიბის საზღვაო წყლები ნახევარ საუკუნეზე მეტია, საშინელ საიდუმლოს მალავს. ამ საიდუმლოს შესახებ 87 წლის პოლკოვნიკმა ჰოვარდ რიჩარდსონმა ისაუბრა. 1958 წლის 5 თებერვალს, სამხედრო სწავლებების დროს, ამერიკის საჰაერო შეიარაღებული ძალების ორი თვითმფრინავი „F-86“ და „Ვ-47“ ერთმანეთს შეეჯახა.**



ატომური ბომბი „MARK 15“

ამ უკანასკნელს სწორედ რიჩარდსონი მეთაურობდა. მიუხედავად სერიოზული დაზიანებისა, მისმა მფრინავებმა მოახერხეს თვითმფრინავის კურსის გასწორება და ბორტიდან 3,5-ტონიანი 4 მეტრის სიგრძის ატომური ბომბი „Mark 15“ ვასაუს სრუტეში, ნაპირიდან ორი მილის დაშორებით ჩამოაგდეს. მფრინავებს რომ თვითმფრინავი მიეტოვებინათ, აფეთქება მთელ ქალაქ სავანას ფერფლად აქცევდა.

**საუბარია ცივი ომის იმ პერიოდზე, როდესაც პენტაგონმა თავშეკავების სტრატეგიის ეფექტის გასაძლიერებლად სასწავლო ფრენები გააააქტიურა და მეტი დამაჯერებლობისთვის თვითმფრინავები ნამდვილი ატომური ბომბებით შეაიარაღა. 1958 წლის ზამთარში რიჩარდსონის გაფრენაც ერთ-ერთი სასწავლო ფრენა იყო.**

ეკიპაჟმა შვებით ამოისუნთქა, როდესაც დაინახა, რომ წყალში ჩავარდნილი ბომბი არ აფეთქდა. პენტაგონი არა ერთხელ ეცადა ამ ბომბის პოვნასა და გაუვნებელყოფას, მაგრამ ყველა მცდელობამ წარუმატებლად ჩაიარა. საიდუმლო კვლევების მიხედვით, ბომბი არც უნდა აფეთქდეს და არც ირგვლივ მყოფი გარემო უნდა დააბინძუროს, მაგრამ რა მოხდება თუკი თუ ამ კვლევების პასუხები არასწორი აღმოჩნდა ან ბომბი ტერორისტებმა იპოვეს? რიჩარდსონი ამბობს, რომ ეს სავსებით კანონზომიერი კითხვებია, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ეჭვქვეშ დააყენონ იმ გადაწყვეტილების სისწორე, რომელიც მან საბედისწერო ღამეს მიიღო.

**„La Repubblica“**



# ნარკოდილერები კოკაინს წყალქვეშა ნავებით ეზიდებიან

**კოლუმბიელი ნარკომოვაჭრეები კოკაინს ეზიდებიან 20-მეტრიანი სუბმარინებით, რომელთაც 10 ტონამდე ნარკოტიკული ნივთიერების ზიდვა შეუძლია. ნარკოტიკების გადასატანად პირველი წყალქვეშა ნავები რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა და დღეისათვის გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში კოლუმბიიდან შეტანილი ნარკოტიკების დიდი ნაწილი სწორედ ამგვარი მცურავი ობიექტების დამსახურებაა.**

ნავებს მინაპლასტიკისაგან აწყობენ, შიგნით ოთხკაციანი ეკიპაჟისათვის ხის უხეში სკამებია განთავსებული. მთელ დანარჩენ ადგილს ძლიერი ძრავა იკავებს. რაღა თქმა უნდა, კოკაინის ტომრებისათვის ადგილი გათვალისწინებულია.

ამგვარი სუბმარინა ოკეანეში ძალზე ძნელი აღმოსაჩენია, მაგრამ, თუ შემთხვევით მაინც მოჰკრა ვინმემ თვალი, ნავი მიზანმიმართულად დაეშვება ფსკერისაკენ და სანაპირო დაცვის სამსახურს შერჩება მხოლოდ ზედაპირზე მოტივტივე ეკიპაჟის წევრები, რომელთაც ვერაფერს მოედავებიან. თუ 10-დან ერთი ნავი მაინც მიაღწევს დანიშნულების ადგილამდე, ეს მაინც ღირს წვალებად. ერთი ამგვარი წყალქვეშა ნავის აშენება მილიონი დოლარი ჯდება, ეკიპაჟს 150 ათასი უნდა გადაუხადონ, ბაზარზე ჩასული 9 ტონა კოკაინი კი, სულ მცირე, 200 მილიონის მომტანია. ნარკოტიკებთან მებრძოლი ამერიკული სამსახურის მტკიცებით, წყალქვეშა ნავები ერთჯერადი გამოყენებისაა. როგორც ჩანს, სულ მალე ნარკოტიკებს ნამდვილი წყალქვეშა ნავებით გადაიტანენ და მათი მშენებლობისთვის ამ უდიდეს ბიზნესს არც გამოცდილი ინჟინრებისა თუ მუშახელის დაქირავება გაუძნელდება.

**„Corriere della Sera“**



# ყოველ სამ წამში მსოფლიოში შიმშილით ერთი კაცი იღუპება

**წლების წინ მაშინ ჯერ კიდევ სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ გაეროს პლენარულ სხდომაზე განაცხადა იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მდიდარმა ქვეყნებმა უნდა იკისრონ მსოფლიოში შიმშილის პრობლემის მოსაგვარებლად.**

წლების შემდეგ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ФАО-ს გენერალური მდივანი ჟაკ დიუფი აცხადებს: „შიმშილის პრობლემა მსოფლიოში პოლიტიკური პრობლემაა, მსოფლიო ლიდერებმა ეს პრობლემა მათ მიერ განსახილველი საკითხების დღის წესრიგში პირველ საკითხად უნდა დააყენონ“.

დრო მიდის, იცვლება მთავრობები, ფორმაციები, მაძღარ მღვდელს კი მშიერი დიაკვანი მაინც მაძღარი ჰგონია.

ФАО-ს მონაცემებით, შიმშილობს არა მხოლოდ ღარიბი ქვეყნების მოსახლეობა, არამედ მდიდარი ქვეყნებისაც, სადაც დღეისთვის 15 მილიონი ასეთი ადამიანია აღრიცხული — 15,4 პროცენტით მეტი შარშანდელთან შედარებით. შიმშილით იტანჯებიან, უწინარეს ყოვლისა, აფრიკის ქვეყნებში, რომლებიც საქარის უდაბნოს სამხრეთითაა განლაგებული (265 მილიონი ადამიანი), აგრეთვე, აზიაში — პლანეტის ყველაზე უფრო დასახლებულ რეგიონში (642 მილიონი). ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში 42 ადამიანი შიმშილობს. უმძიმესი მდგომარეობაა ლათინურ ამერიკასა და კარიბის აუზში — აქ 53 მილიონ ადამიანს შიმშილისგან სული სძვრება.

დიუფი დარწმუნებით აცხადებს, რომ შექმნილ სიტუაციაზე პასუხისმგებლობა, უპირველესად, მდიდარ სამყაროს ეკისრება, რომელიც სისტემატურად როდი ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია Actionaid-ის მონაცემებით, სავსებით საკმარისი იქნებოდა სასოფლო სამეურნეო საქმიანობისთვის 30 ქვეყნისთვის გამოყოფილი სუფსიდიების მხოლოდ 10 პროცენტი, რათა „გადაჭრას კვების პროდუქტების ხელმისაწვდომობის გლობალური გამოწვევა“.



არ უნდა დავივიწყოთ ის ხელგაშლილობა და უყაირათობა, რაც შეძლებული ქვეყნების ნეგატიური მახასიათებელია: იტალიაში, მაგალითად, ნაგავსაყრელებზე მხოლოდ ერთ წელიწადში 240 ტონა ხარისხიან პროდუქტებს ყრიან, რომელთა საერთო ღირებულება 1 მილიარდი ევროა.

იტალიური გაზეთი „La Stampa“ აღნიშნავს, რომ ეს რაოდენობა საკარისი იქნებოდა 600 ათასი კაცის სამჯერადი კვებისთვის.

შიმშილი ქვეყნებში, მართლაც, პოლიტიკური პრობლემაა. გაზეთმა „Russia Today“-მ უკრაინის უშიშროების სამსახურზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ 30-იანი წლების დიდი შიმშილობა, რომელმაც მილიონობით უკრაინელი შეიწირა, უკრაინის ხელისუფლების მიერ იყო ორგანიზებული.

მოუსავლიანობაზე მითითებული არაფერია.

ესე იგი, აქაც პოლიტიკური აქცენტია.

იმ დროს უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი იყო, რომელიც სტალინმა მოხსნა თანამდებობიდან, მაგრამ შემდეგ მოლოტოვისა და მიქოიანის შუამდგომლობით პარტიულ სამუშაოზე დააბრუნა.

ნიკიტა ის კაცი იყო, რომელმაც თავისი ბრძნული სამეურნეო პოლიტიკით 1960-იანი წლების დასაწყისში მთელი საბჭოთა კავშირი შიმშილის პირას მიიყვანა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბრწყინვალე დეტროიტის უბადრუკი მეტამორფოზი

## როგორ გავერანდა ამერიკის საავტომობილო დედაქალაქი?

**იმ დღეს, როცა „General Motors"-მა თავისი გაკოტრება გამოაცხადა, ტელეოპერატორების კამერამ 22 წლის გრეგ ბერს ლანჩზე მიუსწრო. ის ამბავი, რომ ქარხანა, სადაც მან რამდენიმე წელიწადს იმუშავა, შეწყვეტდა არსებობას, მისთვის სიახლე არ იყო. საწარმოს მოსალოდნელ გაკოტრებაზე დიდი ხანია, ბჭობდნენ, მაგრამ ტელეჟურნალისტებთან ამაზე საუბრის სურვილი გრეგს არ ჰქონდა; ამიტომ, როცა ჰკითხეს, საით აპირებს წასვლას, გრეგმა უხალისოდ უპასუხა: „ერთადერთი გამოსავალი დამრჩა — არმია".**


დიდებული ქალაქის ნაშთი

### შუა დასავლეთის პარიზი

საღამოს მიჩიგანის პატარა ქალაქ ფლინტში, რომელიც „General Motors"-ის სამშობლოა, კაფე-ბარებში თავმოყრილი ადამიანები ისე ჩუმად ლაპარაკობდნენ, თითქოს ქელეხში იყვნენ მისულები. ქალაქი, სადაც დღეს ოფისებისა და საცხოვრებელი სახლების 40 პროცენტი ყოფილი პატრონების მიერ მიტოვებული, სანახევროდ მკვდარია და გამოცოცხლების შანსი პრაქტიკულად აღარ აქვს. „GM-ის გადასარჩენად მისი მოკვლა იყო საჭირო", — იმავე დღეს განაცხადა ცნობილმა რეჟისორმა მაიკლ მურმა, რომელიც ფლინტის მკვიდრია. თავისი მშობლიური ქალაქის თანდათანობით გაპარტახების შესახებ მან მაყურებელს მოუთხრო დოკუმენტურ ფილმში „როჯერი და მე".

ამერიკის ავტოინდუსტრია უკვე დიდი ხანია, მიგორავდა დაშვებული საბურავებით. მიჩიგანის ეკონომიკამ, რომელიც მანქანათმშენებლობაზე იყო ჩამოკიდებული, გზის ოღროჩოღროობა იმაზე ადრე იგრძნო, ვიდრე ავტოგიგანტები აყვირდებოდნენ, გვიშველეთო. ამჟამინდელმა კრიზისმა საბოლოოდ მოუსწრაფა სიცოცხლე დავრდომილს. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში უმუშევრობა მიჩიგანში განუხრელად იზრდებოდა. მხოლოდ **2004 წლიდან ავტომრეწვმა აქ 140 ათასი სამუშაო ადგილი დაკარგა,** ხოლო როცა შარშან, წლის დასაწყისში გაცხადდა, რომ **ავტომობილების გაყიდვა ორ თვეში 30 პროცენტით შემცირდა, მიჩიგანელები უარესისთვის მოემზადნენ. დღეისთვის უმუშევრობის დონემ შტატში 14 პროცენტს მიაღწია,** წელიწადში თითქმის ორჯერ გაიზარდა, სულაც არ არის საჭირო დიდი ეკონომისტობა იმის მიხვედრად, რომ „General Motors"-ისა და „Chrysler"-ის გაკოტრების შემდეგ ეს რაოდენობა შესამჩნევად გაიზრდება.

ერთ დროს ამერიკის მიჩიგანის შტატის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი, „შუა დასავლეთის პარიზი", დეტროიტი დღეს გლობალური კრიზისის თუ არა, ამერიკის რეცესიის სახედ იქცა. გიგანტმა თავის სიმძიმეს ვერ გაუძლო. „მომაკვდავი ქალაქი", „ქალაქი-აჩრდილი", „ნანგრევების ქალაქი" — დღევანდელი დეტროიტი ამერიკის ყველაზე უფრო გაპარტახებული ქალაქია, რომელსაც ყველა რეიტინგში უკანასკნელი ადგილი უჭირავს. დამნაშავეობა ყველაზე მაღალია (უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში 10 ათასი გაუხსნელი დანაშაული დაგროვდა); დიდია სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებ მოქალაქეთა რაოდენობა — ერთი მესამედი; წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა 47 პროცენტს აღწევს, იხურება სკოლები; ჟურნალმა „ფორბსმა" დეტროიტი ამერიკის ყველაზე უფრო მიგდებული ქალაქების სიაში მეორე ადგილზე მოათავსა. პრობლემების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ გამოთქმაც კი გაჩნდა „ამერიკის დეტროიტიზაცია".

### ავტომობილი ფუფუნება არ არის

**დეტროიტი ავტომშენებლობის მსხვილ ცენტრად XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. „დიდმა სამეულმა" — „კრაისლერმა", „გორდმა" და „ჯენერალ მოტორსმა" ათწლეულების მანძილზე უზრუნველყო ქალაქის ეკონომიკური აღმავლობა და აყვავება. ამერიკის ქალაქებიდან ტრამვაის და ტროლეიბუსების „განდევნა" სწორედ დეტროიტიდან დაიწყო 1936 წელს. GM-მა შეისყიდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი იმ მიზნით, რომ იგი თავისი ავტობუსებით შეეცვალა.**

„General Motors"-ის ე.წ. მოდერნიზაციამ გიგანტური მოგება მოუტანა მეპატრონეებს და **1956 წელს**, ანუ 20 წლის შემდეგ **დეტროიტის ქუჩებში უკანასკნელმა ტრამვაიმ ჩაიარა**. ლიანდაგის ნარჩენები და სადგურებიც კი მთლიანად მოაცილეს ქალაქს. **მანქანის ყიდვა ამერიკელისთვის იძულებით აუცილებლობად იქცა — გადაადგილების სხვა საშუალება მას არ ჰქონდა.**

რასობრივმა დაძაბულობამ, რომელიც დეტროიტში მრავალი წლის განმავლობაში შეიმჩნეოდა, გამოიწვია თეთრკანიანი მოსახლეობის თანდათანობითი მიგრაცია ქალაქის შემოგარენში. აიგო სწრაფი გზების ქსელი, რომლითაც თეთრკანიანი მოსახლეობა სწრაფად გადაადგილდებოდა ქალაქის გარეუბნებში, მათ მიჰყვნენ ბიზნესმენები, რომლებიც გადასახადებზე ეკონომიის პერსპექტივამ მოხიბლა: ქალაქში ბიზნესის წარმოება შემოგარენზე ორჯერ ძვირი უჯდებოდათ. 1967 წელს, შავკანიანთა სამდღიანი აჯანყების შემდეგ, რომლის დროსაც 2 ათასამდე სახლი გაანადგურეს, თეთრკანიანი მოსახლეობა ქალაქში თითქმის არ დარჩა. ეს წელიწადი შეიძლება ჩაითვალოს დეტროიტის კვდომის დასაწყისად.

**საცხოვრებელი სახლების საშუალო ფასი დეტროიტში დაახლოებით 18 ათასი დოლარია, მაგრამ 100-200 დოლარადაც შეგიძლიათ იყიდოთ. ერთ დოლარად გასაყიდი სახლიც კი ორ კვირას ელოდა მყიდველს. ამასობაში იგი მთლიანად გაძარცვეს, მილებიც კი წაიღეს. არადა, 2 წლის წინათ ეს სახლი 65 ათას დოლარად იყიდა პატრონმა.**

დიდ დეტროიტში ერთ დროს განათლების არმქონე, ენის უცოდინარ ადამიანსაც კი შეეძლო, საავტომობილო ქარხანაში ისეთი სამუშაო ეშოვნა, რომ უზრუნველეყო თავისი ოჯახის ღირსეული არსებობა. ავტომრეწველობამ პრაქტიკულად განახორციელა ამერიკული ოცნება: ავტოკონვეიერზე მომუშავის ხელფასი, რომელიც რამდენჯერმე სჭარბობდა საშუალო სტატისტიკური ამერიკელის ხელფასს, გზას უხსნიდა მუშას საშუალო კლასისკენ — სახლით ქალაქგარეთ, მთელ ოჯახზე სამედიცინო დაზღვევით, კარგი სკოლით ბავშვისთვის ქალაქის გარეუბანში (ზოგჯერ არცთუ ძვირი კოლეჯის დიპლომითაც კი) და გარანტირებული პენსიით. ამჟამად ამ გზას სრულ სილატაკემდე მიჰყავს კაცი.

### საბანი როგორც გაგრძელდება, ფეხი ისე გაჭიმეო

**ახლახან ადგილობრივ რადიოში დაიწყო პროგრამა „იცხოვრე სახსრების მიხედვით, რომელშიც მონაწილე ფინანსისტები ურჩევდნენ მსმენელებს, არ აეღოთ ვალები და შეენახათ ფული „შავი დღისათვის". აქტივისტები ადგილობრივ ბიბლიოთეკებში აწყობენ „გადარჩენის სკოლებს", ხოლო ქალთა ჟურნალების მკითხველები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, როგორ გაახანგრძლივონ პურის მარაგის შენახვის ვადა, მოამზადონ თვითნაკეთი საშუალებანი ფანჯრების გასაწმენდად, ხელის კრემები და ა.შ. ბიბლიოთეკებში ხალხის არნახული მოზღვავებაა: მაღაზიებში გრძელი რიგები გაჩნდა. არა იმიტომ, რომ უფრო მეტს ყიდულობენ, არამედ იმიტომ, რომ მოლარეების რაოდენობა შემცირდა.**

თებერვალში ჟურნალ „ტაიმის" დაკვეთით ჩატარდა გამოკითხვა ამერიკელების მყიდველობითი განწყობილებების შეცვლის მიზეზების შესწავლის მიზნით. გაირკვა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემცირების აუცილებლობა გამოკითხულთა უმეტესობას შეგნებული აქვს. **გაიზარდა ხორცის, ბოსტნეულის და ბურღულეულის გაყიდვის მოცულობა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ადამიანებმა უკლეს რესტორნებში სიარულს და სადილების შინ მომზადებაზე გადავიდნენ.** 11,5 პროცენტით გაიზარდა შესაფუთი და პროდუქტების შენახვის აქსესუარების გაყიდვა. დიასახლისები ბებიების ჩვევას იხსენებენ — პროდუქტებით მომარაგება ნორმად იქცა.

სამუშაოს დაკარგვის შიში, რომელსაც ამერიკის შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედზე მეტი განიცდის, ადამიანს უმკაცრესი მომჭირნეობისკენ უბიძგებს. **შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 2000 წელთან შედარებით თითქმის 10 პროცენტით დაეცა, მაგრამ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე პირველად მოსახლეობის კერძო დანაზოგები გაიზარდა და შემოსავლის თითქმის 4 პროცენტი შეადგინა. სპეციალისტებმა ამერიკის დღევანდელი მყიდველის ფილოსოფია განსაზღვრეს: „თუ ეს საკვებად არ ვარგა, ესე იგი, საჭიროც არ არის".**

სამუშაოს პოვნა დღეს მიჩიგანში ძნელია. ერთ-ერთმა კომპანიამ დამწყები ანალიტიკოსის ერთ გამოცხადებულ ვაკანსიაზე მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში სამას განცხადებაზე მეტი მიიღო. გამოცდილი მენეჯერები 15-წლიანი სტაჟით თავიანთ რეზიუმეს ამთავრებდნენ ფრაზით: „თანახმა ვარ ნებისმიერ ანაზღაურებაზე". როცა დეტროიტის უზარმაზარ კობო-ცენტრში ვაკანსიების ბაზრობა გამოაცხადეს, სადაც უნდა მისულიყვნენ იმ კომპანიების წარმომადგენლები, რომლებიც ჯერ კიდევ ქირაობდნენ მუშაკებს, მოქალაქეებმა რიგში ჩადგომა ღამის 3 საათზე დაიწყეს, 10 საათზე კი დაცვამ რიგის დიდი ნაწილი „მოკვეთა" — დანარჩენები შესვლასაც ვერ მოასწრებთო.

**მიჩიგანის მთავრობის შეფასებით, ვარდნა ან, სულ მცირე, სტაგნაცია 2016 წლამდე მრეწველობის ბევრ სფეროში გაგრძელდება; ზრდას 43 პროცენტამდე მხოლოდ სათამაშო ბიზნესს ჰპირდებიან, თუ, რა თქმა უნდა, ქალაქში დარჩებიან აზარტული თამაშების მოყვარულები.**

### თავისუფალი ბრძანდებით!

**სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ამერიკელს შეიძლება იმავე დღეს აცნობონ. ამას უმეტესად იმიტომ აკეთებენ, რომ გასათავისუფლებელმა მუშაკმა რამე არ გააფუჭოს, არ გადაიწეროს მნიშვნელოვანი პროგრამები კომპიუტერიდან და ა.შ.**

**უმუშევრობის დონემ ამერიკაში წლეულს, მაისში უკანასკნელი 25 წლის მანძილზე პირველად გადააჭარბა 9 პროცენტს. ეკონომისტები წინასწარმეტყველებენ, რომ წლის ბოლოსთვის გადაილახება ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანი მიჯნა — 10 პროცენტი.**

**2007 წლის დეკემბრიდან, როცა, როგორც მიჩნეულია, დაიწყო რეცესია, ამერიკის ეკონომიკამ 5,7 მილიონი სამუშაო ადგილი დაკარგა.**

ამერიკელი, რომელმაც სამუშაო დაკარგა, უწინარეს ყოვლისა, ცდილობს, გაარკვიოს, ეკუთვნის თუ არა სახელმწიფო დახმარება. თუ იგი გათავისუფლებულია სამუშაო დისციპლინის დარღვევის გამო, მას შეწევნა არ ეკუთვნის. ყველა სხვა შემთხვევაში დახმარება მიეცემა და მისი რაოდენობა, გადახდის ხანგრძლივობა შტატების მიხედვით განსხვავდება. დახმარების მოცულობა, როგორც წესი, განისაზღვრება ბოლო 5 კვარტალში მიღებული ხელფასის საშუალო რაოდენობიდან და შეადგენს ხელფასის დაახლოებით ნახევარს, მაგრამ აქვს ზედა ზღვარი, რომელსაც ვერავინ გადავა. მაგალითად, **ნიუ-იორკის შტატში კვირაში 405 დოლარზე მეტის მიღება დაუშვებელია, კალიფორნიაში 450 დოლარის ზღვარია დაწესებული. გათავისუფლებულებს ახლახან სპეციალური ფედერალური ბიუჯეტიდან კვირაში 25 დოლარი დაუმატეს.**

დახმარების მიღება შეიძლება ყოველკვირეულად ან ნებისმიერ სხვა ვადაში სხვადასხვა ფორმით. დახმარების მიღების მთავარი პირობა ყველა შტატში მსგავსია, ყოველ კვირაში ერთხელ პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვებს, რომლებითაც დადგინდება უმუშევრის სტატუსი და მისი მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეუდგეს მუშაობას. დრო და დრო უმუშევარს იწვევენ შრომითი მოწყობის ცენტრში, სადაც შრომითი მოწყობის რამდენიმე ვარიანტს სთავაზობენ. უარის თქმა შეიძლება, პოზიცია მოტივირებული უნდა იყოს.

**ახალბედა უმუშევრისათვის დიდი თავისტკივილია სამედიცინო დაზღვევის დაკარგვა, რომელიც ავტომატურად წყდება სამუშაოდან გათავისუფლებისთანავე. კანონით, ფირმებმა რამდენიმე თვის განმავლობაში ნაწილობრივ უნდა აუნაზღაურონ სახელმწიფო დაზღვევა, მაგრამ პრაქტიკულად თავს არიდებენ.**

**უმუშევართა დახმარების ხანგრძლივობა შტატების მიხედვით განსხვავებულია და საშუალოდ 12 თვეს შეადგენს.**

**ტატიანა ვოლოშინა**
დეტროიტი, აშშ



„პონტიაკი" და „ბიუიკი" — წარწერები-ეპიტაფია

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კონტინენტური რევოლუცია,
## ანუ ლათინოამერიკული ცარცის წრე

**ლათინურ ამერიკაში მიმდინარე პროცესები, კარგა ხანია, მოინათლა „მარცხნივ გადახვევად“, მაგრამ ეს ტერმინი, პირველ რიგში, მდგომარეობის არასტაბილურობაზე მინიშნებაა — თუ არსებობს მარცხენა გადასახვევი, სადღაც იქვე მარჯვენაც უნდა იყოს, თუმცა ამ ყველაფრის აღიარებული ბელადები მსგავსი ტერმინებით არ სარგებლობენ. უფრო მეტიც, ისინი (კერძოდ, ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი, ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი და ნიკარაგუის პრეზიდენტი დანიელ ორტეგა) მუდმივად პატიოსნად არქმევენ ყველაფერს საკუთარ სახელს და კონტინენტურ რევოლუციაზე ლაპარაკობენ.**



მეამბოხე სამეული — ევო მორალესი, დანიელ ორტეგა და უგო ჩავესი

ლათინური ამერიკისათვის კონტინენტური რევოლუციის იდეა ახალი არ არის, ჯერ კიდევ სიმონ ბოლივარსა და ხოსე მარტის ესმოდათ, რომ ლათინურ ამერიკაში წარმატებული მხოლოდ კონტინენტური რევოლუცია შეიძლება გახდეს. ბოლივარი — შეფარვით, ხოსე მარტი კი აბსოლუტურად გახსნილად ამას ძლიერი და გაუმაძღარი ჩრდილოელი მეზობლის — ამერიკის შეერთებული შტატების არსებობას უკავშირებდა. 60-იან წლებში ამგვარი რევოლუციის კონცეფციით უკვე ერნესტო ჩე გევარა გამოვიდა.

**საოცარია, მაგრამ ამის გაგონება და ოფიციალური აღიარება სწორედ ვაშინგტონს არც ძველი რესპუბლიკური ხელისუფლების პერიოდში სურდა და არც ახალი, დემოკრატიული ადმინისტრაციის დროს სურს. როგორც ჩანს, ჩრდილოამერიკული ისტებლიშმენტი ფსიქოლოგიურად ასე უფრო მშვიდად გრძნობს თავს: არავის სურს, ლათინოამერიკული პოლიტიკის ჩავარდნებზე პასუხისმგებლობა იკისროს.**

2009 წლის 16 მარტს სალვადორში ფარაბუნდო მარტის სახელობის ნაციონალური გათავისუფლების ფრონტის წარმომადგენლის მაურისიო ფუნესის პრეზიდენტად არჩევა ვაშინგტონისათვის მორიგი სილის გაწვნა გახდა და კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ თეთრი სახლის 40-წლიანი პოლიტიკა მთელ კონტინენტსა და, კონკრეტულად, სალვადორთან მიმართებაში კრახს განიცდის. შტატების სტრატეგიული ამოცანაც სწორედ ის იყო, რომ სალვადორის ხელისუფლებაში აღნიშნული ფრონტის წარმომადგენლები და, ზოგადად, მემარცხენეები, არ მოხვედრილიყვნენ.

**ამერიკის ხელისუფლებას (დემოკრატიულსაც და რესპუბლიკურსაც) მტკიცედ სწამდა „დომინოს თეორიისა“, რომლის მიხედვითაც, თუ სალვადორში, ისევე, როგორც ნიკარაგუაში, ხელისუფლებაში „ახალი მემარცხენე“ პარტიზანები მოვიდოდნენ, ცენტრალურ ამერიკაში პროამერიკული რეჟიმები დომინოს ქვებივით განლაგდებოდნენ, მექსიკური საზღვრიდან კოლუმბიურ საზღვრამდე „წითელი სარტყელი“ გადაიჭიმებოდა, მეზოამერიკა კოლუმბიელი პარტიზანების „ზურგის ბაზად“ იქცეოდა, კოლუმბიის დაკარგვასთან ერთად მოვლენები აბსოლუტურად უმართავი გახდებოდა.**

სალვადორი იყო ერთადერთი ცენტრალურამერიკული ქვეყანა, სადაც შეერთებულმა შტატებმა მემარცხენე პარტიზანების ნეიტრალიზების ყველა მეთოდი გამოიყენა, თავის ჩვეულ ტაქტიკასაც კი უღალატა და ერთი რომელიღაც ძალის ჯიუტი მხარდაჭერის ნაცვლად, ამ საქმეში ხან ტრადიციულ კონსერვატიულ ოლიგარქებს (ხოსე ნაპოლეონ დუარტეს ხელისუფლებისას) იშველიებდა და ხან — ნეოფაშისტებს (რობერტო დობიუსონის ხელისუფლებისას). ამ ციცქნა სალვადორში მხოლოდ სამხედრო დანახარჯებისათვის შტატებმა 3,5 მილიარდი დოლარი გაიღო. ეს თანხა სამოქალაქო ომის შემდგომ 2 მილიარდად შეფასებულ ეკონომიკურ ზარალს ლამის ორჯერ აანაზღაურებდა. სალვადორის ძალოვანი სტრუქტურების რაოდენობა გაოთხმაგდა. ამერიკამ სალვადორში შექმნა „სიკვდილის ესკადრონები“, რომლებიც ოპოზიციის მიმართ (და არა მხოლოდ პარტიზანების მხარდამჭერების) ტოტალურ ტერორს ახორციელებდნენ და სამაგალითონი იყვნენ მეზობელი მარიონეტული რეჟიმებისათვის. ითვლება, რომ „თეთრ ტერორს“ სალვადორის მოსახლეობის 1% ემსხვერპლა.

მაინც არაფერმა უშველა.

**ერთადერთი, რის მიღწევაც იანკებმა შეძლეს, ის იყო, რომ სიტუაცია პატიმდე მივიდა: პროამერიკულ რეჟიმს არ ეყო ძალა, პარტიზანები არამც თუ დაემარცხებინა, შეევიწროვებინა მაინც, პარტიზანებმა კი ვერ შეძლეს პროამერიკული რეჟიმის გადაგდება. სიტუაცია განიმუხტა ლათინოამერიკული კონტადორული ჯგუფის მიერ, ვაშინგტონის მონაწილეობის გარეშე, რაც, ასევე, შურაცხმყოფელია თეთრი სახლისათვის. 1992 წელს ხელი მოეწერა მშვიდობიან შეთანხმებას, შეწყდა სამოქალაქო ომი და ფარაბუნდო მარტის სახელობის ფრონტი ლეგალურ გავლენიან საპარლამენტო ძალად იქცა.**

რეალურად ფარაბუნდო მარტის სახელობის ნაციონალური გათავისუფლების ფრონტის არჩევნებში გამარჯვება 2006 წლის 5 ნოემბრის არჩევნების შედეგად ნიკარაგუაში ეროვნული გათავისუფლების სანდინისტური ფრონტის ხელისუფლებაში დაბრუნების ტოლფასი იყო. ორივე შემთხვევაში ბურჟუაზიული წარმომადგენლობითი დემოკრატიის პროცედურების გავლით ხელისუფლებაში გუშინდელი პარტიზანმარქსისტები მოვიდნენ.

### ვაშინგტონისთვის 2006 წელს განსაკუთრებით არასასიამოვნო იყო ის, რომ ყოფილი მემარცხენე პარტიზანები ხელისუფლებაში სწორედ ნიკარაგუაში მოვიდნენ. სანდინისტური რევოლუციის ნეიტრალიზებას თეთრ სახლში ხომ საგარეო პოლიტიკაში საკუთარ უდიდეს მიღწევად თვლიდნენ.

სანდინისტური რეჟიმის ლიკვიდაციისათვის ვაშინგტონმა იმდენი ფული დახარჯა, რამდენიც ლათინური ამერიკის არც ერთ ქვეყანაში — არც კუბაში, არც ჩილეში არ დაუხარჯავს მარცხენა რეჟიმების დასამარცხებლად. ნიკარაგუის საზღვრებზე ვაშინგტონმა შექმნა და შეაიარაღა 30-ათასიანი ჯარი, რომელიც გამუდმებით ატარებდა რეიდებს ნიკარაგუის ტერიტორიაზე და, ფაქტობრივად, თავს ახვევდა სანდინისტებს სამოქალაქო ომს. ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო სკანდალურ ავანტიურებში გადაეშვა — ნიკარაგუელი კონტრრევოლუციონერების საიდუმლო დაფინანსება ირანისათვის იარაღის საიდუმლო მიყიდვისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის შემოსავლებით დაიწყო. ნიკარაგუის სანაპიროები შტატებმა ბლოკადაში მოაქცია, ამერიკულ თვითმფრინავებსა და კატერებს იერიში მიჰქონდათ ნიკარაგუის პორტებზე (ამისათვის აშშ ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ ოფიციალურად აღიარა აგრესორად!).

მაინც არაფერმა უშველა.

სწორედ ამ დროს იფეთქა „გარდაქმნამ“ და გორბაჩოვმა, ამერიკელთა საამებლად გადაუგრიხა რა ხელები სანდინისტურ ხელისუფლებას, აიძულა ის, დათანხმებოდა მოლაპარაკებას საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტისა და ემიგრანტებისა და ყოფილი შეიარაღებული ოპოზიციის მონაწილეობით არჩევნების ჩატარებაზე. რომ არა ეს ფაქტი, სანდინისტები ხელისუფლებაში დარჩებოდნენ.

გასათვალისწინებელია, რომ სანდინისტების ხანაშიც ნიკარაგუაში მშვიდად ფუნქციონირებდა მრავალპარტიული სისტემა, ძირითადად, მოქმედებდა 20-მდე ოპოზიციური პარტია, რომელთა მიმართაც სანდინისტები უზომო ლიბერალიზმს იჩენდნენ. მაგალითად, გაზეთები, რომლებიც მოსახლეობას რეჟიმის შეიარაღებული ჩამოგდებისაკენ მოუწოდებდნენ, მხოლოდ ჯარიმით ან დროებითი დახურვით ისჯებოდნენ. 1984 წელს ნიკარაგუაში ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიც სანდინისტებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ეროვნულ ასამბლეაში სანდინისტების მოწინააღმდეგე ხუთი პარტიის დეპუტატებიც მოხვდნენ.

**1990 წელს სანდინისტების წინააღმდეგ ოპოზიციურ კავშირში 14 პარტია გაერთიანდა და ამ კავშირს ნიკარაგუის ერთ-ერთი უმდიდრესი ოჯახის წარმომადგენელი, ქალბატონი ვიოლეტა ბარიოს დე ჩამორო ხელმძღვანელობდა. რასაკვირველია, ოპოზიციას აშშ გულუხვად აფინანსებდა, ჩამოროც ჰპირდებოდა ამომრჩევლებს, რომ ხელისუფლებიდან სანდინისტების ჩამოშორების შემდეგ ვაშინგტონიდან ოქროს წვიმა წამოვიდოდა. სამოქალაქო ომებით დაღლილი და ამ დაპირებით მოთაფლული ამომრჩევლების 54%-მა 1990 წელს სანდინისტების წინააღმდეგ მისცა ხმა.**

ამისათვის შტატებმა მართლაც უდიდესი დახმარება გაუწია პოსტსანდინისტურ ნიკარაგუას, მაგრამ ამერიკული ფულის დიდი ნაწილი ბანალურად დაიტაცეს. ვინაიდან ნიკარაგუის ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიები კლანური ხასიათისაა, ამ ფულიდან რაღაც თანხა კლანის რიგით წევრებსაც ერგოთ. ამით პროამერიკულმა ხელისუფლებამ მოსახლეობაში გარკვეული მხარდაჭერა მოიპოვა.

მიუხედავად ამისა, გაგრძელება კატასტროფული აღმოჩნდა. ნიკარაგუა ყოველთვის ღარიბი ქვეყანა იყო, მაგრამ პროამერიკული ხელისუფლების მმართველობისას უღატაკესად იქცა. 2006 წლის ბოლოს, სანდინისტების ხელისუფლებაში დაბრუნებამდე, ნიკარაგუაზე ღარიბი ერთადერთი ქვეყანა ჰაიტი იყო. არადა, რევოლუციური მმართველობისას სამოქალაქო ომისა და ბლოკადების პირობებში ნიკარაგუა ეკონომიკური მაჩვენებლებით არა მხოლოდ ჰაიტს, არამედ დომინიკას, გვატემალას, ჰონდურასს, გრენადას, იამაიკას, ეკვადორს, ბოლივიასა და პარაგვაისაც არ ჩამორჩებოდა. ქვეყანას რამდენიმე წლის განმავლობაში აზანზარებდა ფინანსური სკანდალები. ყველაფერი პრეზიდენტის იმპიჩმენტით დასრულდა.

**ასე რომ, სანდინისტების გამარჯვებაში უცნაური არაფერი ყოფილა. უცნაური მხოლოდ ის იყო, ეს უფრო ადრე რომ არ მოხდა.**

**ნიკარაგუის არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებელთაგან ერთადერთმა ამერიკელმა დამკვირვებელმა უარი თქვა სანდინისტების გამარჯვების აღიარებაზე, მაგრამ ლათინურ ამერიკაში იმ დროისათვის სიტუაცია იმდენად შეიცვალა, რომ ამ განცხადებისთვის აღარავის ეცალა.**

პროამერიკული მედია იუწყებოდა, რომ დანიელ ორტეგა დიდი ხანია, აღარაა რევოლუციონერი, უარი თქვა თავის სოციალისტურ შეხედულებებზე და „მარქსი იესო ქრისტეზე გაცვალა“. არადა, ორტეგა, ისევე, როგორც ჩავესი ვენესუელაში და ლუგო პარაგვაიში, ყოველთვის თავგანწირული კათოლიკე იყო, იმდენად, რომ ჩასახვისსაწინააღმდეგო საშუალებებზე უარის თქმის გამო მისი ცოლი ლამის ყოველ წელს შვილს აჩენდა, მაგრამ ორტეგა „გათავისუფლების თეოლოგიის“ მიმდევარი გახლდათ და კათოლიციზმს არა მხოლოდ სოციალიზმს, პირდაპირ მარქსიზმს უთავსებდა. ორტეგა არ არის კასტროს ან ჩავესის მსგავსი რადიკალი, მაგრამ მშვენივრად ჩანს, ვისთან და ვის წინააღმდეგ მეგობრობს ახლანდელი ნიკარაგუა. ორტეგამ ამის თაობაზე ყველას შეატყობინა ესპანელ მეფესთან ცნობილი შეხლა-შემოხლით, თუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დემონსტრაციული აღიარებით.

**ახალი სალვადორელი პრეზიდენტი მაურისიო ფუნესი, როგორც ჩანს, დანიელ ორტეგას ფორმალური სიფრთხილის ტაქტიკას გაიმეორებს, მით უმეტეს, რომ სალვადორი ნიკარაგუაზე ბევრად მეტადაა ამერიკაზე დამოკიდებული: სალვადორის ვალუტად ამერიკული დოლარია მიღებული, 6-მილიონიანი მოსახლეობიდან 2 მილიონი შტატებში მუშაობს და მათ მიერ სამშობლოში გადმორიცხული თანხა სალვადორის საერთო შიდა პროდუქტის 17-18 პროცენტია. თავად სალვადორში ნეოლიბერალური 15-წლიანი „რეფორმების“ შედეგად უმუშევრობამ 45%-ს მიაღწია.**

როგორც უნდა იყოს, დღეისათვის ლათინურ ამერიკაში რეალურობის შტრიხებს იძენს ერნესტო ჩე გევარასეული კონტინენტური ანტივაშინგტონური რევოლუციის გეგმა, თუმცა ეს ჯერჯერობით მშვიდობიანი რევოლუციაა და მოქმედებს მარცხენა ბლოკის სახით, რომელშიც როლები განაწილებულია და რამდენიმე ეშელონი არსებობს. ამ ბლოკის შტატებისკენ მიმართული ბასრი წვერები კუბა, ეკვადორი და ნიკარაგუაა. მათ შემდეგ მოდიან შედარებით ზომიერი ბრაზილია, არგენტინა და ურუგვაი, შემდეგ კი — ჩილე, პარაგვაი და ჰონდურასი, სადაც პრეზიდენტებისათვის მარცხენა პოლიტიკის გატარების შესაძლებლობები სერიოზულადაა შეზღუდული, თუნდაც, აბსოლუტურად არამარცხენა პარლამენტის წყალობით.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩე გევარას ოცნებას ბოლომდე არ ჰგავს, მაგრამ არც ისაა, რაზეც ვაშინგტონში ოცნებობდნენ.

### ესოდენ ძლიერი ანტიამერიკული ბლოკი ლათინურ ამერიკაში აქამდე არასდროს ყოფილა.

**რომ არა ნეოლიბერალური რეფორმები და კონტინენტის მოსახლეობის უმრავლესობისათვის კატასტროფული მათი შედეგები, ეს ბლოკი ვერ იარსებებდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩე გევარას კონტინენტური გეგმები მისი დაუძინებელი მტრისა და მკვლელის — ამერიკული იმპერიალიზმის ქმედებების წყალობით რეალობა ხდება.**

**ალექსანდრე ტარასოვი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# შიმშილის ჟამიანობა ამერიკაში

**ამერიკის ისტორიაში დაფიქსირებულია დანაშაული საკუთარი ხალხის წინააღმდეგ — 1932-33 წლებში უდიდესი შიმშილის ჟამიანობა, რომელმაც აშშ-ს მილიონობით მოქალაქე იმსხვერპლა. გაწყდა ხალხი.**

## ვარიანტი გარე მოხმარებისთვის

ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწეებს კი ისე უჭირავთ თავი, თითქოს მსგავსი არაფერი მომხდარა. საგულდაგულოდ ივიწყებენ პარტახის ამ წლებს და თავს უფლებას აძლევენ სხვას ჩაუტარონ „შიმშილის ჟამიანობის“ გაკვეთილები.

1988 წელს აშშ კონგრესის მიერ შექმნილმა კომისიამ ერთი ამბავი ატეხა — მიიღო რეზოლუცია ოცდაათიანი წლების დასაწყისში სსრ კავშირში, კერძოდ, უკრაინაში უმოსავლიანობით გამოწვეული შიმშილით ადამიანების მასობრივად დაღუპვის გამო: **„ამ პერიოდში,** — ნათქვამია კონგრესმენთა დასკვნაში, — **საბჭოთა მთავრობამ წინასწარგანზრახვით, გენოციდის გზით მოსპო უკრაინის მოსახლეობის მეოთხედი“.**

„ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“ — ამ ანდაზის მარტივ ლოგიკას ჰგავს ამერიკელთა „შესწავლისა და ანალიზის“ მეთოდით მიღებული ეს დასკვნა.

**2003 წლის 20 ოქტომბერს, ანუ ისტორიული მოვლენიდან 76-77 წლის შემდეგ (!) აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვით დიდი შიმშილობა უკრაინაში შეაფასა როგორც „ტერორიზმის აქტი და მასობრივი მკვლელობა, რომელიც უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული“, ხოლო ორი წლის შემდეგ, 2005 წლის ნოემბერში ამ რეზოლუციას გულმოწყალებისა და თანადგომის ერთი ჟესტიც დაუმატა, ნება დართო უკრაინის ხელისუფლებას, ვაშინგტონში დადგას იმ წლებში დაღუპულთა ძეგლი: „მსხვერპლთა ძეგლი“,** — ასეა ჩაწერილი.

როდიდან გახდა უკრაინა აშშ-ის ერთ-ერთი შტატი, რომ ამერიკის უმაღლესმა საკანონმდებლო სტრუქტურამ რაიმეს ნება დართოს, ან აუკრძალოს რამე?!

ამ მომენტს ისე აუარა გვერდი მასმედიამ, როგორც უეჭველ მოცემულობას. სამაგიეროდ აიტაცა „შიმშილის, როგორც ტერორის“ თემა და სრულად მომართა მის ხელთ არსებული საშუალებები, მაინც და მაინც ასეთი ინტერპრეტაციის გასავრცელებლად.

რითი შეიძლება აიხსნას აშშ-ის კონგრესის ასეთი მონდომება, მომაბეზრებელი ყურადღება, გნებავთ, ახირება თითქმის 80 წლის წინანდელი ფაქტის მიმართ? ისეთ რა „ცხელ კვალს“ მიაგნეს, რომ მაინც და მაინც ახლა ჩათვალეს აუცილებელ საჭიროებად „ახალი შეფასების“ საჯაროდ გამოტანა და **30-იანი წლების ფაშისტური პროპაგანდის მსგავსად ტვინნალრძობი გებელსის „მტკიცების“ გამეორება, რომ საბჭოთა მთავრობამ „მილიონობით უკრაინელი წინასწარგანზრახვით გაანადგურა“?!**

ამერიკელი კონგრესმენების გამოკვეთილი თანაგრძნობისა და სამართლიანობის გრძნობის ვერსია უმალ გაქრება, თუ გავიხსენებთ აშშ-ს ძირძველი მოსახლეობის მიმართ გენოციდის თუ არა, „მასობრივი განადგურების“ ფაქტს, რაც ამ ქვეყნის ისტორიის შემადგენელი ნაწილია და რომლის დროსაც **აშშ-ის ტერიტორიაზე დასახლებული ხალხების უმეტესი ნაწილი ამოწყვიტეს, ხოლო მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით ასჯერ შემცირდა.**

**აშშ-ს კონგრესს ამ ისტორიული ფაქტის გამო არცერთი (!) რეზოლუცია არ მიუღია.**

ასეც ხდება — ზოგი სხვისი ჭირის გამო სახეს იხოკავს, საკუთარს კი არაობიექტურობის ფარანჯით იფარავს, საიდანაც მაცდური თვალებით იცქირება.

გენოციდის შესახებ ხსოვნა ცნობისმოყვარეთაგან დამალულია, ჩატანებულია სტატისტიკის ნაყალბევი ანგარიშების ჩაკირულ კედლებში, დანაშაულობათა დამოწმებისგან გამოწმენდილ არქივებში, „ბაზრის უხილავი ხელისთვისაა“ გადაბრალებული, გაბრწყინვებულია პრეზიდენტ რუზველტისადმი მიძღვნილი პანეგირიკებით, რომელმაც ერს საშუალება მისცა ჩართულიყო „საზოგადოებრივ სამუშაოებში“, რომლებიც ცოტათი თუ განსხვავდებოდა ყბადაღებული გულაგისგან თუ „ბელომორკანალის“ მშენებლობისგან.

**ისტორიის ამერიკული ვერსიით, „საბჭოთა კავშირში მილიონობით კაცი, ქალი თუ ბავშვი ემსხვერპლა დანაშაულებრივი ტოტალიტარული რეჟიმის საქმესა და პოლიტიკას“.** ამერიკის ისტორიისთვის ასეთი განსაზღვრის მისადაგება მიუღებელია.

ამერიკულ წყაროებზე დაყრდნობით შევეცდებით გავფანტოთ ეს მითი.



## ნაყალბევი სტატისტიკა, ანუ სად გაქრა შვიდი მილიონი ადამიანი?

აშშ-ს დემოგრაფიული სტატისტიკა თავიდანვე დაგვზაფრავს: 1932 წლის სტატისტიკური მონაცემები განადგურებულია ან ძალიან კარგადაა დამალული — არ არსებობს. მიზეზსაც არ აგიხსნიან. კი, ეს მონაცემები მოგვიანებით გამოჩნდება, უფრო გვიანდელ სტატისტიკაში რეტროსპექტული ცხრილების სახით. ამ ცხრილების შესწავლა დაკვირვებული მკვლევარის ერთგვარ გაოცებას იწვევს, წერენ სპეციალისტები.

ჯერ ერთი, ამ სტატისტიკის მიხედვით **1931 წლიდან 1940 წლამდე, ანუ ათი წლის განმავლობაში, აშშ მოსახლეობის ნამატის დინამიკით, აშშ-მ დაკარგა, არც მეტი, არც ნაკლები, 8 მილიონ 553 ათასი ადამიანი,** თანაც მოსახლეობის ნამატის მაჩვენებელი იცვლება უცებ, ერთდროულად, 1930-31 წლების მიჯნაზე, ეცემა და ათი წლით ზუსტად ამ დონეზე იყინება. ათი წლის თავზე კი ასევე მოულოდნელად უბრუნდება უწინდელ მაჩვენებელს. Us Departament of commerce „Statistical Abstract of the United States“-ის ასეულობით გვერდიან მოხსენებაში ამ უცნაურობის ახსნას ვერ ამოიკითხავთ. ასეთი საკითხი თითქოს არც არსებობს.

არადა, ნებისმიერი პროფესიონალი დემოგრაფი დაგიდასტურებთ, რომ **უზარმაზარ, ასმილიონიან ქვეყანაში მოსახლეობის დინამიკის მაჩვენებლების ერთდროული ორმაგი ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ ადამიანების მასობრივი დაღუპვის შემთხვევაში და ამის შედეგად.**

ეგებ, ადამიანები გაექცნენ დიდი დეპრესიის საშინელ პირობებს, რომელიც იმ პერიოდში მძვინვარებდა? იმიგრაციული სტატისტიკა არ ადასტურებს ამ ვერსიას. დეპრესიის უმძიმეს პერიოდში, პირველად აშშ-ის უახლეს ისტორიაში, ალბათ, ქვეყნიდან გაიხიზნა უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე შევიდა. 30-იანი წლების განმავლობაში ქვეყნიდან წავიდა 93309 ადამიანით მეტი, ვიდრე ჩავიდა.

გაანგარიშების მიხედვით, ადრე არსებული დემოგრაფიული ტენდენციების გათვალისწინებით, **1940 წლისათვის აშშ-ის მოსახლეობა მინიმუმ 141,856 მილიონი უნდა ყოფილიო. ფაქტობრივად კი 131,409 მილიონია დაფიქსირებული. აქედან მხოლოდ 3,054 მილიონის ახსნა შეიძლება მიგრაციის დინამიკის ცვლილებით.**

ამრიგად, **7 მილიონ 394 ათასი ადამიანი გამქრალია.**

სპეციალისტები ასკვნიან, რომ ეს უცილობელი ფაქტი, აგრეთვე ის, რომ აშშ-ს სტატისტიკაში საერთოდ არ არის 1932 წლის მონაცემები, ხოლო შემდეგი დროის მონაცემებს აშკარად ეტყობა ნაყალბევობის ნიშნები, უფლებას არ აძლევს აშშ მთავრობას ამ საკითხების ირგვლივ გააკეთოს კომენტარები, რომლებიც ნდობას იმსახურებს.

მაკომპრომენტირებელი მასალების სისტემურ განადგურებასა და შიმშილისგან მოსახლეობის დანაკარგების დაფარვაში ამერიკელები მარტონი არ არიან. მიაჩნიათ, რომ **ეს არის ანგლოსაქსური პოლიტიკის დამახასიათებელი თვისება, რომელიც სათავეს ბრიტანეთის იმპერიიდან იღებს. ასე, მაგალითად, 1943 წელს დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ დაუშვა, რომ ინდოეთში, ბენგალიაში შემზარავი შიმშილისგან 3,5 მილიონი ადამიანი ამოწყვეტილიყო, მანამდე კი შიმშილით აპარტახებდნენ ირლანდიას.**

ინდოეთში მასობრივი შიმშილის ორგანიზება იყო პასუხი 1942 წლის აჯანყებაზე და მოსახლეობის მიერ „ინდოეთის ეროვნული არმიის“ მხარდაჭერაზე. მაგრამ ამის დამადასტურებელ მონაცემებს იმ წლების ბრიტანეთის წყაროებში ვერ იპოვნით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინდოეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, შესაძლებელი გახდა ამ მასალების შეგროვება და გამოქვეყნება. ყველაფერი საგულდაგულოდ იყო წაშლილი და დამალული ისევე, როგორც დიდი დეპრესიის მსხვერპლთა დამადასტურებელი მონაცემების შემთხვევაში.

როდის გაიგებს ფართო საზოგადოებრიობა სრულ სიმართლეს იმ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რასაც აშშ-ში შიმშილის ჟამიანობას მოჰყვა, ძნელი სათქმელია. მაგრამ ოდესმე „სამართალი პურსა სჭამს“ და საქმეში გარკვეულ მკითხველს ფრიად გააოცებს „ბრძენი“ რუზველტის დაპირისპირება „ბოროტმოქმედ“ სტალინთან, ერთი მმართველის აღზევება მეორის დაკნინების ხარჯზე მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი ჩემია, მეორე — სხვისი, ერთი სიკეთის „ანგელოზია, Made in USA“, მეორე — მისი სრული ანტიპოდი.

მაგრამ სად გაქრა 7 მილიონ 394 აპთასი კაცი ოცდაათიანი წლების სტატისტიკური ანგარიშებიდან?

ჯერ ამ კითხვაზე გაგვეცით პასუხი, ბატონებო. შეფასებებზე შემდეგ გადავიდეთ.

## ნაცნობი სურათები

ოცდაათიანი წლების დასაწყისი აშშ-ის ისტორიაში ნამდვილი ჰუმანიტარული კატასტროფაა. **1932 წელს უმუშევართა რიცხვმა 12,5 მილიონს მიაღწია. ამ დროს ამერიკაში 125 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. პიკს 1933 წელს მიაღწია, როცა უმუშევართა რაოდენობა 17 მილიონი იყო.** თუ ამ რიცხვს უმუშევართა ოჯახის წევრებს მივუმატებთ სრულად უმუშევარი საფრანგეთი ან ინგლისი გამოვა!

ეპოქის საინტერესო შტრიხი: როცა 30-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა ფირმა „ამტორგმა“ სსრკ-ში სამუშაოდ სპეციალისტების მიწვევის შესახებ განცხადება გააკეთა, მცირეხელფასიან ვაკანსიებზე, 100 ათასზე მეტი (!) განაცხადი შემოვიდა აშშ-დან.

ეკონომიკური კრიზისის გამწვავების პერიოდში ყოველი მესამე შრომისუნარიანი და სამუშაოთი დაკავებული ადამიანი უმუშევარი აღმოჩნდა. ამერიკის შრომის ფედერაციის მონაცემებით, **სრულად დაკავებულ მუშათა მხოლოდ 10 პროცენტი დარჩა.** კრიზის დაწყებიდან მხოლოდ მეხუთე წელს, 1935 წლის აგვისტოში, როცა ძირითადი მასა მათი, ვინც „ბაზარში ვერ ჩაეწერა“, შიმშილით გადაწყდა, მიიღეს კანონი, რომელიც ითვალისწინებდა დაზღვევას ხანდაზმულობისა და უმუშევრობის შემთხვევაში.

დაზღვევის გარეშე დარჩნენ ფერმერები და რიგ სხვა სამუშაოებზე დაკავებული ადამიანები. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ სოციალური დაზღვევის სისტემა ქვეყანაში კრიზისის პერიოდში საერთოდ არ არსებობდა. ადამიანები ბედის ანაბარა იყვნენ მიგდებულნი. უმუშევართათვის მცირე დახმარების გაცემა მხოლოდ 1933 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ყველა ქალაქი, რომლებსაც უმუშევართა პრობლემებზე უნდა ეზრუნა, გაკოტრებული აღმოჩნდა.

მასობრივი მაწანწალობა, სიღატაკე, უპატრონო ბავშვების გამრავლება დროის ნიშანი გახდა. მიტოვებული ქალაქები, ქალაქები-აჩრდილები, რომელთა მოსახლეობამ სრულად აიკრა გუდა-ნაბადი და სამუშაოს საძებრად გადაიხვეწა, სამწუხარო რეალობად იქცა.

აქეთ ხომ არ მიდის ჩვენი უბედური საქართველო, რომლის მოსახლეობის თითქმის მეოთხედი ქვეყნიდანაა წასული სამუშაოს საძებრად, ხოლო დაცარიელებული სოფლების „წითელმა ხაზმა“ მთიანი რეგიონებიდან თანდათან ბარში ჩამოიწია და მათი მოსახლეობა „დიდ თავკომბალა“ თბილისში ჩამოსახლდა.

დაელაპარაკეთ თბილისელ გარემოვაჭრეებს, ჰკითხეთ, საიდან არიან და სულ უფრო ხშირად გაიგონებთ დასავლეთ საქართველოს რაიონების სახელწოდებებს. დიდი ხანია უკვე, რაც ამ მასამ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონებიდან ლტოლვილთა რაოდენობა გადაფარა.

არმაზ სანებლიძე

გაგრძელება შემდეგ ნომერში





ამერიკის დიდი დეპრესიის შტრიხები

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**რედაქციის ელექტრონული ფოსტის მისამართზე მოვიდა ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულის გიორგი მაისურაძის დეტექტივი. ნაწარმოების გაცნობამ მიგვახვედრა, რომ საქმე გვაქვს პროფესიონალ მწერალთან, რომელიც ფსევდონიმს ამოეფარა. იმედია, დეტექტივის გამოქვეყნების დასრულებამდე რედაქციაც და გაზეთის მკითხველიც შევიტყობთ ავტორის ნამდვილ ვინაობას.
მკითხველი ნაწარმოებში ბევრ მსგავსებას იპოვის საქართველოში მომხდარ მოვლენებთან, შესაძლოა, კონკრეტული პირებიც ამოიცნოს.
თუმცა ავტორი მიგვანიშნებს, რომ ყველა შესაძლო პარალელი მხოლოდ დამთხვევაა.**

## გიორგი მაისურაძე

# სალამი საქართველოდან!

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №11-18**

— მიდი, ბიჭო, ყველი და ჭურჭელი გამოიტანე! — მიუბრუნდა მეორეს, რითაც დაადასტურა, რომ ამ ორში უფროსი სწორედ ის გახლდათ.

— მობრძანდით! — მიიპატიჟა „ნიუ-იორკ თაიმსის" კორესპონდენტი კარვის გვერდზე დანთებული ცეცხლისკენ, რომელზეც სამფეხზე შავად გამურული ალუმინის ქვაბი იდგა და ნახევრად გადახდილი სახურავის ქვემოდან მსუყე ოხშივარი ამოდიოდა.

— ხრამში გადაგვივარდა. ისე დასახიჩრდა ბედშავი, რომ ამქვეყნად მომბრუნებელი აღარ იყო, — ქვაბზე მიანიშნა არჩილ კამარაულს მწყემსმა. — აბა, მეცხვარე განა საქმელად ცხვარს დაკლავს?

— დიდი ხანია, აქ ხართ? — ჰკითხა არჩილ კამარაულმა.

— ათი დღეა, რაც ამოვედით. რვა კაცი ვართ სულ და ექვსი ათასი ცხვარი გვყავს.

მეორე მწყემსმა კარვიდან ხის პატარა მაგიდა გამოიტანა, მერე ოთხი თეფში და ამდენივე ჭიქა მოაყოლა. „ჯიპთან" მივიდა, პურის ტომარა და ცელოფნის პარკები კარავში შეიტანა, იქიდან კი სქლად დაჭრილი პურის ნაჭრებითა და არყის ბოთლით გამოვიდა. პური მაგიდაზე დადო, არაყი ჭიქებში ჩამოასხა.

— აბა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მშვიდობით გატაროთ ღმერთმა! — დაილოცა უფროსი და არაყი გადაჰკრა.

კამარაულს არ დაულევია. როჯერსმა დალია და არ ესიამოვნა, მაგრამ წარბიც არ შეიხარა.

— გადასახედზე ხომ არ ამოგივლიათ ორი კვირის წინ? — კამარაულის მეშვეობით იკითხა „ნიუ-იორკ თაიმსის" კორესპონდენტმა.

— კი, ამოვიარეთ, მაგრამ მანდ არ ვჩერდებით — პატარა ადგილია ცხვრისთვის. უღელტეხილზე გავჩერდით, ცხვარი დავასვენეთ, მაგრამ ვინ დაგასვენა? ერთი საათიც არ იყო გასული, რაც ცხვარი ბალახს მიადგა, რომ ვეებერთელა შავი „ვერტალიოტი" ამოფრინდა საიდანღაც და ფარა ისე დაფანტა, რომ შუადღემდე ძლივს შევაგროვეთ, — მეცხვარემ მოთუხთუხე ქვაბს სახურავი ახადა და დანის წვერით მოხარშული ხორცის დიდი ნაჭერი ამოიღო, წვრილ ნაჭრებად დაჭრა, ჯერ სტუმრებს დაულაგა თეფშებზე, მერე — თვითონ და ბოლოს თავის ამფსონს დაუდო. მსხვილი მარილი მოაყარა ხორცის ნაჭრებს.

— მიირთვით, — მიუბრუნდა კორესპონდენტს.

— სად მიფრინავდა? — იკითხა სიდნეი როჯერსმა.

— ეშმაკებში და ჯანდაბაში! იქვე, დაბლა, უღელტეხილს ქვემოთ რომ ქვის სამტეხლოა.

— დაინახეთ, როგორ დაჯდა?

— ჩვენ ფერდის მეორე მხარეს ვიყავით და არ ჩანდა. ხმა შეწყდა. ვის ეცალა მაგ ოხრისთვის? თავგზააბნეულ ცხვარს ვაგროვებდით. ის-ის იყო, შევაგროვეთ, რომ ისევ დაგვაფრინდა თავზე ის ოხერი! ისევ დაგვიფრთხა ცხვარი. მაგ დღეს დავივიწყებ? ეგეთი სიმწარე, დავბერდი ცხვარში კაცი და არ მინახავს! — ხელები გაშალა მწყემსმა.

— რამდენ ხანში აფრინდა ისევ?

— საათ-საათნახევარში.

— ხშირია ასეთი შემთხვევები?

— არა, კაცო, არა! ეგენი თუ დაფრინავენ, მაღლა დაფრინავენ და ცხვარს როცა ხედავენ, გვერიდებიან. ეგენი ვინ იყვნენ, ეგ ოხრები?!

— საათი ხომ არ იცით, რომელი საათი იქნებოდა?

— დილის ათი საათი იყო, ახალ ამბებს ვუსმენდი პატარა რადიოთი.

— გადასახედზე რომელ საათზე ამოიარეთ?

— ცხრაზე. იქაც ახალ ამბებს გადმოსცემდნენ.

— ახალი ამბები რადიოთი ყოველ ერთ საათშია, მისტერ როჯერს, — ჩაერია საუბარში არჩილ კამარაული.

— გადასახედზე ხომ არ გინახავთ რამე?

— არა, იქ რა უნდა გვენახა? სისხამზე ამოვიარეთ... ბიჭო, მევლუდა! — მიუბრუნდა მეორე მწყემსს, — გადასახედზე იყო რამე?

მევლუდამ უარის ნიშნად თავი გააქნია, მადიანად ილუკმებოდა.

— მაგ დღეს რამე დამავიწყებს? — განაგრძო მწყემსმა, — ღამეც ვერ გავათიეთ უღელტეხილზე. არადა, წესადა გვაქვს, ერთ ღამეს მანდ ვაჩერებთ, ცხვარს ვუშვებთ, ვასვენებთ. გაფრინდნენ თუ არა ის ოხრები, ისეთი შავი ბოლი ამოვარდა ქვის სამტეხლოდან, ლამის მზე დააბნელა. რა ქნეს მაგ ოხრებმა, ან რას წაუკიდეს?

— არ ნახეთ, რა იწვოდა?

— ვის ეცალა მაგისთვის? ბოლისგან, ისედაც დაზაფრული ცხვარი, ლამის დაგვეხრჩო. ავიკრიფენით და იქაურობას გავეცალეთ. მიირთვით, რა? — ხორცზე მიანიშნა „ნიუ-იორკ თაიმსის" კორესპონდენტს.

— ისინი მალე მოვლენ? — ფარებისკენ გაიხედა სიდნეი როჯერსმა და ხორცის ყველაზე პატარა ნაჭერი აიღო.

— საღამოს იქნებიან აქა. ისე, ახლა ერთი სული აქვთ, აქ იყვნენ. — გაეცინა მეცხვარეს.

— კარგი, სხვა დროს გესტუმრებით, — ფეხზე წამოდგა „ნიუ-იორკ თაიმსის" კორესპონდენტი, — დიდი მადლობა.

— რაღა სხვა დროს, დარჩით, რაღა დარჩა საღამომდე?

— არა, ძია კაცო, სტეფანწმინდაში გველოდებიან, — უთხრა არჩილ კამარაულმა, — ხვალ ან ზეგ ამოვალთ. ხომ აქა ხართ?

— კი, ერთი თვე მაინც ვიქნებით აქა.

— აბა, წავედით მაშინ. დიდი მადლობა.

— მაიცა, კაცო, გზა დავულოცო ჩვენს სტუმარსა, — მეცხვარემ სავსე ჭიქა აწია, — ღმერთმა კეთილად გატაროთ, — ჭიქა მიუჭახუნა კორესპონდენტის სასმისს, — აბა, ჩემი ტელეფონის ნომერი ჩაიწერე, — მიუბრუნდა არჩილ კამარაულს და დაუფარავი სიამაყით ამოიღო ჯიბიდან მოზრდილი მობილური ტელეფონი.

— „მაგთია", — უთხრა და ნომერი უკარნახა, — ამოსვლის წინ დამირეკეთ და როგორც ჩვენ ვიცით, ისე დაგხვდებით, — შეხედა სიდნეი როჯერსს და სასმელი გადაკრა, — ოკეი! — თქვა უეცრად.

„ნიუ-იორკ თაიმსის" კორესპონდენტისთვის იმდენად მოულოდნელი იყო ეს, რომ გაოცებით შეკრთა.

— ოკეი! ოკეი! — გაიმეორა მწყემსმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ოცდამეთოთხმეტე პრეზიდენტის დუაიტ ეიზენჰაუერის — აიკის მიერ ოდესღაც გამოყენებულ და მთელი მსოფლიოს მიერ ატაცებულ-გახმოვანებულ აბრევიატურას „O.K. — All korect" — „ყველაფერი წესრიგშია", აქ, შორეული კავკასიის ამ ამაყ და გოროზ მთებშიც კი შემოეღწია.

***

მწყემსის ნაამბობში „ნიუ-იორკ თაიმსის" კორესპონდენტი გადასახედიდან ხუთიოდ კილომეტრში გამოჩენილმა ვერტმფრენმა დააინტერესა; მით უმეტეს, რომ იგი თითქმის იმ მონაკვეთში გამოჩნდა, როცა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეციალური აგენტი უოლტერ რაილი დაიღუპა.

„იქნებ მინისტრის ვერტმფრენი იყო, — ფიქრობდა სიდნეი როჯერსი, — და უბედური შემთხვევის ადგილისკენ მიფრინავდა? მაშინ რატომ დაჯდა უღელტეხილზე ერთი საათით? რა შავი ბოლი ამოვარდა მისი აფრენის შემდეგ იმ ადგილიდან? იგივე შავი ბოლი ახსენა თბილისში მომავალმა მეორე მძღოლმა ჯამლეტმაც".

— არჩი, მწყემსის ტელეფონის ნომერი გაქვს, ხომ?

— დიახ, მისტერ როჯერს, ჩემს მობილურშია ჩაწერილი.

— ახლავე დაურეკე და როგორი ვერტმფრენი იყო, ჰკითხე.

არჩილ კამარაულმა მობილური ამოიღო და ღილაკს თითი დააჭირა. მანქანას ცალი ხელით მართავდა. ორიოდე წუთი ილაპარაკა ქართულად.

— დიდი ვერტმფრენი იყოო, — მიუბრუნდა „ნიუ-იორკ თაიმსის" კორესპონდენტს, როცა საუბარი დაამთავრა, — შავი ფერისა და გვერდებზე „გამოფატრული", ანუ გვერდებზე კარები არ ჰქონდაო.

„აპაჩი!" — გაიფიქრა სიდნეი როჯერსმა. მისთვის ცნობილი იყო, რომ „აპაჩის" ტიპის, გასული საუკუნის სამოციანი წლების მოდელის რამდენიმე ვერტმფრენი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს საჩუქრად გადასცა.

— ჯვრის უღელტეხილზე გავჩერდეთ, არჩი, — უთხრა მძღოლს. მყარად ჰქონდა გადაწყვეტილი, იქაურობა დაეთვალიერებინა.

ქვის მასიური თეთრი ჯვარი გზიდან ორმოცდაათ მეტრზე, ბორცვის თავზე იდგა. ეს იყო უღელტეხილის ყველაზე მაღალი წერტილი, რასაც ჯვარზე ამოტვიფრული და შავი საღებავით შევსებული წარწერა — 2379 მ. ადასტურებდა.

არჩილ კამარაულმა გზიდან გადაუხვია და „ლენდ კრუიზერი" რბილად გაგორდა ხასხასა მწვანე ბალახზე.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**გახსენება**

# დაუძინებელი მასპინძელი



**ეს წერილი ჯუმბერ ბეთაშვილის გახსენებაა, რომელსაც 26 ივნისს 70 წელი შეუსრულდებოდა. 1993 წლის 27 სექტემბერს იგი ჟიული შარტავასთან და მის სხვა კოლეგებთან ერთად გამოვიდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ცეცხლმოკიდებული შენობიდან. თავდამსხმელებმა იგი ჯგუფს მოაცილეს, ცალკე გაიყვანეს და სიკვდილის გზას გაუყენეს. აფხაზებს არ უნდოდათ მისი დახვრეტა; კარგი ბიჭიაო, — ეუბნებოდნენ ჩეჩნებს, ვერ მოახერხეს მისი გამოხსნა.**

ჯუმბერ ბეთაშვილი — აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, — დახვრიტეს. სად, როგორ, არავინ იცის. სად ჰპოვა საუკუნო განსასვენებელი, უცნობია. ღრმა ტკივილი ახლავს უკვალოდ გამქრალი უმცროსი მეგობრის გახსენებას.

ჩვენი ურთიერთობა 1974 წელს დაიწყო, როცა მე ქ. სოხუმში გადასვლა მომიწია. იმ დროს ჯუმბერი უკვე სოხუმის მკვიდრი გახლდათ, დაოჯახებული. ჩემთვის დაუვიწყარია მასთან და მის ოჯახთან ურთიერთობა, რომელიც სოხუმში დაიწყო და დღესაც, სამწუხაროდ, მის გარეშე გრძელდება მის მშვენიერ ცოლ-შვილთან — ქალბატონ ნელისთან და ადრე დაობლებულ მედეასთან, ირმასა და თამრიკოსთან. განსაკუთრებით მხიბლავდა ჯუმბერის გამორჩეული თვისებები — შრომისა და საქმისადმი ერთგულება, სილაღე, ადამიანებთან ურთიერთობის ალღო, ცოდნა და მიგნება. იგი ყველას უყვარდა — უმაღლეს პარტიულ მუშაკებს, მინისტრებს, ადმირალებს, გენერლებს, პოეტებს, მწერლებს, ოფიციანტებს, რესტორნის მუსიკოსებს, მომღერლებს, მზარეულებსა და დამლაგებლებს.

**მას განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ქართველ და რუს ინტელიგენციასთან, აფხაზეთის გამორჩეულ და ცნობილ პიროვნებებთან, უბრალო ხალხთან. სამაგალითო იყო მისი და გენერალ ირაკლი ჯორჯაძის მეგობრობა. რუსი პოეტები ალექსანდრე მეჟიროვი, ბელა ახმადულინა, ბულატ ოკუჯავა ლექსებს უძღვნიდნენ:**

***„მე ჩემს ცხოვრებაში არ მყოლია ჯუმბერ ბეთაშვილზე საყვარელი მეგობარი. ის იყო ადამიანების და მთელი სიცოცხლის ნაირფერადი სპექტრის გამაღმერთებელი პიროვნება. იყო უანგარო, ოქროს გულის პატრონი",*** — **ევგენი ევტუშენკო.**

**„იგი იყო მაღალი, ლამაზი, გონიერი; კეთილი, მხიარული თვალებით უყურებდა ადამიანებს —ნაცნობებს, უცნობებს, თანამემამულეებს, უცხო ხალხს; მთებს, ზღვას, ტყეებს, სტეპებს და ვინც ცხოვრობს ჩვენ ცოდვილ მიწაზე. ჯუმბერი იყო ნამდვილი ინტერნაციონალისტი",** — თემურ გაიდარი, რუსეთის საზღვაო ფლოტის კონტრადმირალი.

**„ჯუმბერი იყო ჩემი უმცროსი მეგობარი, ერთგულების ნიმუში, საიმედო დასაყრდენი; მაღალი, წარმოსადეგი, ლამაზი, სითბოსა და სიკეთის მფრქვეველი",** — ავთანდილ საყვარელიძე, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე.

1989 წელს, როცა საგრძნობლად დაიძაბა ურთიერთობა ქართველებსა და აფხაზებს შორის, მან ფეხზე დააყენა დიდიც და პატარაც, მზრუნველობას და შემწეობას არ აკლებდა დაბნეულ და შეშინებულ მოსახლეობას, ყველას,ეროვნების მიუხედავად. დაღლილ-დაქანცულს, ღამენათევს გამთენიისას ახსენდებოდა საკუთარი ოჯახი.

ფრთიანი სათაური სრულ თანხვედრაშია ჯუმბერ ბეთაშვილის პიროვნულ თვისებებთან. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო მრჩეველი თამაზ გაბუნია იხსენებს: „ჯუმბერმა სიყვარულიც იცოდა და თანადგომაც. 26 სექტემბრის ღამეს შენობიდან ძლივს გააბრუნა სიძე სახლში: **წადი, კაცო, ცოლშვილს მიხედე, დედაშენს მოუარე, ჩემს მეუღლეს მიაქციე ყურადღება, მე კი აქ უნდა ვიყო ბოლომდეო. 27 სექტემბერს, დღის პირველ საათზე, მის კაბინეტში ვისხედით, შეაგროვა თავისი ლექსები, ზოგიერთი წამიკითხა და მითხრა** — აუცილებლად უნდა გამოვაქვეყნო ომის შემდეგ და ერთად მაგრად ვიქეიფოთო".

**ერთი განსაკუთრებული, თვალშისაცემი შტრიხიც:**

**მეზობელს აფხაზეთის ისტორიის მუზეუმის დირექტორს ტარას გიძბას ხშირად საყვედურობდა: შვილებს შინ მაინც ელაპარაკე აფხაზურად და ჩემს შვილებსაც ასწავლეო.**

ჯუმბერს მოჭარბებულად ჰქონდა რომანტიკული შეგრძნებები, პოეტურობა, მუსიკალობა. შესანიშნავად უკრავდა გიტარაზე, სასიამოვნო ხმა ჰქონდა, ხშირად ვმღეროდით ერთად. მეგობრობის გარდა, ბედმა სიმღერაშიც შეგვახმატკბილა.

ვწუხვარ, რომ არ შედგა ჩვენი ჟამგრძელი დუეტი. **„ხოლო „ამრადან" ნატირალი სიმღერა მესმის"**(ევგენი ევტუშენკო).

მეც მესმის...

**გურამ კალანდაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ხ ა დ ა

## თავი III

რა შეედრება დილას მთაში!.. ჩამოხდება თუ არა მზის პირველი სხივი, ცვარს ორთქლად აქცევს, ორთქლს — სპეტაკ ნისლად და ხეობაში მანდილივით გაჰფენს ხოლმე...

...ჩვენი მასპინძლის კართან ბედაურები ფრუტუნებენ. რახანია, ცხენზე არ ვმჯდარვარ. გელა ბეგოიძეს კი შეუკაზმავს, მაგრამ მე ჩემსას არ ვიშლი — დიდი წონა მაქვს და მოსართავები კარგად თუ არ დავუჭირე, მალე მოეშვება, უნაგირი იმოძრავებს და ცხენს, შეიძლება, ზურგი წავუხდინო. ჯგუფის სხვა წევრები ცხენზე პირველად უნდა შესხდნენ, ამიტომ ზოგ რამეს ვასწავლი და ვამხნევებ.

...გუშინ ამოვლილ ხეობას მანამ მივყვებით უკან, სანამ სოფელ ციხიანის გადასახვევი შეგვხვდება. შორს, დასავლეთით, მაღალ სერზე, რომელიც ხადისწყლის ხეობას თეთრი არაგვის ხეობიდან გამოყოფს, ერთი ზურგიანი კოშკი დგას და მიდამოს ზვერავს, გვერდით პატარა სალოცავი აქვს. ეს ჯაღუმიანია — ჯაღმაიძეთა ნასოფლარი. თავდაპირველად სოფელ ციხიანში შევდივართ, სადაც მცირე კოშკის ნაშთებია. ციხიანს ზევით სოფელი შარუმიანია, აქ მხოლოდ შარმაიძეების (შარუმაიძეების) 3 კომლი ცხოვრობს ზაფხულობით.

ზამთარში არც ციხიანში და არც შარუმიანში კაცის ჭაჭანება არაა. სოფელში ამირან შარმაიძე გვხვდება და როცა ვეუბნებით, სოფლის ეკლესიის ნახვა გვინდაო, მაინცდამაინც დიდი ხალისით არ მიგვიძღვება წინ. უფრო მეტიც — ტაძარში მარტო მე მიშვებს: ან ჩემ თეთრ თმაწვერს სცემს პატივს, ან, სულაც, ბერი ვგონივარ. ჯაღმაიძეებს, რაკი ეს ეკლესია მათ სოფელში დგას, იგი თავიანთ სალოცავად მიაჩნიათ და „ავი" თვალისაგან, ალბათ, ამიტომ იცავენ.

შარუმიანის ეკლესია საკმაოდ სერიოზული ძეგლია. ეს არის ცეცხლისჯვრის წმიდა გიორგის საყდარი, რომელიც შორს მდგარ მთავარ ცეცხლისჯვარს გასცქერის. ცეცხლისჯვრობის დღესასწაულს ჯერ მთავარ სალოცავთან აღნიშნავენ, მერე კი აქეთ ემვებიან. შარუმიანის ტაძარი ორი, ერთმანეთზე გადაბმული, ნაგებობისგან შედგება. ჩრდილოეთის ნაგებობა ძირითადი დარბაზია, სამხრეთისა — ორსართულიანი მინაშენი, რომელსაც სართულშორისი გამყოფი აღარ აქვს. ეს მინაშენიც სამლოცველოს შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა თავდაცვით ფუნქციასაც ასრულებდა. რაკი ტაძარი ტერასაზეა აგებული, მისი ძირითადი დარბაზი მინაშენის მეორე სართულის დონეზეა და მასში შესვლა ხის კიბითაა შესაძლებელი. კარი არქიტრავულია, კედლები კი ძალიან სქელი (1 მეტრი); შიგნით, სიგანეში მხოლოდ 2 მეტრია, სიგრძეში კი — 4. აქვს ერთადერთი და ვიწრო აღმოსავლეთის სარკმელი, რომელიც შიგნიდან შეკიბული ფორმით ფართოვდება. საკურთხევლის კედელი სწორკუთხაა. საყდარი ნაგებია ზედაპირულად კარგად დამუშავებული წითელი გრანიტის ლოდების ორფა წყობით და კირის თხელი დუღაბით. ქვათა წყობა რეგულარულთან მიახლოვებულია. შარუმიანის ტაძარი, თავისი ნიშნებით VIII-IX საუკუნეთა ძეგლი უნდა იყოს.

...ნასოფლარ მიდელაურთაში (ე.ი. მიდელაურების სამოსახლოში) შევდივართ. ირგვლივ რამდენიმე ყორე-ნასახლარია, რომელთაც ახლა მწყემსები იყენებენ. აქვე დგას სანახევროდ ჩამოშლილი ზურგიანი კოშკი, რომელიც მშვენივრად დამუშავებული თანაბარი ზომის კვადრებითაა ნაგები. იგი აუცილებლად თვალს მოგტაცებთ. აღმოსავლეთ კედელში ერთი უცნაური რელიეფიანი გრძელი ლოდია ჩადგმული. მასზე ერთმანეთთან დაუღლებული მამაკაცისა და ქალის სახეებია ამოკვეთილი. ეს ან ადამისა და ევას გამოსახულებაა, ან მთვარისა და მზისა. აქვეა დაქარაგმებული, ვერტიკალური წარწერა: **„ბეშქენ. ქრისტე შეიწყალე!"** წარწერა X-XI საუკუნეებისას წააგავს და გვიან უნდა იყოს ამოკვეთილი, რადგან კოშკი რამდენადმე ადრეული ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო ეს ბეშქენი?

აი, ამ ფიქრით გავწიეთ მაღლა, ქოროღოსაკენ, სადაც უნიკალური სანახაობა და კიდევ ერთი უცნობი სახელი გველოდა.

სოფელი ქოროღო, რომელსაც მკვიდრი წამალაიძეების ერთი-ორი ოჯახი თუ აახმიანებს ხოლმე ზაფხულობით, ფრიალო კლდის თავზეა შეფენილი. მისგან სამხრეთით, დაახლოებით 200 მეტრში, ამაღლებულ ადგილზე, ცაცხვებისა და ფიჭვების მცირე კორომში, წამომართულია IX-X საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესია და კოშკი. ორივე ნაგებობა ერთი და იგივე ოსტატის შემოქმედებაა. ამაზე მიგვანიშნებს კოშკის ოვალურ ზურგთან შერწყმული ტაძრის სამხრეთი კედლის მომშვილდული შემოწერილობა. ამავე ოსტატის ნაღვაწი უნდა იყოს დასავლეთ ფასადზე, ორფერდა გადახურვის მთელ ფრიზზე შესრულებული ბარელიეფი, რომელიც დაახლოებით 6 მეტრის სიგრძისაა, საკმაოდ ღრმა კვეთისაა და 12 სიუჟეტისაგან შედგება. ეს სიუჟეტები კინოკადრებივით მისდევენ ერთმანეს და ტაძრის მშენებლობის სურათს გვიხატავენ. იმ ეპოქისათვის ეს სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ ქანდაკებაში და, საერთოდაც, ერთადერთი ნიმუშია ტაძართა ფასადურ შემკობაში. ავტორი ცდილობს, მანამდე არსებული წესები დაარღვიოს და ფიგურები მოძრაობაში მოიყვანოს, პერსონაჟები შეძლებისდაგვარად გააცოცხლოს. ასეთი გაცოცხლებული პანო, შესაძლოა, მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში მეორე არც მოიპოვებოდეს.


შარუმიანის ეკლესია

ასევე საინტერესოა სამხრეთის გვიანდელი მინაშენის წირთხლებში, მეტადრე მარჯვენა ამყოლში, ძირის ქვად გამოყენებული ძველი, რატომლაც თავდაყირა ჩასმული ლოდი. მასზე გამოქანდაკებულ ბარელიეფზე გამოსახულია დიდგვაროვანი ქტიტორის ოჯახი, რომელსაც ტაძრის მაკეტი უჭირავს ხელში და, ბუნებრივია, კახეთის ფეოდალურ კლასს განეკუთვნება. საქმე ის არის, რომ IX-XI საუკუნეებში, თერგის ხეობიდან მოყოლებული, მთელი აღმოსავლეთი მთიანეთი კახეთის სამთავროს და სამეფოს განუყრელი ნაწილი იყო. სარწმუნოა, რომ ეს ბარელიეფი, ტაძრის განახლებამდე, სამხრეთის ან დასავლეთის ფასადს ამშვენებდა.

ტაძარი დაკეტილი დაგვხვდა, რის გამოც ინტერიერის გადაღება ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ვიწრო სარკმლებიდან მაინც შევიჭვრიტეთ და ზოგი რამ გავარჩიეთ: საკურთხევლის კედელი სწორკუთხაა და კონქზე გადასვლა ტრომპებით ხდება. დარბაზში დგას სამი სვეტი, რომელთაგან ორი სადიაკვნოსა და სამკვეთლოს შექმნას ცდილობს. მათ ზევით სამალავი საკნები უნდა იყოს. მესამე სვეტი უფრო მსხვილია. იგი დარბაზის დასავლეთ მონაკვეთშია, რომელიც, კლდის ტერასული რელიეფის გამო, შედარებით დაბალჭერიანია. ერთი სამალავი საკანი მესამე სვეტის თავზეც არსებობს.

ქოროღოს კომპლექსში ორი ასომთავრული წარწერაც გვხვდება. ერთ-ერთი მათგანი მოგვიანებით, XI-XII საუკუნეებში უნდა იყოს ამოკვეთილი დასავლეთ ფასადზე, ჩრდილოეთ სარკმლის თავზე: **„ნუ წარმავლინებ ცეცხლად"...** მეორე წარწერა კოშკის აღმოსავლეთ ფასადზეა და მისი თანადროული უნდა იყოს: **„ქრისტე, შეიწყალე ქართე".** ხომ არ არის ეს ქართე კახეთის სამთავროს იმ დიდგვაროვანი ოჯახის თავკაცი, რომლის ბარელიეფი ტაძრის მინაშენის კარის ამყოლშია ჩადგმული?

ქოროღოდან თვალნათლივ მოჩანს არა მარტო ხადის სოფლები, არამედ მის გარშემო მდგარი ზურგიანი კოშკების მთელი სისტემა: წვერციხე, წვერეს ციხე, ორციხე, ხადისკარის ნაციხვარი, იუხოს ციხე, ქალაქეთის ციხე, მიდელაანთ ციხე და ცეცხლისჯვრის კომპლექსის ციხე. კიდევ უფრო მიცხოველდება ეჭვი, რომ ქოროღოს კომპლექსი, თავისი დიდებული საყდრით, ხევისუფლის სამყოფელი უნდა ყოფილიყო. სავარაუდოა, რომ აქედან ხადისწყალზე ჩამავალი გზითა და ხიდით ქოროღო ბენიანსა და ბეგოთკარს უკავშირდებოდა.


ქოროღოს კომპლექსი


ქუმსიანთკარის წარწერა


მიდელაურთას კოშკი

...ცხენებზე ვჯდებით და დასავლეთის ბილიკს მივუყვებით მაღლა — ცეცხლისჯვრისაკენ მივდივართ. ეს სალოცავი ხადაში უწინარესია. იგი ძველი, წარმართული ღვთაებისა და წმიდა გიორგის თავისებურ სინთეზს უნდა წარმოადგენდეს. საყდარი და გალავანი სანახევროდ დანგრეულია; დიდი, ზურგიანი ციხე კი ისევ ამაყად დგას. რაკი ჩვენში ყველა დიდი სალოცავის აგებას თამარის სახელს უკავშირებენ, ერთი ლეგენდის თანახმად, ცეცხლისჯვარიც თამარის ეპოქაში, „სისხლის წვიმების" მერეა აგებული.

ცეცხლისჯვრიდან სოფელ სეთურებში ვეშვებით და დიდ ველზე გავდივართ, აქედან ცხენებს უკან მიდენის გელა ბეგოიძე, ჩვენ კი ისევ მანქანით ვმგზავრობთ. ეს ის ადგილებია, სადაც 1804 წლის მთიულეთის აჯანყების ცეცხლის ხაზი გადიოდა და რუსეთის არმიამ პირველი დიდი წინააღმდეგობა ნახა. აქვეა სოფელი კაიშაურიც თავისი კოშკითა და XIX საუკუნეში ეგზარხოსის მიერ აგებული ორი ეკლესიით. გაღმა მხარეს ჯაღმაიძეების ციხე-კოშკიც დგას, მაგრამ ფაქტია, რომ აქაურობის პატრონი მაინც კაიშაურები იყვნენ, რომელთაგან ერთ-ერთმა უკანასკნელმა (ციხისთავმა) ლერმონტოვს უმასპინძლა. კაიშაურთა გვარის წარმომავლობა ძალიან საინტერესოა. ერთი ლეგენდის თანახმად, კაიშა ლუდუშას ძმა და გორგასალის დროინდელი გმირის — სნოს შვილი იყო. ლუდუშა (ლუდუშაურები) ხევში დარჩა მამის ფუძეზე, კაიშა (კაიშაურები) კი ხადაში გადმოსახლდა. მეორე ლეგენდის თანახმად, კაიშაურები შერვაშიძეების ჩამომავლები ყოფილან. პირველი ლეგენდა ხევში გავრცელებული და რეალობასთან იგი უფრო ახლოა, მაგრამ ადრინდელი მოგზაურობიდან, ერთი შეკითხვა აქამდე გამომყვა: ლუდუშაურთა გვარიც მთიულეთს, კერძოდ, მლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ღუდის ხევს ხომ არ უკავშირდება? ღუდაში დღემდეა შემორჩენილი უძველესი ნასოფლარი და ნამონასტრალი. ერთი ხალხური ლექსი აკი ასე ამბობს:

**„შე ლომო კაიშაურო,**
**გაგაეთისა მტინეო,**
**შვიდჯერ მოგვიხდა**
**ხელმწიფე,**
**მხარი შენ დაუჭირეო,**
**აზნაურობა მიიღე,**
**მამული დაიმკვიდრეო,**
**იქა გყავ ლუდუშაური,**
**მხარი მან დაგიჭირაო".**

არის მეორე ლექსიც: **„ლუდუშაურო ღუდითა, ერბო გიდგია გუდითა".**

სოფელ კაიშაურის შემდეგ სამხრეთით მდებარე ქუმსიანკარში შევდივართ, სადაც სულ ორი ოჯახი ცხოვრობს. ერთ-ერთი მათგანის — დავით ქუმსიშვილის ეზოში ძველ აკლდამას და ბოსლის კარის თავზე ჩადგმულ წარწერიან ქვას წავაწყდით. წარწერა ასომთავრულია და ასე იკითხება: **„ქრისტე, შეიწყალე თარხან".** ეს უთუოდ რომელიღაც აქაური ძველი ეკლესიის ნაშთია.

დიდველის ბოლოში, სადაც ნეოლითის ხანის ცხოვრების კვალია აღმოჩენილი, არის პატარა სოფელი სუნტნი და ზურგიანი კოშკის ნანგრევზე აღმართული წმიდა გიორგის მინიატურული სამლოცველო. მის ქვევით მოჩანს არაგვისა და ხადისწყლის წყალგამყოფი ქედის ცხვირი, თავისებური სამკუთხა ველი, რომელიც სოფელ ზაქათკარს ეკუთვნის. უყურებ და ასე გგონია, თითქოს გიგანტური გემის კიჩო თავქვე მიაპობს არაგვის ხეობას. თვალწინ ულამაზესი სანახები იშლება. ჩემს გვერდით მჯდომ ჭაბუკს ლაშა დათებაშვილს მწირალ ვალიკ სულაკაურის „თუში მეცხვარის" სიტყვებით მივმართე: „აგე, ბალღო, ეგ არის შენი სამშობლო!"

**ბელა ქოქიაშვილი**







ქოროღოს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ბარელიეფები

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვორონცოვისდროინდელი თბილისი

დასასრული. დასაწყისი იხ. №18

თბილისი 40-50-იან წლებში გასაოცარი კოლორიტული ცხოვრებით ცხოვრობდა. ბარონი ა.კ. მაინდორფი, არაჩვეულებრივად არისტოკრატული და ყურადღებიანი პიროვნება, რომელიც სისტემატურად ქმნიდა განუხორციელებელ პროექტებს ვაჭრობაში, ფინანსებსა და მრეწველობაში. სურდა რა განეხორციელებინა თავისი პროექტები, მან შემოიარა მთელი კავკასია; გადაწყვიტა, გაეწმინდა მტკვრის კალაპოტი ნაოსნობის მოსაწყობად; მან, ასაკისა და ავადმყოფობის მიუხედავად, აქტიურად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს.

თბილისში ცნობილი პიროვნება გახდა ინგლისელი სეიმური. ის, სპარსეთში მიმავალი, თბილისში ხუთი დღით უნდა შეჩერებულიყო, სინამდვილეში კი სამი წლით დარჩა და ამის შესახებ არავისთვის უცნობებია. ნათესავებმა ის თავად ვორონცოვის დახმარებით იპოვეს. სეიმური ერევანში წავიდა, იპოვა რა იქ გამყოლები, არარატზე ავიდა, რომლის მწვერვალზეც ინგლისში გასაგზავნი თავისი პირველი წერილი დაწერა.

თბილისში უძველესი დროიდან ეწყობოდა ე.წ. თამაშები, მასში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები. საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ წლებში თბილისში მსგავსი თამაშები აკრძალული იყო, მაგრამ თავად ციციანოვის ჩამოსვლის შემდეგ და ადგილობრივთა თხოვნით თამაშები აღდგა.

აურზაურის თავიდან აცილების მიზნით ვორონცოვი თამაშების ქალაქგარეთ გამართვას სთავაზობდა, სადაც მეტი სივრცე იყო და საზოგადოებრივი შენობები ხელს არ შეუშლიდათ. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ.

სახალხო დღესასწაულებს შორის ყველაზე მეტად უყვარდათ თბილისში საყოველთაო ხმაურიანი კარნავალი. ის ეწყობოდა ყველიერის მომდევნო ორშაბათს. XIX საუკუნეში ეს დღესასწაული დაკავშირებული იყო ქართველთა ჯარის სპარსელებზე გამარჯვებასთან, რომლებმაც ჯერ ქალაქი დაიკავეს, მაგრამ შემდგომ დამარცხდნენ. ამასთან, ტყვედ ჩავარდა სპარსეთის შაჰი. მას გადააცვეს მასხარას ტანსაცმელი და ნახშირით მოთხუპნული სახით დაატარებდნენ ქალაქის ქუჩებში. თბილისელებმა დღესასწაულების გამართვა სისტემატურად დაიწყეს, წარმოადგენდნენ რა სპარსელებთან ბრძოლის ეპიზოდებს, ვორონცოვი სასახლიდან სიამოვნებით ადევნებდა თვალს პროცესსა და ბრბოს ვერცხლის მონეტებს ესროდა.

იმ დროის თბილისი სავსე იყო ახალგაზრდა მეომრებით, რომელთაც სხვადასხვა მიზეზთა გამო უნდოდათ ვორონცოვთან სამსახური. მოგვიანებით ბევრი მათგანი საერთოდ აღარ დაბრუნებულა რუსეთში, ზოგმა კი მაღალი თანამდებობები დაიკავა. ვორონცოვს უყვარდა ახალგაზრდები და გაგებით ეკიდებოდა მათ ინტერესებსა და სურვილებს.

ერთხელ, თეატრიდან დაბრუნებისას, გაზაფხულის ერთ თბილისურ საღამოს დონდუკოვ-კორსაკოვი სავახშმოდ კლუბში შევიდა, რომელიც მთავარმართებლის სახლის წინ მდებარეობდა. კლუბის შენობას ბაღი ეკვროდა, სადაც ის ღია ცისქვეშ სამ ნაცნობთან ერთად ვახშმად მყოფ თავად ვასილჩიკოვს შეხვდა. გადაწყვიტეს, მუსიკოსები მოეწვიათ. მალე ბაღში რამდენიმე რუსი ოფიცრისათვის 60 მუსიკოსი უკრავდა.

გაეღვიძა რა ღამის პირველ საათზე ხმაურისგან შეწუხებულ ვორონცოვს, კამერდინერს უბრძანა, გაერკვია, რა ხდებოდა; შეიტყო თუ არა, რაშიც იყო საქმე, უთქვამს:

„მადლობა ღმერთს, ჩემი ახალგაზრდები კმაყოფილნი არიან და მხიარულობენ“. შესაძლოა, ამ დროს თავადს თავისი ახალგაზრდული ცელქობები ახსენდებოდა, როცა თბილისში 1802 წელს თავად ციციანოვთან მსახურობდა.

ახალგაზრდა ოფიცერთათვის თავისებურ ცენტრს წარმოადგენდა თავადების — ვასილჩიკოვის, დონდუკოვ-კორსაკოვის და კოჩუბეის ბინები. „ჩვენი ბინა, — წერდა დონდუკოვ-კორსაკოვი, — ერთგვარ შემკრებ პუნქტს წარმოადგენდა მთელი ჩვენი წრისათვის.“

მიხეილ სიმონის ძე ყოველთვის მონაწილეობდა მისი ახლობლების საქმეებში, პირადშიც კი, არასოდეს ამბობდა უარს დახმარებაზე; ამასთან, ამას დიდი ტაქტით აკეთებდა.

საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა ოფიცრებს შორის ტიმერგოევის სიმაგრის მარჯვენა ფლანგის კომენდანტი გენიგი. ამ ადამიანს დიდი გავლენა ჰქონდა მეზობელ ჩერქეზთა ტომზე. „მისი სამართლიანობა, საჭიროების შემთხვევაში საბრძოლო ენერგია, რაც მთავარია, მოსახლეობის ხასიათის ცოდნა და მისი დიდი სტუმართმოყვარეობა ცნობილი იყო მთელი მარჯვენა ფლანგის ჩერქეზებისათვის. იგი არასდროს არ ტეხდა მიცემულ სიტყვას, ამიტომ მოხუცებული თავადები ხშირად მიდიოდნენ მასთან სიმართლის დასადგენად, მოსარიგებლად ან რჩევის მისაღებად“.

აღმოსავლეთის წეს-ჩვეულებების თანახმად, პოლკოვნიკი გენიგი სტუმრებს ძვირფასი საჩუქრებით უშვებდა, რისთვისაც მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავდა. ვორონცოვი კარგად იცნობდა და აფასებდა გენიგს. გაიგო რა მისი ფინანსური პრობლემების თაობაზე, ბრძანა, პოლკოვნიკისათვის 4000 მანეთი გაეგზავნათ მისი პირადი შემოსავლებიდან.

აქვე უნდა გავიხსენოთ ვორონცოვის კიდევ ერთი ცნობილი კეთილშობილური საქციელი. დატოვა რა საფრანგეთი 1818 წელს, რუსული საოკუპაციო კორპუსის მომავალმა მეთაურმა, დაფარა



ვორონცოვის ძეგლი თბილისში

არამარტო ოფიცერთა ყველა ვალი, არამედ დაბალჩინოსნებისაც — დაახლოებით ერთი მილიონი ფრანკი საკუთარი ფული, ცხადია, ფრანგებს არავითარი პრეტენზია აღარ ჰქონიათ.

რუსეთის იმპერიის ცენტრალური გუბერნიიდან კავკასიის სიშორე ხელს უწყობდა იქ განსაკუთრებული ატმოსფეროს შექმნას: „მშვენიერია, — აღნიშნავდა დონდუკოვ-კორსაკოვი, — რომ თბილისის საზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან შორსაა პეტერბურგიდან, აქ არ იყო იმ ხასიათის პროვინციული ცხოვრება, როგორიც არსებობდა და დღესაც არსებობს ჩვენი დიდი სამეფოს ყველა მსგავს პროვინციულ ქალაქში. აქ არ იყო ის წვრილმანი ინტრიგები, ისეთი ჭორაობა, რაც აუტანელს ხდის ცხოვრებას პროვინციაში“.

თბილისი, როგორც მხარის დედაქალაქი, ბევრისთვის იქცა მეორე სახლად, სადაც ლაშქრობებს შორის ყოფნის დროს ტკბილ მოგონებებს ეძლეოდნენ, იხსენებდნენ იმას, რაც ძვირფასი იყო მათთვის და რაც რუსეთში დარჩათ.

1850 წლის 25 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა ხელმწიფის მემკვიდრე. მისი ჩამოსვლიდან მეორე დღეს ვორონცოვმა საზეიმო სადილი გამართა, საღამოს კი — დიდი ბალი. 27-ში მემკვიდრე ქართველ მემამულეთა ბალს ესწრებოდა, რომელიც ქალაქგარეთ, ორთაჭალაში გაიმართა, მასპინძელმა, ძველი აღმოსავლური ტრადიციის თანახმად, ტახტის მემკვიდრეს ფეხქვეშ ფიანდაზი დაუფინა.

ბალი ევროპული ცეკვებით დაიწყო, რომელიც მალე ეროვნულმა შეცვალა. ცეკვები ბრწყინვალე ფეიერვერკმა შეაჩერა.

პარკის ერთ ხეივანში ე.წ. ევროპული მაგიდა იყო გაწყობილი. ტახტის მემკვიდრემ თავდაპირველად ყურადღება ამ ნადიმს მიაქცია. „ვაშას“ ძახილით მისმა უდიდებულესობამ გაიარა ნადიმის მონაწილეთა შორის და შემდეგ სუფრასთან, დღესასწაულის საპატიო სტუმრების გვერდით დაიკავა ადგილი. შეისვა იმპერატორის სადღეგრძელო, შემდეგ — მისი მემკვიდრის. ადგილობრივმა და პოლკის გუნდებმა შეასრულეს „ღმერთო, მეფე დაიფარე“. თავის მხრივ, ტახტის მემკვიდრემაც წარმოთქვა ქართველი მემამულეების სადღეგრძელო.

მეორე დღეს, საღამოს რვა საათზე მემკვიდრისათვის მოეწყო საზეიმო მიღება, რომელიც თბილისის საზოგადოებამ მოაწყო.

ტახტის მემკვიდრე აღფრთოვანებული და მოხიბლული იყო იმ სანახაობით, რაც მის საპატივცემულოდ მოაწყვეს.

გამოვიდა რა აივანზე, მის წინაშე ზღაპრული სანახაობა გადაიშალა: მთელი ავლაბრის მთა დახაზული იყო ცეცხლის ხაზებით. მტკვარს ოქროსფერი გადაჰკრავდა. გადაუხადა რა მადლობა თბილისის მოქალაქეებს, ტახტის მემკვიდრე ღამის 12 საათზე მთავარსარდლის სახლში წავიდა.

უმაღლესი სტუმრის წასვლის შემდეგ ქარავანსარაი ყველა მსურველისათვის გაიხსნა და ღამის სამ საათამდე ასობით ცნობისმოყვარეს უმასპინძლა, ხოლო სომხურ ბაზარში ხალხი გამთენიამდე ღრეობდა.

29 სექტემბერს სტუმარი თბილისიდან გავიდა. 1 ოქტომბერს ვანის სომხურ ტაძარში ჩატარდა ლიტურგია. კურთხევის შემდეგ სასულიერო პირები მონასტრის ეზოსკენ გაეშურნენ, სადაც ღარიბი ხალხისათვის, რომლებიც ტაძრის შესასვლელთან შეგროვილიყვნენ, 1500 კაცზე გაშლილი სუფრა არქიეპისკოპოსმა მინასმა აკურთხა. მღვდელმა პატკანოვმა გააცნო მათ დღესასწაულის მიზეზი. ტახტის მემკვიდრის მისამართით მხიარული შეძახილები დიდხანს გაისმოდა. საპატიო მოქალაქეები გაჭირვებულებს ურიგებდნენ ღვინოს, პურს, მწვანილს, ხორცს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის სამხედრო გუბერნატორი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები.

რუსეთის ტახტის მემკვიდრე ეწვია ეჩმიაძინის მონასტერსაც. ჩრდილოეთ ჭიშკრამდე 200 საჟენის მოშორებით მას შეეგებნენ მონასტრის სასულიერო პირები. სტუმარი პატრიარქ ნერსესთან ერთად შევიდა მონასტერსა და ტაძარში.

საღამოს ცხრა საათისათვის შედგა ვახშამი. უფლისწულს მარჯვნივ ნერსესი უჯდა ორ არქიეპისკოპოსთან ერთად, მარცხნივ — თავადი ვ.ო. ბებუთოვი და სხვები. ვახშმის შემდეგ ნერსესი და უფლისწული ცალკე ოთახში განმარტოვდნენ, ყავას მიირთმევდნენ და თერთმეტ საათამდე რუსულად საუბრობდნენ.

მეორე დღეს, 7 ოქტომბერს, ლიტურგიის შემდეგ მისმა უდიდებულესობამ ეჩმიაძინის ტაძრის ღირსშესანიშნაობანი დაათვალიერა; შევიდა სატრაპეზოში, ეჩმიაძინის სინოდის შენობაში და უძველეს სამონასტრო ბიბლიოთეკაში, შემდეგ პატრიარქთან მიირთვა ჩაი, გამომშვიდობებისას მადლობა გადაუხადა მის უწმინდესობას და ერევანში გაემგზავრა.

1850 წლის 29 დეკემბერს თავადი ვორონცოვი პატრიარქ ნერსესს სწერდა: „მისი იმპერატორობის უდიდებულესობა აღფრთოვანებული საუბრობდა ეჩმიადინზე და თქვენს მასპინძლობაზე; ჩვენც უნდა გვიხაროდეს, რომ დიდი თავადი გვესტუმრა და, უფლის წყალობით, ტახტის მემკვიდრეს საუკეთესო შთაბეჭდილებები შეექმნა ყველაფერზე, რაც მან კავკასიაში ნახა, კარგია ისიც, რომ კავკასიის მცხოვრებლებმა თავისი თვალით ნახეს მომავალი ხელმწიფე და გაიგეს, რამდენად ღირსია იგი მეფობისა“.

როგორც მ. პ. შჩერბინინი აღნიშნავდა, თბილისში მოწყობილი ყოველკვირეული საღამოების, ბალების და კონცერტების მიზანი ამ მიწაზე მცხოვრებთა და რუსთა შორის მტრული დამოკიდებულების აღმოფხვრა, მათი შეკავშირება იყო.

არისტოკრატული ცერემონიების ხარჯები თავად ვორონცოვის პირადი სახსრებიდან ნაღდდებოდა.

1845 წელს ამიერკავკასიის მხარის შემოსავალი 1 649 151 მანეთს აღწევდა; 1849 წელს — დაახლოებით 2 000 000 მანეთს, ხოლო 1852 წელს — 6 226 492 მანეთს.

ჩამოსვლის პირველივე დღიდან ვორონცოვმა მის კეთილმოწყობაზე დაიწყო ზრუნვა. ქალაქი იზრდებოდა: თუ 1835 წელს აქ 25 000 მცხოვრები იყო, 1847 წლისათვის მოსახლეობის რაოდენობამ 43 862 კაცს მიაღწია.

ვორონცოვი იყო ბევრი სასიკეთო საქმის ინიციატორი. თბილისი მშვენდებოდა. მისი ქუჩების დიდი ნაწილი ქვაფენილით დაიფარა. შემდგომ აქ ბრწყინვალე თავადს მ.ს. ვორონცოვს ძეგლი დაუდგეს. თავად ხელმწიფემ ამისათვის სამი ათასი მანეთი გაიღო. 1876 წელს ძეგლი გაიხსნა, როგორც აღიარება იმ ადამიანის დამსახურებისა, რომელმაც 1854 წელს დატოვა კავკასია და რომელზეც, როგორც ჭეშმარიტ სახელმწიფო მოღვაწეზე, მსჯელობა მისი კეთილი საქმეებით შეიძლება.

**არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პატომის კრატერის საიდუმლო

დასასრული. დასაწყისი იხ. №16-18

## „კომსომოლსკაია პრავდა“ პატომის კრატერის საიდუმლოს ხსნის

### გამოცანა პირველი: რადიაცია

**ვერტმფრენმა კრატერიდან დაახლოებით ერთ კილომეტრში გადმოგვსხა.**

**მეცნიერებმა, პირველ რიგში, რადიომეტრი აახრიალეს. ჩვენი ბანაკის ადგილას რადიაციული ფონი 11 მიკრორენტგენი აღმოჩნდა. ადამიანისთვის ეს აბსოლუტურად უსაფრთხოა, პირიქით, ნაკლებიცაა, ვიდრე რუსეთის სხვა ქალაქებში. მაგალითად, კრატერთან ყველაზე ახლომდებარე ქალაქ ბოდაიბოში საშუალო რადიაციული ფონი — 18, ხოლო მოსკოვში 15 მიკრორენტგენია.**

მეორე დილით, როცა კრატერისკენ გავემართეთ, სპეციალისტები ყოველ 100 მეტრში ზომავდნენ რადიაციის დონეს. გასაკვირია, მაგრამ რაც უფრო ვუახლოვდებოდით „ცეცხლოვანი არწივის ბუდეს“, მით უფრო ნაკლები ხდებოდა რადიაციული ფონი. თავად კრატერზე კი იგი უკვე მხოლოდ და მხოლოდ 5 მიკრორენტგენს შეადგენდა. როგორ შეიძლება ეს ფაქტი აიხსნას, მეცნიერებმა ჯერ არ იციან. მაგრამ ერთი რამ მაინც გაირკვა — თუ პატომის კრატერი „ცუდი ადგილია“, მიზეზი რადიაცია ნამდვილად არ არის.

### გამოცანა მეორე: ცოცხალი ანომალია?

**როცა დავასკვენით, რომ კრატერში „ცხოვრება და მუშაობა“ შეიძლებოდა, მაშინვე გამოიკვეთა ახალი საიდუმლო. გასულ წელს ხელმძღვანელის გარდაცვალების გამო მეცნიერებმა კრატერის დეტალური აზომვა ვერ შეძლეს. ახლა მოგვეჩვენა, რომ „ცეცხლოვანი არწივის ბუდე“ გარეგნულად შეიცვალა — კრატერის კედლებმა ერთი მხრიდან სიმაღლეში მოიმატა, ხოლო მეორე მხრიდან — დაიწია. გამოდის, რომ ანომალია ისევ „ცოცხალია“! მიწიდან ამობურცული ქანები მოძრაობას, დაჯდომას განაგრძობენ. ეს ნიშნავს, რომ კრატერი ახლახან — რამდენიმე ასეული წლის წინათ წარმოიქმნა.**

კრატერის ფორმაში შესამჩნევი ცვლილებები მოხდა თუ არა, გადავწყვიტეთ, ამ თემაზე მაქსიმოვ-ნეპრიახინების ოჯახის წევრებს გავსაუბრებოდით. ეს საგვარეულო კრატერიდან ათიოდე კილომეტრში უკვე 80 წელზე მეტია, ცხოვრობს.

ისინი შარშან გავიცანით. ოჯახის თავი ინოკენტი ექსპედიციის ხელმძღვანელის სიკვდილამდე ჩვენი გამცილებელი იყო.

იაკუტიიდან გადმოსული მისი დიდი პაპა თავისი ოჯახით აქ გასული საუკუნის 20-იან წლებში დაფუძნდა. ერთ დღესაც პირველმოსახლე მაქსიმოვი გაქრა. მისი გვამი, უფრო სწორად, რაც მისგან დარჩა — სუფთად გამოხრული ძვლები კრატერის მახლობლად, წყაროსთან იპოვეს.

— აქ არანაირი მისტიკა არაა, — თავს არიდებდა ჩემს კითხვებს მისი შთამომავალი ინოკენტი, — დათვმა დაგლიჯა, — და მცირე ხნის დუმილის შემდეგ დაამატა, — ისე, საერთოდ, ჩვენში დათვები ხალხს თავს არ ესხმიან, მით უმეტეს, ზაფხულში, როცა ირგვლივ საჭმელი ბევრია.

რამდენიმე წლის წინ პატომზე ვიღაცამ კეშას მამა მოკლა კეფაში გასროლით. მკვლელს დღესაც ეძებენ. ერთი წლის წინ კი იმავე ადგილას თავი მოიკლა მისმა უფროსმა ძმამ.

— ის-ის იყო, ირემი მოკლა და გატყავება დაიწყო. მერე უცებ ლულა პირში ჩაიდო და სასხლეტი დაუშვა. მარტო იყო. უცხოს კვალიც არ ყოფილა გარშემო...

ყველაზე გასაოცარი წინ გველოდა — ნეპრიახინების ქოხში სრული სიცარიელე დაგვხვდა. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს მასპინძლებმა საცხოვრებელი მომენტალურად მიატოვეს.

ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ ქოხის კართან, გვერდზე, ფარდულში და ეზოში ნაჯახები იყო მიტოვებული. ციმბირში, სადაც ცეცხლსასროლ იარაღზე მეტად ნაჯახი შეიძლება გამოგადგეს, მათ ასე არავინ ტოვებს — თუ სადმე მიდიან, ყოველთვის თან მიაქვთ.

ასე იყო თუ ისე, ნეპრიახინების ასავალ-დასავალი ჩვენთვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა.

ბანაკში დაბრუნებისას შევიტყვეთ, რომ მეცნიერებმა საბოლოოდ თქვეს უარი ურანის საბადოებში თვითწარმოქმნილი ჯაჭვური რეაქციის შედეგად მომხდარი აფეთქების თეორიაზე.



## ცეცხლოვანი არწივის ბუდეში

— სერიოზულად მხოლოდ ორი — მეტეორიტული და ვულკანური ვერსიის განხილვა შეიძლება, — განაცხადა პროფესორმა ანტიპინმა, — მაგრამ პრობლემა ისაა, რომ კრატერზე ვერავითარი მეტეორიტული ნივთიერება ვერ აღმოვაჩინეთ. რაც შეეხება ვულკანებს, დაახლოებით ათასი კილომეტრის რადიუსში ჩამქრალი ვულკანიც კი არ გვხვდება. რაიონი აბსოლუტურად არავულკანურადაა მიჩნეული. არადა კრატერი აშკარად ახალია — ქვის ზედა ფენებმა გამოშრობა და ხავსის მოკიდებაც კი ვერ მოასწრო. მისი ასაკი მე დაახლოებით 100-500 წელი მგონია.

სერიოზულ მეცნიერებს ტუნგუსკის მეტეორიტზე საუბარი არ უყვართ, — ამ მოვლენის გარშემო ძალიან ბევრი მითქმა-მოთქმა და ლეგენდა არსებობს.

მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფერი ლოგიკურად ემთხვევა. დავუშვათ, ტუნგუსკის მეტეორიტი ირკუტსკში კი არა, კრასნოიარსკის მხარეში ჩამოვარდა. მაგრამ იგი იქ ხომ ვერ იპოვეს! დაცემის სავარაუდო ადგილიდან პატომის კრატერამდე 700 კმ-ია. 70 კმ/წმ სიჩქარით მფრინავი ბოლიდისთვის ეს დაახლოებით 10-15 წამის საფრენი მანძილია. იქნებ პატომის კრატერი სწორედ ტუნგუსკის მეტეორიტის მიერ დატოვებული ღრმულია? ასაკიც ზუსტად ემთხვევა. შემთხვევა ტუნგუსკზე 1908 წელს მოხდა. ჩვენი გეოლოგებიც ასე აფასებენ კრატერის ასაკს. ნუთუ ჩვენ ის ვიპოვეთ?

სამწუხაროდ, ტუნგუსკის მეტეორიტის ვერსიაც გამოირიცხა. როცა დენდროლოგებმა კრატერის მწვერვალზე ბოლო ფიჭვიც მოხერხეს, მათმა ასაკმა 250 წელი შეადგინა.

თუ კრატერი მართლაც მეტეორიტმა წარმოქმნა, ეს სხვა მეტეორიტი ყოფილა.

### რა დევს კრატერქვეშ?

„ცეცხლოვანი არწივის ბუდის“ ზუსტი ასაკი მოგვიანებით ირკუტსკში გავიგეთ. ახლა კი მეცნიერებს მთავარი საკითხი ჰქონდათ გადასაჭრელი — უნდა გამოეკვლიათ, რა დევს კრატერის ქვეშ, სიღრმეში.

**პროფესორი ალექსანდრე დმიტრიევი:**

— პროტონული მაგნიტომეტრით გაზომვა ყველაზე პრიმიტიული საშუალებაა რკინის მადნის აღმოსაჩენად. თუ ნიადაგში რკინის შემცველი ქანები მოიპოვება, იმ ადგილას მაგნიტური ველის დაძაბულობა მატულობს. ძალიან გაგვიმართლა, რომ კრატერი რკინის მადნისგან თავისუფალ ნიადაგზე დგას. და თუ კრატერზე მაგნიტური ველი უფრო მეტი იქნება, ვიდრე მის შემოგარენში, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მის ქვეშ მართლაც დევს რაღაც, რომელიც რკინას ან სხვა ფერომაგნეტიკებს, მაგალითად, ურანს შეიცავს.

მაგნიტურ გაზომვას მთელი დღე მოვუნდით. ყოველ 10 მეტრში ვჩერდებოდით და ვზომავდით. ამაზე მოსაწყენი სამუშაო ძნელი წარმოსადგენია. სამაგიეროდ, ორმაგად სასიამოვნო იყო, როცა საღამოს პროფესორმა დმიტრიევმა ვახშამზე უარის თქმის შემდეგ თავის ნოუთბუქზე ცოტა წაიჯადოქრა და შემდეგ განაცხადა:

— არ ვიცი, მეტეორიტია თუ კოსმოსური ხომალდი, მაგრამ აშკარაა, რომ კრატერის ქვეშ რაღაც არის და ეს რაღაც ამ ადგილებისთვის ანომალიურად მაღალი რაოდენობით რკინას ან სხვა ფერომაგნეტიკებს შეიცავს.

მაგნიტომეტრის მონაცემებმა აჩვენა, რომ ეს „რაღაც“ 100-150 მეტრის სიღრმეზე დევს და მაგნიტურ ველს იმდენად ცვლის, რომ ხელსაწყოები ცვლილებებს ორჯერ უფრო დიდ ფართობზე აფიქსირებს, ვიდრე კრატერის ფართობია.

ერთ-ერთი ვერსიით, ამ რკინის შემცველი „რაღაცის“ დიამეტრი 35-40 მეტრია. იმაზე, თუ საიდან გაჩნდა იგი იქ, მეცნიერებს ორი ვერსია აქვთ — ან კოსმოსიდან ჩამოვარდა, ან პირიქით, მიწიდან ამოვიდა.

მეორე ვერსია მხოლოდ ერთი შეხედვითაა ფანტასტიკური. ასტროფიზიკაში ცნობილია, რომ კოსმოსში არსებობს ზემკვრივი მეტეორიტები, რამდენიმე მილიარდი კილოგრამი კუბურ სანტიმეტრზე სიმკვრივით. არსებობს ჰიპოთეზა, რომ, თუ ერთ-ერთი ასეთი მეტეორიტი წყნარ ოკეანეში, ჩილეს სანაპიროებთან ჩავარდებოდა, მას შეეძლო დედამიწა „გაერღვია“ და ციმბირში, ბოდაიბოს რაიონში ამოსულიყო. მისი სიმკვრივე დედამიწის ბირთვის ტემპერატურასაც გაუძლებდა, — ასე თვლიან გეოლოგები. ასეთი შემთხვევები ადრეც ყოფილა: ორმა „მსგავსმა“, ოღონდ ზომებით გაცილებით მცირე, მეტეორიტმა 1993 წელს დედამიწის შიგნით გაიარა.

### კრატერში გიგანტური კვერცხი დევს?

წინა ორ ექსპედიციაში დენდროლოგები არ მონაწილეობდნენ. ჩვენ, რასაკვირველია, ვხერხავდით ხეებს და დასამუშავებლად სპეციალისტებს ვაძლევდით, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, იმ ხეებს არ ვჭრიდით, რომელიც საჭირო იყო. ეს ჩვენთან ერთად მყოფმა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ვიქტორ ვორონინმა განგვიმარტა. მისი სიტყვებით, კრატერის ასაკი ორჯერ უფრო მეტია, იმიტომ, რომ მის მიერ კრატერის ძირში მოჭრილი ყველაზე ძველი ხის წლიურმა რგოლებმა 480 წელი აჩვენა. მაგრამ ყველაზე საოცარი ეს კიდევ არ იყო.

მეცნიერის განმარტებით, ხის წლიური რგოლები კრატერის წარმოქმნის შემდეგ ერთჯერ გაიზარდა. ზუსტად მსგავს მოვლენას ჰქონდა ადგილი ჩერნობილში, სადაც რადიაციული ბიძგის შედეგად ხეებმა 2-ჯერ უფრო სწრაფად დაიწყეს ზრდა. ნუთუ აქაც იგივე მოხდა? რამ გამოიწვია ბირთვული რეაქცია — რადიოაქტიურმა მეტეორიტმა თუ ბირთვულ საწვავზე მომუშავე უცხოპლანეტელთა ხომალდმა? ეს, სამწუხაროდ, დანამდვილებით ჯერ არავინ იცის.

მესამე ექსპედიციაზე მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებთან ერთად წამოგვყვა კერძო ორგანიზაცია „ირკუტსკის ელექტროსადაზვერვო საწარმოს“ პრეზიდენტი, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე პოსპეევი, რომელმაც ამ ყველაფრიდან საერთო დასკვნა ჩამოგვიყალიბა:

— ახლა დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ კრატერის ქვეშ დიდი სამგანზომილებიანი ობიექტი აღმოვაჩინეთ, რომელიც მაღალი ელექტროგამტარობით ხასიათდება. ფორმით ელიფსოიდს ან ცილინდრს წააგავს, რომლიც წვეროც დაახლოებით 100 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს. სიღრმეში დაახლოებით 600-700 მეტრზე ეშვება. მონაცემების მიხედვით, იგი არც რკინისგან და არც რომელიმე სხვა, კაცობრიობისთვის აქამდე ნაცნობი ლითონისგან შედგება. მაგრამ იქ რომ რაღაც ნამდვილადაა, ეს ფაქტია.

### სამომავლო გეგმები – მაინც ამოვთხრით!

უახლოეს მომავალში კრატერზე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი ექსპედიცია გაემგზავრება. მისი მიზანია კრატერის გარშემო გათხრების წარმოება და როგორმე მის შუაგულში გაჭედილ ობიექტამდე მიღწევა. იმედია, ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის და იდუმალი პატომის კრატერი თავისი საიდუმლოს ამოხსნის საშუალებას მოგვცემს.

**ანდრეი მოისეენკო**
თარგმნა ლექსო ლეკიაშვილმა

## ძვირფასო, მთელი ტვინით მიყვარხარ

**გამოკვლევებმა ცხადყო, რომ დოფამინი არის ნივთიერება, რომელიც აახლოებს ადამიანებს და უკვე დაახლოებულთა შემდგომ ერთად ყოფნაზე კი ოქსიტოცინი ზრუნავს.**



ნიუ-იორკის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეისწავლეს იმ ახალგაზრდების ჯგუფი, რომელთაგან თითოეულმა სულ ახლახან იპოვა თავისი სიყვარული. მაგნიტორეზონანსულმა ტომოგრამამ აჩვენა, რომ ვნებიანი ფოტოების ნახვისას მათ ერთვებოდათ ტვინის ის ნაწილი, რომელიც მდიდარია სიამოვნებისმომგვრელი ჰორმონ დოფამინით (ის გამოიყოფა სისხლში ნიკოტინის ან კოკაინის მოხვედრის დროსაც).

იმავე ლაბორატორიაში გამოიკვლიეს მოზრდილი ასაკის მოხალისეები, რომლებიც ოცწლიანი ქორწინების შემდეგაც შეყვარებულნი არიან თავიანთ მეორე ნახევრებზე. დოფამინის გამომუშავებასთან ერთად მათ ტვინში მოქმედებდა ზონები, რომლებიც ჰორმონ ოქსიტოცინისა და ვაზოპრესინის გამომუშავებაზეა პასუხისმგებელი.

ეს ჰორმონები კი მიჩვევასა და დამოკიდებულებას იწვევს. ასევე აქტიურად მოქმედებდა სეროტონინის, სიმშვიდისა და კეთილდღეობის შეგრძნების ჰორმონის გამომუშავებაზე პასუხისმგებელი ზონაც.

მართალია, ეს ყველაფერი ჯერჯერობით დამუშავების პროცესშია, მაგრამ, როგორც სპეციალისტები იუწყებიან, „სიყვარულის ქიმიის“ გაშიფვრიდან სიყვარულის აბების შექმნამდე სულ ერთი ნაბიჯიღა დარჩა.

Los Angeles Times

# Explorer, Firefox თუ Opera?




**Internet Explorer ინტერნეტის მომხმარებელთა უდიდესი ნაწილისათვის პირველი ბრაუზერი იყო, რომლითაც პირველად შეუერთდნენ მსოფლიო გლობალურ ქსელს და ინტერნეტში მუშაობის ყველა პრობლემაც, ძირითადად, ამ პროგრამის ათვისების საკითხებს უკავშირდებოდა. სადღეისოდაც Windows-ის ბინადარ ამ პროგრამას პლანეტის ინტერნეტელების მესამედი იყენებს, მაგრამ, როგორც ივნისის ბოლოსთვის სტატისტიკურმა კვლევებმა აჩვენა, Firefox 3-მა, ისტორიაში პირველად, მომხმარებელთა რაოდენობის მიხედვით ბრაუზერების აქამდე უცვლელ ლიდერს სულ ცოტათი, მაგრამ მაინც გაუსწრო. არადა, ეს მხოლოდ Internet Explorer-7-ისა და Firefox 3-ის შედარება იყო.**

**თუ ამ ორი ბრაუზერის ყველა ვერსიის მომხმარებელთა საერთო რაოდენობას შევადარებთ, ძველი ლიდერი ამაყად დარჩება საპატიო პირველ ადგილზე. როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, Internet Explorer ყველაზე პოპულარული მხოლოდ იმის გამოა, რომ დანარჩენი ბრაუზერების შესახებ რიგით მომხმარებლებს ხშირად საკმარისი ინფორმაცია არ აქვთ. იმისათვის, რომ არჩევანში აბსოლუტური თავისუფლება გქონდეთ და თავად გადაწყვიტოთ, რა შემთხვევაში რომელი ბრაუზერის გამოყენებას მისცეთ უპირატესობა, მათ შორის ყველაზე პოპულარულებსა და რეიტინგულებს მოკლედ დაგიხასიათებთ.**

### INTERNET EXPLORER
### (კომპანია Microsoft)

თუ ინტერნეტით ერთხელ მაინც გისარგებლიათ, ამ ბრაუზერის შესახებაც გექნებათ წარმოდგენა. რამდენად რთული იყო გლობალურ ქსელში გადადგმული პირველი ნაბიჯები, ამის განმსაზღვრელიც Internet Explorer-თანაა დაკავშირებული. პროფესიონალთა მტკიცებით, ტექნოლოგიური განვითარების მარათონს ეს ბრაუზერი კარგა ხანია, ჩამორჩა, მაგრამ ამ ნაკლს მისი პოპულარობა ორმაგად ანაზღაურებს. ვებდიზაინერთა გარკვეული კატეგორია არა მხოლოდ ერგება მის მონაცემებსა და მოთხოვნებს, არამედ ქმნის საიტებს, რომლებიც მხოლოდ ამ ბრაუზერისთვისაა განკუთვნილი და სხვა ბრაუზერებით არაკორექტულად იხსნება.

ბრაუზერს მომენტალური გაშვების სისწრაფე აქვს და ინტერფეისის მუშაობის ტემპსაც ვერაფრით მოედავები, თუმცა, Internet Explorer-ის შემთხვევაში, დოკუმენტი ჯერ მთლიანად უნდა გადმოიქაჩოს ქსელიდან და მხოლოდ ამის შემდეგ აისახება ეკრანზე. ეს კი ქმნის შეგრძნებას, თითქოს ბრაუზერი ნელა მუშაობს. ქსელში Internet Explorer-ით მუშაობა აბჯარ-მუზარადით დამძიმებული რაინდის მოუქნელობას წააგავს, თანაც ეს აბჯარი, ამ შემთხვევაში, სულაც არ ასრულებს დაცვის ფუნქციას. ეს საკითხი მთლიანადაა მინდობილი ანტივირუსსა და ფაირვოლზე, თავად ამ ბრაუზერით ინტერნეტში შესვლა კი დანაღმულ მინდორზე თვალდახუჭული სიარულის ტოლფასია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენს კომპიუტერზე არის ლიცენზირებული Windows და, შესაბამისად, სისტემის განახლებებზეც მიგიწვდებათ ხელი, ეს რისკი საგრძნობლად მცირდება. Internet Explorer-ს არ გააჩნია სხვადასხვა მოდულის მიერთების უნიფიცირებული საშუალებები, მაგრამ მასში ინტერნეტში მუშაობასთან დაკავშირებული დანართების ინტეგრირება მაინც შესაძლებელია ამ უკანასკნელთა შემქმნელების წყალობით. რეკლამის ფილტრაციაზე ზრუნვა ამ ბრაუზერს საერთოდ არ აღელვებს. როგორც პოპულარობის გრაფიკის მიმართულებამ აჩვენა, 2021 წლისათვის მას მომხმარებელი აღარ ეყოლება.




### MOZILLA FIREFOX
### (კომპანია Mozilla Corporation)

„ცეცხლოვან მელას“ ვინც ერთხელ გაეკარა, ლამის ყველა მისი მუდმივი თაყვანისმცემელი გახდა. Mozilla Firefox-ის საწყისი მდგომარეობა მარტივი და სადაა, ინსტრუმენტების პანელზე სულ ხუთი ღილაკი და ძებნის ზოლია, მისი სურვილისამებრ გადაწყობა (ღილაკების დამატება ან მოკლება) მომხმარებლის უპირატესობაა. გასაფორმებლად კი უამრავი თემა არსებობს, რომელთა შერჩევა, ასევე, მომხმარებლის გემოვნებაზეა დამოკიდებული. ამ ბრაუზერის საწყისი ფუნქციური მონაცემები მომხმარებელთა უმეტესობას აკმაყოფილებს, მაგრამ ესთეტებისა და გურმანებისათვის Mozilla Firefox-ის საფუძველშივეა ჩადებული განუსაზღვრელი გაფართოების შესაძლებლობა. დამატებითი მოდულის სახით, პრაქტიკულად, ნებისმიერი ფუნქციის რეალიზება შესაძლებელი. მისთვის რამდენიმე ასეული გაფართოებაა დაწერილი და ისინი, პრაქტიკულად, ნებისმიერ სფეროს მოიცავს სასარგებლო პროგრამული კომპლექსებიდან მოყოლებული, ბრაუზერშივე მომუშავე თამაშებამდე.

ბრაუზერის პირველი ჩატვირთვის სისწრაფე საკმაოდ დიდია, რადგან ინტერფეისის ელემენტები არც ერთ სისტემაში არაა ინტეგრირებული. გვერდების გახსნის სისწრაფეც არანაკლებია, თუმცა ტექსტური ბრაუზერებისას ვერ შეედრება. Mozilla Firefox გვერდის გახსნას იწყებს ჩამოტვირთვის დაწყებისთანავე, დოკუმენტის მყარ დისკზე გადმოქაჩვის დასრულებას არ ელოდება და ამის წყალობით იქმნება ილუზია, თითქოს გვერდები წამიერად იხსნება. ამგვარი მეთოდი სხვა მიზეზითაც მოსახერხებელია; ბოლომდე გვერდის გახსნა ყოველთვის არაა საჭირო, საკმარისია დოკუმენტის პირველი ორიოდე სტრიქონი, რათა გავერკვეთ, გვჭირდება თუ არა ის და თუ არ გვჭირდება, ბოლომდე გახსნის გარეშეც მშვიდად გადავიდეთ შემდეგ დოკუმენტზე. ამით დრო და ნერვები გვარიანად გვეზოგება.

Mozilla Firefox-ის შემქმნელები განუწყვეტლივ ეძებენ მასში სუსტ წერტილებს და რაიმე მსგავსის აღმოჩენისთანავე შეაქვთ ცვლილებები მის სტრუქტურაში. ავტომატური განახლების წყალობით, ამგვარი ცვლილებები მომენტალურად იტვირთება და შეცდომაც გასწორებულია. სწორედ ასეთი ოპერატიულობის წყალობით, დღეისათვის ცნობილი არ არის ამ ბრაუზერის გავლით კომპიუტერის დავირუსების არც ერთი სერიოზული შემთხვევა. ხარისხის მიხედვით ჩამწკრივებული გაფართოებები ამ ბრაუზერს არ აქვს, ყველაფერი დამოკიდებულია მომხმარებლის სურვილზე. ასობით გაფართოების წყალობით, Mozilla Firefox ზუსტად ისეთი გახდება, როგორიც კონკრეტულ მომხმარებელს სურს.

მთავარია, გახსოვდეთ, რომ ზედმეტად გადახუნძლული ბრაუზერი უკვე არამყარი პროდუქტია და მეხსიერებაშიც „გარღვევები“ აღენიშნება. რეკლამის ფილტრაციის მხრივ, Mozilla Firefox-ს ძალზე მწირი შესაძლებლობები აქვს, თუმცა საამისოდაც არსებობს შესაბამისი გაფართოვება.

ასე რომ, „ცეცხლოვანი მელას“ მთავარი საოცრებები მისი სისწრაფე და დაცულობაა.




### OPERA
### (კომპანია Opera Software ASA)

ლეგენდის მიხედვით, ამ ბრაუზერით სარგებლობა საკმაოდ ძნელია და გარკვეულ შესწავლას მოითხოვს. მართლაც, უჩვეულო ინტერფეისი აქვს, Windows-ის ტრადიციებისაგან განსხვავებული, მაგრამ **Opera**-ს პოპულარობა იმის მაჩვენებელია, რომ ბოროტი ლეგენდების აღარავის ეშინია.

ეს მრავალფუნქციური ინტერნეტკომბაინია, რომელიც ბრაუზერის გარდა საფოსტო კლიენტსაც მოიცავს, IRC-კლიენტსაც და RSS-კლიენტსაც. ბევრი რამ, რასაც Internet Explorer-ისა და Mozilla Firefox-ის მომხმარებლები აქეთ-იქით დამატებით ეძებენ ხოლმე, **Opera**-ში თავიდანვე ადგილზეა. ის ერთადერთი ბრაუზერია, რომელშიც გამოსახულების ჩამოტვირთვის ფუნქცია თავად ბრაუზერის შემადგენელი ნაწილია და არა — გაფართოების მოდულის დამსახურება. გარდა ამისა, კონკურენტი ბრაუზერებისაგან განსხვავებით, **Opera** ინტერნეტგვერდის მასშტაბირება ხდება გამოსახულების ჩათვლით. ის სწრაფად ხსნის საიტებს და ეკონომიურად ხარჯავს სისტემურ რესურსებს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **Opera**-ს სწრაფი მუშაობის რესურსი აქვს Linux-შიც, სადაც სხვა ბრაუზერები მნიშვნელოვნად მოიკოჭლებს. ბრაუზერი მაღალ დონეზეა დაცული, ვინაიდან იყენებს დაცვის საკუთარ სისტემას, რომელიც არაფრით უკავშირდება ოპერაციული სისტემის სისუსტეებს, მაგრამ პრობლემა მის არასტაბილურობაში იმალება. წარმოიდგინეთ, რომ ნახევარი საათის განმავლობაში წერთ წერილს საფოსტო ვებსერვისით გასაგზავნად და ამ დროს ბრაუზერი დაიხურა. ამ შემთხვევაში თქვენი უმთავრესი ამოცანაა, თავი ხელში აიყვანოთ და რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიაყენოთ კომპიუტერს გაბრაზების ნიადაგზე, რადგან თქვენი ნახევარსაათიანი შრომა მთლიანად და უკვალოდ გადაყლაპა. სამაგიეროდ, Opera იმდენად დაცულია, რომ შეგიძლიათ, აბსოლუტურად უშფოთველად გადაეშვათ ვებსერფინგის თავგადასავლებში.

გაფართოების პრინციპი შემქმნელებს ამ ბრაუზერისთვის არ ჩაუყოლებიათ. მართალია, თუ ძალიან მოინდომებთ, გარკვეული შედეგების მიღწევა შეიძლება, მაგრამ ფუნქციების რეალური ზრდის იმედი ნუ გექნებათ. ეს იგივეა, რაც მსოფლიო ოკეანის დონის მომატების მცდელობა წვეთოვანის საშუალებით. რეკლამისაგან თავდაცვის მექანიზმები მაინცადამაინც ძლიერი არაა, მაგრამ, გარკვეულწილად, ზოგიერთი ზედმეტი ინფორმაციისაგან თავის არიდება მაინც შესაძლებელია. ასე რომ, Opera-ს მთავარი ღირსება ტრაფიკის ეკონომიური გამოყენება და დაცულობაა, არასტაბილურობის გამო კი ხშირად შეიძლება ინანოთ კიდეც მისდამი ერთგულება.

**ეს სამი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ბრაუზერია, რომელთა შორისაც, ძირითადად, უწევთ ხოლმე მომხმარებლებს არჩევანის გაკეთება. ახლა ისღა დაგრჩენიათ, თავად გადაწყვიტოთ, რა მოთხოვნები გაქვთ ამ სახის პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. როგორც კი გადაწყვეტილებას მიიღებთ, უპრობლემოდ შეგიძლიათ, ჩამოქაჩოთ ბრაუზერები შემქმნელების საიტებიდან. როგორც უკვე ვწერდით, ისინი აბსოლუტურად უფასოდ ვრცელდება, თუმცა ნურც იმას დაივიწყებთ, რომ რამდენიმე ბრაუზერის ერთდროულად დაინსტალება სულაც არ უშლის ხელს რომელიმე მათგანის მუშაობას. ასე რომ, ამ შემთხვევაში საუკეთესო არჩევანი, ალბათ, მრავალფეროვნება იქნება.**

## Total Commander-ის ახალი ვერსია გამოვიდა

პოპულარული ფაილმენეჯერის ვერსია 7.05 უდიდეს ფუნქციურ შესაძლებლობებს გვთავაზობს: ფაილების ძებნა, არქივებთან (ZIP, ARJ, LZH, RAR, UC2, TAR, GZ, CAB, ACE) მუშაობის შესაძლებლობა, ინტეგრირებული FTP-კლიენტი, ინტერფეისის სურვილისამებრ გადაწყობა, ფაილებისა და დანამატების სწრაფი გაშვების საკუთარი პანელი, გრაფიკის დამთვალიერებელი, დაწვრილებითი ინფორმაცია სისტემაზე, მულტიმედია და ასე შემდეგ.

Total Commander 7.05-ს პროგრამის ყველა მოდულში Unicode-ის სრული მხარდაჭერა აქვს, დამატებულია იმ ფაილების მხარდაჭერა, რომელთა დასახელებაც 1022-მდე სიმბოლოს შეიცავს. შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ტიპის (მაგალითად, Ansi და UTF-8) ტექსტური ფაილების შემცველობათა შედარება და ერთი ოპერაციით სხვადასხვა ფოლდერში ერთი და იმავე ფაილის კოპირება, თუმცა ეს ყველაფერი როდია — მომხმარებელს კიდევ ბევრი სასიამოვნო სიურპრიზი ელის.



## Microsoft-მა Windows 7-ის ფასი და შეფუთვა გაამხილა

Microsoft-მა ახალი ოპერაციული სისტემის სხვადასხვა ვერსიისათვის საბოლოოდ დაადგინა ფასები და ისინი Windows Vista-ს შესაბამისი ვერსიების ღირებულებას გაუთანაბრა. ერთადერთი, Windows Home Premium-ის ფასი დაიკლებს, მისი ღირებულება Vista-ს ანალოგზე 10%-ით დაბალია. Windows Home Premium-მდე განახლების შეძენა შესაძლებელი იქნება 120 დოლარად, Professional-ის განახლებული ვერსია 200 დოლარი ეღირება, Ultimate-სი კი — 260 დოლარი. Microsoft-ის ლიცენზიის მფლობელებს შეუძლიათ უდიდესი ფასდაკლებით ისარგებლონ, თუ Windows 7-ს გამოსვლამდე შეუკვეთენ. ამ შემთხვევაში ფასები, ფაქტობრივად, განახევრებულია. ფასდაკლების გარეშე შეფუთული ვერსიების ღირებულება, შესაბამისად, 200, 300 და 320 დოლარს შეადგენს. რაც შეეხება შეფუთვას, კომპანიამ ახალი პროდუქტის მომავალი სახე უკვე წარუდგინა კომპიუტერულ მსოფლიოს.



## Windows 7 მუშაობს Pentium II-ზეც

ინკოგნიტო ენთუზიასტმა მოახერხა და ოპერაციული სისტემა Windows 7 ძველისძველ, Pentium II-ის პროცესორით აღჭურვილ კომპიუტერზეც დააინსტალა. ეს კიდევ არაფერი, თავგანწირულმა ექსპერიმენტატორმა ოპერატიული მეხსიერება 96 მეგაბაიტამდე შეამცირა და Windows 7-ის „დაყენების“ მცდელობა ამ შემთხვევაშიც წარმატებით დაგვირგვინდა. სამწუხაროდ, არაა ცნობები იმის შესახებ, თუ რა დრო დასჭირდა ამ მონაცემების კომპიუტერზე უახლესი ოპერაციული სისტემის ჩატვირთვას, მაგრამ ცნობილია, რომ Pentium III-ის შემთხვევაში სისტემის „დაყენებას“ 17 საათი სჭირდება, ჩასართავი ღილაკის ჩართვიდან დესკტოპის გამოჩენამდე კი 20-წუთიანი შუალედია.

# კრემლში დაბარებულ ციმბირის პაპას თმა-წვერი ქართველმა დალაქმა შეუსწორა

**ძვირფასო მკითხველო! ბოდიშს გიხდით გამეორებისათვის, რომ მე დავიბადე თბილისში და გავიზარდე რკინიგზის ვაგზლის მიმდებარე ქუჩაზე, „ოქროს უბანში“, მართლაც „ოქროს უბანში“. საამისოდ მარტო ერთი პიროვნების დასახელებაც კმარა — ნიკო ფიროსმანაშვილი. მიუხედავად ყოველივე ამისა, აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ შესანიშნავი ადამიანები. ქართული სუფრის ბრწყინვალე თამადამ ოთარ მამფორიამ იცოდა თქმა: დიდ სოფელში წასულებს არ ჩამოვთვლი, ვაითუ ვინმე გამომრჩესო. მე გავკადნიერდები, გავბედავ და ჩამოვთვლი. ზოგს, შემთხვევით გამოტოვებულებს კი ბოდიშს მოვუხდი: გოგი ცაბაძე, მერი შილდელი, ეროსი მანჯგალაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ნოდარ ჩხეიძე, გივი ნიჟარაძე, კაკო ბაქრაძე, ბრონისლავ ბახტაძე, ენვერ ქელბაქიანი, გოგი დოლიძე, ვასო კახიანი და სხვ.**



თქვენი ყურადღება მინდა, შევაჩერო თბილისის „დინამოს“ №1 „ბალელშიკზე“, რომელსაც ბადალი არც ჰყავდა და არც ახლა ჰყავს; კაცზე, რომელიც თამაშის დაწყებამდე „რაზდევალკაში“ შედიოდა და ბორის პაიჭაძეს ჭკუას არიგებდა; კაცზე, რომელიც „დინამოს“ „პაეზტკაში“ დაჰყავდა; კაცზე, რომელსაც ამხანაგური თამაშის დროს ბურთი თამაშში შეჰყავდა.

ჩემი წერილის გმირი მურმან ლებანიძე გოგოლის ქუჩაზე ცხოვრობდა.

**„...მშობელ ქუჩაზე**
**ვბრუნდები გვიან,**
**როგორც ქარხნიდან —**
**დაღლილი მუშა,**
**წიგნის საწერად,**
**რომელსაც ჰქვია:**
**მამა, ბავშვობა,**
**გოგოლის ქუჩა...**
**გოგოლის ქუჩავ,**
**ჩაგთვლი სახლსავით,**
**მქუხარე ჩანგი მწუხარს**
**ხმაურობს...**
**გული მანდ დარჩა —**
**თათრის ძაღლსავით**
**ჩამქრალ საკვამურს**
**უყარაულოს,**
**უყარაულოს ბავშვობის**
**ცისკარს,**
**ოცდახუთ ზამთარს,**
**ოცდახუთ ზაფხულს,**
**უყარაულოს ჭრიალა**
**ჭიშკარს,**
**ბნელში ნაცნობი**
**ყავარჯნის კაკუნს...“**

მურმანის მამა სილო ლებანიძე ხელობით პარიკმახერი გახლდათ. იქვე, სადგურთან, ჩვენსავე უბანში, საპარიკმახეროში მუშაობდა. მამაჩემი მასთან მეგობრობდა და წვერიც პირველად მან გამპარსა. აი, იქ გავიგონე პირველად მურმან ლებანიძის სახელი; „ჩემი შვილი გაზეთ „კომუნისტში“ მუშაობსო“, — სიამაყით თქვა პატივცემულმა სილომ.

გავიდა დრო, დავამთავრე უნივერსიტეტი და გამომცემლობა „სახელგამში“ დავიწყე მუშაობა. ჩვენი საქმიანი შეხვედრა სწორედ იქ შედგა. ბევრ პროფესიონალს შეშურდებოდა მისი ზედმიწევნით დიდი სიყვარული და ცოდნა საგამომცემლო საქმისადმი. ჩვენი ურთიერთობა მარტო წიგნის გამოცემით არ შემოიფარგლებოდა. ვსაუბრობდით უბანზე, მშობლებზე, საერთო მეგობრებზე, სპორტზე და ა.შ. ერთხელ მამამისზე ჩამოვარდა სიტყვა. ვუთხარი, რომ პირველად წვერი ბატონმა სილომ გამპარსა-მეთქი. გაუხარდა და მითხრა, რომ მამამისი ჩვეულებრივი პარიკმახერი კი არა, „გრიმიორიც“ იყო და ამასთან დაკავშირებით ძველი ამბავი მომიყვა:

1920 წელს გონგოტის დივიზიას სარდლობდა ნესტორ კალანდარიშვილი — ციმბირის პაპა, ციმბირის ლომი. ამავე დივიზიაში რიგით ჯარისკაცად მსახურობდა, თურმე, სილო ლებანიძე. დივიზიაში დეპეშა მოსულა. ციმბირის პაპას კრემლში ლენინი იბარებდა. საჭირო იყო მისი გამოწყობა და მოწესრიგება — დაბანა, გაპარსვა, ჩაცმა, დახურვა. როცა ჯერი სარდლის გრძელი წვერის გაპარსვაზე მიდგა, დივიზიაში დალაქი მოიკითხეს. თურმე, აღმოჩნდა, რომ მთელ დივიზიაში ერთი დალაქი იყო და ისიც — ქართველი. მას უარი განუცხადებია სარდლისთვის წვერის გაპარსვაზე, მხოლოდ მისი შესწორება, ოდნავ შეკრეჭა შეუთავაზებია. არადა, კრემლში ლენინთან ტყისკაცივით წასვლა ძალზე უხერხული იქნებოდა. ეს ფაქტი სკრუპულოზურად აქვს ასახული თვით ბატონ მურმანს ერთ ლექსში:

**„...უპირველესად**
**მოუხმეს დალაქს —**
**გამოაჩინა ნესტორმა**
**ეშვი,**
**მაგრამ მიუგეს: —**
**სატახტო ქალაქს,**
**ისიც ლენინთან და**
**ისიც — კრემლში,**
**აგრე ვერ წახვალ,**
**არ თქმულა არსად!**
**უხერხულია ტყისკაცივით**
**ლენინთან წასვლა!**
**მაგრამ დალაქიც**
**ქართველი გახლდათ,**
**მაშასადამე,**
**გახლდათ მგოსანი!**
**ბრძანა დალაქმა**
**ქურთუკის გახდა**
**და თვისი მსჯავრი**
**გასაოცარი**
**თქვა: ენდეთ ჩემსას**
**აზრსა და ცოდნას,**
**ღირს ვიყო თქვენი**
**რისხვის და წყრომის,**
**მომჭერით ხელი —**
**შევაკლებ ოდნავ —**
**ვინ გაიგონა**
**გაკრეჭა ლომის!**
**ესიამოვნა უაღრესად**
**ციმბირის პაპას,**
**ჩახედა სარკეში**
**თავის ლომურ წვერსა**
**და ფაფარს,**
**ახედა სახეში ოცი წლის**
**დალაქს —**
**მოუთათუნა თათი**
**ძმასავით,**
**არ გადათქვაო, —**
**უთხრა ქართულად, —**
**თვარა გამკრეჭენ ეს**
**ოხრები — თხასავით...“**

ჩვენი შემდგომი საქმიანი შეხვედრა „ნიანგის“ რედაქციაში შედგა. იგი ჩვენს ჟურნალთან აქტიურად თანამშრომლობდა, ნოდარ დუმბაძესთან მეგობრობდა; უყვარდა ჯანსაღი იუმორი, რასაც ადასტურებს მისივე ლექსი „მიყვარს ჩაწერა კაი ხუმრობის...“

**„ორნი წვებიან —**
**დილით სამნი**
**ადგებიანო...**
**შეხე, რას ჰგვანან —**
**ბუზებივით**
**მრავლდებიანო!**
**ბაღჩა-ბოსტანი**
**სულ ღია აქვთ მაგათ**
**ქალებსო!**
**მე, კი, მე ბეჩავს,**
**რა სიკვდილი**
**გამამრავლებსო —**
**უარი წუხელ**
**საკუთარმა მითხრაო**
**ცოლმა...“**
**ეს (გვერდში ვუჯექ)**
**რუისელმა იხუმრა**
**მძღოლმა...“**

მუდამ მოღიმარი, მუდამ საქმიანი, მუდამ მებრძოლი მურმან ლებანიძე ხშირი სტუმარი იყო „ცენზორის — მთავლიტის“. იბრძოდა პირდაპირ, იბრძოდა შეპარვით, რათა გაეტანა მათ მიერ შეჩერებული სტრიქონიც კი. მიუხედავად ავადმყოფობისა, ჯანღონით სავსე კაცს რომ შეშურდებოდა, ისეთი იყო მისი ყოველდღიური საქმიანობა: „მოკლას ხარი თივამო!“ — რომ იტყვიან. ღამით სტრიქონებს კინძავდა, დღისით კი მათი დღის სინათლეზე გატანისთვის იბრძოდა. საქართველო იყო მისი ცხოვრება, მისი წარსული და აწმყო.

**„მშვენიერია**
**ორ-ზღვას-შუა კავკასის**
**ხედი**
**და კითხვა: „ვინ ვის?!“**
**ბებერ გულში ლახვრად**
**მაჩნია...**
**არავითარი სხვა**
**სამშობლო ამაზე მეტი**
**არავითარი სხვა გზა,**
**სხვა ხსნა არ გამაჩნია!“**

მძიმე სათქმელია, მწარე სათქმელია, მაგრამ ჭეშმარიტებაა. იგი ორ ფრონტზე იბრძოდა — კალმით და წამლით.

ჯანმრთელობას შეძლებისდაგვარად უფრთხილდებოდა, კალამი ხელიდან რომ არ გავარდნოდა. ამასთან, ძალზე აზარტული გახლდათ, თამაშისას მისი მოტყუება თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ დაუნდობელი კამათელი თავისას აკეთებდა. დუმილი დანაშაულად მიაჩნდა, მუდამ საკუთარი რწმენის ბარიკადებზე იდგა; უმტყუნა წამალმა, უმტყუნა კამათელმა... სამაგიეროდ, კალამს ათქმევინა დაუვიწყარი სიტყვა.

**ჟანი სიხარულიძე**

## ანეკდოტები

**— მისის სმიტ, ბედნიერი ოჯახი გაქვთ?**
**— ო, დიახ, ოთხი ვაჟი და არაჩვეულებრივი მეუღლე მყავს!**
**— მერედა სად არიან?**
**— უმცროსი ვაჟი, ჯონი, ერაყში გახლავთ; მეორე, მაიკი, ავღანეთშია; მესამე, ბილი, ახლა კოსოვოში გახლავთ; უფროსი ვაჟი პიტერი კი დღე-დღეზე ირანში აპირებს გამგზავრებას.**
**— მშვენიერია, მეუღლე სადღაა?**
**— მეუღლე მსოფლიოში მოგზაურობს და ლექციების კურსს კითხულობს თემაზე „როგორ შევაჩეროთ რუსები, რომ თავი დაანებონ სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე შეჭრას“.**



**საქართველოში დიქტატურა გამოცხადდა.**
**პარლამენტის სხდომაზე შედის პრეზიდენტი და აცხადებს:**
**— ხელისუფლების მომხრეები დარჩით, დანარჩენებმა ახლავე დატოვეთ დარბაზი!**
**რამდენიმე ოპოზიციონერი გავიდა.**
**გიორგი თარგამაძე გავა დარბაზიდან, მაგრამ მალე კარში თავს შემოყოფს.**
**— რა გინდა? — მკაცრად შეხედავს პრეზიდენტი.**
**— თქვენთან მინდა, ოღონდ ოპოზიციონერი მერქვას.**







საქართველო ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
ბონდო მძინარაშვილი, გიორგი მამაცაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი მაია გონაშვილი (858 10 25 48)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net